


ქმედუნარიანობის რეფორმის შეფასება

კანონმდებლობა და პრაქტიკა



ქმედუნარიანობის რეფორმის შეფასება
კანონმდებლობა და პრაქტიკა

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC

Human Rights Education and Monitoring Center



კვლევა მომზადდა პროექტის – „ქმედუნარიანობის ინსტიტუტის განხორციელების ხელშეწყობა საქართველოში“ – ფარგლებში. პროექტი მხარდაჭერილია „ღია საზოგადოების ფონდების“ (OSF) მიერ და მას ახორციელებენ ორგანიზაციები – „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC), „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ (PHR), „საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია“ (GASW) და „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში – თბილისი“ (GIP – Tbilisi).

კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს ავტორების პოზიციას და შესაძლოა, არ ასახავდეს „ღია საზოგადოების ფონდების“ (OSF) შეხედულებებს.

კვლევის ავტორები: მარიამ ჭანიაშვილი, ნანა გოჩიაშვილი, ქეთევან გიგინეიშვილი, ქეთევან ფილაური, ნინო ტაბიძე

კვლევის პროცესში ჩართული პირები: ოლღა კალინა, ნინო ქაშაკაშვილი, ევა ჭყონია

კვლევის ხელმძღვანელი: კონსტანტინე ერისთავი

რედაქტორი: მედეა იმერლიშვილი, ნინო ბექიშვილი, ნინო კალატოზიშვილი

დაკაბადონება: თორნიკე ლორთქიფანიძე

გარეკანი: სალომე ლაცაბიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ წერილობითი ნებართვის გარეშე.

© ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ: +995 032 2 23 37 06

www.emc.org.ge

info@emc.org.ge

<https://www.facebook.com/EMCRIGHTS/>

სარჩევი

შესავალი	7
მეთოდოლოგია.....	9
ნაწილი I. გადანაცვლების მიღებაში მხარდაჭერა – კონცეფციის არსი და მნიშვნელობა	12
შესავალი	12
1. სამართლებრივი ქმედუნარიანობის კონცეფციის შინაარსი.....	12
1.1. რელევანტური საერთაშორისო ინსტრუმენტების მოკლე მიმოხილვა	13
1.2. შშმ პირთა უფლებების კონვენციის მე-12 მუხლის ზოგადი შინაარსი	15
1.3. გადანაცვლების მიღებაში მხარდაჭერის არსი	19
1.4. სამართლებრივი ქმედუნარიანობის უფლების მიმართება სხვადასხვა უფლებასთან	30
1.5 სახელმწიფოს რელევანტური ვალდებულებების შინაარსი	33
2. ქმედუნარიანობის რეფორმის განხორციელების ბარიერები საქართველოში	34
2.1. ქმედუნარიანობის რეფორმის განხორციელების ზოგადი მიმოხილვა.....	35
2.2. ქმედუნარიანობის რეფორმის დანერგვის ბარიერების ზოგადი მიმოხილვა საქართველოს კონტექსტში	37
დასკვნა	41
ნაწილი II. პირის მხარდაჭერის მიმდებარე აღიარების პროცესი.....	43
შესავალი	43
1. სასამართლოს მიერ გადანაცვლების მიღების პროცესი.....	44
1.1 საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა	44
1.2 მხარდაჭერის დანიშვნის პროცესის საკანონმდებლო რეგულირება და გამოწვევები – საქართველოს კონტექსტი	52
2. პირის მხარდაჭერის საჭიროების შეფასება.....	58
2.1. შეფასების ძირითადი პრინციპები	59
2.2. ფსიქოსოციალური საჭიროების შეფასება – სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტები	63
2.3. ფსიქოსოციალური საჭიროებების შეფასება საქართველოს კონტექსტში	75
დასკვნა	91
რეკომენდაციები	92

ნაწილი III. გადანვევტილების მიღებაში მხარდაჭერის პროცესი.....	96
შესავალი	96
1. გადანვევტილების მიღებაში მხარდაჭერის სისტემის ზოგადი მახასიათებლები	97
1.1. მხარდაჭერის განხორციელების წინაპირობები.....	98
1.2 მხარდაჭერის ზოგადი მექანიზმი.....	101
2. გადანვევტილების მიღებაში მხარდაჭერის პროცესი – რელევანტური სამართლებრივი, ინსტიტუციური და პრაქტიკული საკითხები.....	112
2.1. მხარდაჭერის პროცესის სამართლებრივი რეგულირების საკითხები	112
2.2. მხარდაჭერის განხორციელება – ინსტიტუციური ჩარჩოს ფუნქციონირება	113
2.3. მხარდაჭერის განხორციელების პრაქტიკული ასპექტები.....	118
3. გადანვევტილების მიღებაში მხარდაჭერის პროცესი – საქართველოს კონტექსტის ანალიზი	127
3.1. მხარდაჭერის პროცესი – რელევანტური სამართლებრივი ჩარჩო.....	128
3.2. მხარდაჭერის განხორციელება – რეფორმის ინსტიტუციური და პრაქტიკული ასპექტები	133
დასკვნა	141
რეკომენდაციები	142
ნაწილი IV. მხარდაჭერის პროცესის მონიტორინგი	145
შესავალი	145
1. მხარდაჭერის განვების მონიტორინგის არსი და ფარგლები.....	146
1.1. მონიტორინგის ჩატარების აუცილებლობა.....	147
1.2. მონიტორინგის ჩატარების პრინციპები	149
2. მხარდაჭერის სისტემის მონიტორინგი – სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტები	151
2.1 ზედამხედველობის განხორციელების სამართლებრივი ასპექტები.....	152
2.2. ზედამხედველობის გამწვევი ინსტიტუციური ჩარჩო	153
2.3. მონიტორინგის ჩატარების პრაქტიკული ასპექტები.....	155
3. მხარდაჭერის სისტემის მონიტორინგი საქართველოს კონტექსტში	159
3.1. მხარდაჭერის მონიტორინგი – ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩოს მიმოხილვა	159
3.2. მონიტორინგის სფეროში არსებული ინსტიტუციური და პრაქტიკული გამოწვევები	163
დასკვნა	168
რეკომენდაციები	169

შესავალი

სამართლებრივი ქმედუნარიანობის კონცეფცია ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემაში უმნიშვნელოვანესი როლის მატარებელია.¹ მისი დაუბრკოლებელი განხორციელება მთელი რიგი უფლებებითა და თავისუფლებებით² სარგებლობის უცვლელი და აუცილებელი წინაპირობაა. ამ კონცეფციის მნიშვნელობა კიდევ უფრო მეტად იზრდება სხვადასხვა მონყვლად ჯგუფთან (მაგალითად, შშმ პირები, ქალები, მიგრანტები და თავშესაფრის მაძიებლები) მიმართებით, რომელთაც ისტორიულად წართმეული ან შეზღუდული ჰქონდათ ქმედუნარიანობა.³

ამ სფეროში მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქტებისა და სტანდარტების არსებობის მიუხედავად, შშმ პირთა ქმედუნარიანობის კონცეფციის გააზრება და დანერგვა დღემდე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. ამ ჯგუფის წარმომადგენელთა უფლება თანაბარ სამართალსუბიექტობაზე, და მათ მიერ თავიანთი ცხოვრების შესახებ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობა როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს მასშტაბით, კვლავ არსებითად ფერხდება. გაეროს შშმ პირთა უფლებების კომიტეტმა (შემდგომში – „კომიტეტი“) არაერთხელ მიუთითა, რომ სახელმწიფოთა უმრავლესობას ჯერ კიდევ არ გაუაზრებია ქმედუნარიანობის კონცეფცია ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მოდელის შესაბამისად.⁴

საქართველოში მხარდაჭერის კონცეფცია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის გადაწყვეტილების⁵ საფუძველზე განხორციელებულმა რეფორმამ დაამკვიდრა, რომელმაც გააუქმა ქვეყანაში არსებული მეურვეობის სისტემა და მის ნაცვლად ახალი, გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელი შემოიტანა. მიუხედავად იმისა, რომ რეფორმა ქმედუნარიანობის უზრუნველყოფის ნაწილში უმნიშვნელოვანესი წინგადადგმული ნაბიჯია და უმეტესწილად თავსებადია კონვენციის

1 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 1 – Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 1.

2 ქმედუნარიანობით სრულად ან ნაწილობრივ სარგებლობის შეზღუდვა შშმ პირებს ართმევს ისეთი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას, როგორცაა, მაგალითად, არჩევნებში მონაწილეობის უფლება, ქორწინებისა და ოჯახის ქონის უფლება, რეპროდუქციული უფლებები, სამედიცინო ჩარევებთან დაკავშირებით ინფორმირებული თანხმობის მიცემა და ა.შ.; Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 1 – Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 8.

3 Report of the Special Rapporteur on the Rights of Persons with Disabilities, A/HRC/37/56, 2017, პარ. 15.

4 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 1 – Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 3; მიუხედავად ცალკეულ ქვეყნებში განხორციელებული რეფორმებისა, სამართლებრივი ქმედუნარიანობა გარკვეულწილად მაინც იზღუდება კანონმდებლობითა თუ პრაქტიკით (მაგ., ჩეხეთის სამოქალაქო კოდექსი, რომელიც რეფორმირდა 2014 წელს, კვლავ ითვალისწინებს გარკვეულ შეზღუდვებს ქმედუნარიანობის განხორციელებაზე; იხ. European Union Agency for Fundamental Rights, Implementing the United Nations Convention on Rights of Persons with Disabilities (CPPD), An Overview of Legal Reforms in EU Member States, 2015, გვ. 9).

5 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის გადაწყვეტილება №2/4/532,533 – „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2014.

მიერ დადგენილ პრინციპებთან, პრობლემურია როგორც საკანონმდებლო რეგულაციების გარკვეული ნაწილის შინაარსი, ისე მისი აღსრულება.

მოცემული კვლევის მიზანია, ხუთი წლის თავზე შეაფასოს ქმედუნარიანობის რეფორმის განხორციელება საქართველოში და მიმოიხილოს ამ მიმართულებით არსებული ძირითადი გამოწვევები, როგორც კანონმდებლობაში, ისე ინსტრუქციურ ჩარჩოსა და პრაქტიკაში.

დოკუმენტი ოთხ ძირითად ნაწილად იყოფა, რომელიც არსებითად იმეორებს მხარდაჭერის სისტემის საფუძვრებს. პირველი ნაწილი მიემართება გადანყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის კონცეფციის არსს და მიმოიხილავს მის მნიშვნელობას, მეორე თავი აანალიზებს პირის მხარდაჭერის მიმღებად აღიარების საფუძვრს და მიემართება როგორც სასამართლოს მიერ გადანყვეტილების მიღების პროცესს, ასევე, პირის ფსიქოსოციალური საჭიროების შეფასებას, მესამე თავი მიმოიხილავს უშუალოდ გადანყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის პროცესს, ხოლო მეოთხე ნაწილი – მხარდაჭერის შემთხვევებზე ზედამხედველობის მექანიზმს.

მეთოდოლოგია

დოკუმენტის ნაწილები შემდეგი ორგანიზაციების ჩართულობით შემუშავდა:

- ▶ ნაწილი I. გადანაცვეტილების მიღებაში მხარდაჭერა – კონცეფციის არსი და მნიშვნელობა: ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) და პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR);
- ▶ ნაწილი II. პირის მხარდაჭერის მიმღებად აღიარების პროცესი: პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR), გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში – თბილისი (GIP-Tbilisi), საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია (GASW) და ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC);
- ▶ ნაწილი III. გადანაცვეტილების მიღებაში მხარდაჭერის პროცესი: ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია (GASW) და პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR);
- ▶ ნაწილი IV. მხარდაჭერის მონიტორინგის პროცესი: საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია (GASW), ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC).

კვლევის ფარგლებში იდენტიფიცირებული საკითხების შეფასების მიზნით, პროცესი განხორციელდა შემდეგი ინსტრუმენტების მეშვეობით: საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი; ეროვნული კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პრაქტიკის ანალიზი; სამუშაო შეხვედრები რელევანტურ აქტორებთან; საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა და მეორადი წყაროების ანალიზი.

საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი

კვლევის ფარგლებში გაანალიზდა საერთაშორისო სტანდარტები, უპირველესად, შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს 2006 წლის კონვენციის დებულებები, ამ კონვენციის საფუძველზე მოქმედი კომიტეტის ზოგადი კომენტარები და სხვადასხვა სახელმწიფოების მიმართ გაცემული რეკომენდაციები, შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიშები.

ეროვნული კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პრაქტიკის ანალიზი

კვლევის პროცესში გაანალიზდა მხარდაჭერის სისტემის მარეგულირებელი ეროვნული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. მათ შორის, მოხდა ფსიქოსოციალური საჭიროების შეფასების დროს გამოყენებული ინსტრუმენტების, ასევე, სოციალური მუშაკებისათვის მონიტორინგის პროცესში გამოყენებული ინსტრუმენტების შესწავლა. არსებული პრაქტიკის კვლევამ ასევე მოიცვა სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქოსოციალური საჭიროების შეფასების დასკვნებისა⁶ და მხარდაჭერის დანიშვნის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებების⁷ ანალიზი.

სამუშაო შეხვედრები რელევანტურ აქტორებთან

მხარდაჭერის სისტემაში არსებული გამონვევების იდენტიფიცირების მიზნით კვლევაზე მუშაობის დროს განხორციელდა არაერთი შეხვედრა სხვადასხვა აქტორთან. მათ შორის, ჩატარდა ორი ფოკუს ჯგუფი სოციალურ მუშაკთა მონაწილეობით, რომელშიც ჯამში 16 სოციალური მუშაკი მონაწილეობდა, ასევე ჩატარდა ორი ჩალრმავებული ინტერვიუ უფროს სოციალურ მუშაკთან. კვლევის პროცესში განხორციელდა შეხვედრები სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან, საქართველოს პარლამენტთან და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან.

ქმედუნარიანობის რეფორმის განხორციელების პროცესში არსებული ბარიერების იდენტიფიცირებისათვის, პროექტის გუნდმა არაერთი შეხვედრა გამართა მხარდაჭერის მიმღებ პირებთან, მათ მხარდამჭერებთან, ისევე, როგორც შშმ თემის დანარჩენ წარმომადგენლებთან და ორგანიზაციებთან.

6 კვლევის მიზნებისათვის გამოყენებულია 2016-2018 წლებში ექსპერტიზის ბიუროს მიერ განხორციელებულ შეფასების 10 დასკვნა.

7 კვლევის მიზნებისათვის გამოყენებულ იქნა სასამართლოს მიერ 2016 – 2019 წლებში მიღებული გადაწყვეტილებები.

საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა

კვლევის ერთ-ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენდა სახელმწიფო უწყებებიდან (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო) საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა, რაც კვლევის გუნდს აძლევდა შესაძლებლობას, მიეღო ინფორმაცია რელევანტური სტატისტიკის, მხარდაჭერის პროცესში ჩართული უწყებების ხელთ არსებული ინსტრუმენტებისა და ამ მიმართულებით პოლიტიკის განხორციელების სხვადასხვა ზოგადი თუ კონკრეტული ასპექტების შესახებ.

მეორადი წყაროების ანალიზი

კვლევის ფარგლებში დამუშავდა საერთაშორისო სტანდარტების, ქვეყნების გამოცდილებისა და საქართველოს კონტექსტისთვის რელევანტური არაერთი წყარო, მათ შორის, საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული დოკუმენტები, აკადემიური ნაშრომები, სხვადასხვა ქვეყნებში განხორციელებული საპილოტე პროექტების ანგარიშები, საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო და სპეციალური ანგარიშები.

ნაწილი I.

გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერა – კონცეფციის არსი და მნიშვნელობა

შესავალი

გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენცია (შემდგომში – „კონვენცია“) ყურადღებას ამახვილებს ყველა შშმ პირის უფლებაზე, იყოს სამართალსუბიექტი სხვების თანაბრად, და ამ კონცეფციის ყველა ადამიანისაგან განუყოფელ ბუნებაზე.⁸ მისი მე-12 მუხლი განმარტავს ამ უფლებასა და მასთან დაკავშირებულ სტანდარტებს და ხელშემკვრელ სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, ყველანაირი ზომა მიიღონ შშმ პირების მიერ ქმედუნარიანობით სარგებლობის უზრუნველსაყოფად, გადაწყვეტილების მიღების ჩანაცვლებითი სისტემების გასაუქმებლად და კანონმდებლობაში, პოლიტიკასა და პრაქტიკაში მხარდაჭერის კონცეფციის დასანერგად, რომელიც უპირატესობას მიანიჭებს შშმ პირის ავტონომიას, ნებასა და არჩევანს.⁹

საკითხის კომპლექსურობის გათვალისწინებით, წინამდებარე თავი ფოკუსირდება ფსიქოსოციალური და ინტელექტუალური ნიშნით შშმ პირების მიერ სამართლებრივი ქმედუნარიანობის კონცეფციით სარგებლობასა და გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის სისტემის რაობაზე. თავი ორ ძირითად ნაწილად იყოფა. პირველი ნაწილი აანალიზებს სამართლებრივი ქმედუნარიანობის უფლებისა და გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის ინსტიტუტის ზოგად არსს, ისევე, როგორც სახელმწიფოს ვალდებულებების შინაარსს საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში. დოკუმენტის მეორე ნაწილი კი, საქართველოში ქმედუნარიანობის რეფორმის განხორციელების მიმართულებით არსებულ ბარიერებს მიმოიხილავს.

1. სამართლებრივი ქმედუნარიანობის კონცეფციის შინაარსი

სამართლებრივი ქმედუნარიანობის კონცეფციის გააზრება და ადამიანის უფლებების ჭრილში მისი დანერგვა კონვენციის ერთ-ერთი ძირითადი ღირებულებაა. მისი შინაარსი თეორიასა და პრაქტიკაში არაერთგვაროვნად განიმარტება, შე-

8 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 1 – Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 1, 8.

9 Committee on the Rights of Persons with Disabilities, Concluding Observations on the Initial Report of Argentina as Approved by the Committee as its Eighth Session (17-28 September, 2012), 2012, CRPD/C/ARG/CO/1, პარ. 20.

საბამისად, კონვენციის დებულებების, ასევე, კომიტეტის რეკომენდაციების გათვალისწინება და მათი პრაქტიკაში გადმოტანა არსებით ხასიათს იძენს. ამასთან, უმნიშვნელოვანესია სხვა ქვეყნების გამოცდილებების შესწავლაც, რომლებიც კანონმდებლობაში ან/და პრაქტიკაში ნერგავენ სამართლებრივი ქმედუნარიანობის ინსტიტუტს.

ამ თავის მიზანია, გააანალიზოს ქმედუნარიანობის კონცეფციის შინაარსი, მათ შორის, მიმოიხილოს ამ სფეროში არსებული საერთაშორისო სტანდარტები, ქმედუნარიანობის ინსტიტუტის მიმართება სხვადასხვა უფლებასთან, ასევე, გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის სისტემის მახასიათებლები.

1.1. რელევანტური საერთაშორისო ინსტრუმენტების მოკლე მიმოხილვა

კანონის წინაშე თანასწორობას, როგორც ადამიანის უფლებების დაცვის უმთავრეს პრინციპსა და სხვა უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის აუცილებელ წინაპირობას, შშმ პირთა უფლებების კონვენციასთან ერთად, არაერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ინსტრუმენტი ეხება.

ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაცია, ისევე როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, საგანგებოდ მიუთითებს კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის უფლების მნიშვნელობაზე. ცხადია, სტანდარტის დანესებისას, პაქტი სახელმწიფოთა ვალდებულებას შშმ პირებთან მიმართებითაც გულისხმობს, თუმცა, დისკრიმინაციის აკრძალვის მუხლებში, შესაბამისი ნიშნების ჩამონათვალში შეზღუდული შესაძლებლობის ნიშანი ცალკე არ არის გამოყოფილი. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ პაქტის მე-2 და 26-ე მუხლები იმგვარად განიმარტოს, რომ მიემართოს შშმ პირებს და ამ ჯგუფის წარმომადგენლები ამ მუხლებში არსებული ერთ-ერთი ელემენტის – „სხვა გარემოებების“ – ნაწილში მოაქციოს.¹⁰

შშმ პირთა უფლებების სხვების თანასწორად დაცვისა და ამ საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების მიმართულებით, განსაკუთრებული როლი აქვს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტს. სახელმწიფოებისთვის პაქტით განსაზღვრული ვალდებულებები სამ კომპონენტად შეიძლება დაიყოს: უფლებების პატივისცემა, დაცვა და უზრუნველყოფა. პაქტით განსაზღვრული უფლებებით სრულად სარგებლობის მიზნით და ყველა სათანადო საშუალებით პროგრესული რეალიზაციის მოთხოვნა, ყო-

10 Quinn G., Degender T., Bruce A., Burke C., Castellino J., Padraic K., Kilkelly U., Quinlivan S., The current use and future potential of United National human rights instruments in the context of disability, 2002.

ველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, ვრცელდება ყველა ადამიანზე, მათ შორის, შშმ პირებზე.¹¹

დისკრიმინაციის აკრძალვას ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი, რომელიც კონვენციით განსაზღვრული უფლებებით სარგებლობისას პირების თანაბარი მოპყრობის ვალდებულებაზე მიუთითებს. კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმი კიდევ უფრო აფართოებს დისკრიმინაციის აკრძალვის ფარგლებს და თანაბარი მოპყრობის ვალდებულებას ადგენს ნებისმიერი უფლებით სარგებლობისას, ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებათა ჩათვლით. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული კონვენციით დაცული საფუძვლების ჩამონათვალში შეზღუდული შესაძლებლობა არ გვხვდება, ევროპულმა სასამართლომ, მე-14 მუხლის განმარტებისას ეს ნიშანი დისკრიმინაციის „სხვა“ საფუძვლებს შორის მოიაზრა.¹²

კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი ასახულია ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა საერთაშორისო თუ რეგიონულ¹³ დოკუმენტებშიც. მაგალითისთვის, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-15 მუხლი განსაზღვრავს ყველა ქალის თანასწორობას კანონის წინაშე და სახელმწიფოებისგან მოითხოვს ქალების სამართლებრივი ქმედუნარიანობის აღიარებას მამაკაცების თანასწორად.

ადამიანის უფლებათა დაცვის ზოგადი და კონკრეტული საერთაშორისოსამართლებრივი ინსტრუმენტების ანალიზიდან იკვეთება კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის როლი სხვა უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებაში. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ეს პრინციპი უნივერსალურია, თანაბრად მოქმედებს ადამიანების სხვადასხვა ჯგუფისთვის და არ არსებობს რაიმე სფერო, სადაც მისი დაცვა უპირველესი ვალდებულება არ იქნებოდა.

11 იქვე.

12 ევროპის საბჭო, სახელმძღვანელო დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სამართლის შესახებ, 2013.

13 მაგალითისთვის, ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტია და ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია.

1.2. შშმ პირთა უფლებების კონვენციის მე-12 მუხლის ზოგადი შინაარსი

1.2.1 ქმედუნარიანობის კონცეფციის მნიშვნელობა

ისტორიულად, შშმ პირებს სამართლებრივი ქმედუნარიანობის უფლება დისკრიმინაციულად, გადანყვეტილების მიღების ჩანაცვლებითი მოდელის სხვადასხვა ფორმის გამოყენებით, ეზღუდებოდათ – მეურვეები შშმ პირების ნაცვლად მოქმედებდნენ, უმეტეს შემთხვევებში, არ წარმოადგენდნენ ამ ადამიანების ინტერესებს და ხშირად არღვევდნენ მათ უფლებებს.¹⁴ სრული ან ნაწილობრივი ქმედუნარიანობის მოდელი, თავისი შინაარსით, დღესაც უდიდეს ზეგავლენას ახდენს ადამიანებზე – მეურვეობას დაქვემდებარებული პირი კარგავს საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლისა და ისეთი საბაზო გადანყვეტილებების მიღების შესაძლებლობას, რომელიც პირდაპირ უკავშირდება მის ფუნდამენტურ უფლებებს.¹⁵

კანონმდებლობასა თუ პრაქტიკაში გადანყვეტილების მიღების ჩანაცვლებითი სისტემა მრავალგვარი ფორმისგან შედგება, მაგალითად, შესაძლოა, სახეზე იყოს პლენარული მეურვეობა,¹⁶ სასამართლო აკრძალვა¹⁷ და ნაწილობრივი მეურვეობა.¹⁸ ფორმების მრავალფეროვნების მიუხედავად, ყველა მათგანისათვის საერთოა შემდეგი მახასიათებლები: ა) პირს არ აქვს სრული სამართლებრივი ქმედუნარიანობა; ბ) გადანყვეტილებები მიიღება მხარდამჭერის/მეურვის მიერ და ეს გადანყვეტილებები შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს შშმ პირის პოზიციას; გ) გადანყვეტილებები ეფუძნება პირის „საკუთესო ინტერესებს“ და არა მის სურვილებსა და არჩევანს.¹⁹ ქმედუნარიანობისა და კანონის წინაშე თანასწორობის კონცეფციების ურთიერთდაკავშირებულობიდან გამომდინარე, კონვენციის მე-12 მუხლი მოითხოვს შშმ პირთა მიმართ პატერნალისტური დამოკიდებულებების შეცვლასა და სამართლებრივად

14 The United Nations, *From Exclusion to Equality: Realizing the Rights of Persons with Disabilities*; Handbook for Parliamentarians on the Convention on the Rights of Persons with Disabilities and its Optional Protocol, 2007.

15 ქმედუნარიანობის შეზღუდვა შშმ პირებისათვის სხვადასხვა ფუნდამენტური უფლებით, მათ შორის, არჩევნებში ხმის მიცემის, ქორწინებისა და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის, რეპროდუქციული ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ჯანმრთელობის უფლებებით სარგებლობის შეზღუდვას ნიშნავს; Bulgarian Center for Not-for-Profit Law, *Cost Benefit Analysis of Supported Decision-Making*, 2014; Devi N., *Supported Decision-making and Personal Autonomy for Persons with Intellectual Disabilities: Article 12 of the UN Convention on the Rights of Persons with Disabilities*, “Journal of Law, Medicine and Ethics”, 2013, vol. 41(4).

16 შშმ პირი ქმედუნაროდ არის ცნობილი და მეურვეს ენიჭება მის მაგივრად ყველა უფლების განხორციელების შესაძლებლობა.

17 სასამართლო გადანყვეტილების მიერ, ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე, პირისთვის სამართლებრივი შეზღუდვის დანესება, განაგოს საკუთარი საქმეები და მიიღოს მოგება.

18 ამ შემთხვევაში, მეურვეს ენიჭება მხოლოდ იმ უფლებების განხორციელების შესაძლებლობა, რომელთა შესახებაც მისი დანიშნვის შესახებ გადანყვეტილებაში მიეთითება.

19 Gooding P., *Navigating the “Flashing Amber Lights” of the Right of Legal Capacity in the United Nations Convention on the Rights of Persons with Disabilities: Responding to Major Concerns*, “Human Rights Law Review”, 2015, vol. 15(1).

თუ ფაქტობრივად²⁰ დამკვიდრებული გადაწყვეტილების მიღების ჩანაცვლებითი სისტემების გაუქმებას, რომელიც სწორედ ამგვარი დამოკიდებულებების ერთ-ერთი გამოხატულებაა.²¹

კონვენციის მე-12 მუხლის მიხედვით, ყველა შშმ პირს აქვს სრული სამართლებრივი ქმედუნარიანობა, რაც სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით სარგებლობის წინაპირობაა. ეს მუხლი შშმ პირებისთვის ახალ უფლებას კი არ განსაზღვრავს, არამედ აღწერს იმ სპეციალურ ღონისძიებებს, რომლებიც სახელმწიფოებმა უნდა გააატარონ კანონის წინაშე მათი თანასწორობის უზრუნველსაყოფად, რათა რეალურად მიეცეთ შესაძლებლობა, სხვების თანასწორად ისარგებლონ ყველა უფლებითა და თავისუფლებით. ამასთან, ამ მიმართულებით კონვენციის ცალსახა მოთხოვნის მიუხედავად, მე-12 მუხლი დღემდე ერთ-ერთი ყველაზე სადავო დებულებაა. ყოველივე ეს გარკვეულწილად დაკავშირებულია იმ ისტორიულ გამოცდილებასა და სტიგმასთან, რაც ფსიქოსოციალური და ინტელექტუალური ნიშნით შშმ პირების მიმართ არსებობს.

ქმედუნარიანობის კონცეფციის სრულყოფილ დანერგვასა და განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს შშმ პირების დამოუკიდებლობისა და მათი უფლებების რეალიზებისათვის. ცხადია, რომ საკუთარ ცხოვრებასთან დაკავშირებული ფუნდამენტური გადაწყვეტილებების (მაგალითად, საცხოვრებელი ადგილის არჩევა, სამედიცინო მომსახურების მიღება) მიღების საშუალების მიუნიჭებლად, პირის ავტონომიური ობიექტივიზაცია ხდება და გამოირიცხება მისი დამოუკიდებელ ადამიანად მიჩნევა, თავისი ფიქრებით, აზრებით, ემოციებითა და დამოკიდებულებებით.²² სწორედ სამართლებრივი ქმედუნარიანობა აქცევს პირს სამართლის სუბიექტად, აძლევს მას ძალაუფლებასა და შესაძლებლობას, იმოქმედოს სამართლებრივ ურთიერთობებში, მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები მთელ რიგ სფეროებთან (მაგალითად, დასაქმება, დაქორწინება, მემკვიდრეობის მიღება და ა.შ.) დაკავშირებით, რომელსაც პატივს სცემენ მესამე პირები. შესაბამისად, ქმედუნარიანობის კონცეფცია ცალსახად მოიცავს უფლებებისა და ვალდებულებების ფლობის ელემენტს და მათი გამოყენების შესაძლებლობას მესამე მხარის არასასურველი ჩარევის გარეშე.²³

20 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 1 – Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 52.

21 Quinn G., O'Mahony C. (eds.), Disability Law and Policy, An analysis of UN Convention, 2017.

22 Quinn G., Degender T., Bruce A., Burke C., Castellino J., Padraic K., Kilkelly U., Quinlivan S., The current use and future potential of United National human rights instruments in the context of disability, 2002.

23 Council of Europe, Commissioner for Human Rights, Who gets to decide? Right to Legal Capacity for Persons with Intellectual and Psychosocial Disabilities, 2012; Quinn G., O'Mahony C. (eds.), Disability Law and Policy, An analysis of UN Convention, 2017.

ქმედუნარიანობით სარგებლობის უზრუნველსაყოფად, კონვენციას შემოაქვს გადანაცვებების მიღებაში მხარდაჭერის მოდელი, რაც მნიშვნელოვანი სიახლეა შშმ პირთა უფლებების დაცვისა და მათი დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის მიმართულებით.²⁴ მხარდაჭერის მოდელი ეფუძნება იმ დაშვებას, რომ ყველა ადამიანს შეუძლია გადანაცვებების დამოუკიდებლად მიღება, თუმცა მათ შესაძლებელია ესაჭიროებოდეთ დახმარება ამ პროცესში, ისევე, როგორც საკუთარი უნარების განვითარებისა და საკუთარი უფლებებით სარგებლობის მიმართულებით. მე-12 მუხლი ცალსახად მიუთითებს, რომ უშუალოდ შშმ პირი უნდა იყოს გადანაცვებების მიმღები, ხოლო მისი მხარდაჭერის ვალდებულებაა, საჭიროების შემთხვევაში, მიაწოდოს მას არსებითი ინფორმაცია, აუხსნას კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული დეტალები და მესამე პირებთან კომუნიკაციაში განმარტოს მისი სურვილები.

1.2.2 შშმ პირთა უფლებების კონვენციის მე-12 მუხლის ნორმატიული შინაარსი

კონვენციის მე-12 მუხლი ხუთი პუნქტისგან შედგება და შშმ პირთა ქმედუნარიანობის კონცეფციით სარგებლობის მიმართულებით მნიშვნელოვან ვალდებულებებს აწესებს. ზემოაღნიშნული მუხლი აღიარებს შშმ პირთა თანაბარ სამართალსუბიექტობასა და ცხოვრების ყველა სფეროში სამართლებრივი ქმედუნარიანობით სარგებლობის უფლებას. იგი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ყველა შშმ პირი არის უფლების მატარებელი სუბიექტი, რაც გულისხმობს უფლებას ქმედუნარიანობის კონცეფციის აქტიურ გამოყენებასა და სამართლებრივი სისტემების მიერ მის სრულ დაცვაზე.

მე – 12 მუხლის ნორმატიული შინაარსის მიხედვით, სამართლებრივი ქმედუნარიანობა ორი კომპონენტისგან შედგება. ის, ერთი მხრივ, გულისხმობს უფლებებისა და ვალდებულებების ქონის (უფლებაუნარიანობა), ხოლო, მეორე მხრივ, მათი პრაქტიკაში გამოყენების უფლებამოსილებას (ქმედუნარიანობა).²⁵ ამასთან, თეორიასა და პრაქტიკაში ხშირი აღრევის მიუხედავად, ეს კონცეფცია განსხვავდება ე.წ. მენტალური ქმედუნარიანობის კონცეფციისგან. ეს უკანასკნელი ეხება ადამიანის გადანაცვებების მიღების უნარებს, რომლებიც ბუნებრივად განსხვავდება ადამიანებს შორის და დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის, გარემო და სოციალურ ფაქტორებზე. კონცეფციებს შორის ამგვარი აღრევის შედეგად, როდესაც ადამიანის გადანაცვებების მიღების უნარები შეზღუდულია, მისი სამართლებრივი ქმედუნარიანობიდან მომდინარე უფლებები, მიიღოს კონკრეტული გადანაცვებები, იგნორირებულია.

24 Inclusion Europe, Key Elements of a System for Supported Decision-Making (Position Paper), 2008.

25 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 1 – Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014.

მენტალური ქმედუნარიანობის კონცეფციის საფუძველზე, სამართლებრივი ქმედუნარიანობის შეზღუდვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მარტივად მიიღება: 1) ადამიანის დიაგნოზზე დაყრდნობით (სტატუსზე დაფუძნებული მიდგომა),²⁶ 2) იმ შემთხვევებში, როცა ადამიანი იღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც მიჩნეულია მისთვის უარყოფითი შედეგის/ზიანის მომტანად (შედეგზე დაფუძნებული მიდგომა), ან 3) როცა ადამიანის გადაწყვეტილების მიღების უნარები მიჩნეულია არასაკმარისად (ფუნქციური მიდგომა).²⁷ ფუნქციური მიდგომა ცდილობს შეაფასოს მენტალური ქმედუნარიანობა და ამ შეფასების შესაბამისად, უარყოს სამართლებრივი ქმედუნარიანობის კონცეფცია. ამგვარი მიდგომა აფასებს, თუ რამდენად შეუძლია ადამიანს, გაიგოს გადაწყვეტილების ბუნება და შედეგები ან/და გამოიყენოს და შეაფასოს შესაბამისი ინფორმაცია. კომიტეტს ფუნქციური მიდგომა ხარვეზიანად მიაჩნია ორი ძირითადი გარემოების გამო – 1. იგი დისკრიმინაციულად მიემართება შშმ პირებს; 2. იგი მიიჩნევს, რომ შესაძლებელია ადამიანის გონებრივი ფუნქციის ზუსტი შეფასება და ამ არასრულყოფილი პროცესის საფუძველზე პირებს ართმევს გადაწყვეტილების მიღების უფლებას.²⁸

გემოაღნიშნული კონცეფციების თეორიული თუ პრაქტიკული განმარტების არაერთგვაროვნებისა და ბუნდოვანების მიუხედავად, ნათელია კონვენციის დამოკიდებულება ამ საკითხებთან დაკავშირებით. კერძოდ, მე-12 მუხლი მიემართება მხოლოდ სამართლებრივ ქმედუნარიანობას და არ მოიცავს მენტალური ქმედუნარიანობის კონცეფციას. მეტიც, კონვენცია მკაფიოდ მიუთითებს, რომ მენტალური ქმედუნარიანობა არ უნდა გახდეს სამართლებრივი ქმედუნარიანობის არცერთი ელემენტის შეზღუდვის (როგორც უფლებაუნარიანობის, ისე ქმედუნარიანობის) საფუძველი.²⁹ ამასთან, კონვენცია არა მხოლოდ კრძალავს სამართლებრივი ქმედუნარიანობის მსგავს დისკრიმინაციულ შეზღუდვას, არამედ ქმედუნარიანობის კონცეფციის უპირობო მხარდაჭერას მოითხოვს.³⁰

26 ამგვარი მიდგომა ხშირია ისეთ სამართლებრივ რეგულაციებში, რომლებიც ბლანკეტურად, სტატუსის გამო უზღუდავენ პირებს ცალკეულ უფლებებს, მაგ. შვილის აყვანის უფლებას, საბანკო ოპერაციების საშუალებას და სხვა; Dhanda A., Legal Capacity in the Disability Rights Convention: Stranglehold of the Past or Lodestar for the Future? "Syracuse Journal of International Law and Commerce", Vol. 34, 2007, გვ. 431.

27 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 1 – Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 15.

28 იქვე.

29 The Bulgarian Center for Not-for-Profit Law (BCNL), New 'Formula' for Capacity to Act – Opportunity for Everyone to Exercise their Rights, Statement on the Paradigm Shift of Article 12 of CRPD, 2014.

30 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 1 – Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014.

1.3. გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის არსი

სამართლებრივი ქმედუნარიანობის კონცეფციის განხორციელების გზაზე ერთ-ერთი უდიდესი მნიშვნელობა გადანწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის ინსტიტუტს ენიჭება. კომიტეტი ნათლად აღნიშნავს, რომ გადანწყვეტილების მიღების ჩანაცვლების მოდელი კონვენციას არ შეესაბამება და მხარდაჭერის კონცეფციის დანერგვის აუცილებლობაზე მიუთითებს.³¹ ამასთან, ამ მიმართულებით სახელმწიფოს ვალდებულებებზე საუბრისას, აუცილებელია, აღინიშნოს, რომ მხარდაჭერის ინსტიტუტის დანერგვისა და განვითარების პარალელურად მეურვეობისა და ჩანაცვლებითი გადანწყვეტილების მიღების სისტემის რაიმე სახით შენარჩუნება, ცალსახად ეწინააღმდეგება კონვენციას.³²

კონვენციის მე-12 მუხლით გათვალისწინებული მხარდაჭერა, შესაძლოა, გამოიხატოს როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური მექანიზმებით, რომლებიც შშმ პირთა ნებასა და მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე იქნება მორგებული.³³ ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ გადანწყვეტილების მხარდაჭერის ინსტიტუტი მრავალი თავისებურებით ხასიათდება, მისი ძირითადი არსი ყველა შშმ პირის სხვებთან თანაბარი სამართალსუბიექტობისა და ქმედუნარიანობის უფლების აღიარებაში გამოიხატება. შესაბამისად, როგორც ზემოთ აღინიშნა, მხოლოდ შშმ პირები არიან უფლებამოსილნი, მიიღონ გადანწყვეტილებები საკუთარი ცხოვრების შესახებ, თუმცა, ცალკეულ სფეროებსა და მიმართულებებში, შესაძლოა, სხვადასხვა ინტენსივობისა და ტიპის მხარდაჭერა დასჭირდეთ.

1.3.1. მხარდაჭერის ინსტიტუტის ძირითადი მახასიათებლები და მოქმედების არეალი

ქმედუნარიანობის ინსტიტუტის დანერგვის პროცესში სახელმწიფოები ვალდებული არიან, მიიღონ შესაბამისი ღონისძიებები ისეთი ტიპის მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, რაც შშმ პირებს ქმედუნარიანობის უფლების რეალიზებისათვის შეიძლება დასჭირდეთ.³⁴ მეტიც, შშმ პირთა უფლებების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებელი (შემდგომში – „სპეციალური მომხსენებელი“) ამგვარი მხარდაჭერის უზრუნველყოფის ვალდებულების მყისიერ ხასიათზე მიუთითებს.³⁵

31 იქვე, პარ. 26.

32 იქვე, პარ. 28.

33 Gooding P., Navigating in the “Flashing Amber Lights” of the Right to Legal Capacity in the United Nations Convention on the Rights of Persons with Disabilities: Responding to Major Concerns, “Human Rights Law Review”, Vol. 15, 2015, გვ. 52.

34 გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენცია, 2006, მ. 12 (3); Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 1 – Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 16.

35 Report of the Special Rapporteur on the Rights of Persons with Disabilities, A/HRC/34/58, 2016, პარ. 40.

მეორე მხრივ, ცხადია, რომ კონვენციის მე-12 მუხლი საკმაოდ ლაკონურია და ქმედუნარიანობის რეფორმის განხორციელებისა თუ მხარდაჭერის სისტემის დანერგვის სფეროში სახელმწიფოებისათვის კონკრეტულ სახელმძღვანელო პრინციპებს არ ითვალისწინებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, კომიტეტის ზოგადი კომენტარებისა და სახელმწიფოებისათვის გაცემული რეკომენდაციების, ასევე, სპეციალური მომხსენებლისა თუ სხვადასხვა რელევანტური ორგანიზაციის ანგარიშების მიმოხილვა. სწორედ ზემოაღნიშნული სტანდარტების ანალიზიდან იკვთება გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის ინსტიტუტის ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებსაც სახელმწიფოები ამ სფეროში რეფორმის განხორციელებისას უნდა დაეყრდნონ.

მხარდაჭერის უნივერსალურობა

მხარდაჭერის განხორციელების ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი ამ კონცეფციის უნივერსალური ხასიათია. იგი მისაწვდომი უნდა იყოს ყველა ადამიანისათვის – ამგვარი მხარდაჭერის საჭიროების ინტენსივობის დონე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს საჭიროება მაღალია, ბარიერი არ უნდა იყოს მხარდაჭერის მოპოვებაში.³⁶ შშმ პირების მონყვლადობიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ნებისმიერი მათგანი შეიძლება დაექვემდებაროს ქმედუნარიანობის შეზღუდვას. თუმცა, კომიტეტიც აღნიშნავს, რომ ამგვარი რისკის წინაშე ყველაზე მეტად ფსიქოსოციალური და ინტელექტუალური ნიშნით შშმ პირები არიან.³⁷ ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მხარდაჭერის მიმღებთა ფარგლებში გათვალისწინებული იყოს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფი, მათ შორის, დემენციისა და ალცჰეიმერის დაავადების მქონე ხანდაზმულთა ჯგუფები.³⁸

მხარდაჭერის უნივერსალური ბუნება მოიცავს სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერის სტატუსის სამართლებრივად აღიარების ვალდებულებას.³⁹ სახელმწიფომ არა მხოლოდ უნდა აღიაროს მისი სტატუსი, არამედ, შექმნას და ხელი შეუწყოს ამგვარი მხარდაჭერის შექმნასა და დანერგვას, განსაკუთრებით, იმ პირებთან მიმართებით, რომლებიც საზოგადოებისგან იზოლირებულნი არიან და არ აქვთ საშუალება, მიიღონ თემში ბუნებრივად არსებული მხარდაჭერა.⁴⁰ ამ უკანასკნელ შემთხვევაში,

36 ვაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენცია, 2006, მ. 12 (3); Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 1 – Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 29 (a).

37 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 1 – Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 9; Flynn E., From Rhetoric to Action, Implementing the UN Convention on the Rights of Persons with Disabilities, 2011, გვ.16.

38 Report of the Special Rapporteur on the Rights of Persons with Disabilities, A/74/186, 2019, პარ. 29.

39 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 1 – Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 29(d).

40 იქვე.

არსებითა, რომ სახელმწიფოებმა განახორციელონ დენსტიტუციონალიზაცია და ამ ადამიანებისათვის ქმედუნარიანობის რეალური აღდგენა.

ცხადია, რომ მხარდაჭერის უნივერსალურობის პრინციპის ცხოვრებაში ეფექტიანად გასატარებლად, აუცილებელია, რომ შშმ პირებისათვის ეს სერვისი მისაწვდომი იყოს როგორც ინფორმაციული, ისე გეოგრაფიული და ფინანსური თვალსაზრისით. კომიტეტი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ქმედუნარიანობასთან დაკავშირებული ყველანაირი პროცედურა, ინფორმაცია და კომუნიკაცია სრულად უნდა იყოს მისაწვდომი.⁴¹ პირის კომუნიკაციის ფორმები მაშინაც კი არ უნდა იყოს ბარიერი, როდესაც ამგვარი კომუნიკაცია არატრადიციული ფორმით ხორციელდება ან/და გასაგებია ადამიანთა ვიწრო წრისთვის.⁴² არსებითი საკითხია უნივერსალური დიზაინისა და მისაწვდომობის კონცეფციების ეფექტიანი გამოყენება კერძო სექტორთან მიმართებით, განსაკუთრებით, ფინანსურ და სამედიცინო დაწესებულებებთან დაკავშირებით, რომელთაც, მნიშვნელოვანია, დაუნესდეთ ვალდებულება, შშმ პირებს ინფორმაცია მიაწოდონ მათთვის გასაგები ფორმებით, რათა მათ გადადგან სამართლებრივი შედეგის მქონე ნაბიჯები.⁴³

მეორე მხრივ, ცხადია, რომ კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად, სახელმწიფოებმა მხარდაჭერის სერვისზე შშმ პირთა წვდომა უნდა უზრუნველყონ მათი მხრიდან მინიმალური დანახარჯით ან ამ დანახარჯის გარეშე. არსებითა, რომ ფინანსური რესურსის ნაკლებობამ შშმ პირებს მხარდაჭერის მიღებაში ბარიერი არ შეუქმნას.⁴⁴

მხარდაჭერის მიღები პირის ცენტრალური როლი

ტრადიციულად, შშმ პირებისათვის განკუთვნილი ნებისმიერი სახის მხარდაჭერა დაფუძნებული იყო სამედიცინო მოდელსა და ე.წ. ზრუნვის პარადიგმაზე, სადაც ამ ჯგუფის წარმომადგენლები მესამე პირებზე იყვნენ დამოკიდებულნი და ითვლებოდნენ ზრუნვის პასიურ ობიექტებად და არა უფლებების მქონე სუბიექტებად.⁴⁵ კონვენციის მიღებამ ზრუნვის პარადიგმა შეცვალა მხარდაჭერის კონცეფციით, რომელიც ეყრდნობა ისეთ ღირებულებებს, როგორცაა, ადამიანის უფლებების დაცვა, თანას-

41 იქვე, პარ. 37.

42 იქვე, პარ. 29 (c).

43 იქვე, პარ. 17.

44 იქვე, პარ. 29(e).

45 Report of the Special Rapporteur on the Rights of Persons with Disabilities, A/HRC/34/58, 2016, პარ. 23, 24; Kroger T., Care Research and Disability Studies: Nothing in Common? "Critical Social Policy", Vol. 29(3), 2009, გვ. 398 – 420.

წორობა და სოციალური სამართლიანობა.⁴⁶ დამოუკიდებელი ცხოვრების უფლების ამჟამინდელი ფილოსოფია მოიცავს ისეთი ტიპის მხარდაჭერას, რომელიც შშმ პირებს, მათი შეზღუდული შესაძლებლობის ტიპისა და საჭიროების მიუხედავად, მისცემს შესაძლებლობას, აკონტროლონ საკუთარი ცხოვრება.⁴⁷ ამ კონცეფციით, მხარდაჭერის სისტემების მიერ ზედმეტად დეტალური და კონკრეტული რეგულაციების არსებობა მიუღებელია.⁴⁸

გადაწყვეტილების მიღების ჩანაცვლებითი სისტემებისგან განსხვავებით, მხარდაჭერის კონცეფცია გულისხმობს მხარდაჭერის მიმღები პირის ავტონომიურობას, მისი სურვილებისა და ნების უპირობო პრიორიტეტულობასა და ცენტრალურობას,⁴⁹ რაც თავისთავად აყალიბებს მხარდაჭერის განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოსტულატს – მხარდაჭერის მიმღებ პირებს აქვთ უფლება, მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებები, რომელსაც არ ეთანხმებიან მხარდამცემები ან/და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, წავიდნენ რისკზე და დაუშვან შეცდომები. ცხადია, შშმ პირის როლის ცენტრალურობის პრინციპი მხოლოდ გადაწყვეტილების მხარდაჭერის მიმდინარეობის პროცესით არ შემოიფარგლება. ეს კონცეფცია ასევე რელევანტურია მხარდაჭერის დანიშვნამდეც – მხარდაჭერის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა სწორედ პირის მიერ მხარდაჭერის მიღების სურვილი უნდა იყოს.⁵⁰ ამავე პრინციპის შესაბამისად, მხარდაჭერის მიმღებ პირს უნდა ჰქონდეს უფლება, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს მხარდაჭერის მიღება.⁵¹

პირის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება

მხარდაჭერის საჭიროების მქონე ყველა პირისათვის იდენტური მხარდაჭერის განწევა არაეფექტიანი და დისკრიმინაციულიც კი შეიძლება იყოს.⁵² არსებითია, რომ მხარდაჭერა ემყარებოდეს მხარდაჭერის მიმღები პირის სურვილებსა და მის ინდივიდუალურ საჭიროებებს. გადაწყვეტილების ჩანაცვლების სისტემებისგან განსხვავებით, ინტენსი-

46 Report of the Special Rapporteur on the Rights of Persons with Disabilities, A/HRC/34/58, 2016, პარ. 25.

47 იქვე, პარ. 26, 28; Morris J., Impairment and Disability: Constructing an Ethics of Care that Promotes Human Rights”, “Hypatia”, vol. 16(4), 2001.

48 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 1 – Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 29.

49 მაგალითად, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, აღნიშნული პარადიგმის სამართლებრივად გარანტირება და რეფორმის ნაწილად ქცევა მოხდა ირლანდიაში ქმედუნარიანობის რეფორმის განხორციელების დროს; იხ. Assisted Decision-Making (Capacity) Act 2015; Centre for Disability Law and Policy, National University of Ireland, Galway University, Legal Capacity Law Reform in Ireland – the Assisted Decision-Making (Capacity) Act 2015 (Briefing Note).

50 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 1 – Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 19.

51 იქვე, პარ. 29(g).

52 Report of the Special Rapporteur on the Rights of Persons with Disabilities, A/HRC/37/56, 2017, პარ. 55.

ური მხარდაჭერის შემთხვევაშიც კი, საუკეთესო ინტერესების პრინციპის გამოყენება, ასევე, რაიმე უფლების შეზღუდვა, დაუშვებელია.⁵³ ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში, ადამიანის სურვილებისა და ნების გამოკვეთა განსაკუთრებულ გამოწვევებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. თუმცა, კომიტეტი ნათლად აღნიშნავს, რომ ამ დროსაც კი, საუკეთესო ინტერესების კონცეფციის ნაცვლად, უნდა გამოიყენებოდეს „ნებისა და სურვილების საუკეთესო ინტერპრეტაციის“ პრინციპი.⁵⁴ ამ პრინციპის პრაქტიკაში გამოყენება სხვადასხვა ფაქტორებისა და წყაროების გათვალისწინებით არის შესაძლებელი, მაგალითად, პირის ცხოვრების ისტორია, მისი ღირებულებები, მის მიერ წარსულში მიღებული გადაწყვეტილებები ან/და გამოთქმული მოსაზრებები, პერსონალური სურვილები, ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციების შინაარსი და სხვ.⁵⁵

მხარდაჭერის მიმღები პირის ინდივიდუალური საჭიროების გასათვალისწინებლად, უმნიშვნელოვანესია ინტერსექციური მიდგომების დამკვიდრება. კომიტეტი ნათლად აღნიშნავს, რომ ქმედუნარიანობის განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ შშმ პირად ყოფნას, არამედ მონყვლადობის სხვა მაჩვენებლებსაც.⁵⁶ მხარდაჭერის პროცესში, სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ შშმ თემი არ არის ჰომოგენური ჯგუფი და თემში გვხვდებიან სხვადასხვა რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, რელიგიის, ენის, ეროვნული თუ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები.⁵⁷

მაგალითისთვის, მხარდაჭერის პროცესში არსებითია გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინება. შშმ ქალები, მომეტებული მონყვლადობიდან გამომდინარე, უფრო ხშირად ხდებიან ქმედუნარიანობის სამართლებრივი თუ ფაქტობრივი ჩამორთმევის/შეზღუდვის მსხვერპლები. გადაწყვეტილების მიღების ჩანაცვლებითი, პატრიარქალური სისტემის გათვალისწინებით, მათ ხშირად ერთმევათ საკუთარი ცხოვრების ისეთ ასპექტებზე კონტროლის შესაძლებლობა, როგორცაა საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება, ფინანსების კონტროლის საშუალება, რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე გადაწყვეტილების მიღება და სხვ.⁵⁸ ამ გამოწვე-

53 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 1 – Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 29(b)(f).

54 იქვე, პარ. 20, 21.

55 Special Rapporteur on the Rights of Persons with Disabilities, Communication BRA/13/2019, 2019, გვ. 2.

56 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 3 (2016) on Women and Girls with Disabilities, CRPD/C/GC/3, 2016, პარ. 44.

57 Report of the Special Rapporteur on the Rights of Persons with Disabilities, A/HRC/34/58, 2016, პარ. 42.

58 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 3 (2016) on Women and Girls with Disabilities, CRPD/C/GC/3, 2016, პარ. 44, 51; Report of the Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, Thematic Study on the Issue of Violence against Women and Girls with Disability, A/HRC/20/5, 2012; Report of the Special Rapporteur on Violence against Women, its Causes and Consequences, A/67/227, 2012; Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 1 – Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 35; Report of the Special Rapporteur on the Rights of Persons with Disabilities – Sexual and Reproductive Health and Rights of Girls and Young Women with Disabilities, A/72/133, 2017, პარ. 28.

ვის გათვალისწინებით, კომიტეტი ცალსახად მოუწოდებს სახელმწიფოებს, მიიღონ ყველა შესაძლო ზომა იმისათვის, რათა შშმ ქალებს ხელი მიუწვდებოდეთ მხარდაჭერაზე, ასევე, რათა ჰქონდეთ თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის გამოხატვისა და თავიანთ ცხოვრებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა.⁵⁹

გენდერთან ერთად, მხარდაჭერის სისტემის დაგეგმვისა და ფუნქციონირების პროცესში მნიშვნელოვანია ასაკობრივი ასპექტების შემოტანაც.⁶⁰ ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობის კონცეფციების ურთიერთკავშირი სამართლებრივი ქმედუნარიანობის ჩამორთმევის ან შეზღუდვის განსაკუთრებულ რისკებს იწვევს, რაც, შესაბამისად, ზრდის ამ პირების ინსტიტუციონალიზაციისა თუ იძულებითი სამედიცინო ჩარევების საფრთხეს.⁶¹ მაშინაც კი, როდესაც სახეზე არ გვაქვს გადაწყვეტილების მიღების ჩანაცვლებითი სისტემები, ხანდაზმული შშმ პირები (განსაკუთრებით, ქალები) ფაქტობრივად მოკლებულნი არიან, მიიღონ თავიანთ ცხოვრებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, რაც გაეროს კონვენციის, განსაკუთრებით, მისი მე-12 მუხლის, უხეში დარღვევაა.⁶²

მხარდაჭერითი ზომების მრავალფეროვნება

როგორც ზემოთ აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ კონვენციაში საუბარია ქმედუნარიანობის განსახორციელებლად აუცილებელი მხარდაჭერით უზრუნველყოფის ვალდებულებაზე, მხარდაჭერის რაობა თუ ინტენსივობა არ არის დაკონკრეტებული, რაც სწორედ მხარდაჭერის კონცეფციის არაერთგვაროვანი ხასიათიდან გამომდინარეობს. მისი შინაარსი რეალურად ადამიანის სურვილსა და საჭიროებებზე დაფუძნებული და ეხმიანება კონვენციის მე-3 მუხლს, რომელიც ანებს დოკუმენტის ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპს – განსხვავებულობისადმი პატივისცემასა და შშმ პირების აღიარებას ადამიანთა შორის არსებული განსხვავებულობის შემადგენელ ნაწილად.

59 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 3 (2016) on Women and Girls with Disabilities, CRPD/C/GC/3, 2016, პარ. 64 (c).

60 ხანდაზმული პირების ქმედუნარიანობისა და გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერის საკითხებს, გაეროს კონვენციასთან ერთად, ეხება ცალკეული რეგიონალური ინსტრუმენტები, მაგალითად, იხ. Inter-American Convention on Protecting the Human Rights of Older Persons, 2015, მ. 30; Protocol to the African Charter on Human and Peoples' Rights on the Rights of Persons with Disabilities in Africa, 2018, მ. 7, 30; Recommendation CM/Rec(2014)2 of the Committee on Ministers to Member States on the Promotion of Human Rights of Older Persons, 2014.

61 Report of the Special Rapporteur on the Rights of Persons with Disabilities, A/74/186, 2019, პარ. 29.

62 სპეციალური მომხსენებლის თქმით, ისინი, ხშირ შემთხვევაში, მოკლებულნი არიან, ავტონომიურად, ოჯახის წევრების თანხმობის გარეშე მიიღონ გადაწყვეტილებები ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა, მაგალითად, ყოველდღიური რუტინა, სოციალური და სამედიცინო დახმარების მიღებაზე თანხმობა, ქონების მემკვიდრეობით მიღება და ა.შ.; იხ. Report of the Special Rapporteur on the Rights of Persons with Disabilities, A/74/186, 2019, პარ. 30, 31.

ცხადია, მხარდაჭერა შეიძლება იყოს ფორმალური და არაფორმალური სახის, სხვადასხვა ტიპისა და ინტენსივობის.⁶³ მიუხედავად მხარდაჭერის სხვადასხვა ფორმებისა და შესაძლო კრიზისული შემთხვევების არსებობისა, შშმ პირების მიერ გადამწყვეტილების მიღების უფლება უპირობოდ უნდა იყოს გათვალისწინებული.⁶⁴ კომიტეტი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ქმედუნარიანობის განხორციელებაში მხარდაჭერისთვის, შშმ პირმა შეიძლება აირჩიოს ერთი ან რამდენიმე მხარდაჭერი, ასევე, მიიღოს მხარდაჭერა სხვა ფორმებითაც, როგორცაა, მაგალითად, თანასწორთა მხარდაჭერა (peer support), კომუნიკაციაში დახმარება ან ადვოკატირება (მათ შორის, თვითადვოკატირებაც).⁶⁵ ამასთან, მხარდაჭერა შეიძლება განხორციელდეს კომუნიკაციის სხვადასხვა, მათ შორის, არატრადიციული მეთოდებით, განსაკუთრებით იმ ადამიანებთან მიმართებით, რომლებიც არავერბალური კომუნიკაციის ფორმას იყენებენ თავიანთი არჩევანისა და ნების გამოსახატად.⁶⁶

მხარდაჭერის ერთ-ერთი საინტერესო სახეა წინასწარი დაგეგმვის (ე.წ. Advanced Planning/Directive)⁶⁷ უფლებამოსილების გამოყენება, რომლის ფარგლებშიც ნებისმიერ ადამიანს, მათ შორის, შშმ პირს ეძლევა შესაძლებლობა, განაცხადოს თავისი ნება და არჩევანი იმ დროსთან დაკავშირებით, როდესაც მას არ ექნება საშუალება, კომუნიკაცია დაამყაროს გარესამყაროსთან და გამოხატოს თავისი სურვილები.⁶⁸ სურვილის შემთხვევაში, შშმ პირს წინასწარი დაგეგმვის პროცესში უნდა გაეწიოს მხარდაჭერა, ხოლო ეს მექანიზმი უნდა იყოს ამ პირის საჭიროებაზე მორგებული და არადისკრიმინაციული. მიუხედავად იმისა, რომ იგი ძირითადად ჯანმრთელობის დაცვის უფლების განხორციელების სფეროში გამოიყენება, მისი მოქმედების გავრცელება სხვა სფეროებზეც არის შესაძლებელი.⁶⁹ ამასთან, ამ კონცეფციის მოქმედების ერთ-ერთი სავალდებულო წინაპირობა უშუალოდ შშმ პირის ნებაა მისი ძალაში შესვლისა და მოქმედების შეწყვეტის შესახებ. ამგვარი ტიპის გადამწყვეტილებები უნდა აისახოს წინასწარი დირექტივის ტექსტში და დაუშვებელია მისი სანდოობის შეფასება პირის მენტალური ქმედუნარიანობის/გონებრივი შესაძლებლობების მიხედვით.⁷⁰

63 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 1 – Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 17.

64 იქვე, პარ. 18.

65 იქვე, პარ. 17.

66 იქვე.

67 Report of the Special Rapporteur on the Rights of Persons with Disabilities, A/HRC/40/54, 2019, პარ. 61; De Jong M.H., et al., Interventions to Reduce Compulsory Psychiatric Admissions: A Systematic Review and Meta-analysis, “JAMA Psychiatry”, vol. 73(7), 2016.

68 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 1 – Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 17.

69 Fina V.D., Cera R., Palmisano G. (Eds.), The United Nations Convention on the Rights of Persons with Disabilities – A Commentary, 2017, გვ. 271.

70 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 1 – Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 17.

დაცვითი მექანიზმების შექმნა და ფუნქციონირება

მხარდაჭერის კონცეფციის ეფექტიანი განხორციელების ერთ-ერთი საფუძველი მხარდამჭერის მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებაა.⁷¹ ნათელია, რომ უარყოფითი და არასასურველი ზეგავლენების რისკისგან არავინაა დაზღვეული, თუმცა, ეს საფრთხე ბევრად დიდია იმ ადამიანებთან მიმართებით, რომლებიც, გადაწყვეტილების მიღებისას სხვების მხარდაჭერაზე არიან დამოკიდებულები.⁷² შესაბამისად, სახელმწიფოები ვალდებული არიან, შეიმუშაონ სხვადასხვა ტიპის დაცვის გარანტიები, რომელიც იქნება პროპორციული და პირის საჭიროებაზე მორგებული, ფოკუსირდება ადამიანის უფლებებზე, სურვილებსა და არჩევანზე და იქნება თავისუფალი ინტერესთა კონფლიქტისგან ან არასასურველი ზეგავლენებისგან.⁷³ ამასთან, მართალია, კომიტეტი არ მიუთითებს, თუ კონკრეტულად რა შეიძლება ვიგულისხმობთ უარყოფითი ზეგავლენის კონცეფციაში, თუმცა ჩამოთვლის იმ ელემენტებს, რაც ახასიათებს ამგვარ ქმედებას – როგორც წესი, ეს არის მხარდაჭერის მიმღებსა და მხარდამჭერს შორის ურთიერთობის დროს შიშის, აგრესიის, საფრთხის, მოტყუებისა თუ მანიპულაციის ნიშნები.⁷⁴

არასასურველი ზეგავლენის პრევენციის ვალდებულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შშმ პირების მხრიდან ჯანდაცვის დაწესებულებებთან ურთიერთობისას. ხშირ შემთხვევაში, როდესაც საქმე სამედიცინო ჩარევებს (განსაკუთრებით, სტაციონარულ დახმარებას) ეხება, სახელმწიფოთა სამართლებრივი სისტემები მთლიანად ან ნაწილობრივ ართმევენ შშმ პირებს გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. ამ პრაქტიკის საპირისპიროდ, კონვენციის მიერ დადგენილი მხარდაჭერის კონცეფცია მოითხოვს მხოლოდ ნებაყოფლობითი/არააძულებითი ზომების მიღებას როგორც ჯანდაცვის სექტორში, ისე მის გარეთ.⁷⁵ შესაბამისად, შშმ პირებისათვის თავისუფლების შეზღუდვა სხვადასხვა მიზეზის, მათ შორის, სამედიცინო აუცილებლობის, საკუთარი თავისთვის ან სხვებისთვის ზიანის მიყენების რისკის საფუძველზე, უკანონო და თვითნებურია.⁷⁶

71 იქვე, პარ. 20.

72 იქვე, პარ. 22.

73 სწორედ ამგვარი მექანიზმების არსებობამ უნდა მოახდინოს იმის პრევენცია, რომ მხარდაჭერის ინსტიტუტმა არ შეითავსოს გადაწყვეტილების მიღების ჩანაცვლებითი კონცეფციის რაიმე ელემენტი; გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენცია, 2006, მ. 12(4); Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 1 – Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 29(h).

74 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 1 – Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 22.

75 Report of the Special Rapporteur on the Rights of Persons with Disabilities, A/HRC/40/54, 2019, პარ. 56.

76 სპეციალური მომხსენებელი მიუთითებს აღნიშნული სისტემების დისკრიმინაციულობაზე (ვინაიდან მხოლოდ ცალკეულ ჯგუფებს, მათი არსებული ან მიჩნეული შეზღუდული შესაძლებლობის გამო მიემართება), შშმ პირებისათვის ქმედუნარიანობის შემზღვევლობაზე (რადგან პირს არ აქვს უფლება, გადაწყვიტოს საკითხები მის მკურნალობასთან, მოვლასთან ან/და საავადმყოფოში/ინსტიტუციაში განთავსებასთან დაკავშირებით) და თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების შინაარსიდან გამომდინარე არასაჭიროდ და არაპროპორციულად მიიჩნევს; Report of the Special Rapporteur on the Rights of Persons with Disabilities, A/HRC/40/54, 2019, პარ. 61.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო ვალდებულია, გააუქმოს ნებისმიერი რეგულაცია, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის არსებობის ფაქტზე დაყრდნობით, მესამე მხარის (მათ შორის, ოჯახის წევრების) თანხმობის საფუძველზე, პირის არანებაყოფლობით მკურნალობას ან რეზიდენტულ დაწესებულებაში მოთავსებას ითვალისწინებს, მათ შორის, კრიზისულ სიტუაციებში.⁷⁷ კანონმდებლობის ცვლილებასთან ერთად, მნიშვნელოვანია პრაქტიკის შეცვლა. მაგალითისთვის, ჯანდაცვის დაწესებულებების ყველა წარმომადგენელმა, რომელსაც მხარდაჭერის მიმღებთან ექნება კონტაქტი, უნდა უზრუნველყოს შესაბამისი კონსულტაციები და დიალოგი შშმ პირის პირდაპირი ჩართვა. თავიანთი მაქსიმალური შესაძლებლობების ფარგლებში, მათ უნდა უზრუნველყონ, რომ გადაწყვეტილება მიიღებოდეს შშმ პირის მიერ და არა მისი მხარდამჭერის/მზრუნველის/ნათესავის მიერ, და უნდა დარწმუნდნენ, რომ ადგილი არ აქვს არასასურველი ზეგავლენის შემთხვევას.⁷⁸ სწორედ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი შშმ პირისგან თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის მიღება და იძულებითი სამედიცინო ჩარევების თავიდან აცილება.⁷⁹

ცხადია, კონკრეტული დაცვითი მექანიზმების შემუშავება და ქვეყნის კონტექსტისთვის მორგება, სახელმწიფოს ვალდებულება და დისკრეციაა, თუმცა კონკრეტისთვის, კომიტეტი მიუთითებს ისეთი მექანიზმის შექმნის აუცილებლობაზე, რომლის დახმარებითაც მესამე პირებს შეეძლებათ მხარდამჭერი პირის გამოვლენა და მისი ქმედების გასაჩივრება იმ შემთხვევაში, თუკი ისინი მიიჩნევენ, რომ მხარდამჭერები არ მოქმედებენ მხარდაჭერის მიმღები პირების ნებისა და არჩევანის საფუძველზე.⁸⁰

ერთი მხრივ, მხარდაჭერის ინსტიტუტის ეფექტიანი ფუნქციონირების, ხოლო, მეორე მხრივ, მხარდაჭერის დროს უფლების ბოროტად გამოყენებისა თუ არასასურველი ზეგავლენების თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია მხარდაჭერის მიმღები პირების სათანადო ინფორმირებულობა. კომიტეტი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ შშმ პირების დამოუკიდებელი ცხოვრების უფლე-

77 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 1 – Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 41-42; Report of the Special Rapporteur on the Rights of Persons with Disabilities, A/74/186, 2019, პარ. 31; აღსანიშნავია, რომ ამ სფეროში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა გარკვეულწილად არ შეესაბამება კონვენციას (იხ. D.D. v Lithuania (no. 13469/06; Stanev v. Bulgaria (GC; no. 36760/06); ასევე, Favalli S., The United Nations Convention on the Rights of Persons with Disabilities in the Case Law of the European Court of Human Rights and in the Council of Europe Disability Strategy 2017 – 2023: from Zero to Hero, “Human Rights Law Review”, Vol. 18, 2018, გვ. 534).

78 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 1 – Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 41; Report of the Special Rapporteur on the Rights of Persons with Disabilities, A/73/161, 2018, პარ. 25.

79 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 1 – Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 42; იხ. ასევე, Minkowitz T., The United Nations Convention on the Rights of Persons with Disabilities and the Right to be Free from Nonconsensual Psychiatric Interventions, “Syracuse Journal of International Law and Commerce”, Vol. 34, 2007.

80 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 1 – Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 29(d).

ბის განხორციელების შეფერხების მნიშვნელოვანი მიზეზი მათთვის მისაწვდომი შესაბამისი ინფორმაციის ნაკლებობაა.⁸¹ ეს ბარიერი, ფორმალურად გამართული საკანონმდებლო ბაზის არსებობის შემთხვევაშიც კი, ხელს უწყობს მესამე პირების – მაგალითად, ოჯახის წევრების – მიერ შშმ პირის ცხოვრების გაკონტროლებას, გადაწყვეტილების ჩამნაცვლების როლის მორგებასა და შშმ პირის მიერ გადაწყვეტილების მიღების უფლების შეზღუდვას.⁸² შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერის პროცესში ჩართული პირების სათანადო ინფორმირება ქმედუნარიანობის/ მხარდაჭერის ინსტიტუტის შინაარსთან (მათ შორის, მხარდაჭერის სამართლებრივ და ეთიკურ სტანდარტებთან/პრინციპებთან) დაკავშირებით, მეტად მნიშვნელოვანია. სწორედ ინფორმირება იმის საწინდარი, რომ პროცესში ჩართულმა ყველა პირმა სათანადოდ გააცნობიეროს თავისი უფლებამოსილებები და ფუნქციები.

თემზე დაფუძნებული მიდგომის აუცილებლობა

ქმედუნარიანობის კონცეფცია მჭიდროდაა დაკავშირებული დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებაში მონაწილეობის უფლებასთან.⁸³ ერთი მხრივ, ქმედუნარიანობა განაპირობებს შშმ პირის დამოუკიდებლობისა და საკუთარი ცხოვრების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლების რეალიზებას, ხოლო, მეორე მხრივ, პირის დამოუკიდებლად, თემში ცხოვრება არის ქმედუნარიანობისა და სხვა უფლებების განხორციელების წინაპირობა.

ქმედუნარიანობის განსახორციელებლად აუცილებელი მხარდაჭერა პირს თემზე დაფუძნებული მიდგომის შესაბამისად უნდა გაეწიოს, რომელიც პატივს სცემს შშმ პირების სურვილებსა და პრიორიტეტებს.⁸⁴ კომიტეტი ნათლად აღნიშნავს, რომ იმისათვის, რათა სრულად დაინერგოს ქმედუნარიანობისა და მხარდაჭერის სისტემა, იმპერატიულია შშმ პირებისათვის შესაძლებლობის მიცემა, ჩამოაყალიბონ და გამოხატონ თავიანთი სურვილები და პრიორიტეტები. ამის მისაღწევად კი აუცილებელია, რომ ეს ადამიანები თემში ცხოვრობდნენ,⁸⁵ განსაკუთრებით, თუ გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობასა და დამოუკიდებელი ცხოვრების უნარებზე ინსტიტუციონალიზაციის მძიმე ზეგავლენას გავითვალისწინებთ.

81 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 5 (2017) on Living Independently and Being Included in the Community, CRPD/C/GC/5, 2017, პარ. 26.

82 იქვე.

83 Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, Regional office for Europe, Getting a Life – Living Independently and being Included in the Community, 2012, გვ. 9.

84 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 5 (2017) on Living Independently and Being Included in the Community, CRPD/C/GC/5, 2017, პარ. 80; Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 1 – Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 45, 46.

85 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 5 (2017) on Living Independently and Being Included in the Community, CRPD/C/GC/5, 2017, პარ. 80.

საბოლოო ჯამში, ზემოაღნიშნული პრინციპების ანალიზიდან იკვეთება მხარდაჭერის სისტემის კომპლექსურობა და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული სირთულეები. ქვეყანაში ამ ინსტიტუტის სრულად დასაწინააღმდეგებლად და ასამუშავებლად, არსებითია, რომ ეროვნულ დონეზე არსებულმა მოდელმა გაითვალისწინოს შშმ პირების უფლება, თავად მიიღონ გადაწყვეტილებები საკუთარი ცხოვრების შესახებ, ისევე როგორც მხარდაჭერის სერვისების მრავალფეროვნება, რომელიც მხარდაჭერის მიმღები პირების სურვილებსა და საჭიროებებს მოერგება. ამასთან, უმნიშვნელოვანესია, რომ მხარდაჭერის კონცეფცია თემზე დაფუძნებულ მიდგომებზე აიგოს და თავის თავში ითვალისწინებდეს შშმ პირზე არასასურველი ზეგავლენისა და მხარდაჭერის/მესამე პირის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენების პრევენციის მექანიზმებს.

1.3.2. მხარდაჭერის ინსტიტუტის განსხვავება სხვა რეჟიმებისგან

გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერისა და გადაწყვეტილების მიღების ჩანაცვლების კონცეფციებს შორის განსხვავებების დადგენა, ქმედუნარიანობის რეფორმის სათანადოდ დასაწინააღმდეგებლად და წარსამართავად, უმნიშვნელოვანესია. თუმცა, მეორე მხრივ, არსებითია მხარდაჭერის მექანიზმის გამიჯვნა შშმ პირთა მხარდაჭერის სხვა საშუალებებისაგან. გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის ინსტიტუტის მახასიათებლებიდან და მისი ფუნქციონირების ფუძემდებლური პრინციპებიდან გამომდინარე, ნათელია ის ძირითადი ფაქტორები, რაც მას სხვა კონცეფციებისგან, მათ შორის, პერსონალური ასისტირებისგან, მიჯნავს.

კომიტეტმა არაერთხელ აღნიშნა, რომ პერსონალური ასისტენტის სერვისი არსებითია დამოუკიდებელი ცხოვრების უფლების განხორციელებისათვის.⁸⁶ მხარდაჭერის ინსტიტუტისგან განსხვავებით, იგი გულისხმობს შშმ პირისათვის აუცილებელი დახმარების განწვევას ყოველდღიურ აქტივობებში.⁸⁷ ცენტრალური ფუნქცია, პერსონალური ასისტირების შემთხვევაშიც შშმ პირებს, მათ სურვილებსა და არჩევანს ენიჭება, შესაბამისად, სახეზეა სერვისის მიწოდების ე.წ. თვითმართვის ელემენტი – შშმ პირის თავისუფლება, აირჩიოს სერვისის მიწოდებაზე პერსონალური კონტროლის ხარისხი.⁸⁸ ცხადია, რომ შშმ პირმა პერსონალური ასისტირების სერვისის მიწოდება, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია, გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის მეშვეობითაც აკონტროლოს.⁸⁹

86 იქვე, პარ. 16 (d)(iv).

87 Report of the Special Rapporteur on the Rights of Persons with Disabilities, A/HRC/40/54, 2019, პარ. 82.

88 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 5 (2017) on Living Independently and Being Included in the Community, CRPD/C/GC/5, 2017, პარ. 16 (d)(iv).

89 იქვე.

გადაწყვეტილების მხარდაჭერის ინსტიტუტი ასევე განსხვავდება გონივრული მისადაგებისა და კონვენციით გათვალისწინებული, თანასწორობის უზრუნველყოფი სპეციალური დაცვის ღონისძიებებისგან.⁹⁰ ქმედუნარიანობა და დისკრიმინაციასთან ბრძოლა ფუნდამენტურად დაკავშირებული ცნებებია,⁹¹ მეტიც, გონივრული მისადაგების მოთხოვნის უფლება გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის შემავსებელი ელემენტია.⁹² თუმცა, ამ კონცეფციებს შორის მთავარი განმასხვავებელი, სახელმწიფოს ვალდებულებების შინაარსია – გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის სფეროში, გონივრული მისადაგების ვალდებულებისგან განსხვავებით, არ არსებობს ვალდებულებების ლიმიტაციები – არაპროპორციული ან გაუმართლებელი ტვირთის შემთხვევაში, ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის შესაძლებლობა.⁹³

1.4. სამართლებრივი ქმედუნარიანობის უფლების მიმართება სხვადასხვა უფლებასთან

სამართლებრივი ქმედუნარიანობის კონცეფცია პირდაპირაა დაკავშირებული კონვენციით განსაზღვრული სხვა უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობასა და გამოყენებასთან, მათ შორისაა, დისკრიმინაციისგან დაცულობა, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უფლებები, ფიზიკური და ფსიქიკური ხელშეუხებლობის დაცვა და სხვ.

ქმედუნარიანობა და დისკრიმინაციის აკრძალვა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული კონცეფციებია. კონვენციის მე-5 მუხლი განსაზღვრავს კანონის წინაშე ყველა პირის თანასწორობას და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის ვალდებულებას. შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის განმარტება კი, მოცემულია კონვენციის მე-2 მუხლში და გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებულ ნებისმიერ განსხვავებას, გარიყვას ან აკრძალვას.⁹⁴ სამართლებრივი ქმედუნარიანობის შეზღუდვა პირდაპირ წარმოადგენს ჩარევას შშმ პირების კანონის წინაშე თანასწორობის უფლებაში და მე-12 მუხლთან ერთად არღვევს კონვენციის მე-5 მუხლს.⁹⁵ ამის საპირისპიროდ, სამართლებრივი ქმედუნა-

90 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No.6 (2018) on Equality and Non-discrimination, CRPD/C/GC/6, 2018, პარ. 25 (c).

91 იქვე, პარ. 47.

92 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 1 – Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 34.

93 იქვე, Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No.6 (2018) on Equality and Non-discrimination, CRPD/C/GC/6, 2018, პარ. 48.

94 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No.6 (2018) on Equality and Non-discrimination, CRPD/C/GC/6, 2018.

95 Lewis O., Legal Capacity in International Human Rights Law, 2015.

რიანობის აღიარების პროცესში თანასწორობის დაცვა, პირის ავტონომიურობასა და ღირსებას აღადგენს კონვენციის მე-3(ა) მუხლის შესაბამისად. ამასთან, ცხადია, რომ მხარდაჭერისა და გონივრული მისადაგების საჭიროება, გადაწყვეტილებების მიღების დროს არ უნდა გამოიყენებოდეს პირის სამართლებრივ ქმედუნარიანობაში ეჭვის შესატანად.⁹⁶

მე-12 მუხლით განსაზღვრული უფლებები ასევე მჭიდროდ არის დაკავშირებული წვდომის უზრუნველყოფის ვალდებულებებთან. კონვენციის მე-9 მუხლი მოითხოვს ყველა იმ ბარიერის გამოვლენას და აღმოფხვრას, რომელიც არსებობს ნაგებობებთან, მომსახურებებსა და ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით. ინფორმაციაზე ნაკლები წვდომა და მიუწვდომელი მომსახურებები შშმ პირებს პრაქტიკულ ბარიერებს უქმნის სამართლებრივი ქმედუნარიანობის განხორციელების კრილში.⁹⁷

სამართლებრივი ქმედუნარიანობის აღიარება არსებითად უკავშირდება მართლმსაჯულებაზე წვდომის უფლების რეალიზებასაც. უფლებებისა და ვალდებულებების დაუბრკოლებლად განსახორციელებლად, შშმ პირები სხვების თანასწორად უნდა იყვნენ აღიარებულნი სასამართლო პროცესებისა და მოსმენების მიმდინარეობისას. მართლმსაჯულებაზე წვდომა გულისხმობს, პირებისთვის, რომლებიც განიცდიან ჩარევას მათ სამართლებრივ ქმედუნარიანობაში, შესაძლებლობის მიცემას, გაასაჩივრონ ასეთი ჩარევა თავად, ან მათმა ოფიციალურმა წარმომადგენელმა, და დაიცვან საკუთარი უფლებები სასამართლოში. მართლმსაჯულებაზე წვდომის მხარდაჭერა, შესაძლოა, მოიცავდეს ისეთ ზომებს, როგორიცაა: მრავალფეროვანი კომუნიკაციის მეთოდები, ვიდეოჩვენების მიცემა განსაზღვრულ შემთხვევებში, სასამართლო პროცედურების მისადაგება და მოდიფიკაცია, პროფესიონალი სურდო თარჯიმნის მომსახურება და სხვა დამხმარე მეთოდები.⁹⁸

სამართლებრივი ქმედუნარიანობის ინსტიტუტი ასევე მოიცავს შშმ პირთა ჯანმრთელობის დაცვის უფლების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულებას. ქმედუნარიანობის შეზღუდვა და შშმ პირების ინსტიტუციებში იძულებით მოთავსება სწორედ ამ უფლებებში უხეში ჩარევაა.⁹⁹ ფსიქიატრებისა და სამედიცინო სფეროს სხვა პროფესიონალების მიერ, იძულებითი მკურნალობა არღვევს პიროვნების ხელშეუხებლობის (მუხლი 17), წამებისგან, ექსპლუატაციისგან, ძალადობისა და შეურაცხყოფისგან დაცვის უფლებებს (მუხლი 15 – 16). ამასთან, შშმ პირების უფლება, ისარგებლონ ჯანმრთელობის დაცვის უმაღლესი მისაწვდომი სტანდარტებით, ეფუძნება თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის

96 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 1 – Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014.

97 იქვე.

98 იქვე.

99 გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენცია, 2006, მ. 14.

პარადიგმას. არანებაყოფლობითი მკურნალობის პრაქტიკა ცალსახად უარყოფს პირის სამართლებრივ ქმედუნარიანობას, მიიღოს გადაწყვეტილება სამედიცინო ჩარევასთან დაკავშირებით და არღვევს მე-12 მუხლსაც. შესაბამისად, სახელმწიფო ორგანოები ვალდებული არიან, ჯანდაცვის, და მათ შორის, ფსიქიატრიული და-წესებულებებისგან, მოითხოვონ მკურნალობის პროცესში შშმ პირების ინფორმირებული თანხმობის პრიორიტეტიზაცია.¹⁰⁰

როგორც ზემოთ აღინიშნა, მე-12 მუხლის სრულად რეალიზების იმპერატიული მოთხოვნაა, რომ შშმ პირებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, განავითარონ და გამოხატონ საკუთარი სურვილები და ნება, რათა სხვების თანასწორად შეძლონ საკუთარი სამართლებრივი ქმედუნარიანობით სარგებლობა. ეს ნიშნავს მათთვის შესაძლებლობების მიცემას, კონვენციის მე-19 მუხლის შესაბამისად, იცხოვრონ დამოუკიდებლად თემში, მიიღონ გადაწყვეტილებები და ჰქონდეთ კონტროლი საკუთარ ყოველდღიურ ცხოვრებაზე, სხვების თანასწორად.¹⁰¹ მე-12 მუხლის მესამე პუნქტი ცხადად გულისხმობს მხარდაჭერის პროცესის სათემო მომსახურებებზე დაფუძნებას.

ჩანაცვლებითი მხარდაჭერის მოდელები, გარდა იმისა, რომ შეუთავსებელია მე-12 მუხლთან, პოტენციურად არღვევს შშმ პირთა პირადი ცხოვრების უფლებას, რადგან იძლევა მესამე პირების მხრიდან მისი პერსონალური მონაცემების მნიშვნელოვან ნაწილზე წვდომის შესაძლებლობას. გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის მოდელების დანერგვის პროცესში, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მხარდაჭერის მიმღებთა პირადი ცხოვრებისა და მათთან დაკავშირებული ინფორმაციის დაცულობა.

სამართლებრივი ქმედუნარიანობის უფლების სრული რეალიზაციისთვის, მნიშვნელოვანია, რომ იგი აღიარებული და გარანტირებული იყოს საჯარო და პოლიტიკურ სფეროებში. ამის მიუხედავად, ქმედუნარიანობის შეზღუდვა ხშირად გამოიყენება პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების ჩამოსართმევად. ქმედუნარიანობის კონცეფციიდან გამომდინარე, არსებითია, რომ პირის გადაწყვეტილების მიღების უნარი ან მისი შეზღუდული შესაძლებლობა არ იყოს გამამართლებელი საფუძველი ამ უფლების შესაზღუდად, მათ შორის, ხმის მიცემისა და არჩევნებში მონაწილეობის მიმართულებით.¹⁰²

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ცხადად იკვეთება სამართლებრივი

100 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 1 – Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014.

101 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 5 (2017) on Living Independently and Being Included in the Community, CRPD/C/GC/5, 2017.

102 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 1 – Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014.

ქმედუნარიანობის უფლების კომპლექსურობა და მისი მიმართება კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობასთან. ნათელია, რომ სახელმწიფოებმა, ქმედუნარიანობის რეფორმის დანერგვისა და აღსრულების პროცესში, მხედველობაში უნდა მიიღონ ეს ურთიერთმიმართება და გაატარონ შესაბამისი ზომები არა მხოლოდ კონვენციის მე-12 მუხლის, არამედ დანარჩენი დებულებების დასაცავადაც.

1.5 სახელმწიფოს რელევანტური ვალდებულებების შინაარსი

კონვენციის მე-12 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფოს უმთავრესი ვალდებულება ყველა შშმ პირის მიერ სამართლებრივი ქმედუნარიანობის კონცეფციით სარგებლობის უზრუნველყოფაა. ამ მიზნის მისაღწევად, სახელმწიფომ მრავალფეროვანი ნაბიჯები უნდა გადადგას, რომელთა შორისაც, უპირველესია კანონმდებლობის სრულფასოვანი რევიზია მეურვეობის სხვადასხვა ტიპის მოდელის მხარდაჭერის კონცეფციით ჩასანაცვლებლად. ქმედუნარიანობის რეფორმის განხორციელებისას, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოებმა სამართლებრივად აღიარონ მხარდამჭერის სტატუსი და უზრუნველყონ, რომ მხარდაჭერა ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს.¹⁰³

ქმედუნარიანობის უფლების უზრუნველყოფის პროცესში, სახელმწიფოს ერთ-ერთი მიზანი შშმ პირების მხარდაჭერა და გაძლიერება უნდა იყოს – მათი რწმენისა და უნარების განვითარება ისე, რომ მომავალში საკუთარი სამართლებრივი ქმედუნარიანობის განსახორციელებლად ნაკლები ინტენსივობა ესაჭიროებოდეთ. მნიშვნელოვანია, რომ მხარდაჭერის მიმღები პირები უზრუნველყოფილები იყვნენ ტრენინგებით ისე, რომ მათ შეეძლოთ გადაწყვიტონ, როდის სჭირდებათ ნაკლები მხარდაჭერა ან როდის აღარ საჭიროებენ მხარდაჭერას ქმედუნარიანობით სარგებლობისას.¹⁰⁴

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფერო, სადაც სახელმწიფომ ყოვლისმომცველი და მნიშვნელოვანი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, სასამართლო და პრაქტიკული ღონისძიებები უნდა გაატაროს, შშმ პირების ფინანსური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიმართულებაა. ფინანსებსა და საკუთრებაზე დამოუკიდებელი წვდომა, სამედიცინო მოდელიდან გამომდინარე, შშმ პირებისთვის ყოველთვის უარყოფილი იყო. კონვენციის მიერ ახალი პარადიგმის შემოტანის პარალელურად, მნიშვნელოვანია, ამ სფეროში სახელმწიფოებმა მხარდაჭერის კონცეფციის ინკლუზია განახორციელონ, რაც შშმ პირებს საშუალებას მისცემს,

103 იქვე, პარ. 29.

104 იქვე, პარ. 24.

ამ მიმართულებითაც სრული ქმედუნარიანობით ისარგებლონ კონვენციის მე-12 მუხლის შესაბამისად.¹⁰⁵

2. ქმედუნარიანობის რეფორმის განხორციელების ბარიერები საქართველოში

საერთაშორისო სტანდარტების შუქზე სამართლებრივი ქმედუნარიანობისა და მხარდაჭერის არსის განხილვის პარალელურად, მნიშვნელოვანია ამ კონცეფციების შინაარსის ზოგადი მიმოხილვა საქართველოს კონტექსტში. ქვეყანამ კონვენციის რატიფიცირება 2013 წელს მოახდინა, რითაც ყველა შშმ პირისათვის ქმედუნარიანობის უზრუნველყოფის ვალდებულება სამართლებრივად იტვირთა. ამასთან, კონვენციის რატიფიცირებისას საქართველომ მე-12 მუხლთან მიმართებით მიიღო დეკლარაცია, რომლის მიხედვითაც, ქვეყანა ამ მუხლს ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა ინსტრუმენტებისა და შიდა სამართლის მიხედვით განმარტავს, იმგვარად, რომ უზრუნველყოს პირთა მაქსიმალური სამართლებრივი დაცვა ღირსების, ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ემოციური მთლიანობისა და საკუთრების ხელშეუხებლობისთვის.¹⁰⁶ მიუხედავად იმისა, რომ დეკლარაცია სამართლებრივად არ უთანაბრდება საერთაშორისო ხელშეკრულების რომელიმე მუხლზე დათქმას და ვერ ცვლის არსებული ვალდებულების შესრულების ხარისხს, მისი შინაარსი მეტნაკლებად მიუთითებდა, რომ მთავრობა მზად არ იყო, სრულყოფილად შეესრულებინა მე-12 მუხლი კანონმდებლობასა თუ პრაქტიკაში.¹⁰⁷

კონვენციის რატიფიცირების შემდგომ, საქართველოში კვლავ მოქმედებდა მეურვეობის სისტემა, რომელიც „ჭკუასუსტობისა“ თუ „სულით ავადმყოფობის“ შემთხვევაში, პირს ქმედუნაროდ ცნობდა და მის მიმართ ნების სრული ჩანაცვლების კონცეფციას იყენებდა. შესაბამისად, ქმედუნარო პირს მთლიანად ერთმეოდა შესაძლებლობა, განეხორციელებინა სამართლებრივი შედეგების წარმომშობი უფლებები და ქმედებები.¹⁰⁸ მიუხედავად ქმედუნარიანობის რეფორმამდელი მოდელის შინაარსის კონვენციასთან შეუსაბამობისა, ამ სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის კონვენციასთან მისადაგების პროცესი აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების შტოებს არ დაუწყიათ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც 2014 წლის ოქტომბერში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება საქმეზე – „ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართვე-

105 იქვე.

106 დეკლარაცია ხელმისაწვდომია: https://treaties.un.org/Pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtdsg_no=IV-15&chapter=4&clang=_en.

107 ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება – კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, 2016, გვ. 5.

108 იქვე, გვ. 8.

ლოს პარლამენტის წინააღმდეგ“ – განხორციელდა ქმედუნარიანობის რეფორმა, რომლითაც ახლებურად ჩამოყალიბდა და დამტკიცდა ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების¹⁰⁹ მიერ უფლებების ქონისა და განხორციელების ასპექტები.¹¹⁰

ქმედუნარიანობის რეფორმის მნიშვნელობიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე, მიმდინარე თავში ზოგადად შეფასდება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსსა და მის საფუძველზე განხორციელებულ რეფორმას, ასევე, მიმოვიხილავთ იმ ძირითად ბარიერებს, რომლებიც მნიშვნელოვნად აფერხებს ამ რეფორმის პრაქტიკაში განხორციელებას და შშმ პირების მიერ ქმედუნარიანობის კონცეფციით სრულად სარგებლობას.

2.1. ქმედუნარიანობის რეფორმის განხორციელების ზოგადი მიმოხილვა

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქმედუნარიანობის რეფორმის განხორციელებას საფუძველი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ დაუდო. სასამართლოში დავის საგანი იყო მეურვეობის¹¹¹ მარეგულირებელი ძირითადი საკანონმდებლო აქტები – სამოქალაქო კოდექსი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 (კანონის წინაშე თანასწორობა), მე-16 (პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება), მე-17 (პატივისა და ღირსების ხელშეუვალობა, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა), მე-18 (პიროვნების თავისუფლების ხელშეუვალობა), 36-ე (ქორწინების უფლება) და 42-ე (საპროცესო უფლებები) მუხლებთან წინააღმდეგობის საფუძველზე, სასამართლომ იმსჯელა მეურვეობის ინსტიტუტზე, მათ შორის, მთელი რიგი უფლებრივი კატეგორიების ჭრილში და არაკონსტიტუციურად ცნო ზემოაღნიშნულ აქტებში არსებული რეგულაციები.

ერთი მხრივ, სასამართლოს ეს გადაწყვეტილება უმნიშვნელოვანესი და რეგულაციურია ქვეყანაში ქმედუნარიანობის კონცეფციის ახლებურად განსაზღვრისა და განვითარების მიმართულებით, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც სასამართლოს,

109 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12(4) მუხლის მიხედვით, „ქმედუნარიანად ითვლება ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი (შემდგომ – მხარდაჭერის მიმღები), ანუ პირი, რომელსაც აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ, შესაძლოა, ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში, თუ ეს პირი აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 ან მე-3 ნაწილის პირობებს, ამასთანავე, აღნიშნული დაბრკოლებები სათანადო რჩევისა და დახმარების გარეშე მნიშვნელოვნად ართულებს პირის მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვას და ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთებას სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროში“.

110 ჯამში, რეფორმის შედეგად 67 აქტში შევიდა ცვლილება. ცვლილებები ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/8456>.

111 ისეთი ტიპის რეგულაციები, რომლებიც ეხებოდა სასამართლოს მიერ პირის ქმედუნარიანად აღიარების პროცედურებს, მეურვეობისა და მზრუნველის უფლებამოსილებებს, ისევე როგორც მეურვეობას დაქვემდებარებული პირის უფლებრივ მდგომარეობას.

ისე დავის მხარეების¹¹² ცალკეული მსჯელობები არ შეესაბამება და არ იზიარებს კონვენციისა და კომიტეტის ხედვებს, რაც შესაძლებელია, კანონმდებლობასა და პრაქტიკაში ამ კონცეფციის განსაზღვრისა და გამოყენების მიმართულებით არაერთგვაროვანი მიდგომების ჩამოყალიბების საფუძველი გამხდარიყო. მათ შორის, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სასამართლომ ქმედუნარიანობის უფლება არ აღიარა აბსოლუტურ კატეგორიად, არამედ, მასზე ძირითადად კონსტიტუციის მე-16 მუხლის, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების, ჭრილში იმსჯელა, რაც ცალსახად არ შეესაბამება კონვენციისა და კომიტეტის მსჯელობას ქმედუნარიანობის უფლების თანდაყოლილ და უნივერსალურ ხასიათთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ ქმედუნარიანობით სარგებლობის უფლება აბსოლუტურ კატეგორიად არ განიხილა, განაცხადა, რომ კოგნიტური უნარების მნიშვნელოვანი შეზღუდვაც კი არ შეიძლება მიიჩნეოდეს პირის ქმედუნარიანობის სრული შეზღუდვის ერთადერთ საფუძვლად.¹¹³ თუმცა, ამასთან, გადაწყვეტილება ცალსახად უშვებს ქმედუნარიანობის შეზღუდვას ცალკეულ შემთხვევებში, მათ შორის, „დინამიკურად განვითარებადი ავადმყოფობის“, თუ ფსიქიკური ჯანმრთელობის „უკიდურესად მძიმე და გამოუსწორებელი“ პრობლემების დროს.¹¹⁴ ცხადია, რომ ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი, რის გამოც მეურვეობის ინსტიტუტის მარეგულირებელი კანონმდებლობა არაკონსტიტუციურად მიიჩნიეს, ქმედუნარიანობით სარგებლობის უფლების ბლანკეტური შეზღუდვაა და არა მისი აბსოლუტური ხასიათის გააზრება.¹¹⁵ მიუხედავად ამისა, ამ გადაწყვეტილებამ საფუძველი დაუდო ქმედუნარიანობის მასშტაბურ რეფორმას, რომელსაც არსებითად უნდა შეეცვალა ფსიქოსოციალური და ინტელექტუალური ნიშნით შშმ პირების უფლებრივი მდგომარეობა.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან არსებული კანონმდებლობის მისასადაგებლად, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა სპეციალური სამუშაო ჯგუფი შექმნა. სწორედ ამ ჯგუფმა, 2015 წლის 26 თებერვალს, პარლამენტში 67 აქტისგან შემდგარი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი წარადგინა,¹¹⁶

112 მაგალითისთვის, მოსარჩელე მხარის პოზიციით, „მაღალი ხარისხის გონებრივი ჩამორჩენილობის ან განგრძობადი შიზოფრენიის შემთხვევაში, შესაძლებელია, ადამიანი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას სრულად იყოს მოკლებული. შესაბამისად, ამ შემთხვევაში სამეურვეო პირის ნების მთლიანად ჩანაცვლება მეურვის ნებით გამართლებულია“; ასევე, „სამეურვეო პირის შესახებ გადაწყვეტილება სამეურვეო პირის ინტერესების შესაბამისად უნდა იქნეს მიღებული“; იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის გადაწყვეტილება №2/4/532,533 – „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2014, პ. 9, 12.

113 იქვე, პ. 12.

114 იქვე, პ. 23-24; 34, 42.

115 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სიღრმისეული მსჯელობისთვის, იხ. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება – კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, 2016; საქართველოს სახალხო დამცველი, ქმედუნარიანობა – საკანონმდებლო რეფორმა იმპლემენტაციის გარეშე, 2016.

116 აღნიშნული პაკეტი ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/8522>.

რომელიც ძალაში იმავე წლის 1 აპრილიდან შევიდა. ცვლილებების შედეგად, მეურვეობის ინსტიტუტი გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის კონცეფციით ჩანაცვლდა. კანონმდებლობაში არსებული ისეთი ტერმინები, როგორცაა „ტკუასუსტობა“ და „სულიერი ავადმყოფობა“, ჩანაცვლდა „მხარდაჭერის მიმღები პირისა“ და „ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის“ ცნებებით. რეფორმამ მხარდაჭერის მიმღებ პირებს სრული ქმედუნარიანობა აღუდგინა და მხარდაჭერის საჭიროების განსასაზღვრად ფსიქოსოციალური საჭიროების დადგენისა და მხარდამჭერის დანიშვნის პროცედურები შემოიტანა.

ამასთან, ქმედუნაროდ ცნობილი პირების ინდივიდუალური საჭიროებების განსასაზღვრად, ცვლილებებმა 2015 წლის 1 აპრილიდან 5 წლის განმავლობაში შემოიღო ე.წ. გარდამავალი პერიოდი, რომლის განმავლობაში ქმედუნარო პირების მეურვეები, სტაციონარული ფსიქიატრიული ან სპეციალიზებული დაწესებულებების ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ვალდებულნი იყვნენ, სასამართლოსთვის მიემართათ ინდივიდუალური შეფასებისა და მხარდაჭერის ხარისხის დასადგენად.¹¹⁷ ამჟამად, საქართველოში რეგისტრირებულია 6116 მხარდაჭერის მიმღები პირი, აქედან 2923 ადამიანი რეფორმამდე ქმედუნაროდ აღიარებული პირი იყო.¹¹⁸ ამასთან, რეფორმიდან დღემდე¹¹⁹ რეგისტრირებულია 6647 მხარდამჭერი, აქედან 5779 პირი – აქტიური სტატუსით.¹²⁰ მხარდაჭერის მიმღები პირების რაოდენობის, ასევე, მათი უფლებების სრულყოფილი დაცვის საჭიროების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია შესაბამისი საკანონმდებლო და პოლიტიკის ჩარჩოსა და არსებული პრაქტიკის გამართვა და სრულყოფა.

2.2. ქმედუნარიანობის რეფორმის დანერგვის ბარიერების ზოგადი მიმოხილვა საქართველოს კონტექსტში

მიუხედავად იმისა, რომ მეურვეობის ინსტიტუტის გაუქმება და მხარდაჭერის კონცეფციის შემოტანა საქართველოს რეალობაში ცალსახად წინგადადგმული ნაბიჯია და რეფორმის შინაარსი უმეტესწილად თავსებადია კონვენციის პრინციპებთან და დებულებებთან, გამოწვევები რჩება როგორც რეფორმის აღსრულებასთან, ისე მის

117 2015 წლის 1 აპრილამდე ქმედუნაროდ ცნობილ პირთან მიმართებით, რომელიც მოთავსებულია სტაციონარულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, დაწესებულებამ სასამართლოს ამ პირის მხარდაჭერის მიმდებარე ცნობისა და ინდივიდუალური შეფასებისთვის 2015 წლის 1 აპრილიდან 2 წლის განმავლობაში უნდა მიმართოს სასამართლოს; ანალოგიური მოქმედებისთვის მეურვისა და სპეციალიზებული დაწესებულებისათვის გამოყოფილი ვადა 4 წელს შეადგენს; იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მ. 15081.

118 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კორესპონდენცია №01/10439, 01.09.2020.

119 2020 წლის აგვისტოს მონაცემებით.

120 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კორესპონდენცია №01/10439, 01.09.2020.

შინაარსთან დაკავშირებით.¹²¹ მხარდაჭერის ინსტიტუტის დანერგვასა და განხორციელებას ძირითადად აბრკოლებს შემდეგი ბარიერები¹²²:

საკანონმდებლო ბარიერები – ამ მიმართულებით გამოწვევას წარმოადგენს რეგულირების ბუნდოვანება ან/და არასაკმარისობა მხარდაჭერის დანიშვნისა და განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე (ფსიქოსოციალური საჭიროების განსაზღვრის, მხარდაჭერის განხორციელებისა თუ მხარდაჭერის მონიტორინგის პროცესში). დამატებით, შშმ პირებისთვის ქმედუნარიანობის კონცეფციით სარგებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა კანონმდებლობის ნაწილის ფორმულირებაა – იგი მხარდაჭერის მიმღებ პირთა მიმართ ბლანკეტურ შეზღუდვებს ადგენს მთელ რიგ საკითხებთან მიმართებით. ეს შეზღუდვები არსებითად არღვევს ამ ჯგუფის წარმომადგენელთა უფლებებს ისეთ სფეროებში, როგორცაა, შრომა და დასაქმება, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემა და სხვ.¹²³

ამასთან, იმისათვის, რათა ნებისმიერმა პირმა თანასწორად ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით, არსებითად მნიშვნელოვანია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც პირდაპირ უთითებს შეზღუდული შესაძლებლობის ნიშანზე, როგორც დისკრიმინაციული მოპყრობის ერთ-ერთ საფუძველზე. საქართველოს პარლამენტის მიერ 2020 წლის ივლისში მიღებულმა კანონმა, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“, ასევე გაამახვილა ყურადღება შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვაზე. მნიშვნელოვანია, რომ კანონი ასევე დისკრიმინაციად განსაზღვრავს უარს გონივრულ მისადაგებაზე, რომელიც წარმოადგენს არსებითად მნიშვნელოვან პრინციპს შშმ პირთა თანასწორობის უზრუნველყოფისა და საზოგადოების ყველა სფეროში მათი ჩართვის მიმართულებით. თუმცა, მიუხედავად ამ ზოგადი რეგულირებისა და მხარდაჭერის მარეგულირებელ კანონმდებლობაში არსებული გამოწვევებისა, კანონმა მინიმალურ დონეზეც

121 იხ. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება – კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, 2016; საქართველოს სახალხო დამცველი, ქმედუნარიანობა – საკანონმდებლო რეფორმა იმპლემენტაციის გარეშე, 2016; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2017, გვ. 126, 301.

122 ზემოაღნიშნული ბარიერები 2019 წლის განმავლობაში გამოავლინეს ორგანიზაციებმა – ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR), საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია (GASW) და გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში – თბილისი (GIP – Tbilisi), სამაგიდო კვლევის, ექსპერტებთან ინტერვიუებისა და მხარდაჭერის პროცესში ჩართულ ყველა აქტორთან (მხარდაჭერის მიმღებები, მხარდაჭერები, სერვისის მიმწოდებლები, მოსამართლეები, სოციალური მუშაკები, ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტობის ექსპერტობის ეროვნული ბიუროს წარმომადგენლები) ფოკუს-ჯგუფის შეხვედრების განხორციელების შედეგად.

123 იხ. საქართველოს სახალხო დამცველი, ქმედუნარიანობა – საკანონმდებლო რეფორმა იმპლემენტაციის გარეშე, 2016; ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება – კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, 2016.

კი არ გაითვალისწინა სამართლებრივი ქმედუნარიანობის უფლებრივი სტანდარტი და სახელმწიფო უწყებების ვალდებულებები, ეფექტიანად დანერგონ და მართონ მხარდაჭერის სისტემა.¹²⁴

ინსტიტუციური ბარიერები – ამ მიმართულებით ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევაა მხარდაჭერის სისტემის ნებისმიერი ეტაპის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებების გადატვირთულობა, პროცესში გამოსაყენებელი ეფექტიანი და კონვენციასთან შესაბამისი ინსტრუმენტების საჭიროება, ადამიანური და ფინანსური რესურსების ნაკლებობა. ცალკეულ შემთხვევებში, ასევე პრობლემურია უწყებებს შორის ეფექტიანი კოორდინაციის უზრუნველყოფაც.

ინსტიტუციურ დონეზე არსებული გამოწვევებიდან, განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ბარიერები სერვისების მიწოდების მიმართულებით. კერძოდ, ქვეყანაში დღემდე არ დანერგილა მხარდამჭერის სერვისი, რის გამოც, ოჯახის წევრების (როგორც მხარდამჭერების) ეფექტიანი ალტერნატივა¹²⁵ ფაქტობრივად არ არსებობს. ამ სისტემის ფარგლებშიც კი, პრობლემურია მხარდაჭერის პროცესში ჩართული ყველა აქტორის (როგორც უწყებების, ისე მხარდაჭერის მიმღებებისა და მხარდამჭერის) სისტემური და კომპლექსური ინფორმირება ქმედუნარიანობისა და მხარდაჭერის სისტემის შინაარსსა და მის პრაქტიკულ ასპექტებთან დაკავშირებით, რაც გამორიცხავს რეფორმის ეფექტიან აღსრულებას. მეორე მხრივ, სახელმწიფოში მწირად არის განვითარებული ისეთი სერვისები, რომლებიც უზრუნველყოფდა მხარდაჭერის მიმღებ პირთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებას, მათი დამოუკიდებელი ცხოვრების უფლების განხორციელებასა და საამისოდ აუცილებელი უნარების გამომუშავებას თუ დახვეწას.

ერთ-ერთი უმწვავესი ბარიერი, რაც ქმედუნარიანობის კონცეფციის დანერგვას უკავშირდება, ფსიქოსოციალური და ინტელექტუალური ნიშნით შშმ პირების ინსტიტუციონალიზაციის მძიმე პრაქტიკაა. დიდი ზომის ინსტიტუციებში მოთავსებული პირები სრულიად მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, ჰქონდეთ გარესამყაროსთან კავშირი, ჰქონდეთ არჩევანი და დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები საკუთარ ცხოვრებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ამ პირთა სამართლებრივი ქმედუნარიანობის უფლება მხოლოდ ფორმალურად გარანტირებული რჩება.

ინფორმაციული ბარიერები – როგორც ზემოთ აღინიშნა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბარიერი, რომელიც ქმედუნარიანობის კონცეფციის დანერგვასა და განხორ-

124 იხ. განცხადება – „შშმ პირები და ორგანიზაციები „შშმ პირთა უფლებების შესახებ“ კანონის მიღებას ეხმებიან“, ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/ka/products/shshm-pirebi-da-organizatsiebi-shshm-pirta-uflebebis-she-sakheb-kanonis-mighebas-ekhmianebian>.

125 სხვადასხვა გამოწვევების გათვალისწინებით, სპეციალიზებული დაწესებულებების წარმომადგენლები და სოციალური მუშაკები ვერ ასრულებენ მხარდამჭერის მოვალეობას ეფექტიანად.

ციელებას უშლის ხელს, შესაბამისი აქტორების (როგორც სახელმწიფო უწყებების, ისე, სხვადასხვა სერვისის¹²⁶ მიმწოდებლების, მხარდაჭერის მიმღებებისა და მხარდამჭერების) ინფორმირებულობის სიმწირეა მხარდაჭერის სისტემის შინაარსსა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებით. ერთი მხრივ, სახელმწიფო არ დგამს შესაბამის ნაბიჯებს, ამ მიმართულებით ყველა აქტორისთვის/რგოლისთვის ინფორმაციის აქტიურად მისაწოდებლად და, მეორე მხრივ, მხარდაჭერის მიმღებ პირებს არ აქვთ მნიშვნელოვანი ინფორმაციასთან წვდომა მათთვის მისაღებ და მისაწვდომ ფორმატებში (მათ შორის, მარტივად წასაკითხი – ე.წ. easy-to-read – ფორმატი). ინფორმაციულ ვაკუუმთან ერთად, განსაკუთრებით აღსანიშნავია საზოგადოებაში არსებული სტიგმა და დისკრიმინაციული განწყობები შშმ პირთა მიმართ, რაც უარყოფითად აისახება ამ ჯგუფის წარმომადგენლებზე, ისარგებლონ ქმედუნარიანობით, და რომლის აღმოფხვრაც სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი უნდა გახდეს.

ბარიერები პრაქტიკაში – პრაქტიკაში არსებული ბარიერები უმეტესწილად კანონმდებლობიდან, სასამართლო გადაწყვეტილებებიდან თუ ინსტიტუციური ჩარჩოს არასათანადო ფუნქციონირებიდან გამომდინარეობს. სხვა ფაქტორებთან ერთად, განსაკუთრებულ გამოწვევად რჩება უშუალოდ მხარდაჭერის განხორციელების ეტაპი – ხშირ შემთხვევაში პრობლემურია მხარდაჭერის კონცეფციის აღრევა სხვა ინსტიტუტებისათვის დამახასიათებელ ფუნქციებთან (მაგ., მეურვე,¹²⁷ მზრუნველი, პერსონალური ასისტენტი), ისევე როგორც წყალგამყოფის პოვნა მხარდამჭერის ფუნქციებსა და ოჯახის წევრებს (რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში, არიან კიდევ მხარდამჭერები) შორის.

შშმ პირების მიერ სამართლებრივი ქმედუნარიანობის კონცეფციით სარგებლობის საკანონმდებლო, ინსტიტუციური, პრაქტიკული თუ ინფორმაციული ბარიერების მრავალგვარობიდან გამომდინარე, ნათლად იკვეთება სახელმწიფო პოლიტიკის არაეფექტიანობა ქმედუნარიანობის რეფორმის განხორციელებისა და ფსიქოსოციალური და ინტელექტუალური ნიშნით შშმ პირების უფლებრივი მდგომარეობის რეალური ცვლილებების კუთხით. ამ ბარიერების აღმოფხვრა, მათი ბუნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინირებული, წინასწარ დაგეგმილი, სისტემური და თანმიმდევრული მიდგომების გატარებით.

126 განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება სამედიცინო და საბანკო დანესებულებებს.

127 რაც ითვალისწინებს პრაქტიკაში გადაწყვეტილების მიღებას არა უშუალოდ მხარდაჭერის მიმღების, არამედ მხარდამჭერის მიერ.

დასკვნა

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ნათლად მიუთითებს კანონის წინაშე თანასწორობის მნიშვნელობაზე – თანაბარი სამართალსუბიექტობის კონცეფცია არსებითია ნებისმიერი ადამიანის მიერ თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დაუბრკოლებლად განსახორციელებლად. იგი კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს შშმ პირებისათვის – მათთვის, ვისაც ისტორიულად ჰქონდათ წართმეული საკუთარ ცხოვრებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების უფლება და საშუალება.

ცხადია, ქმედუნარიანობისა და თანაბარი სამართალსუბიექტობის კონცეფციების ანალიზისას მთელი რიგი თეორიული და პრაქტიკული ბუნდოვანება წამოიჭრება. შშმ პირებთან მიმართებით ე.წ. სამედიცინო მოდელის კარგად ფესვგადგმული პრაქტიკა, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, კვლავ გამოიხატება მეურვეობისა და გადაწყვეტილების მიღების ჩანაცვლებითი სხვა სისტემების ფუნქციონირებაში. ამ სფეროში სახელმწიფოებს სახელმძღვანელო პრინციპებს უნესებს კონვენცია და ისეთი საერთაშორისო ინსტრუმენტები, რომლებიც განმარტავენ კონვენციის ნორმებს, მათ შორის, კომიტეტი და სპეციალური მომხსენებელი. სწორედ მათი რეკომენდაციებისა და სპეციალური ანგარიშების ანალიზიდან იკვეთება ის ძირითადი პრინციპები (მათ შორის, მხარდაჭერის მიმღები პირის როლის ცენტრალურობა, მისი სურვილებისა და საჭიროებების პრიორიტეტიზაცია, თემზე დაფუძნებული მიდგომები და სხვ.), რომელთა გათვალისწინებაც არსებითია მხარდაჭერის კონცეფციის ეროვნულ დონეზე დასანერგად.

საერთაშორისო სტანდარტების პარალელურად, მნიშვნელოვანია საქართველოში არსებული მდგომარეობის შეფასებაც. როგორც ზემოთ აღინიშნა, ქვეყანაში გატარებული ქმედუნარიანობის რეფორმის მნიშვნელოვანი ნაწილი კონვენციასთან თავსებადია, თუმცა, დღემდე რჩება მთელი რიგი ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის მხარდაჭერის კონცეფციის ეროვნულ დონეზე დანერგვას. ერთი მხრივ, რეფორმას არ მოჰყოლია ე.წ. მეორე ტალღა, რომელიც კონვენციასთან მიუსადაგებდა ცალკეულ სამართლებრივ ნორმებს, მათ შორის, ისეთ საკანონმდებლო რეგულაციებს, რომლებიც მხარდაჭერის მიმღები პირების უფლებებს (მათ შორის, პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება, შრომის უფლება, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება) ბლანკეტურად ზღუდავს. მეორე მხრივ, სახელმწიფოს არ წარმოუდგენია არსებული რეფორმის ეფექტიანი აღსრულების ხედვა, რომელიც რეალურად შეცვლიდა ფსიქოსოციალური და ინტელექტუალური ნიშნით შშმ პირების უფლებებზე მდგომარეობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათლად იკვეთება სახელმწიფოს უმოქმედობა და ზედაპირულობა ეროვნულ დონეზე ქმედუნარიანობის კონცეფციის დამკვიდრების მიმართულებით. არსებული ვითარების გათვალისწინებით, ათასობით ადამიანის უფლებების დასაცავად და საჭიროებების გასათვალისწინებლად, პრინციპულად მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ შეაფასოს მხარდაჭერის სისტემის ყველა ეტაპი, რაც ამ დრომდე არ გაკეთებულა¹²⁸ და განსაზღვროს და აღასრულოს ამ სფეროში სისტემური და კოორდინირებული პოლიტიკა.

128 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კორესპონდენცია №01/10439, 01.09.2020.

ნაწილი II.

პირის მხარდაჭერის მიმღებად აღიარების პროცესი

შესავალი

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, სამართლებრივი ქმედუნარიანობის გარანტირებისას სახელმწიფომ მხარდაჭერის საჭიროების მქონე ყველა პირისთვის უნდა უზრუნველყოს მხარდაჭერის მისანვდომობა. ამ მიზნით, არსებითია, დადგინდეს პირის საჭიროების მოცულობა და საზღვრები, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარდაჭერის არაეფექტიანობა, ფაქტობრივად, გარდაუვალი იქნება.

პირის მხარდაჭერის მიმღებად აღიარების პროცესი მხარდაჭერის სისტემის მნიშვნელოვანი საფეხურია. კონვენცია არ შეიცავს კონკრეტულ დირექტივებს ამ მიმართულებით,¹²⁹ თუმცა ცხადია, რომ ეს პროცესი არსებითად კომპლექსური, თეორიულად და მეთოდოლოგიურად რთულია, რომელიც, სხვადასხვა სპეციალისტის, მათ შორის, მოსამართლეების, სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგების ან/და ფსიქიატრების ჩართვას მოითხოვს და საკანონმდებლო, პრაქტიკულ თუ ეთიკურ ელემენტებს მრავლად მოიცავს.¹³⁰

წინამდებარე თავის მიზანს წარმოადგენს იმ ძირითადი პრინციპებისა და საკითხების იდენტიფიცირება, რომელთაც პირის მხარდაჭერის მიმღებად აღიარების პროცესი უნდა ეყრდნობოდეს. შესაბამისად, მიმოხილული იქნება, როგორც სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესის, ისე პირის მხარდაჭერის საჭიროების იდენტიფიცირების პროცესის თავისებურებები.

თემატიკიდან გამომდინარე, თავი სამ ძირითად ნაწილად იყოფა. პირველი ნაწილი ეხება უფლებამოსილი ორგანოს მიერ პირის მხარდაჭერის მიმღებად განსაზღვრას, მეორე ნაწილი – პირის ფსიქოსოციალური საჭიროების შეფასების საკითხებს, ხოლო მესამე, დასკვნითი, ნაწილი მოიცავს თემატურ რეკომენდაციებს სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიმართ.

129 ცალკეულ შემთხვევებში განსხვავებაა შშმ პირის მიმართ სტატუსის მინიჭებასა და ფსიქოსოციალური საჭიროების დადგენას შორის. ამ დოკუმენტის მთავარი მიზანი სწორედ ამ უკანასკნელის ანალიზია.

130 Purser K., Capacity Assessment and the Law: Problems and Solutions, 2017, გვ. 1.

1. სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი

მხარდაჭერის სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის არსებითია სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამართულობა. საქართველოში 2015 წელს გატარებულმა ქმედუნარიანობის რეფორმამ სრულად შეცვალა სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და სავალდებულო გახადა განხილვაში მხარდაჭერის სავარაუდო მიმღები პირის მონაწილეობა¹³¹, მაშინ როცა რეფორმამდელი მოდელი პირის ქმედუნარიანობის პრეზუმციას ეყრდნობოდა¹³² და პირის პროცესიდან სრულად გამორიცხვას გულისხმობდა. „ტკუასუსტობის“ ან „სულით ავადმყოფობის“ საფუძვლით, სასამართლო შესაბამისი უფლებამოსილი პირის განცხადების საფუძველზე, უდავო წარმოების წესით იხილავდა პირისათვის სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების შეზღუდვის საკითხს და პროცედურის არც ერთი ეტაპი მისი მონაწილეობის შესაძლებლობას არ იძლეოდა. კანონმდებლობა გამორიცხავდა პირის ქმედუნარიანობისა და მისთვის მეურვის დანიშვნის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას.

მოცემული თავის მიზანია, განიხილოს პირისათვის მხარდაჭერის დანიშვნის პროცესი და მისი ყველა შემადგენელი ეტაპი. კერძოდ, ის მიმოიხილავს განცხადების მომზადებისა და სასამართლოში წარდგენის, სასამართლოს მიერ განცხადების შესწავლის, ექსპერტიზის ბიუროში გადაგზავნის და სასამართლო განხილვის ეტაპებს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელიც პირის ექსპერტიზის ბიუროში მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასებასა და ამ მიმართულებით არსებულ გამომწვევებსა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების მიმოხილვას მოიცავს, გაანალიზებულია კვლევის II ნაწილის მეორე თავში.

1.1 საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა

უფლებებისა და ვალდებულებების სხვების თანასწორად აღსრულებისთვის, შშმ პირები სხვების თანასწორად უნდა იყვნენ აღიარებულები სასამართლოებსა და მოსმენებზე.¹³³ ამ მიზნით, კონვენციის მე-12 მუხლის შესაბამისად გატარებული ღონისძიებები, სხვა პრაქტიკულ და ინსტიტუციურ გარანტიებთან ერთად, მოითხოვს მხარდაჭერის დანიშვნის პროცესში ყველა შშმ პირის ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებას და მათ ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აუცილებელია, ეს მოთხოვნა განხილული იყოს კონვენციის მე-13 მუხლთან კავშირ-

131 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მ 368¹⁸.

132 ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), ქმედუნარიანობის სისტემისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, 2016.

133 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 1 – Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014.

ში, რომელიც, თავის მხრივ, განსაზღვრავს ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების წინაპირობებს.

მართლმსაჯულების მისაწვდომობა, სასამართლოების შენობების მისაწვდომობის გარდა, პირველ რიგში, გულისხმობს სასამართლო განხილვების პროცესში შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინებას, ინფორმაციის მისაწვდომობას, მოსამართლეთა და სასამართლო სისტემის ცოდნას შშმ პირთა უფლებების დაცვის ძირითადი პრინციპების შესახებ. იმისათვის, რომ სასამართლო გადაწყვეტილებები დაეფუძნოს შშმ პირთა საჭიროებებს და რეალურად იყოს დაცული მათი უფლებები, მნიშვნელოვანია სასამართლო სისტემაში დასაქმებული ადამიანების, განსაკუთრებით კი, მოსამართლეების, ადვოკატების, სოციალური მუშაკების და სხვა სპეციალისტების გადამზადება.¹³⁴

მართლმსაჯულების სისტემაში ჩართული პროფესიონალების გადამზადების მნიშვნელობაზე საუბრობს ასევე კონვენციის მე-13 (2) მუხლი. კონვენციის ეს ჩანაწერი კიდევ უფრო დაკონკრეტებულია კომიტეტის რეკომენდაციებში, სადაც აღნიშნულია, რომ შშმ პირების მართლმსაჯულების მისაწვდომობის გაზრდის მიზნით, აუცილებელია სასამართლო სისტემის წარმომადგენლების გადამზადება მოიცავდეს შემდეგ თემებს: 1. საკითხები შშმ პირების მრავალფეროვნებისა და მათი ინდივიდუალური საჭიროებების შესახებ, რათა მიღწეული იყოს ყველა შშმ პირის მიერ მართლმსაჯულების მისაწვდომობა სხვების თანასწორად; 2. შშმ პირების პირადი ავტონომიისა და სამართლებრივი ქმედუნარიანობის თემები; 3. ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარების მეთოდები, რათა რეალურად იყოს მიღწეული მართლმსაჯულების პროცესში შშმ პირთა ჩართულობა.¹³⁵

1.1.1 საპროცესო უფლებები კონვენციის მე-12 მუხლის ეფექტიანი იმპლემენტაციის პროცესში – ძირითადი პრინციპები

კონვენციის მე-12 მუხლის ეფექტიანი იმპლემენტაციისა და პირისათვის გადაწყვეტილების მხარდაჭერის დანიშნვის პროცესში, მისი საპროცესო უფლებების დაცვის მიმართულებით, უმნიშვნელოვანესია 2020 წელს, გაეროს სპეციალური მომხსენებლის მონანილეობით შემუშავებული დოკუმენტი – „საერთაშორისო პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მართლმსაჯულების მისაწვდომობასთან დაკავშირებით“.¹³⁶ დოკუმენტი 10 ძირითად-

¹³⁴ Resolution adopted by the General Assembly on 17 December 2018, A/RES/73/177.

¹³⁵ Human rights in the Administration of Justice Report of the Secretary-General, Seventy-fifth session, A/75/327, 2020.

¹³⁶ UN Special Procedures, “International principles and guidelines on access to justice of persons with disabilities”, 2020.

დი პრინციპისგან შედგება, რომელიც ერთნაირად მნიშვნელოვანია შშმ პირების მართლმსაჯულების მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. თუმცა, კონვენციის მე-12 მუხლის შესაბამისად, საქართველოში არსებული მხარდამჭერის დანიშვნის პროცედურების კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, განსაკუთრებით უნდა გამოიყოს N 1, 2, 3, 4, 6 და 7 პრინციპი.

პირველი პრინციპი საუბრობს ყველა შშმ პირის სამართლებრივ ქმედუნარიანობაზე და შესაბამისად, მოითხოვს, რომ არც ერთ მათგანს არ შეეზღუდოს ეფექტიან მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობა სამართლებრივი ქმედუნარიანობის აღდგენისა და პრაქტიკაში მისი განხორციელების პროცესში. თავის მხრივ, დანარჩენი პრინციპები (N 2, 3, 4, 6 და 7) განსაზღვრავს სპეციალური, დამატებითი ღონისძიებების გატარების, დისკრიმინაციის დაუშვებლობის, გონივრული მისადაგების პრინციპის გამოყენების, ინფორმაციაზე წვდომის შესაბამისი გარანტიების შექმნისა და კომუნიკაციის ალტერნატიული ფორმების გამოყენების ვალდებულებას შშმ პირების მიერ მართლმსაჯულების უფლების სხვების თანასწორად განხორციელების მიზნით.

სამართლებრივი ქმედუნარიანობის აღდგენისა და პრაქტიკაში მისი ეფექტიანი გამოყენების მიზნით, აღნიშნული პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები სახელმწიფოებისგან მოითხოვს შემდეგი ქმედებების განხორციელებას მართლმსაჯულების მისაწვდომობასთან დაკავშირებით:

- ▶ უზრუნველყონ ყველა შშმ პირის სამართლებრივი ქმედუნარიანობის უფლება და მისი პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობა;
- ▶ აღიარონ და უზრუნველყონ შშმ პირების სრული ქმედუნარიანობა სასამართლო განხილვის ყველა ეტაპზე;
- ▶ უზრუნველყონ, რომ ისეთი მიდგომები, როგორცაა „კოგნიტური ქმედუნარიანობა“ და „მენტალური ქმედუნარიანობა“, რომელიც გამოიყენება ფუნქციური და ფსიქიკური ჯანმრთელობის სტატუსის შეფასებისას, არ გამოიყენებოდეს პირის სამართლებრივი ქმედუნარიანობის შეზღუდვის მიზნით;
- ▶ გადახედონ და შეცვალონ ყველა კანონმდებლობა, პოლიტიკა, სახელმძღვანელო მითითებები და პრაქტიკა, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ზღუდავს შშმ პირების სამართლებრივ ქმედუნარიანობას, მათ შორის, იმ პირების შემთხვევაშიც, რომელთა მიმართ გამოიყენება ნების ჩანაცვლების მიდგომა და რის გამოც შშმ პირები ვერ სარგებლობენ მართლმსაჯულების მისაწვდომობის უფლებით სხვების თანასწორად;

- ▶ გადახედონ და შეცვალონ ყველა კანონმდებლობა, პოლიტიკა, სახელმძღვანელო მითითებები და პრაქტიკა, რომელიც ამკვიდრებს სასამართლოსთვის მიმართვის შეზღუდვას და გამორიცხავს შშმ პირებს მათი სამართლებრივი ქმედუნარიანობის განმსაზღვრელი საქმის წარმოების პროცესში მონაწილეობისგან;
- ▶ გადახედონ და შეცვალონ ყველა კანონმდებლობა, პოლიტიკა, სახელმძღვანელო მითითებები და პრაქტიკა, რომელიც უკრძალავს მონაწილეობას შშმ პირებს ჩვენების მიცემის შესაძლებლობას სამართლებრივ ქმედუნარიანობაზე მითითების საფუძველზე;
- ▶ გადახედონ და შეცვალონ ყველა კანონმდებლობა, პოლიტიკა, სახელმძღვანელო მითითებები და პრაქტიკა, რომელიც სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს აძლევს ძალაუფლებას, იყვნენ წამყვანი ექსპერტები შშმ პირების სამართლებრივი ქმედუნარიანობისა და გადანყვეტილების მიღების შესაძლებლობის განსაზღვრის საკითხებთან დაკავშირებით;
- ▶ გადახედონ და შეცვალონ ყველა კანონმდებლობა, პოლიტიკა, სახელმძღვანელო მითითებები და პრაქტიკა, რომელიც ართმევს შშმ პირებს სამართლებრივი დავების დანყებისა და წარმართვის შესაძლებლობას;
- ▶ შექმნან მოქმედი და აღსრულებადი პროცედურები, რომელიც შესაძლებელს გახდის, რომ შშმ პირებმა მიიღონ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მომსახურება, რათა შეძლონ სასამართლო განხილვის ყველა ეტაპზე ეფექტიანად ჩართვა;
- ▶ უზრუნველყონ შუამავალი პროფესიონალების ან ფასილიტატორების მომსახურების მიწოდება, სადაც ამის საჭიროებაა, რათა სასამართლოსა და შშმ პირს შორის დამყარდეს ეფექტიანი კომუნიკაცია, რომელიც შესაძლებელს გახდის სასამართლო განხილვის ყველა ეტაპზე შშმ პირის სრულყოფილ ჩართულობასა და მონაწილეობას;
- ▶ უზრუნველყონ, რომ შშმ პირებს, რომელთაც გარკვეული მიზეზის გამო შეზღუდული აქვთ ქმედუნარიანობა, ჰქონდეთ უფლება, გაასაჩივრონ ან მოითხოვონ გადანყვეტილების შეცვლა სამართლებრივი ქმედუნარიანობის აღდგენის მოთხოვნით და ამ პროცესში ხელი მიუწვდებოდეთ ადვოკატის მომსახურებაზე.

პირისათვის მხარდამჭერის დანიშვნის, მხარდაჭერის სფეროებისა და ფარგლების განსაზღვრის პროცესში მნიშვნელოვანია, სასამართლო ხელმძღვანელობდეს კონვენციით განსაზღვრული პრინციპებით. სასამართლო გადანყვეტილება ამ მხრივ შეიძლება ეფუძნებოდეს გადანყვეტილების დამოუკიდებლად მიღების პრეზუმფციას

და ამ პროცესში შესაძლო მხარდაჭერის განხორციელების საჭიროებას, რომელიც სხვანაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს ნების თავისუფლების, ავტონომიურობის, პლურალიზმისა და ადაპტირებადი მხარდაჭერის პრინციპების სახით¹³⁷.

ნება და „პრეფერენციები“ – თითოეულ ადამიანს აქვს სურვილები და მისწრაფებები, რომელთა გამოხატავაც შესაძლებელია და რომელთა გავლენითაც ესა თუ ის ინდივიდი იწყებს მოქმედებას გადაწყვეტილებათა მისაღებად, რათა სწორედ საკუთარი სურვილებისა და მისწრაფებების შესაბამისად წარმართოს ცხოვრება.

თავისუფლება – თითოეულ ადამიანს აქვს უფლება, საკუთარი სურვილებისა და პრეფერენციების შესაბამისად წარმართოს თავისი ცხოვრება, მიიღოს აუცილებელი მხარდაჭერა შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურებისა თუ მესამე პირთა მხრიდან, როცა ამგვარი მხარდაჭერის განხორციელების ვალდებულება წარმოიქმნება. სამართლებრივი ქმედუნარიანობა, როგორც საზოგადოებაში ინტეგრაციისა და სრულფასოვანი ცხოვრებისათვის აუცილებელი სამართლებრივი წინაპირობა, ნებისმიერი ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა.

პლურალიზმი – არ არსებობს მხოლოდ ერთი „სწორი“ ფორმა ამა თუ იმ გადაწყვეტილების მისაღებად. შესაბამისად, ვერ იარსებებს ვერავითარი პროფესიონალური კრიტერიუმი საიმისოდ, რომ ჩამოყალიბდეს საზოგადო, შაბლონური სტანდარტი სხვადასხვა საჭიროების მქონე მხარდაჭერის მიმღებ პირთათვის. მხარდაჭერის ფარგლები ცალკეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად, მხარდაჭერის მიმღები პირის კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს.

ადაპტირებადი მხარდაჭერა – შშმ პირთა დამოუკიდებლობის, ავტონომიისა და ქმედუნარიანობის უფლების განხორციელება საჭიროებს ადაპტირებად მხარდაჭერას სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს, რომ მხარდაჭერის ხასიათს მხარდაჭერის მიმღების ინდივიდუალური საჭიროებები განსაზღვრავს. სხვადასხვა ადამიანი, შესაძლებელია, განსხვავებული სახის მხარდაჭერას საჭიროებდეს სოციალური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში, შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მხარდაჭერის სერვისები მორგებული იყოს კონკრეტულ პირთა საჭიროებებზე.

მნიშვნელოვანია, გადაწყვეტილება პირისათვის მხარდაჭერის დანიშვნასთან დაკავშირებით იყოს დასაბუთებული და აუცილებლად ფიქსირდებოდეს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მხარდაჭერის სავარაუდო მიმღების დამოკიდებულება/სურვილები. კერძოდ, გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს შემდეგ საკითხებს:¹³⁸

137 Bizchut, Supported Decision-Making Service for Persons with Disabilities.

138 Shebang N., Dimitrova M., Aleksieva P., Georgiev I., Valentina Hristakeva V., Vladimirova S., Malinova I., Aleksandrova L., Andonova A., Naydenova S., Guidebook to Rights Enforcement, 2014.

- ▶ ზოგადი ინფორმაცია პირისა და მისი გარემოს შესახებ;
- ▶ სფეროები ან სიტუაციები, რომელშიც პირს აქვს სირთულებები, მიიღოს გადაწყვეტილება;
- ▶ სფეროები ან სიტუაციები წარსულში, რომელშიც პირს ჰქონდა სირთულებები, მიიღო გადაწყვეტილება;
- ▶ პირის დამოკიდებულებები სფეროებისა და სიტუაციების შესახებ (მიაჩნია თუ არა, რომ მხარდაჭერა იქნება კარგი ამ პროცესში);
- ▶ პირის ძლიერი მხარეები/რესურსები;
- ▶ გარემოს დამოკიდებულება ამ სირთულებების მიმართ;
- ▶ გარემოში არსებული რესურსები;
- ▶ ყველა ის საკითხი, რომელიც მოცემულ ინდივიდუალურ შემთხვევაში მნიშვნელოვანი იქნება გადაწყვეტილების დასასაბუთებლად.

1.1.2. მხარდამჭერის შერჩევა

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც სასამართლომ უნდა შეისწავლოს პროცესის განმავლობაში, არის მხარდამჭერის მიმღები პირისა და მხარდამჭერის თავსებადობა, ინტერესთა კონფლიქტის არარსებობა, მისი შესაძლებლობა, იყოს ეფექტიანი მხარდამჭერი კონკრეტულ სფეროში და მათ შორის ნდობის არსებობა, რომელიც ერთ-ერთი წამყვანი კრიტერიუმი უნდა იყოს სასამართლოს მიერ მხარდამჭერისა და მხარდამჭერის მიმღები პირის თავსებადობის შეფასების დროს¹³⁹.

კონვენციის ზოგადი პრინციპებისა და საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, მხარდამჭერის შერჩევის პროცესში, მისი შესაძლებლობა, იყოს ეფექტიანი მხარდამჭერი კონკრეტულ სფეროში, მიიღწევა ისეთ სისტემებში, როდესაც არსებობს მხარდაჭერა, როგორც სერვისი, რა დროსაც აქცენტი კეთდება პროფესიონალ მხარდამჭერებზე, მათ კვალიფიკაციაზე, დაამყარონ ეფექტიანი კომუნიკაცია მხარდაჭერის მიმღებ პირებთან. სასამართლოსთვის მეორე ალტერნატივა მხარდამჭერის შერჩევის პროცესში, შესაძლოა, იყოს იმის შემოწმება, გაიარეს თუ არა მომავალმა მხარდამჭერებმა კონკრეტული გადამზადება და/ან შესაბამისი ტრენინგები.

¹³⁹ Council of Europe, Commissioner for Human Rights, Who gets to decide? Right to Legal Capacity for Persons with Intellectual and Psychosocial Disabilities, 2012.

რაც შეეხება მხარდამჭერსა და მხარდაჭერის მიმღებ პირებს შორის ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობისა და ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შემონახვას სასამართლოს მიერ, ეს შესაძლებელია მიღწეული იყოს მხარდაჭერის სავარუდო მიმღები პირის ეფექტიანი ჩართვით პროცესის მიმდინარეობაში და გადანყვეტილების მიღების პროცესში. ასევე, აღნიშნული საკითხების შემონახვის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საჭიროა მათი საკანონმდებლო დონეზე რეგულირება და კონკრეტული სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება სასამართლო სისტემისათვის.

გადანყვეტილების მხარდაჭერის მოდელის ნებისმიერი მიდგომა უნდა პასუხობდეს შშმ პირის საჭიროებებს. შესაბამისად, მხარდამჭერი პირების შერჩევა უნდა ხდებოდეს უშუალოდ შშმ პირის მიერ. უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ ადამიანს, რომელსაც მხარდაჭერის სავარაუდო მიმღები პირი იცნობდა უფრო მეტი დროის განმავლობაში. ამასთან, დასაშვებია უნდა იყოს რამდენიმე მხარდამჭერის დანიშვნა, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ დროს, როდესაც პირს აქვს შედარებით ინტენსიური მხარდაჭერის საჭიროება. ასეთ დროს, რამდენიმე მხარდამჭერმა, რომელთაც იციან პირის სხვადასხვა შესაძლებლობა, შესაძლოა, უკეთესად დააიდენტიფიცირონ მისი სურვილები და მხარდაჭერის საჭიროებები. აუცილებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი კრიტერიუმის გათვალისწინება მხარდამჭერის შერჩევის პროცესში:

- ▶ შემუშავებული უნდა იყოს მხარდამჭერის შერჩევის შესაბამისი კრიტერიუმები და შერჩევის პროცედურები;
- ▶ უნდა არსებობდეს მხარდამჭერების რეგისტრირებული სისტემა.

1.1.3. მხარდაჭერის სავარაუდო მიმღებთან კომუნიკაციის სტანდარტები გადაწყვეტილების მიღების პროცესში

სასამართლოს წარმომადგენლების მიერ მხარდაჭერის სავარაუდო მიმღებთან კომუნიკაციის დამყარება პროცესში მისი ეფექტიანი ჩართვისა და მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, მართლმსაჯულების მისაწვდომობის აუცილებელი პირობაა. კომუნიკაცია არის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი ეფექტიანი მხარდაჭერის განვითარების და გადანყვეტილების მიღებისთვისაც. კომუნიკაცია არის ორმხრივი პროცესი – ერთი პირი აგზავნის მესიჯს/ინფორმაციას და მეორე პირი იგებს მას და იღებს. კონკრეტული კომუნიკაციის არხის დასამყარებლად, ადამიანები იყენებენ კომუნიკაციას სიტყვებით, საგნებით, ფოტოებით, ნახატებით, სიმბოლოებითა და ჟესტებით. კომუნიკაციის წარმატებისთვის, არსებითია ფოკუსირება პირზე და იმის განსაზღვრა, თუ კომუნიკაციის რომელი მეთოდი შეესაბამება საუკეთესოდ მას.

ვერბალური კომუნიკაციის გარდა, არსებობს ალტერნატიული (სისტემა, რომელიც გამოიყენება მეტყველების ნაცვლად) და დამატებითი (სისტემა, რომელიც გამოიყენება მეტყველებასთან ერთად) კომუნიკაციის ფორმები. ალტერნატიული და დამატებითი კომუნიკაციის ფორმები მრავალფეროვანია და საჭიროა შეფასდეს, რომელი სისტემა მიესადაგება ადამიანს ყველაზე მეტად. ალტერნატიული და დამატებითი კომუნიკაცია საჭიროებს მხარდაჭერასა და ახალი სისტემების შეთავაზებას, კერძოდ:

- ▶ დახმარების გარეშე: ფესტები, სახის გამომეტყველებები;
- ▶ დახმარების საჭიროების მქონე: დამხმარე საშუალებები. მაგალითად, სურათები, კომპიუტერები ან კომუნიკაციის დამყარების სპეციალური მონწყობილობები.¹⁴⁰

კომუნიკაციის ალტერნატიული ფორმები, შესაძლებელია, საჭირო იყოს სასამართლო პროცესზე შშმ, მათ შორის, ინტელექტუალური ნიშნით შშმ პირებთან კომუნიკაციის დასამყარებლად. შეიძლება პირს ჰქონდეს სირთულე, გამოხატოს საკუთარი სურვილები და უპირატესობები და გააცნოს ისინი სხვა ადამიანებს. ზოგიერთ ადამიანს, მაგალითად, ესაჭიროება კომუნიკაციის მონწყობილობები ან ადამიანს, ვინც ესაუბრება, შესაძლოა დასჭირდეს სპეციალური ტექნიკების გამოყენება, რომ გაიგოს მისი სურვილები.¹⁴¹

გადანყვეტილების მიღების ან არჩევანის გაკეთების პროცესში მხარდაჭერა პირდაპირ უკავშირდება იმას, თუ რამდენად შესაძლებელია ამ ადამიანის გაგება. შეგეძლოს გაუწიო კარგი და ღირებული მხარდაჭერა ადამიანს, გაიგო მისი სურვილი, ინტერესები, დამოკიდებულებები, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ უსმენ და ინტერესდები, რა სურს მას რეალურად. სწორედ ამ მიდგომას უნდა ეფუძნებოდეს სასამართლოს ურთიერთობა მხარდაჭერის სავარაუდო მიმღებთან, რათა რეალურად მოახერხოს მოსამართლემ შშმ პირის ჩართვა გადანყვეტილების მიღების პროცესში, მასთან კომუნიკაციის დამყარება და მისი მოსმენა.

140 Shebang N., Dimitrova M., Aleksieva P., Georgiev I., Valentina Hristakeva V., Vladimirova S., Malinova I., Aleksandrova L., Andonova A., Naydenova S., Guidebook to rights enforcement, 2014.

141 Inclusion Europe, Key Elements of a System for Supported Decision-Making (Position Paper), 2008.

1.2 მხარდამჭერის დანიშვნის პროცესის საკანონმდებლო რეგულირება და გამოწვევები —საქართველოს კონტექსტი

რეფორმის შემდგომი კანონმდებლობის მიხედვით, პირისათვის მხარდაჭერის დანიშვნის პროცესი რამდენიმე ეტაპად შეიძლება დაიყოს: 1. განცხადების მომზადება და სასამართლოში წარდგენა, 2. სასამართლოს მიერ საქმის შესწავლა და ექსპერტიზის ბიუროში საქმის გადაგზავნა, 3. ექსპერტიზის ბიუროს მიერ პირის შეფასება, დასკვნის მომზადება და სასამართლოსთვის გადაგზავნა, 4. სასამართლო განხილვა და პირისათვის მხარდამჭერის დანიშვნის პროცესის დასრულება.

1.2.1 განცხადების მომზადება და სასამართლოში წარდგენა

პირისათვის მხარდამჭერის დანიშვნა სასამართლოში განცხადების წარდგენით იწყება, რომლის შეტანის უფლებაც აქვს უშუალოდ პირს, რომელსაც სურს, გახდეს მხარდაჭერის მიმღები, მისი ოჯახის წევრს, კანონიერ წარმომადგენელს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, ფსიქიატრიულ ან სპეციალიზებულ დაწესებულებას.¹⁴² კანონმდებლობით არ არის ზუსტად დადგენილი და წინასწარ განსაზღვრული ფორმა, რომელიც სავალდებულო წესით უნდა შეივსოს სასამართლოში განცხადების შეტანისას. თუმცა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს იმ ზოგად მოთხოვნებს განცხადების შინაარსთან დაკავშირებით, რომელსაც უნდა მოიცავდეს სასამართლოში შეტანილი განცხადება. მათ შორისაა სფეროების ჩამონათვალი, რომელშიც პირს სურს დაენიშნოს მხარდამჭერი.¹⁴³

თუმცა, ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და ამავე დროს, სხვა საკანონმდებლო აქტებით ან/და შიდა ინსტრუქციებით არ არის განსაზღვრული, როგორ შეიძლება მოხდეს სფეროების ფორმულირება, რომ მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელის არსი, პირის ინდივიდუალური საჭიროებები და მისი არჩევანი. მსგავსი რეგულაციების არარსებობის პირობებში საკმაოდ პრობლემურია სფეროების ჩამონათვალი, მისი ფარგლები, რომელიც ხშირად ისეთ საკითხებს ეხება და ისეთი სახის მხარდაჭერის განწვევას გულისხმობს, რაც არ შეესაბამება რეფორმის მთავარ არსს – ნების ჩამოყალიბებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მხარდაჭერას. მაგალითად, სასამართლოს მიერ მხარდამჭერის კომპეტენციად განისაზღვრება მხარდამჭერისთვის უფლების განხორციელების სრული მოცულობით გადაცემა, მხარდამჭერის მიერ უფლებების თავად განხორციელება.¹⁴⁴ ხშირად ხდება სფეროების უკიდურესი დავიწროება, რაც

142 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მ. 368¹⁴.

143 იქვე, მ. 369¹⁵.

144 საქართველოს სახალხო დამცველი, ქმედუნარიანობა – საკანონმდებლო რეფორმა იმპლემენტაციის გარეშე, 2016.

ასევე დამატებით პრობლემასა და არაერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. მაგალითად, მხარდაჭერა პირადობის მონმობის აღების სფეროში, მაშინ, როცა შეიძლება გადანყვეტილებაში ასევე მითითებული იყოს ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის სფერო. ასევე, პრობლემურია ის გარემოება, რომ გადანყვეტილებებში გვხვდება ჩანაწერი, რომელიც უთითებს, რომ მხარდაჭერის მიმღებ პირს გარდა მოთხოვილისა, „ყველა სხვა სფეროში“ ესაჭიროება მხარდაჭერა.¹⁴⁵ ამასთან, მნიშვნელოვანია სამოქალაქო კანონმდებლობის სფეროების ზოგადი ჩამონათვალის განმსაზღვრელი მუხლი, რომელიც პირდაპირ აკონკრეტებს, რომ აღნიშნულ და სხვა, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროებში მხარდაჭერა უნდა გულისხმობდეს პირის მიერ მისი უფლებების განხორციელებას. მიუხედავად საპროცესო კანონმდებლობაში არსებული მსგავსი ჩანაწერისა, ხშირად ექსპერტიზის ბიუროს დასკვნები და ასევე სასამართლოს გადანყვეტილებებიც იმ შინაარსით არის ჩამოყალიბებული, რომ პირის მიერ გარკვეული უფლებებით სარგებლობის შეზღუდვაზე აკეთებს აქცენტს.¹⁴⁶

სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, განცხადების მომზადებისა და სასამართლოში მისი შეტანის ეტაპზე, რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი შეიძლება გამოიყოს, რომელიც, თავის მხრივ, რეფორმის ინსტიტუციური მხარდაჭერის ნაკლებობასთან არის დაკავშირებული:

- ▶ განცხადებები უმეტეს შემთხვევაში ბუნდოვანია, არ აკონკრეტებს გარკვევით შესაფასებელ სფეროებს და არ აკონკრეტებს მოთხოვნებს, რაც პრობლემურია, რადგან ასეთი ბუნდოვანი მოთხოვნები შემდეგში, პროცესის მიმდინარეობს დროს გამოიწვევს მხარდაჭერის მიმღები პირის ინტერესების გათვალისწინებასთან დაკავშირებულ სირთულეებს. თითქმის ყველა შემთხვევაში, სასამართლოსთვის მიმართვის მთავარი მოტივი, ფინანსური სახსრების განკარგვას უკავშირებდება.

ეს პრობლემა პირდაპირ შეიძლება დაუკავშირდეს რეფორმის დასაწყისში და დღემდე, მხარდაჭერის მიმღები პირების, მათი ოჯახის წევრებისა და მომავალი მხარდამჭერების ინფორმირებულობის ნაკლებობას რეფორმის ძირითად არსთან დაკავშირებით. ასევე, მხარდამჭერის, როგორც მომსახურების არარსებობას, როდესაც შესაძლებელი ხდება კვალიფიციური და შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი პირების მიერ პროფესიული მხარდაჭერის განხორციელება.

- ▶ განცხადებების სასამართლოში შეტანის მიზანი, როგორც წესი, არ არის პირის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა, არამედ შეზღუდვების დაწესება კონკ-

145 ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), ქმედუნარიანობის სისტემისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, 2016.

146 კვლევის პროცესში განხორციელებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი.

რეტული უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებით, რაც თავისთავად უკვე ეწინააღმდეგება გადანაცვეტილების მხარდაჭერის მოდელის მოთხოვნებს;

- ▶ სფეროების განსაზღვრა არ ეფუძნება პირის ინდივიდუალურ საჭიროებებს, ვინაიდან აღნიშნულ ეტაპზე არ ხდება მხარდაჭერის სავარაუდო მიმღები პირის კონკრეტული საჭიროებების სრულყოფილად გამოვლენა. ეს საკითხი პრობლემურია, რადგან ამის დაზღვევა არც სასამართლო განხილვის ეტაპსა და ექსპერტიზის ბიუროს შეფასებით არ ხდება, რის გამოც ხშირია გადანაცვეტილებებში სფეროების ფართო ჩამონათვალი, რომელიც შეიძლება პირდაპირ არც კი უკავშირდებოდეს მოცემულ მომენტში პირის საჭიროებებს.

განცხადებაში მოთხოვნის ბუნდოვანება სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას, უფრო ფართოდ მოითხოვოს პირის ფსიქო-სოციალური შეფასება და ამაზე დაყრდნობით მიიღოს გადანაცვეტილება. ასეთი მიდგომა კი თავისთავად არ ითვალისწინებს განმცხადებლის საწყის მოთხოვნებს და საკუთარი შეხედულებით აფასებს მას. შედეგად ვიღებთ პირის ფართო ფსიქო-სოციალური ექსპერტიზას და არა პირის სირთულეების შეფასებას სხვადასხვა სფეროში გადანაცვეტილების მიღებასთან დაკავშირებით და ამ სირთულეების დამზღვევი ძლიერი მხარეების შეფასებას.

1.2.2. სასამართლოს მიერ საქმის შესწავლა და ექსპერტიზის ბიუროში საქმის გადაგზავნა

პირისათვის მხარდაჭერის დანიშვნის მოთხოვნით სასამართლოში განცხადების წარდგენის შემდეგ, თუ სასამართლო მას წარმოებაში მიიღებს, მაშინვე ინიშნება ექსპერტიზა¹⁴⁷. ამ ეტაპზე განსაკუთრებით აქტუალური ხდება სასამართლო სისტემის მზაობა და ცოდნა, გადანაცვეტილების მხარდაჭერის მოდელის, შუამპირთა შეფასების სოციალური მოდელისა და კონვენციის ძირითადი პრინციპების შესახებ. ეს მნიშვნელოვანია, რადგან შეკითხვები, რომლითაც მიმართავს სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს, ერთი მხრივ, როგორც ზემოთ აღინიშნა, განცხადების ბუნდოვანებიდან გამომდინარე, მას უტოვებს შესაძლებლობას, კიდევ უფრო გააფართოვოს მოთხოვნილი სფეროები და მეორე მხრივ, დასვას ისეთი კითხვები, რომელიც არ გასცდება გადანაცვეტილების მხარდაჭერის მოდელის არსსა და რომელზე პასუხებიც მას დაეხმარება, პირის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული გადანაცვეტილება მიიღოს. რეფორმის შემდგომი პრაქტიკა აჩვენებს, რომ ამ მხრივ სერიოზული გამოწვევებია, რაც რეფორმის ეფექტიანად განხორციელებას უშლის ხელს.

147 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მ. 363²⁰.

სასამართლოს მხრიდან ექსპერტიზისათვის დასმული კითხვები არ არის ზუსტი, პირის გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებულ ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირებაზე მიმართული და იმეორებს კანონის ზოგად ჩანაწერს. კითხვის ფორმულირებისას, სასამართლო, უმეტეს შემთხვევაში ექსპერტიზის ბიუროს არ სთხოვს კონკრეტული უფლების განხორციელების ჭრილში შეფასებას¹⁴⁸. ამის გამო, ფაქტორივად, შეუძლებელია მხარდაჭერის მიმღები პირის რეალური საჭიროებების იდენტიფიცირება და კონკრეტული უფლებებით ეფექტიანად სარგებლობისთვის საჭირო მხარდაჭერის ფარგლების განსაზღვრა.

1.2.3. სასამართლო განხილვა და პირისათვის მხარდამჭერის დანიშვნის პროცესის დასრულება

სასამართლო განხილვის ეტაპთან დაკავშირებით კანონმდებლობა გარკვეულ შემთხვევებში ბუნდოვანია და საჭიროებს დამატებითი საკანონმდებლო ჩანაწერების გაკეთებას ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკისა და რაც მთავარია, მხარდაჭერის მიმღები პირების ინტერესებისა და მართლმსაჯულების უფლების დაცვის მიზნით. ერთ-ერთი ასეთი საკითხი პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის სასარჩელო წარმოებასთან დაკავშირებული რეგულაციებია.

რეფორმამდე პირის ქმედუნაროდ ცნობა უდავო კატეგორიის საქმეს განეკუთვნებოდა, რომელიც იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტების დადგენას გულისხმობდა და არ ითვალისწინებდა იმ შედეგებს, რომელიც დადგებოდა კონკრეტული პირის მიერ საკუთარი უფლებებით სარგებლობასთან დაკავშირებით¹⁴⁹. უდავო წარმოების თავისებურებიდან გამომდინარეობდა შშმ პირების სასამართლო განხილვაში ჩართვის საკითხი, რადგან ის უფრო მეტად დაინტერესებული პირის ინტერესებზე იყო მორგებული, რაც, განსხვავდებოდა ქმედუნაროდ საღიარებელი პირის ინტერესებისგან.

მხარდაჭერის რეფორმამ შეცვალა ეს მიდგომა და დღეს პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საქმის წარმოება უდავო წარმოებით აღარ მიმდინარეობს. იგი დამოუკიდებელი არასასარჩელო წარმოების სახეა, რომელიც ითვალისწინებს მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის პროცესში სავალდებულო მონაწილეობისა და სავალდებულო დაცვის გარანტიებს¹⁵⁰. მართალია, ფორმალურად პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საქმის წარმოება უდავო წარმოების წესით განსახილველ

148 ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), ქმედუნარიანობის სისტემისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, 2016.

149 იქვე.

150 სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 363¹⁸.

საქმეებს აღარ მიეკუთვნება, თუმცა, მაინც ვერ უზრუნველყოფს მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის სრულყოფილ მონაწილეობას პროცესში, რადგან არ ითვალისწინებს სასარჩელო წარმოებას და ამგვარად მხარდაჭერის სავარაუდო მიმღების სრულყოფილ ჩართვას განხილვაში. ასეთი მიდგომა საპროცესო უფლებების ეფექტიანად გამოყენებასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნებს აჩენს¹⁵¹. მსგავსი ბუნდოვანება კიდევ უფრო მეტ სირთულეს შექმნის პროცესის მიმდინარეობის დროს, როდესაც პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხი წამოწყებულია მესამე მხარის მიერ, რომლის მიერ განსაზღვრულ სფეროებსა და ფარგლებს არ ეთანხმებოდეს მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირი. ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია კანონმდებლობა მკაფიო პასუხს იძლეოდეს განხილვის სასარჩელო წესით დაწყების აუცილებლობაზე.

კიდევ ერთ მნიშვნელოვანი ხარვეზი, რომელიც კანონმდებლობაში კონკრეტული რეგულაციის არარსებობით არის გამოწვეული, დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, როდესაც მხარდაჭერის სავარაუდო მიმღები არ ეთანხმება კონკრეტული პირის მხარდამჭერად დანიშვნის საკითხს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ განსაზღვრავს ამ თემასთან დაკავშირებით კონკრეტულ რეგულაციას, მაშინ, როცა მხარდამჭერისა და მხარდაჭერის მიმღები პირის თავსებადობა, მხარდამჭერის კვალიფიკაცია და მათ შორის ინტერესთა კონფლიქტის გამოკვლევა, სასამართლო განხილვის მთავარი მიზანი უნდა იყოს და ეფუძნებოდეს შშმ პირის ავტონომიურობისა და ინტერესების პატივისცემას.

მიუხედავად იმისა, რომ მხარდაჭერის დანიშვნის პროცესი ითვალისწინებს სავალდებულო წესით ამ პირის პროცესში ჩართვასა და მონაწილეობას, შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიებისა და ინსტრუქციების არარსებობის პირობებში, შშმ პირის ჩართვა საპროცესო განხილვის ეტაპზე მაინც ფორმალურ ხასიათს ატარებს. შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთ მტკიცებულებას მხარდაჭერის სფეროებისა და მისი ფარგლების შესახებ, წარმოადგენს ექსპერტიზის დასკვნა. სასამართლო პროცესიც მხოლოდ ფაქტების დადასტურებას ემსახურება და არა მხარდაჭერის დანიშვნის ობიექტური გარემოებების შესწავლას. ამის ერთ-ერთ მიზეზი შესაბამისი რეგულაციების არარსებობის გარდა, რეფორმის დაწყებისა და მიმდინარეობის პროცესში სასამართლო სისტემის არასაკმარისი მომზადებაა შშმ პირთა უფლებების დაცვის, კონვენციის ძირითადი პრინციპებისა და გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელის ძირითადი არსის, მათ შორის – შშმ პირებთან კომუნიკაციის სტანდარტების შესახებ.

ამდენად, საქმისწარმოების არსებული სისტემა სათანადოდ არ ითვალისწინებს მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის უფლებას, უარი განაცხადოს მხარდაჭერის

151 ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), ქმედუნარიანობის სისტემისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, 2016.

მიღებაზე, ეფექტიანად და სრულად ჩაერთოს განხილვაში. ეს კი, შეიძლება ითქვას, ინვესტ მხარდაჭერის მიმღები პირის მართლმსაჯულების უფლების არასრულად დაცვას.

სასამართლო პროცესის განხილვების დასრულების შემდეგ, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობასთან დაკავშირებით, რომელიც აუცილებელია ითვალისწინებდეს ისეთ საკითხებს, როგორცაა: უფლება/უფლებები, რომელიც პირს უწესდება მხარდაჭერა და ასევე, მხარდაჭერის ფარგლები, მხარდამჭერის/მხარდამჭერების უფლება-მოვალეობები, მხარდამჭერის/მხარდამჭერების მიერ ანგარიშის წარდგენის პერიოდულობა, მხარდაჭერის ვადა და ასევე, კონკრეტული, სპეციფიკური გარემოებები, რომელიც სწორედ პირის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და გადაწყვეტილების პირის საჭიროებებზე დაფუძნებით აღსრულებას უნდა გულისხმობდეს. მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო კანონმდებლობის ეს ჩანაწერი საკმაოდ ზოგადია, ის მაინც უთითებს აუცილებლობაზე, რომ გადაწყვეტილებაში მხარდაჭერა ყველა უფლების ნაწილში კი არ უნდა განისაზღვროს, არამედ კონკრეტული პირის საჭიროების მიხედვით დაზუსტდეს სფერო და მიეთითოს კონკრეტული ფარგლები, თუ რა სახის მხარდაჭერა უნდა განახორციელოს მხარდამჭერმა. ამის მიუხედავად, სასამართლო გადაწყვეტილებები ხშირად მხარდამჭერის უფლებას, როგორც შეზღუდვას, ისე განიხილავენ და ამასთან, უმეტეს შემთხვევაში, ფაქტობრივად მხარდაჭერის მიმღები პირის ნების ჩანაცვლებას ახდენენ¹⁵²:

- ▶ სასამართლო გადაწყვეტილებები ზოგიერთ შემთხვევაში მხარდაჭერის მექანიზმის გამოყენების ნაცვლად, რეალურად გულისხმობს ნების ჩანაცვლების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც პირდაპირ უთითებს მხარდამჭერის წარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე; მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ რეფორმის შემდგომი სამოქალაქო კანონმდებლობა იცნობს შემთხვევას, როდესაც მხარდამჭერს ეძლევა უფლება მხარდაჭერის მიმღები პირის სახელით, მისი ინტერესებიდან გამომდინარე, დადოს აუცილებელი გარიგებები¹⁵³. თუმცა, ეს ჩანაწერი ეხება უკიდურესად გამონაკლის შემთხვევებს, მხოლოდ გარიგების დადების შესაძლებლობაზე აკეთებს აქცენტს, მხოლოდ დროებით და აუცილებელ პირობად მიიჩნევს მას, რადგან სხვა შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ზიანი მიადგება მხარდაჭერის მიმღებ პირს. ეს ჩანაწერი უკიდურეს გამონაკლის შემთხვევაში უნდა იყოს გამოყენებული, მაგალითად, მაშინ, როდესაც პირი კომპათიბურ მდგომარეობაშია და ა.შ., არადა, ის, ფაქტობრივად, გადაწყვეტილებების უმეტეს შემთხვევაში გამოიყენება.

152 კვლევის პროცესში განხორციელებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი; ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), ქმედუნარიანობის სისტემისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, 2016; საქართველოს სახალხო დამცველი, ქმედუნარიანობა – საკანონმდებლო რეფორმა იმპლემენტაციის გარეშე, 2016.

153 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მ. 1293 (4).

- ▶ პრაქტიკაში გვხვდება ისეთი სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც რეალურად ითვალისწინებს რეფორმის მოთხოვნებს და არ იყენებს ჩანაცვლებითი მხარდაჭერის ფორმულირებებს. თუმცა, ამ შემთხვევაშიც გადაწყვეტილები პირის ინდივიდუალურ საჭიროებებს არ ეფუძნება და მხარდაჭერა წესდება ყველა უფლების განხორციელების ნაწილში.
- ▶ სასამართლო გადაწყვეტილებების დიდი ნაწილი არ განსაზღვრავს მხარდაჭერის ფარგლებს, რაც ართულებს როგორც გადაწყვეტილების აღსრულებას, ისე ეფექტიანი მონიტორინგის განხორციელებას ზედამხედველობის ორგანოს, სოციალური მუშაკების მხრიდან.
- ▶ სასამართლო გადაწყვეტილებები ყველა შემთხვევაში არ მოიცავს დასაბუთების ნაწილს, რომელიც ნათელს გახდიდა პირისათვის კონკრეტულ სფეროში მხარდაჭერის დანიშვნის საფუძვლებს, კონკრეტული მხარდამჭერის დანიშვნის მართებულობას, მხარდამჭერსა და მხარდაჭერის მიმღებს შორის ინტერესთა კონფლიქტის არარსებობისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, რომელიც აქცენტს გააკეთებს პირის ინდივიდუალურ საჭიროებებზე¹⁵⁴.

2. პირის მხარდაჭერის საჭიროების შეფასება

ფსიქოსოციალური საჭიროების იდენტიფიცირება მხარდაჭერის სისტემის ერთ-ერთი ყველაზე კომპლექსური საფეხურია. მისი სირთულე შეფასების ერთ-ერთი მთავარი ობიექტის, გადაწყვეტილების მიღების უნარების, დინამიკური ხასიათიდან გამომდინარეობს – არავინ დავობს, რომ ამ მიმართულებით თითოეულ ადამიანს აქვს საკუთარი, უნიკალური უნარი, რომელიც სფეროს, დროსა და კონტექსტის მიხედვით მნიშვნელოვნად იცვლება.

გადაწყვეტილების მიღების უნარების არაერთგვაროვანი ბუნებიდან გამომდინარე, ცხადია, პირის მხარდაჭერის საჭიროების არსი და ინტენსივობა სხვადასხვა პერიოდში მნიშვნელოვნად შეიძლება განსხვავდებოდეს, თუმცა ამგვარმა სახეცვლილებამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას პირის მიერ ქმედუნარიანობის კონცეფციით სარგებლობას; მეტიც, სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა ზომა შშმ პირთათვის მათ საჭიროებებზე მორგებული მხარდაჭერის შესათავაზებლად.

ფსიქოსოციალური საჭიროების იდენტიფიცირების პროცესის სწორად წარმართვა არსებითად განაპირობებს შემდგომი ეტაპების (პირის მხარდაჭერის მიმღებად

154 საქართველოს სახალხო დამცველი, ქმედუნარიანობა – საკანონმდებლო რეფორმა იმპლემენტაციის გარეშე, 2016.

ცნობა, გადანყვეტილების მიღებაში მხარდაჭერა, მხარდაჭერის შემთხვევების მონიტორინგი) ეფექტიანობას. შესაბამისად, სახელმწიფოებმა კომპლექსურად უნდა განახორციელონ ყველა რელევანტური ღონისძიება პირთა მხარდაჭერის საჭიროების განსაზღვრის სისტემის სრულყოფისთვის.

2.1. შეფასების ძირითადი პრინციპები

ფსიქოსოციალური საჭიროებების შეფასების პროცესი სხვადასხვა ქვეყნის კონტექსტში განსხვავებულ მოდელს ეფუძნება და ცალკეულ შემთხვევებში არსებითადაა დაკავშირებული შეზღუდული შესაძლებლობის დეფინიციასთან.¹⁵⁵ კონვენციის მიღებამდე, კანონმდებლობასა და პრაქტიკაში ძირითადად სამედიცინო მოდელი იყო ფესვადგმული, მაშინ, როდესაც კონვენციის მიერ ცალსახად ფოკუსი კეთდება სოციალურ და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მოდელზე.¹⁵⁶ სამწუხაროდ, მიუხედავად კონვენციის მიერ პარადიგმის ცვლილებისა, შშმ პირებთან მიმართებით არსებული შეფასების პროცესი დღემდე მნიშვნელოვნად პრობლემური და ხარვეზიანია.¹⁵⁷

შეფასების კონცეფციის სირთულიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე, არ არსებობს მისი განხორციელების ე.წ. „ოქროს სტანდარტი“,¹⁵⁸ თუმცა ქვეყნების გამოცდილებისა და სხვადასხვა რელევანტური საერთაშორისო სტანდარტის ანალიზისას იკვეთება ის ზოგადი პრინციპები, რასაც ეს სისტემა უნდა დაეფუძნოს.

155 Waddington L., Priestley M., Sainsbury R., Disability Assessment in European States: ANED Synthesis Report, 2017.

156 Committee on the Rights of Persons with Disabilities, Concluding observations on the initial report of Belgium, CRPD/C/BEL/CO/1, 2014, პარ. 7-8; Committee on the Rights of Persons with Disabilities, Concluding observations on the initial report of Cyprus, CRPD/C/CYP/CO/1, 2017, პარ. 5; Committee on the Rights of Persons with Disabilities, Concluding observations on the initial report of Slovakia, CRPD/C/SVK/CO/1, პარ. 11-12.

157 შშმ პირთა უფლებების შესახებ გაეროს კომიტეტი არაერთი ქვეყნის კონტექსტში პრობლემურად ხედავს სხვადასხვა ტიპის შეფასების პროცესში სამედიცინო ელემენტების არსებობას. მაგ. იხ. Committee on the Rights of Persons with Disabilities, Concluding observations on the initial report of Greece, CRPD/C/GRC/CO/1, 2019, პარ. 5; Committee on the Rights of Persons with Disabilities, Concluding observations on the initial report of Bulgaria, CRPD/C/BGR/CO/1, 2018, პარ. 60; Committee on the Rights of Persons with Disabilities, Concluding observations on the initial report of Latvia, CRPD/C/LVA/CO/1, 2017, პარ. 7 (a); Committee on the Rights of Persons with Disabilities, Concluding observations on the initial report of the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland, CRPD/C/GBR/CO/1, 2017, პარ. 56 (c).

158 Purser K., Capacity Assessment and the Law: Problems and Solutions, 2017, გვ. 73.

ქმედუნარიანობის სტატუსის ნაცვლად, მხარდაჭერის საჭიროების იდენტიფიცირება

შეფასების პროცესის ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევა თეორიასა თუ პრაქტიკაში მისი დანიშნულების არასათანადო, კონვენციის შეუსაბამო განმარტებაა. არაერთ შემთხვევაში, იგი დანახულია არა როგორც პირის მხარდაჭერის საჭიროების განსაზღვრა, არამედ მისთვის ქმედუნარიანობის სრული ან ნაწილობრივი შეზღუდვის საფუძველი.

კანონმდებლობასა თუ პრაქტიკაში ფესვგადგმულ ამგვარ პრაქტიკას აკრიტიკებს კომიტეტი, რომელიც ნათლად მიუთითებს სამართლებრივი ქმედუნარიანობის კონცეფციის ადამიანისგან განუყოფელ ბუნებაზე და კონვენციასთან შეუსაბამოდ მიიჩნევს შეფასების ნებისმიერ სისტემას, რომელიც პირის ქმედუნარიანობის დადგენისკენ არის მიმართული. ამ მიზნით, კომიტეტი ერთმანეთისგან მკვეთრად მიჯნავს სამართლებრივი და მენტალური ქმედუნარიანობის ცნებებს და მიუთითებს, რომ პირის გადანყვეტილების მიღების უნარი მისი ქმედუნარიანობის სტატუსზე რაიმე სახის ზეგავლენას არ ახდენს.¹⁵⁹ კერძოდ, მენტალური ქმედუნარიანობის კონცეფცია მთლიანად უკავშირდება გადანყვეტილების მიღების უნარს, რაც დროსა და კონტექსტში განსხვავებულია და მისი ვარიაცია სახეზეა, მიუხედავად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსისა.¹⁶⁰ მეორე მხრივ, სამართლებრივი ქმედუნარიანობა არის სამართლებრივი კონცეფცია და გულისხმობს პირის მიერ უფლებების ქონას, სარგებლობას და მისი ქმედებებისათვის სამართლებრივი ეფექტის აღიარებას.¹⁶¹

კონვენციის მიერ პარადიგმების შეცვლის გათვალისწინებით, კომიტეტი მიუთითებს, რომ მხარდაჭერის მიწოდების პროცესის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოებმა საჭიროების იდენტიფიცირების არადისკრიმინაციული ინდიკატორები უნდა შეიმუშაონ.¹⁶² მნიშვნელოვანია, რომ შეფასების მიზანი იყოს არა პირის ქმედუნარიანობის სტატუსის რაიმე სახით ლიმიტაცია და მენტალური ქმედუნარიანობის დეფიციტებზე უპირობო ფოკუსირება, არამედ პირის წინაშე არსებული სოციალური, ეკონომიკური და სამართლებრივი ბარიერების განსაზღვრა, პირის საჭიროებების იდენტიფიცირება, საჭირო მხარდაჭერის ინტენსივობისა და ტიპის განსაზღვრა და ქმედუნარიანობით მაქსიმალური სარგებლობის უზრუნველყოფა.¹⁶³

159 Bach M., Kerzner L., A New Paradigm for Protecting Autonomy and the Right to Legal Capacity, 2010, გვ. 18; The Office of Public Advocate, Victoria, Australia, Supported Decision-making: Background and Discussion Paper, 2009, გვ. 5.

160 Council of Europe, A Study on the Equal Recognition before the Law, Contribution towards the Council of Europe Strategy on the Rights of Persons with Disabilities, 2017, გვ. 6.

161 Bantekas I., Stein M.A., Anastasiou D., The UN Convention on the Rights of Persons with Disabilities: A Commentary, 2018, გვ. 352.

162 Committee on the Rights of Persons with Disabilities, Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 1 – Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 29 (i).

163 Bach M., Kerzner L., A New Paradigm for Protecting Autonomy and the Right to Legal Capacity, Advancing Substantive Equality for Persons with Disabilities through Law, Policy and Practice, 2010, გვ. 18, 25, 99; World Health Organization, Realizing Supported Decision Making and Advance Planning, 2017, გვ. 38.

პროცესის დაფუძნება ადამიანის უფლებების პარადიგმაზე

შეფასების პროცესში ადამიანის უფლებებზე ზედმიწევნითი ორიენტირება აუცილებელია, რამდენადაც სწორედ ის განაპირობებს ძირითად უფლებებზე კონკრეტული პირების წვდომასა და სარგებლობას.¹⁶⁴ არსებითია, რომ შეფასების ეტაპზე პირი აღიქმებოდეს, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრი.¹⁶⁵

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომებზე საუბრისას უმნიშვნელოვანესია კონვენციის პრინციპების აღნიშვნა და შეფასების პროცესში მათი უპირობო გამოყენების ხაზგასმა. საჭიროებების იდენტიფიცირება უნდა ეფუძნებოდეს ისეთ ღირებულებებს, როგორცაა, მაგალითად, არადისკრიმინაციულობა, მრავალფეროვნებისა და ჰუმანურობის იდეების პატივისცემა, თანასწორობა.¹⁶⁶ ადამიანის უფლებების პარადიგმისა და კონვენციის ღირებულებების გათვალისწინებით, ერთ – ერთი არსებითი საკითხი, რაც გასათვალისწინებელია, შეფასებას დაქვემდებარებული პირის ღირსების დაცვაა. არსებითია, რომ ეს პროცესი არც ერთ ეტაპზე არ ინვევდეს პირისადმი არაადამიანურ ან სასტიკ მოპყრობას და დაიცვას მისი ფიზიკური და მენტალური მთლიანობა.¹⁶⁷

დამატებით, შეფასების დროს არსებითია, დაცული იყოს პროპორციულობა, რაც გულისხმობს ადამიანის პირადი ცხოვრების დაცვასა და პატივისცემას, შესაბამისად, საჭიროების გარეშე ამ სფეროში ჩარევის მინიმალურ დონეზე დაყვანას.¹⁶⁸ მნიშვნელოვანია, რომ შეფასებისას გათვალისწინებული იყოს მთელი რიგი პროცესუალური ასპექტებიც. მათ შორისაა: პროცესში ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა,¹⁶⁹ შესაფასებელი პირის პერსონალური ინფორმაციის პატივისცემა და კონფიდენციალობის დაცვა,¹⁷⁰ ამ ადამიანის მიმართ საზოგადოების სხვა წევრების მსგავსი დამოკიდებულება (ე.წ. ნორმალიზაციის პრინციპი/მიდგომა).

164 Assessing Legal Capacity: Improving Quality and Consistency <<https://www.lco-cdo.org/en/our-current-projects/legal-capacity-decision-making-and-guardianship/final-report/5-assessing-legal-capacity-improving-quality-and-consistency/>>

165 Work Forum on the Implementation of the UN Convention on the Rights of Persons with Disabilities in the EU and the Member States, Disability assessment from a human rights perspective, Catalina Devandas, United Nations Special Rapporteur on the Rights of persons with disabilities, გვ. 1; Purser K., Capacity Assessment and the Law: Problems and Solutions, 2017, გვ. 174.

166 Waddington L., Priestley M., Sainsbury R., Disability Assessment in European States: ANED Synthesis Report, 2017. გვ. 174.

167 იქვე, გვ. 171.

168 National Institute for Health and Care Excellence, Decision-making and Mental Capacity, 2018.

169 Purser K., Capacity Assessment and the Law: Problems and Solutions, 2017, გვ. 71.

170 იქვე, გვ. 174.

შეფასების პროცესის დროს შშმ პირის როლის ცენტრალურობა

შეფასებას დაქვემდებარებული პირის ცენტრალური როლის გააზრება მისი საჭიროებების იდენტიფიცირების პროცესში უპირობო პრიორიტეტად უნდა მიიჩნეოდეს.¹⁷¹ პროცესში ჩართულმა მხარეებმა მხედველობაში უნდა მიიღონ პირის ავტონომიურობის მნიშვნელობა, რაც გულისხმობს იმას, რომ მხოლოდ შშმ პირებს (და არა მხარდამჭერს ან/და მისი ოჯახის წევრს) აქვთ უფლებამოსილება, საკუთარ ცხოვრებასთან დაკავშირებით თავად მიიღონ გადაწყვეტილება. მეტიც, ისევე, როგორც საზოგადოების სხვა წევრებს, მათ აქვთ შეცდომის დაშვებისა და „არაპოპულარული“ გადაწყვეტილებების მიღების უფლება.¹⁷² ამგვარი პარადიგმის არსებობა შეფასების პროცესშივე გამორიცხავს პირისათვის ჩანაცვლებითი გადაწყვეტილების მიღების ფორმების შერჩევის შესაძლებლობას.

შშმ პირის ნებასა და სურვილზე ფოკუსირება¹⁷³ თავისთავად გულისხმობს, ერთი მხრივ, პირის ინფორმირებისა და მისი მოსაზრებების მაქსიმალურად გათვალისწინების აუცილებლობას¹⁷⁴ და, მეორე მხრივ, პირის მიმართ იძულების ღონისძიებების გამორიცხვას. მეტიც, შეფასების პროცესში პირის ჩართულობისა და როლის გაზრდის მიზნით, სახელმწიფოებს ეკისრებათ შეფასებისას გონივრული მისადაგების კონცეფციის გამოყენების ვალდებულება.¹⁷⁵

გემოაღნიშნული პრინციპების შინაარსიდან გამომდინარე, ნათელია, რომ სახელმწიფოებმა მნიშვნელოვანი სამუშაოები უნდა გასწიონ შეფასების მოდელის ადამიანის უფლებების პერსპექტივით გადახალისების მიმართულებით.¹⁷⁶ საბოლოო ჯამში, მათ უნდა უზრუნველყონ იმგვარი პოლიტიკის დანერგვა, რომელიც დაშორდება ბრუნვის, დაცვის მოდელს და გარესამყაროს მიერ შექმნილი ბარიერების მოშლისკენ იქნება მიმართული.¹⁷⁷

171 Waddington L., Priestley M., Sainsbury R., Disability Assessment in European States: ANED Synthesis Report, 2017, გვ. 171.

172 Bulgarian Center for Not-for-Profit Law, Supported Decision Making or how People with Intellectual Disabilities or Mental Health Problems can Live Independent Lives, 2014, გვ. 5; Resource Centre for People with Mental Disability – “Zelda”, Handbook: First Steps in Implementation of Supported Decision Making in Latvia, 2016, გვ. 57.

173 Committee on the Rights of Persons with Disabilities, Concluding observations on the initial report of Latvia, CRPD/C/LVA/CO/1, 2017, პარ. 7 (a).

174 Purser K., Capacity Assessment and the Law: Problems and Solutions, 2017, გვ. 72.

175 Waddington L., Priestley M., Sainsbury R., Disability Assessment in European States: ANED Synthesis Report, 2017, გვ. 43.

176 Report of the Special Rapporteur on the Rights of Persons with Disabilities, A/HRC/34/58, 2016, პარ. 65.

177 Committee on the Rights of Persons with Disabilities, Concluding observations on the initial report of India, CRPD/C/IND/CO/1, 2019, პარ. 7 (b).

2.2. ფსიქოსოციალური საჭიროების შეფასება – სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტები

შეფასების პროცესში გასათვალისწინებელი პრინციპების ანალიზის შემდგომ მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს ფსიქოსოციალური საჭიროების იდენტიფიცირების სამართლებრივ, ინსტიტუციურ თუ პრაქტიკულ ასპექტებზე. სისტემის დაუბრკოლებელი მუშაობისთვის არსებითია როგორც ჯეროვანი სამართლებრივი რეგულირება, ასევე, გამართული ინსტიტუციური ჩარჩო და ინსტრუმენტები, რომლებიც ეფექტიანად მოახდენს პირის საჭიროებების იდენტიფიცირებას.

2.2.1 შეფასების პროცესი – საკანონმდებლო და პოლიტიკის ინსტრუმენტების მნიშვნელობა

შეფასების პროცესის ეფექტიანობის ერთ-ერთი ინდიკატორი გამართული საკანონმდებლო ჩარჩოს არსებობაა. სამართლებრივი რეგულირების კუთხით ერთ-ერთ საინტერესო მაგალითს წარმოადგენს კანადის (ონტარიოს) შემთხვევა. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობა¹⁷⁸ გადაწყვეტილების მიღების ჩანაცვლების სისტემაზე ახდენს სწორებას, მნიშვნელოვანია იმ საკითხების გამოკვეთა, რომლებიც სამართლებრივ მონესრიგებას ექვემდებარება და არსებითია მხარდაჭერის სისტემის ფუნქციონირებისთვისაც. კერძოდ, ერთი მხრივ, ზოგადად, კანონით რეგულირდება შეფასების სისტემა, ხოლო მეორე მხრივ, მის საფუძველზე მოქმედებს შეფასების რეგულაცია.¹⁷⁹ გემოაღნიშნული რეგულაცია მოიცავს შეფასების ფორმებს და დამატებით ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა, შეფასებაზე პასუხისმგებელი პირის კვალიფიკაციის ამაღლება და სერტიფიცირება. შეფასების საკითხების სამართლებრივ რეგულირებას ითვალისწინებს ირლანდიის „გადაწყვეტილების მიღებაში დახმარების“ აქტიც¹⁸⁰, რომელიც ჩამოთვლის გადაწყვეტილების მიღების უნარების იმ ასპექტებს,¹⁸¹ რომლებთან მიმართებითაც უნდა განხორციელდეს შეფასება და ითვალისწინებს სახელმწიფოს ფუნქციას, შეფასებაში ჩართული პროფესიონალებისათვის შექმნას სპეციალური სახელმძღვანელო. გემოაღნიშნულ სამართლებრივ რეგულაციებთან ერთად არსებითია სფეროს ექსპერტების მოსაზრებები, თუ რას უნდა ითვალისწინებდეს შეფასების მარეგულირებელი კანონმდებლობა. მაგალითად, ბახისა და კერზნერის პოზიციით, მხარდაჭერის სისტემის მარეგულირებელმა კანონმდებლობამ ნათლად

178 Substitute Decisions Act, 1992, S.O. 1992, c.30; <https://www.ontario.ca/laws/statute/92s30>.

179 Ontario Regulation 460/05, Capacity Assessment, <https://www.ontario.ca/laws/regulation/050460>.

180 Assisted Decision-Making (Capacity) Act, 2015, <http://www.irishstatutebook.ie/eli/2015/act/64/enacted/en/print.html>.

181 აღნიშნული კანონი ამ ნაწილში კვლავ სამედიცინო მოდელს ეფუძნება და გადაწყვეტილების მიღების უნარების კანონისმიერი ტესტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, შეფასებას დაქვემდებარებული პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვას ითვალისწინებს.

უნდა განსაზღვროს შემფასებელი ორგანო და ამ პროცესის მთავარი მიზანი – პირის მხარდაჭერის საჭიროების იდენტიფიცირება.¹⁸²

შეფასების პროცესის საკანონმდებლო რეგულირებასთან ერთად ამ სფეროში უმნიშვნელოვანესია სახელმძღვანელო პრინციპების, პრაქტიკის კოდექსის ან/და ეთიკური სტანდარტების შემუშავება.¹⁸³ აღნიშნული დოკუმენტები, როგორც წესი, უკვე არსებული სამართლებრივი აქტების საფუძველზე და მათ აღსასრულებლად იქმნება, აწესებს რელევანტურ სტანდარტებს და პრაქტიკულ რეკომენდაციებს აძლევს სფეროს სპეციალისტებს.¹⁸⁴ დოკუმენტები შეფასებაში ჩართული ნებისმიერი პროფესიონალისთვის უმნიშვნელოვანესია, რადგან ადგენს მათი საქმიანობის ინდიკატორებს და ხელს უწყობს ერთგვაროვან პრაქტიკას.¹⁸⁵ მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი დოკუმენტები იყოს მოქნილი, იძლეოდეს ინფორმაციას საუკეთესო გამოცდილების შესახებ და რეგულარულად ახლდებოდეს.¹⁸⁶

ამ სფეროში არსებული რელევანტური ლიტერატურა ჩამოთვლის იმ საკითხებს, რომლებიც სახელმძღვანელოში უნდა იყოს გათვალისწინებული.¹⁸⁷ მათ შორისაა, შეფასების პროცესის ობიექტის ნათელი დეფინიცია, პროცედურის განმახორციელებელი აქტორები, შეფასების ძირითადი პრინციპები, შეფასებას დაქვემდებარებული პირის ინფორმირებისა და მისგან თანხმობის მიღების, ასევე, კომუნიკაციის ასპექტები, შეფასების თავისებურებები სხვადასხვა სფეროსა და ასაკობრივ კატეგორიებთან მიმართებით. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ რიგ ქვეყნებში¹⁸⁸ ამგვარი დოკუმენტების უმრავლესობა, გარკვეულწილად, არ შეესაბამება კონვენციის მოთხოვნებს, რადგან ითვალისწინებს გადაწყვეტილების მიღების ჩანაცვლებითი მოდელის არსებობის შესაძლებლობას, მათი შემუშავება მნიშვნელოვან ზომად უნდა ჩაითვალოს ამ მიმართულებით არსებული პრაქტიკის ერთგვაროვნებისა და პროფესიონალებისათვის დეტალური ინფორმაციის მიწოდების მცდელობის გათვალისწინებით.

182 Bach M., Kerzner L., A New Paradigm for Protecting Autonomy and the Right to Legal Capacity, 2010, გვ. 141 – 143.

183 Purser K., Capacity Assessment and the Law: Problems and Solutions, 2017, გვ. 175.

184 შეფასების პროცესის განხორციელების პრაქტიკულ ასპექტებთან დაკავშირებით, იხ. კვლევის ნაწილი II, თავი 2.2.3.

185 Purser K., Capacity Assessment and the Law: Problems and Solutions, 2017, გვ. 175.

186 იქვე, გვ. 177.

187 იქვე, გვ. 176, 178.

188 იხ. Attorney General's Department, New South Wales, Capacity Toolkit, 2009; Victorian Law Reform Commission, Guardianship, Final Report 24, 2012, გვ. xxxvii; National Institute for Health and Care Excellence, Decision-making and Mental Capacity, NICE Guideline, 2018; Scottish Government, Communication and Assessing Capacity, A Guide for Social Work and Health Care Staff, 2008.

2.2.2 შეფასების პროცესში ჩართული აქტორები

შეფასების პროცესის სამართლებრივი რეგულირებისა და რელევანტური პოლიტიკის დოკუმენტების შექმნის პარალელურად, არსებითია ამ მიმართულებით შესაბამისი ინსტიტუციური ჩარჩოს გამართულობა. ცხადია, ქვეყნების კონტექსტების მიხედვით, ამგვარი მექანიზმები ერთმანეთისგან განსხვავდება, თუმცა მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასება ყველაზე უფრო მისაღებ გამოცდილებად მიიჩნევა,¹⁸⁹ რადგან იგი იძლევა პირის საჭიროებებისა და მის წინაშე არსებული გამოწვევების ფართოდ და მრავალმხრივად შეფასების შესაძლებლობას.¹⁹⁰

ცალკეული ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საჭიროებების იდენტიფიცირებისას, მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობაში შესაძლოა, შედიოდნენ ექიმები, ოკუპაციური თერაპევტები, სოციალური მუშაკები, ფიზიოთერაპევტები, მეტყველების სპეციალისტები და სხვა.¹⁹¹ აღსანიშნავია კანადის გამოცდილებაც,¹⁹² რომლის მიხედვითაც, შეფასებასა და ამ პროცესზე ზედამხედველობის პასუხისმგებლობა ქმედუნარიანობის შეფასების სააგენტოს აკისრია,¹⁹³ ხოლო უშუალოდ პროცესში ისეთმა პირებმა შეიძლება მიიღონ მონაწილეობა, როგორებიც არიან: სოციალური მუშაკი, ექიმი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი.¹⁹⁴ ამგვარი მრავალმხრივი მიდგომის დამკვიდრებისას, გასათვალისწინებელია ევროპის საბჭოს რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც, უმჯობესია, მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობაში რომელიმე პროფესიის წარმომადგენელი არ დომინირებდეს.¹⁹⁵

ცხადია, მხოლოდ შემფასებელი აქტორების იდენტიფიცირება და მულტიდისციპლინური მიდგომის შემოღება ვერ უზრუნველყოფს გამართული ინსტიტუციური ჩარჩოს ჩამოყალიბებას. დამატებით, უმნიშვნელოვანესია შესაბამის აქტორებს შორის გამართული კომუნიკაცია და მათი ინფორმირებულობის უზრუნველყოფილი გარანტიები.

189 Purser K., Capacity Assessment and the Law: Problems and Solutions, 2017, გვ. 169; Waddington L., Priestley M., Sainsbury R., Disability Assessment in European States: ANED Synthesis Report, 2017, გვ. 151.

190 Council of Europe, Assessing Disability in Europe – Similarities and Differences, report drawn up by the Working Group on the assessment of person-related criteria for allowances and personal assistance for people with disabilities (Partial Agreement) (P-RR-ECA), 2002, გვ. 20.

191 Waddington L., Priestley M., Sainsbury R., Disability Assessment in European States: ANED Synthesis Report, 2017, გვ. 152; Bulgarian Center for Not-for-Profit Law, New “Formula” for Capacity to Act – Opportunity for Everyone to Exercise their Rights, 2014, გვ. 29.

192 მიუხედავად იმისა, რომ კანადური გამოცდილება ამ ნაწილში არ არის თანხვედრაში კონვენციის მოთხოვნებთან, რადგან შეფასების პროცესის შედეგად ითვალისწინებს პირისთვის ქმედუნარიანობის შეზღუდვის შესაძლებლობას, მისი გამოცდილება მნიშვნელოვანია მულტიდისციპლინური მიდგომების გამოყენების მიმართულებით.

193 Law Commission of Ontario, Legal Capacity, Decision-making and Guardianship, Final Report, 2017, გვ. Xii.

194 იხ. <https://www.attorneygeneral.jus.gov.on.ca/english/family/pgt/capacityoffice.php#caodo>.

195 Council of Europe, Assessing Disability in Europe – Similarities and Differences, report drawn up by the Working Group on the assessment of person-related criteria for allowances and personal assistance for people with disabilities (Partial Agreement) (P-RR-ECA), 2002, გვ. 20.

მულტიდისციპლინური გუნდის წევრებს შორის, მათი განსხვავებული პროფესიების გათვალისწინებით, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს არაეფექტიან კომუნიკაციას, თუმცა არსებითია, რომ შეფასების დროს უზრუნველყოფილი იყოს მათი მუშაობის კოორდინირება და ამ ნაწილში ღიად დარჩენილი სივრცეების ამოვსება. ეფექტიანი თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად ექსპერტები მიუთითებენ სპეციალური სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავების აუცილებლობაზე, რომლებიც განსაზღვრავს შეფასებაში ჩართული პირების მონაწილეობას პროცესში და მიუთითებს კონკრეტული სტანდარტების შეფასებაზე პასუხისმგებელ აქტორებზე.¹⁹⁶

ამასთან, ერთმნიშვნელოვანია, სახელმწიფომ სათანადო ღონისძიებები გაატაროს იმისათვის, რომ შეფასებაში ჩართული პირები კონვენციის მიზნებისა და იდეების შესაბამისად მოქმედებდნენ.¹⁹⁷ ამ ნაწილში არსებობს, ერთი მხრივ, პროფესიონალების უწყვეტი განათლებისა და ინფორმირების პრაქტიკა¹⁹⁸ და, მეორე მხრივ, პროცესში ჩართული პირების შერჩევისა და სერტიფიცირების¹⁹⁹ პროცედურების დანერგვა. ინფორმირების მიმართულებით ერთმნიშვნელოვანია კომიტეტის მოსაზრება, რომელიც განსაკუთრებით უსვამს ხაზს სახელმწიფოების ვალდებულებას, უზრუნველყოს მხარდაჭერის პროცესში ჩართული ყველა აქტორისათვის ტრენინგები ქმედუნარიანობისა და გადანერგვით მითვლილი მხარდაჭერის სისტემის შესახებ.²⁰⁰ ცხადია, ამგვარი რეკომენდაციები შეფასების პროცესში ჩართულ პირებსაც მიემართებათ²⁰¹ და მიზნად ისახავს მხარდაჭერის მთლიანი სისტემის გამართულ, ერთგვაროვან და ეფექტიან ფუნქციონირებას. ასევე არსებითია, პირებს გავლილი ჰქონდეთ სპეციალური გადამზადება შეფასების პროცედურებსა და მოქმედ რეგულაციებთან დაკავშირებით, ამასთანავე, შეფასებას დაქვემდებარებულ პირებთან ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების დამყარებისა და კომუნიკაციის შესახებ.²⁰² მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია შეფასებაში ჩართული აქტორებისთვის არა მხოლოდ რელევანტური ინფორმაციის მიწოდება, არამედ იმის იდენტიფიცირება, თუ რამდენად არის მათი ხედვა კონვენციასთან თანხვედრაში. ამ მიმართულებით საინტერესო პრაქტიკას წარმოადგენს მალტის შემთხვევა, სადაც შშმ პირთა შეფასებაში მონაწილე პირები შშმ პირთა უფლებების კომისარსა და კომისიის აღმასრულებელ დირექტორთან

196 Purser K., Capacity Assessment and the Law: Problems and Solutions, 2017, გვ. 168.

197 Waddington L., Priestley M., Sainsbury R., Disability Assessment in European States: ANED Synthesis Report, 2017, გვ. 177.

198 მაგ. იხ. Victorian Law Reform Commission, Guardianship, Final Report 24, 2012, გვ. 123.

199 იქვე.

200 იხ. მაგალითად, Committee on the Rights of Persons with Disabilities, Concluding Observations on the Initial Report of Germany, CRPD/C/DEU/CO/1, 2015, პარ. 26; Committee on the Rights of Persons with Disabilities, Concluding Observations on the Initial Report of Mongolia, CRPD/C/MNG/CO/1, 2015, პარ. 21.

201 European Network of Academic Experts in the Field of Disability (ANED), Disability Assessments in European States, ANED Synthesis Report, 2018, გვ. 44.

202 Purser K., Capacity Assessment and the Law: Problems and Solutions, 2017, გვ. 173.

გადიან ინტერვიუს, რათა შეფასდეს, თუ რამდენად შეესაბამება მათი თვალთახედვა კონვენციის მიდგომებს.²⁰³

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ შეფასების სისტემის ეფექტიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა გამართული ინსტიტუციური ჩარჩოს არსებობაა, რომლის ფუნქციონირებაც შეფასებაზე პასუხისმგებელი აქტორების ვალდებულებებისა და ურთიერთთანამშრომლობის პრინციპების ნათელი მითითებით, მულტიდისციპლინური მიდგომების ჩამოყალიბებითა და შეფასებაში ჩართული პროფესიონალების მუდმივი ინფორმირებითა და გადამზადებით უნდა წარიმართოს.

2.2.3 შეფასების პრაქტიკული ასპექტები

შეფასების პროცესთან მიმართებით ჯეროვანი სამართლებრივი თუ ინსტიტუციური ჩარჩოს ფუნქციონირებასთან ერთად არსებითად გასათვალისწინებელია მთელი რიგი პრაქტიკული ასპექტები, რომლებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მის წარმართვასა და შედეგზე. მათ შორისაა: შეფასების ინსტრუმენტები, შეფასებას დაქვემდებარებულ პირთან კომუნიკაცია, შეფასების დრო და ადგილი და სხვა. ცხადია, ამ მიმართულებებით არ არსებობს ერთიანი სტანდარტები, თუმცა ქვეყნების პრაქტიკისა თუ შესაბამისი ლიტერატურის დამუშავების შედეგად იკვეთება ის საკითხები, რომელთა გათვალისწინებაც არსებითია პროცესის სწორად და ეფექტიანად წარსამართად.

ზოგადი პრაქტიკული ასპექტები

მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულ ასპექტებში ქვეყნების გამოცდილება სრულად არ შეესაბამება კონვენციას (ვინაიდან ითვალისწინებს ქმედუნარიანობის შეფასებასა და მისი შეზღუდვის შესაძლებლობას), მნიშვნელოვანია მათი მხარდაჭერის ინსტიტუტის არსთან შესაბამისობაში მყოფი ნაწილების მიმოხილვა.²⁰⁴ კერძოდ, შეფასებაზე პასუხისმგებელმა პირებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ: 1) გადანყვეტილების მიღების უნარები სხვადასხვა დროსა და საკითხთან მიმართებით განსხვავდება; 2) პირის გადანყვეტილების მიღების უნარები არ უნდა შეფასდეს მისი ასაკის, გარეგნობისა თუ ქცევის თავისებურებების გათვალისწინე-

203 სხვა ქვეყნების გამოცდილებების შესახებ დეტალურად იხ. Waddington L., Priestley M., Sainsbury R., Disability Assessment in European States: ANED Synthesis Report, 2017, გვ. 174-175.

204 იხ. მაგ., Victorian Law Reform Commission, Guardianship, Final Report 24, 2012; National Institute for Health and Care Excellence, Decision-making and Mental Capacity, NICE Guideline, 2018; Attorney General's Department, New South Wales, Capacity Toolkit, 2009.

ბით; 3) პირის გადანყვეტილების მიღების უნარები არ უნდა შეფასდეს მის მიერ მიღებული გადანყვეტილების შინაარსის მიხედვით, შემფასებლის მიერ ამგვარი გადანყვეტილების არაგონივრულად მიჩნევის საფუძველზე; 4) შეფასება უნდა განხორციელდეს სანდო და თანამშრომლობით გარემოში; 5) შეფასების დროს პირის ავტონომია და პირადი სივრცე უპირობო დაცვით უნდა სარგებლობდეს; 6) შეფასება უნდა იყოს მაქსიმალურად მოქნილი და გათვალისწინებული იყოს პირის ცხოვრების ისტორია, მათ შორის, მისი კულტურული და ლინგვისტური კუთვნილება.

შეფასების დრო და ადგილი

სხვადასხვა რელევანტურ დოკუმენტში ყურადღება შეფასების იმგვარ დროსა და ადგილის/გარემოს შერჩევაზე ამახვილებენ, სადაც პირის უნარები ყველაზე ზუსტად შეფასდება.²⁰⁵ კერძოდ, ამ პროცესში გასათვალისწინებელია ის სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომლებიც პირში შესაძლოა, დამატებით სტრესს იწვევდეს.²⁰⁶ შესაბამისად, არსებითია შეფასება ისეთ გარემოში, სადაც შემცირებულია ხმაური, სტრესული სიტუაციები²⁰⁷ და შეფასებას დაქვემდებარებული პირი თავს მშვიდად და დაცულად იგრძნობს. მაგალითად, საოჯახო გარემოში შეფასება თითქმის ყოველთვის ეფექტიანია პირისთვის უცნობ გარემოში (მ.შ. სახელმწიფო უწყებებში) ექსპერტიზასთან შედარებით.²⁰⁸

შეფასების დრო უმნიშვნელოვანესია საჭიროებების ზუსტი იდენტიფიცირებისათვის. მაგალითად, შემფასებლებმა უნდა გაითვალისწინონ პირის დაღლილობის ხარისხი და მიღებული მედიკამენტების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაძლო ეფექტები.²⁰⁹ შეფასების ჩანიშვნისას ასევე გასათვალისწინებელია დროის ის მონაკვეთი, როდესაც პირის მონაწილეობის, კომუნიკაციისა და გადანყვეტილების მიღების უნარები დანარჩენ პერიოდთან შედარებით, სავარაუდოდ, უფრო ეფექტიანია.²¹⁰

205 Victorian Law Reform Commission, Guardianship, Final Report 24, 2012, გვ. 122.

206 Attorney General's Department, New South Wales, Capacity Toolkit, 2009, გვ. 22.

207 იქვე.

208 Victorian Law Reform Commission, Guardianship, Final Report 24, 2012, გვ. 122.

209 Attorney General's Department, New South Wales, Capacity Toolkit, 2009, გვ. 21-22; Purser K., Capacity Assessment and the Law: Problems and Solutions, 2017, გვ. 87.

210 Victorian Law Reform Commission, Guardianship, Final Report 24, 2012, გვ. 122.

პირის ჩართულობის უზრუნველყოფა და კომუნიკაციის თავისებურებები

შეფასებას დაქვემდებარებული პირის (მიუხედავად მისი საჭიროებების კომპლექსურობისა) პროცესში ნებაყოფლობით ჩართვასა და ინფორმირებას უდიდესი როლი აკისრია.²¹¹ ამ მიზნის მისაღწევად, უშუალოდ შეფასების დაწყებამდე შემფასებლებმა კომუნიკაციის გასაგები და მისაღები ფორმით (მათ შორის, მარტივად გასაგები ფორმატებით²¹²) უნდა მიაწოდონ პირს ინფორმაცია ისეთ საკითხებზე, როგორცაა: შეფასების მიზანი, ფორმა, შესაძლო შედეგები და პირის მონაწილეობის დადებითი მხარეები, ასევე, შესაძლო ინსტრუმენტები იმ შემთხვევაში, თუ პირი არ დაეთანხმება შეფასების შედეგს.²¹³

შეფასებისას, არსებითია, რომ მონაწილე მხარეებმა, შესაძლებლობის ფარგლებში, უზრუნველყონ სტრესის შემცირება და პირის ჩართულობის წახალისება,²¹⁴ ასევე, გამონახონ კომუნიკაციის ყველაზე მოსახერხებელი ფორმა.²¹⁵ აღნიშნული ფორმები შეიძლება მოიცავდეს როგორც ვერბალურ, ისე არავერბალურ (მაგ. სხვადასხვა ვიზუალური მასალით (ფოტოებით, ნახატებით, სიმბოლოებით)) კომუნიკაციას.²¹⁶ ცალკეულ შემთხვევებში, კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებების აუცილებლობისა თუ ენობრივი ბარიერის გამო პირთან ურთიერთობის სირთულეებისას პროცესმა უნდა გაითვალისწინოს შესაბამისი სპეციალისტის (მაგ. თარჯიმნის, მეტყველების სპეციალისტის) მონაწილეობა.²¹⁷

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რაც შეფასებაზე პასუხისმგებელმა აქტორებმა კომუნიკაციისას მხედველობაში უნდა მიიღონ, პირის ინსტიტუციონალიზაციის გამოცდილება (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მნიშვნელოვანია, რომ მათ გაითვალისწინონ აღნიშნული პრაქტიკის უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ცხოვრებაზე, მათ შორის, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობის არარსებობა. შემფასებლებმა უნდა გაიაზრონ, რომ ამ ფაქტორებს შეუძლიათ, გავლენა

211 იქვე, გვ. 113; Blanck P., Flynn E., Routledge Handbook of Disability Law and Human Rights, 2017, გვ. 151 – 152; Attorney General's Department, New South Wales, Capacity Toolkit, 2009, გვ. 63.

212 მაგ. იბ; Attorney General's Department, New South Wales, Capacity Toolkit, 2009.

213 National Institute for Health and Care Excellence, Decision-making and Mental Capacity, NICE Guideline, 2018, გვ. 22; Attorney General's Department, New South Wales, Capacity Toolkit, 2009, გვ. 63; Bulgarian Center for Not-for-Profit Law, Supported Decision Making or how People with Intellectual Disabilities or Mental Health Problems can Live Independent Lives, 2014, გვ. 5.

214 National Institute for Health and Care Excellence, Decision-making and Mental Capacity, NICE Guideline, 2018, გვ. 22.

215 მაგ. დემენციის დიაგნოზის მქონე პირები, ინტელექტუალური ნიშნით შშმ პირები, პირები, ფსიქოსოციალური ნიშნით შშმ პირები და სხვა; იბ. Scottish Government, Communication and Assessing Capacity, A Guide for Social Work and Health Care Staff, 2008, გვ. 19.

216 Department for Constitutional Affairs, Mental Capacity Act 2005, Code of Practice, 2007.

217 Attorney General's Department, New South Wales, Capacity Toolkit, 2009, გვ. 65; Blanck P., Flynn E., Routledge Handbook of Disability Law and Human Rights, 2017, გვ. 151 – 152; National Institute for Health and Care Excellence, Decision-making and Mental Capacity, NICE Guideline, 2018, გვ. 22.

მოახდინონ ადამიანის ქცევაზე (მაგ. შეფასების პროცესის მიმართ უნდობლობაზე) და შენიღბონ მათი რეალური შესაძლებლობები. ამ საკითხების მხედველობაში მიღებით, მაქსიმალური ძალისხმევა უნდა იყოს გაწეული იმისათვის, რომ შეფასებას დაქვემდებარებული პირი შემოვიდეს კომუნიკაციაში და გამოთქვას თავისი შეხედულებები და სურვილები.²¹⁸

შეფასების პროცესის ცალკეული ეთიკური ასპექტები

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული შეფასების პროცესის აუცილებელი ელემენტი ეთიკური ასპექტების მაქსიმალური გათვალისწინებაა. ცხადია, თითოეული შეფასების დროს პასუხისმგებელი აქტორების წინაშე ამ მიმართულებით სხვადასხვაგვარი გამოწვევები შეიძლება იდგეს, თუმცა ორი ძირითადი კომპონენტის – შეფასებას დაქვემდებარებული პირის ავტონომიურობისა და კონფიდენციალობის უზრუნველყოფის – ვალდებულება უცვლელი პრიორიტეტი უნდა იყოს.

მნიშვნელოვანია, რომ შეფასებაზე პასუხისმგებელმა პირებმა პერსონალური ინფორმაციის შეგროვების, გამოყენებისა თუ გაცემისას უპირობოდ დაიცვან კონფიდენციალობა და ამგვარი ინფორმაციის დაცვის მიმართულებით ქვეყანაში არსებული რეგულაციები.²¹⁹ არსებითია, რომ პასუხისმგებელმა აქტორებმა შესაფასებელ პირს მიაწოდონ ინფორმაცია მონაცემების შეგროვების საჭიროებისა და მიზნობრიობის შესახებ და დაამუშაონ მხოლოდ ის მონაცემები, რომლებიც შეფასების მიზნებისთვის არის რელევანტური.²²⁰

შემ პირთა ავტონომიურობის დაცვა, მათი ნებისა და სურვილების პრიორიტეტულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც პირი უარს აცხადებს შეფასებაში მონაწილეობაზე. ამ დროს არსებითია, შეფასებაში ჩართულმა აქტორებმა თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში უზრუნველყონ ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზებისა და მათი აღმოფხვრის გზების იდენტიფიცირება, მათ შორის, თუ რამდენად არის გამოწვეული პირის უარი უნდობლობით, მის წინაშე არსებული გამოწვევების უარყოფით ან/და სტიგმის არსებობით.²²¹ ამ დროს შემფასებლებს შესაძლოა ჰქონდეთ პირის მხარდამჭერ ქსელთან კონსულტაცია ან პირისთვის შესაძლებლობის მიცემა, შეფასების პროცესში ჩართოს/პროცესში მონაწილეობა მიაღებინოს მისთვის მისაღებ პირს.²²²

218 Scottish Government, Communication and Assessing Capacity, A Guide for Social Work and Health Care Staff, 2008, გვ. 24-25.

219 Attorney General's Department, New South Wales, Capacity Toolkit, 2009, გვ. 37-38.

220 იქვე, გვ. 38 – 39.

221 Scottish Government, Communication and Assessing Capacity, A Guide for Social Work and Health Care Staff, 2008, გვ. 15.

222 National Institute for Health and Care Excellence, Decision-making and Mental Capacity, NICE Guideline, 2018, გვ. 23.

შეფასების ობიექტი და ინსტრუმენტი

პროცესის დაწყებისას, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, შემფასებელმა დაამყაროს ურთიერთობა, ნდობა და შემდგომ გულმოდგინედ და საფუძვლიანად დაიწყოს პირის შეფასება, თუ რამდენად აქვს გაცნობიერებული მას სხვადასხვა საკითხი/ფაქტი, რა დოზით აქვს ინფორმაცია, რომელიც შესაბამისი გადანყვეტილებების მიღების დროს დაეხმარება,²²³ ასევე, რამდენად ესმის პირს თავისი გადანყვეტილებების არსი და მათი გავლენა მის ცხოვრებაზე.²²⁴ არსებითია, ასევე, შეფასდეს პირის მიერ თავისი საჭიროებების გაცნობიერებისა და დაკმაყოფილების შესაძლებლობა. მნიშვნელოვანია, რომ შემფასებელმა პირთან ერთად განიხილოს გარკვეული სიტუაციები გადანყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით, რათა შეძლოს მის მიერ რისკის, ბენეფიტების, სხვადასხვა ალტერნატივის აღქმისა და მიღებული გადანყვეტილების კომუნიკაციის უნარების,²²⁵ ასევე, ამ ადამიანის ღირებულებების და კონკრეტული გადანყვეტილების მიღების მიზნებისა და გარემოებების იდენტიფიკაცია.²²⁶

მხარდაჭერის საჭიროების ეფექტიანი იდენტიფიცირებისათვის არსებითია შეფასების დროს ეფექტიანი და მიზანზე ორიენტირებული ინსტრუმენტების გამოყენება. ამასთან, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ერთმნიშვნელოვნად გულისხმობს შეფასების მეთოდების ხშირად გადახედვის აუცილებლობას.²²⁷ შეფასებისას მთელი რიგი სტანდარტიზებული ტესტები და საკვლევი სკალები გამოიყენება, თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ნაწილში მსოფლიოს მასშტაბით არ არსებობს ერთიანი მიდგომა.²²⁸ ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად მიღებული შეფასების მონაცემები, კლინიკურ კვლევებთან ერთად, მეტ-ნაკლებად სრულ წარმოდგენას იძლევა პირის მხარდაჭერის საჭიროების შესახებ.

ცხადია, მოცემული კვლევის ფარგლებს სცდება შეფასების ინსტრუმენტების²²⁹ სიღრმისეული ანალიზი, თუმცა მათი ზოგადი შინაარსის მიმოხილვა არსებითია ამგ-

223 Capacity Assessment Office, 2005; Victorian Law Reform Commission, Guardianship, Final Report 24, გვ. 113.

224 National Institute for Health and Care Excellence, Decision-making and Mental Capacity, NICE Guideline, 2018, გვ. 21.

225 Purser K., Capacity Assessment and the Law: Problems and Solutions, 2017, გვ. 78.

226 Attorney General's Department, New South Wales, Capacity Toolkit, 2009, გვ. 68 – 69.

227 Committee on the Rights of Persons with Disabilities, Concluding observations on the initial report of the Former Yugoslav Republic of Macedonia*, CRPD/C/MKD/CO/1, 2018, პარ. 6.

228 Yuwadee V., Understanding The Support Needs of People with Intellectual and Related Developmental Disabilities Through Cluster Analysis and Factor Analysis of Statewide Data, Theses and Dissertations, Paper 75, 2013, გვ. 69-70.

229 მაგალითად, Support Intensity Scale (SIS), American Association on Intellectual and Developmental Disabilities; the Instrument for the Classification and Assessment of Support Needs (I-CAN), Nain Mina Parjaan, Kehitysvammaisten Palvelusaatio, D-START (Disability Support Training and Resource Tool), ICAP (Inventory for Client and Agency Planning), ONI (Queensland Ongoing Needs Identification), SAQ (InControl UK – Self Assessment Questionnaire); ICF Checklist Version 2.1a, Clinician Form for International Classification of Functioning, Disability and Health; WHO Disability Assessment Schedule 2.0 (WHODAS 2.0); The Development of a Tailored Support Needs Assessment Tool for Uniting, Care Disability's Flexible Options Program: Life Visioning and Support Needs Assessment Tool, 20-23; G. Ragesh, A. Hamza, K. Sajitha, Guideline for Social Work Assessment in Mental Health Settings, 2015.

ვარი ინსტრუმენტების მახასიათებლების, შეფასების ზოგადი სფეროებისა და სხვა პრაქტიკული ასპექტების საიდენტიფიკაციოდ. ცხადია, ყველა დოკუმენტი ინდივიდუალურად განსაზღვრავს და აჭგუფებს იმ სფეროებს, რომელთა მიმართაც მხარდაჭერის საჭიროება უნდა დადგინდეს, თუმცა, როგორც წესი, მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა: პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება, განათლება, დასაქმება, ფინანსური საკითხები, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, კომუნიკაცია, ინტერპერსონალური ურთიერთობები და ბუნებრივი მხარდაჭერის წრე, სხვადასხვა სოციალური ფაქტორები (მაგ. სოციალური სტიგმა, კულტურული გარემოებები) და სხვა.²³⁰ მნიშვნელოვანია, რომ ინსტრუმენტში მითითებული იყოს არა მხოლოდ სფეროების ზოგადი ჩამონათვალი, არამედ აღწერილი იყოს მათი შინაარსობრივი მხარეც, თუ თითოეული სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით რაზე უნდა გაამახვილოს შემფასებელმა ყურადღება.²³¹

გემოაღნიშნულ საკითხებთან ერთად სხვადასხვა, მათ შორის, ფინური, გამოცდილება²³² იცნობს ისეთი მიმართულებების შეფასებას/თვითშეფასებას, როგორცაა, პირის ცხოვრებისეული გამოცდილება (მ.შ. ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები), ძლიერი მხარე და უნარები,²³³ ასევე, გარემოებები, რომელთა შეცვლაც მას სურს. ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ ინსტრუმენტები წარმოაჩენენ არა მხოლოდ პირის მხარდაჭერის საჭიროებას რომელიმე სფეროსთან მიმართებით, არამედ მიუთითებენ მხარდაჭერის ფორმაზე,²³⁴ ინტენსივობასა²³⁵ და ტიპზე.²³⁶ ცხადია, მათი განსაზღვრისას არსებითია შეფასებას დაქვემდებარებული პირის პოზიცია და მოსაზრებები.

230 Guidelines for Interviewing People with Disabilities: Supports Intensity Scale, American Association on Mental Retardation, გვ. 1.

231 ამგვარი მიდგომის მაგალითია შოტლანდიის შემთხვევა, რომელიც ითვალისწინებს დანვრილებით რეკომენდაციებს, თუ რა საკითხებზე უნდა გაამახვილონ ყურადღება შემფასებლებმა. მიუხედავად იმისა, რომ ეს დოკუმენტიც სხვა სახელმძღვანელოების მსგავსად ითვალისწინებს გადაწყვეტილების მიღების ჩანაცვლებითი სისტემის არსებობას, მისი დანარჩენი, კონვენციასთან შესაბამისი ნაწილი მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იყოს მხარდაჭერის სისტემაში; იხ. Scottish Government, Communication and Assessing Capacity, A Guide for Social Work and Health Care Staff, 2008.

232 იხ. <https://kvps.fi/wp-content/uploads/2020/04/Nain-mina-parjaan.pdf>.

233 იხ. ასევე, Office of the Public Advocate, Queensland Government, A Journey towards Autonomy? Supported Decision-making in Theory and Practice, 2014, გვ. 9.

234 მაგ. SIS ინსტრუმენტი ითვალისწინებს მხარდაჭერის სხვადასხვა ფორმის საჭიროებას (როცა არ არის საჭირო მხარდაჭერა, ვერბალური ან ფესტური მხარდაჭერა, ფიზიკური მხარდაჭერა და სხვა).

235 მაგ. ინსტრუმენტი – Nain Mina Parjaan – მიუთითებს მხარდაჭერის საჭიროებაზე დროით (იმვითად – ცალკეულ შემთხვევებში ან თვეში ერთხელ; ხშირად – ყოველკვირეულად; ყოველდღიურად) და საათობრივ (< 1 საათი, 1-4 საათი, 4 საათზე მეტი) განზომილებაში; მსგავსი მიდგომა აქვს SIS ინსტრუმენტს (1) მხარდაჭერის სიხშირე (თვეზე მეტი, ყოველთვიური, ყოველკვირეული, ყოველდღიური, ყოველსაათობრივი); 2) დღის განმავლობაში მხარდაჭერის დრო (არ არის საჭირო, 30 წუთზე ნაკლები, 30 წუთიდან 2 საათამდე, 2 საათიდან 4 საათამდე, 4 საათი და მეტი).

236 მაგ. ინსტრუმენტი – Nain Mina Parjaan – მიუთითებს მხარდასაჭერი პირის მიერ ცალკეულ სფეროში მხარდაჭერის საჭიროების დონეებს (1. მხარდაჭერის მიერ დახმარება მინიმალურად, საჭიროების შემთხვევაში; 2. მხარდაჭერითან მჭიდრო კომუნიკაციისა და სპეციალური ინსტრუქციების საჭიროება; მხარდაჭერის აქტიური მხარდაჭერა რამდენიმე საკითხის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას; მხარდაჭერის მუდმივი მხარდაჭერის საჭიროება).

ინსტრუმენტებით გათვალისწინებული საკითხების იდენტიფიცირებისას შეფასებაზე პასუხისმგებელი პირი, როგორც წესი, ამავე დოკუმენტით განსაზღვრულ კითხვებს მიჰყვება. ცხადია, ამგვარი კითხვარი ინსტრუმენტების მიხედვით განსხვავდება, თუმცა მნიშვნელოვანია, ღია ტიპის შეკითხვების გამოყენება, რაც შემფასებელს მისცემს შესაძლებლობას, ერთი მხრივ, უკეთ შევიდეს კომუნიკაციაში პირთან და, მეორე მხრივ, მიიღოს სრულყოფილი ინფორმაცია მისი მხარდაჭერის საჭიროებების შესახებ. ობიექტური ინფორმაციის მისაღებად, შემფასებელმა კითხვის ფორმულირება ნეიტრალურად უნდა ჩამოაყალიბოს და შეკითხვაშივე არ მიუთითოს სავარაუდო პასუხი.²³⁷

ინსტრუმენტები ასევე დამოუკიდებლად განსაზღვრავს შეფასების ხანგრძლივობას, თუმცა ეფექტიანობისთვის მნიშვნელოვანია, რომ შეფასება გადაიდოს პროცესის ხანგრძლივობის შემცირების მიზნით ან/და პირის სტრესულ სიტუაციაში აღმოჩენის პრევენციისთვის.²³⁸ პროცესის გასაგრძელებლად შესაძლებელია რამდენიმე შეხვედრის ჩანიშვნაც.²³⁹ ამასთან, იქიდან გამომდინარე, რომ ეს პროცესი შეფასებას დაქვემდებარებული პირებისათვის, ხშირ შემთხვევაში, იწვევს სტრესსა და თვითრწმენის დაკარგვას, სასურველია, მისი დასრულების შემდგომ შემფასებლების მხრიდან ამ პირის ემოციური მხარდაჭერა იყოს გათვალისწინებული.²⁴⁰

შეფასების შედეგად შემუშავებული დასკვნის ფორმა

შეფასების შედეგად დასკვნის შემუშავება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ამასთანავე რთული საფეხურია პირის ფსიქოსოციალური საჭიროებების იდენტიფიცირების ნაწილში. ცხადია, ამ დოკუმენტმა ნათლად უნდა მიმოიხილოს პირის მხარდაჭერის საჭიროება და მისი ინტენსივობა კონკრეტულ სფეროებთან მიმართებით. ასევე შესაძლებელია, დასკვნაში მითითებული იყოს ისეთი ტიპის ინფორმაცია, როგორცაა, ხელახალი შეფასების ვადები, თვალსაზრისი პირის უნარების სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებით და ამ მიმართულებით გასატარებელი ღონისძიებები.²⁴¹

ამ მხრივ, საინტერესოა კანადის გამოცდილება, რომლის ქმედუნარიანობის შეფასების სააგენტოს სახელმძღვანელო პრინციპებში მიმოიხილულია შეფასებისას

237 Attorney General's Department, New South Wales, Capacity Toolkit, 2009, გვ. 68-69.

238 National Institute for Health and Care Excellence, Decision-making and Mental Capacity, NICE Guideline, 2018, გვ. 21

239 IASC Reference Group Mental Health and Psychosocial Support Assessment Guide, IASC Reference Group on Mental Health and Psychosocial Support in Emergency Settings, 2012.

240 National Institute for Health and Care Excellence, Decision-making and Mental Capacity, NICE Guideline, 2018, გვ. 25.

241 The British Psychological Society, What Makes a Good Assessment of Capacity? 2019.

და დასკვნის შემუშავების საკითხები.²⁴² აღნიშნული დოკუმენტი, ისევე, როგორც სხვა რელევანტური სახელმძღვანელოები, ყურადღებას ამახვილებს დასკვნის საფუძველზე პირის საჭიროებებისა და მის მიერ გადანაცვეტილების მიღების უნარების ნათლად გამოკვეთის მნიშვნელობაზე. ამასთან, არსებითია, რომ დოკუმენტში შემფასებლის მიერ გამოტანილი მიგნებები დასაბუთებული იყოს.²⁴³ შესაბამისად, აუცილებელია შეფასების დროს არსებული ყველა დოკუმენტის სრულყოფილად შევსება და დასკვნის შემუშავების პროცესში მათი გამოყენება. ამ მიზნით, შემფასებლებმა უნდა შეინახონ ის ფაილები, რომლებიც ასახავს ინტერვიუების შინაარსს და აღწერს შეფასების პროცესსა და გარემოს.²⁴⁴

დასკვნის ვალიდურობის მისაღწევად მნიშვნელოვანია, რომ მასში შეჯამებული და ერთმანეთთან დაკავშირებული იყოს შემფასებლის მიერ აღრიცხული და გადამონშებული ინფორმაცია, რომელიც მან მიიღო შესაფასებელი პირის, ოჯახის, სერვისის მიმწოდებლისა თუ მულტიდისციპლინური გუნდის კონსულტანტების მხრიდან.²⁴⁵ ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ შემფასებელი დასკვნის გაკეთებისას ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს (მაგ. სამედიცინო ისტორიას, სპეციალისტების მოსაზრებებს, ოჯახის წევრებისა და ახლო მეგობრების ინფორმაციას) შეიძლება დაეყრდნოს, აუცილებელია, რომ ამ წყაროების სუბიექტურობამ არ მოახდინოს გადამწყვეტი ზეგავლენა შეფასების პროცესზე და უპირობო პრიორიტეტი შეფასებას დაქვემდებარებული პირისგან მიღებული ინფორმაციის ანალიზს მიენიჭოს.

ვალიდური დასკვნის გამოტანა განსაკუთრებით პრობლემური ხდება მაშინ, როდესაც პროფესიონალს დიდი მოცულობის ინფორმაცია აქვს გასაანალიზებელი. განსხვავებული ინფორმაციის დაბალანსება გამოწვევებთანაა დაკავშირებული და ყველა ასპექტის სიღრმისეულად განსახილველად და საბოლოო გადანაცვეტილების მისაღებად, შესაძლოა, სუპერვიზია, გუნდური მუშაობა ან/და მულტიდისციპლინური მიდგომა იყოს საჭირო. ზემოაღნიშნულ გამოწვევებს ითვალისწინებს დიდი ბრიტანეთის გამოცდილება, სადაც შეფასება იძლევა სხვადასხვა მოსაზრების ბალანსის შესაძლებლობას, ხოლო საბოლოო გადანაცვეტილებას სასამართლო იღებს და შემფასებელი არის მხოლოდ იმ გუნდის ნაწილი, რომელიც აიდენტიფიცირებს პირთა საჭიროებებს. თუმცა მთელი ამ პროცესის განმავლობაში ყოველთვის ხდება შეფასების ცალკეულ ასპექტებთან, მეთო-

242 Ontario Ministry of the Attorney General, Capacity Assessment Office, Guidelines for Conducting Assessments of Capacity, 2005.

243 Department for Constitutional Affairs, Mental Capacity Act 2005, Code of Practice, 2007.

244 Ontario Ministry of the Attorney General, Capacity Assessment Office, Guidelines for Conducting Assessments of Capacity, 2005.

245 იხ. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის გამოცდილება – National Institute for Health and Care Excellence, Decision-making and Mental Capacity, NICE Guideline, 2018, გვ. 23.

დოლოგიასთან – ფუნქციურ ტესტებსა და მტკიცებულებების ერთობლიობასთან – დაბრუნება. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი, რომ შემფასებელმა პროცესში ამოიღოს მაქსიმალური ინფორმაცია და თუკი ეს ვერ ხერხდება, ამის დოკუმენტირებაც მოახდინოს, რადგან ამგვარი მითითებაც ახდენს გავლენას საბოლოო გადაწყვეტილებაზე.²⁴⁶

საბოლოო ჯამში, შეფასების საკანონმდებლო, ინსტიტუციური თუ პრაქტიკული ასპექტების ანალიზიდან ნათლად ჩანს ამ პროცესის სირთულე და კომპლექსურობა. ამ მიმართულებით არსებული შესაძლო გამოწვევების გადალახვის ნაწილში უმნიშვნელოვანესია ისეთი ზომების მიღება, როგორცაა, მაგალითად, ცხადი საკანონმდებლო რეგულაციების შემოღება, მულტიდისციპლინური მიდგომის დამკვიდრება, პროფესიონალებისათვის შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში რელევანტური დოკუმენტების შინაარსის გარკვეული ნაწილი კონვენციის მიერ დადგენილ სტანდარტებს სრულად არ შეესაბამება, არსებითია, რომ მათი კონვენციასთან თავსებადი პრინციპები და შეფასების სტანდარტები მხარდაჭერის სისტემამ გაითვალისწინოს.

2.3. ფსიქოსოციალური საჭიროებების შეფასება საქართველოს კონტექსტში

რელევანტური საერთაშორისო სტანდარტებისა და ქვეყნების გამოცდილების მიმოხილვის საპირწონედ, მნიშვნელოვანია საქართველოს კონტექსტის ანალიზი. 2015 წელს ქმედუნარიანობის რეფორმის შედეგად ჩამოყალიბდა პირის ფსიქოსოციალური საჭიროების განსაზღვრის ჩარჩოები. კერძოდ, ეს პროცესი სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოებას დაუკავშირდა – მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხზე განცხადების მიღების შემდგომ სასამართლო აჩერებს წარმოებას და ნიშნავს პირის ფსიქოსოციალური საჭიროებების ექსპერტიზას. მიუხედავად რეფორმის შედეგად გატარებული ცვლილებებისა, შეფასების მიმართულებით არაერთი საკანონმდებლო თუ პრაქტიკული გამოწვევა კვლავ რჩება.

ექსპერტიზის პროცესის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მოცემული ქვეთავი მიზნად ისახავს ამ პროცესის მარეგულირებელი კანონმდებლობის, ასევე, შესაბამისი ინსტიტუციური ჩარჩოსა და პრაქტიკის მიმოხილვას და ამ მიმართულებით არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებას.

246 The British Psychological Society, What Makes a Good Assessment of Capacity? 2019.

2.3.1. ფსიქოსოციალური საჭიროებების შეფასების საკანონმდებლო რეგულირება

ფსიქოსოციალური საჭიროების შეფასების საკანონმდებლო რეგულირებას სამი ძირითადი აქტი – „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“ საქართველოს კანონი და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების წესისა და სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“²⁴⁷ – ახდენს. სწორედ ზემოაღნიშნული კანონმდებლობა განსაზღვრავს ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირად ცნობისათვის სავალდებულო ექსპერტიზის სამართლებრივ, ეკონომიკურ და ორგანიზაციულ ასპექტებს.²⁴⁸ რელევანტური სამართლებრივი რეგულაციები განმარტავს ექსპერტიზას, როგორც დისციპლინათაშორის საქმიანობას, რომელიც მოიცავს სამედიცინო-ფსიქიატრიული, ფუნქციური, ფსიქოლოგიური, სოციალური ადაპტაციისა და სხვა რელევანტური ასპექტების შეფასებას.²⁴⁹ კანონმდებლობა ხაზს უსვამს შეფასების ფარგლებში ფსიქიატრიული, სოციალურ-საყოფაცხოვრებო, პროფესიულ-შრომითი და ფსიქოლოგიური მონაცემების დამუშავების მნიშვნელობას.²⁵⁰

კანონი მიუთითებს შეფასების ამოცანებზე; ესენია: პირის გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევის ხარისხის დადგენა; მისი სოციალური ადაპტაციის შეფასება და, აქედან გამომდინარე, პირის მხარდაჭერის თავისებურებების განსაზღვრა.²⁵¹ კანონმდებლობაში მხარდაჭერის თავისებურებების განსაზღვრაზე მითითება არსებითია ამ მიმართულებით ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვისთვის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ამ ამოცანის რეალიზებაზე იყოს ორიენტირებული შეფასების მთლიანი პროცესი.

ზემოაღნიშნულთან ერთად, ხაზგასასმელია ის ცალკეული ასპექტები, რომლებსაც არსებული კანონმდებლობა შეფასების ნაწილში ადგენს. კერძოდ, საკანონმდებლო რეგულაციები განსაზღვრავს ექსპერტიზაზე პასუხისმგებელ უწყებას – სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს და მიუთითებს, რომ პირის ფსიქოსოციალური საჭიროებების შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს მულტიდისციპლინური მიდგომა.²⁵² ამჟამად არსებული კანონმდებლობა

247 კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილია ფსიქოსოციალური საჭიროებების შეფასების ჩატარების წესი. უფრო კონკრეტულად, იგი ფარავს სხვადასხვა დეტალს, მათ შორის, მულტიდისციპლინური ჯგუფის თითოეული წევრის ვალდებულებებს, მისი მოქმედების ფარგლებსა და სტანდარტებს.

248 „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“ საქართველოს კანონი, მ. 1.

249 იქვე, მ. 4(1).

250 იქვე, მ. 5.

251 იქვე, მ. 4(2).

252 იქვე, მ. 6-7.

ბიუროს განსაზღვრავს, როგორც ექსპერტიზაზე ექსკლუზიური უფლების მქონე სუბიექტს, რაც ართულებს ალტერნატიული ექსპერტიზისა და სასამართლოსთვის წარდგენის შესაძლებლობას.²⁵³ რელევანტური სამართლებრივი ჩარჩო ასევე ჩამოთვლის ექსპერტიზისთვის საჭირო სტანდარტებს და არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა, მაგალითად, მულტიდისციპლინური გუნდის ვალდებულებები, შეფასების ადგილი და ამ პროცესში შეფასებას დაქვემდებარებული პირის მონაწილეობა, შეფასების შედეგად დასკვნის შემუშავება და სხვა.²⁵⁴

კანონმდებლობის ნაწილში განსაკუთრებით პრობლემურია პირის ექსპერტიზაზე იძულებით გაგზავნის საკითხი. კანონმდებლობა და პრაქტიკა არ ითვალისწინებს შეფასებაზე პირის უარის შემთხვევაში სოციალური მუშაკის ინტენსიურ მუშაობასა და არაძალადობრივი მეთოდების გამოყენების მექანიზმებს. არსებული რეგულაციების მიხედვით, იმ შემთხვევაში, როდესაც პირი, რომლის მხარდაჭერის მიმდებარე ცნობის საკითხიც განიხილება, აშკარად თავს არიდებს ექსპერტიზას და არსებით ზიანს აყენებს თავის ან სხვათა უფლებებს, სასამართლო უფლებამოსილია, ბიუროს შუამდგომლობის საფუძველზე და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, ასევე, პირის ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობით, გამოიტანოს განჩინება ექსპერტიზის ჩასატარებლად პირის იძულებითი გაგზავნის შესახებ.²⁵⁵ მნიშვნელოვანია, ამ მიმართულებით არსებული რეგულაციების რამდენიმე არსებით ხარვეზს გაესვას ხაზი. პირველ რიგში, ეს არის პირის მიმართ იძულებითი ღონისძიებების გამოყენება, რომლებიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, უხეშად არღვევს პირის ავტონომიურობისა და პირადი ხელშეუხებლობის საერთაშორისო სტანდარტებს. ამასთან, არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარებისგან განსხვავებით, იძულებითი ექსპერტიზის მარეგულირებელი კანონმდებლობა ცხადად არ ითვალისწინებს შეფასებას დაქვემდებარებული პირის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და დარღვეული უფლებების აღდგენის შესაძლებლობას.²⁵⁶ დამატებით, საკანონმდებლო კონკრეტიკის არარსებობის გამო, ბუნდოვანია, თუ რომელი უფლებებისათვის არსებითი ზიანის შემთხვევაში იღებს სასამართლო იძულებითი ექსპერტიზის შესახებ გადაწყვეტილებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ მხარდაჭერის მიღება პირის უფლებაა და არა ვალდებულება, იძულებითი ექსპერტიზის შესახებ ჩანაწერი კონვენციასთან შეუსაბამოა.

253 ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება – კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, 2016, გვ. 42.

254 „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“, საქართველოს კანონი, მ. 10, 12-13; „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების წესისა და სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის N 01-16/ნ, დანართი N 1 და N 2.

255 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მ. 363²⁰.

256 ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება – კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, 2016, გვ. 40-41.

2.3.2. ფსიქოსოციალური საჭიროების შეფასება – ინსტიტუციური ჩარჩო

ინსტიტუციური ჩარჩოს ფუნქციონირების ანალიზი აჩვენებს ისეთ ძირითად გამოწვევებს, როგორცაა, მაგალითად, შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპების არარსებობა, სახელმწიფოს მხრიდან შეფასებაზე პასუხისმგებელი პირების ქმედუნარიანობისა და მხარდაჭერის საკითხებზე მუდმივი ინფორმირებულობის განუხორციელებლობა, კოორდინაციასთან დაკავშირებული ხარვეზები და ადამიანური რესურსების ნაკლებობა. აღნიშნული ხარვეზები პოტენციურად მნიშვნელოვანი დაბრკოლებების წინაპირობაა ადამიანის უფლებების პარადიგმაზე დაფუძნებული შეფასების პროცესში და მათ აღმოსაფხვრელად არსებითია სახელმწიფოს თანმიმდევრული ნაბიჯები.

არსებული კანონმდებლობის მიხედვით, ექსპერტიზის ჩატარებაზე პასუხისმგებელია ბიურო, შემსრულებელი კი მულტიდისციპლინური გუნდი, რომელშიც შედიან: ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი და ოკუპაციური თერაპევტი.²⁵⁷ აუცილებლობის შემთხვევაში, ბიუროს უფლება აქვს, ექსპერტიზაში მონაწილეობისთვის სხვა სპეციალისტი მიიწვიოს, თუმცა ეს გადანაცვეტილება მულტიდისციპლინური გუნდისთვის სავალდებულო ხასიათის არაა.²⁵⁸ აღსანიშნავია, რომ ფსიქოსოციალური საჭიროების შეფასების წესის შემოღებიდან დღემდე, ამგვარი სპეციალისტი არ მიუწვევიათ.²⁵⁹

ინსტიტუციურ ნაწილში გამომწვევას წარმოადგენს, ერთი მხრივ, შეფასებაზე პასუხისმგებელი აქტორების გაძლიერებისა და, მეორე მხრივ, მულტიდისციპლინური გუნდს შორის ეფექტიანი კოორდინაციის უზრუნველყოფის საკითხები. ეროვნულ დონეზე არ შექმნილა სახელმძღვანელო პრინციპები, რომელიც განერდა შეფასების სტანდარტებს, შემფასებლების ვალდებულებებს, შეფასებას დაქვემდებარებულ პირებთან კომუნიკაციის თავისებურებებს, კონკრეტულ სფეროებთან მიმართებით მხარდაჭერის საჭიროების იდენტიფიცირების საკითხებსა და სხვა.

სახელმძღვანელო პრინციპების არარსებობის პარალელურად, სახელმწიფოს არ გადაუდგამს შესაბამისი ნაბიჯები ქმედუნარიანობისა და მხარდაჭერის საკითხებზე შემფასებელი პირების მუდმივი ინფორმირებისათვის, მათ შორის, ტრენინგების გზით, რაც ეფექტიანი და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული პროცესის უზრუნველყოფის ნაწილში მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორად შეიძლება იქცეს.

257 ან პირი, რომელიც ფიზიკური, გონებრივი ან სოციალური თვალსაზრისით ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებს შერჩეული სპეციფიკური აქტივობების საშუალებით მკურნალობს; იხ. საქართველოს კანონი „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“, მ. 7.

258 საქართველოს კანონი „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“, მე-9 მუხლი

259 სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, კორესპონდენცია N 5001636620; 23.03.2020.

ამასთან, ინფორმაციული გაძლიერების კუთხით სახელმწიფოს უმოქმედობის ფონზე და შეფასებების მნიშვნელოვანი რაოდენობის პარალელურად, მწირია ბიუროს ადამიანური რესურსი. მაგალითისთვის, 2018 წელს ბიურომ ჯამში 1973, ხოლო 2019 წელს 2214 დასკვნა გასცა, მაშინ, როდესაც საექსპერტო შეფასებებისთვის სულ 10 ფსიქიატრი, 6 ფსიქოლოგი და 5 ოკუპაციური თერაპევტია გამოყოფილი.²⁶⁰

ამასთან, გამოწვევას წარმოადგენს გუნდის წევრებს შორის კოორდინაცია და შეფასების პროცესში სოციალური მუშაკების ჩართულობა. ამ დრომდე არ არსებობს კონცეფცია და ხედვა მულტიდისციპლინური გუნდის ერთობლივი მუშაობის შესახებ, შემთხვევას – თითოეული ექსპერტი დამოუკიდებლად აფასებს და, სოციალური მუშაკების თვალთახედვით, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, მოსაზრებების გასაზიარებლად არ ხდება ერთმანეთთან დაკავშირება.²⁶¹ ამასთან, აღსანიშნავია, რომ არსებული რეგულაციები მულტიდისციპლინური ჯგუფის მიერ დასკვნის მისაღებად გასამართ კენჭისყრის პროცესში სოციალური მუშაკის მონაწილეობას განსხვავებულად არეგულირებს – დამატებითი, ფორმალური (მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნაზე ხელმოსაწერად) ვიზიტის ნაცვლად, შესაძლებელი გახდა მისი პროცესში ელექტრონული ან სხვა საშუალებების გამოყენებით ჩართვა.²⁶²

კოორდინაციის ხარვეზები ყველაზე მწვავედ იკვეთება სოციალურ მუშაკებთან მიმართებით, რომლებიც მიუთითებენ, რომ, პრაქტიკულად, არ აქვთ ურთიერთობა სხვა ექსპერტებთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მულტიდისციპლინური გუნდის წევრი სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში ხდება ბენეფიციარებს შესაფასებლად და ამ დროს შესაძლებელია, გადაიკვეთონ.²⁶³ ამასთან, კოორდინაციის ნაწილში სოციალურ მუშაკთათვის გამოწვევას წარმოადგენს შეფასების შემდგომი პერიოდიც – როგორ წესი, ისინი ექსპერტიზის საბოლოო დასკვნისა და გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციას მხოლოდ სასამართლო პროცესის შემდეგ იღებენ.²⁶⁴ ზემოაღნიშნული მოცემულობიდან გამომდინარე, სოციალური მუშაკის როლის არასათანადოდ გათვალისწინება და მასთან კოორდინაციის სირთულე არსებითად ზღუდავს სოციალურ მოდელზე დაფუძნებული პროცესის წარმართვის შესაძლებლობებს და ართულებს შესაფასებელი პირის წინაშე არსებული ბარიერების იდენტიფიცირებას.

260 იქვე.

261 სოციალურ მუშაკებთან განხორციელებული კვლევა.

262 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-16/ნ „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების წესისა და სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“, დანართი #1, მ. 8(4); საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, კორესპონდენცია N 01/10439, 1.09.2020.

263 სოციალურ მუშაკებთან განხორციელებული კვლევა.

264 იქვე.

2.3.3. ექსპერტიზის სტანდარტები და პრაქტიკული ასპექტები

შეფასების ინსტრუმენტები და მთელი რიგი პრაქტიკული ასპექტები, მათ შორის, შეფასებას დაქვემდებარებული პირის ჩართულობის უზრუნველყოფა, პროცესის დრო და ადგილი, კომუნიკაციის სტანდარტები, დასკვნის შემუშავების პროცესი, პირის ფსიქოსოციალური საჭიროების ეფექტიანი იდენტიფიცირების წინაპირობაა. შესაბამისად, არსებითია ამ მიმართულებების ანალიზი საქართველოს კონტექსტში.

შეფასების მიზნები და შესაბამისობა მხარდაჭერის საჭიროების, მისი ფარგლებსა და ფორმის განსაზღვრის ამოცანასთან

ამბულატორიული სასამართლო ფსიქოსოციალური ექსპერტიზა ინიშნება სასამართლოს/მოსამართლის მიმართვის საფუძველზე, რომელშიც წარმოდგენილია ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები და რომელსაც სასამართლო კონკრეტულ გამოსაკვლევ პირთან მიმართებით აყენებს. შეკითხვების ჩამონათვალი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა, მაგალითად, ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისა და მოქმედების შეზღუდვა, სოციალური ადაპტაციის ხარისხი, მხარდაჭერის საჭიროება. სასამართლო ამავდროულად განსაზღვრავს იმ სფეროს, რომელშიც შესაძლოა, გამოსაკვლევი პირი საჭიროებდეს მხარდაჭერას.

სასამართლოს შეკითხვა მხარდაჭერის სფეროს შესახებ სხვადასხვა მიმართულების ვრცელ ჩამონათვალს მოიცავს: სახელმწიფო გასაცემელის დანიშვნა; საბანკო დანესებულებებთან ურთიერთობა; მკურნალობაზე თანხმობის გამოხატვა და მედიკამენტების შექმნა; საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისა და განათლების მიღებასთან დაკავშირებული ურთიერთობების მონესრიგება; წვრილმანი გარიგების დადება და სხვ. სასამართლო ამავდროულად მოითხოვს სხვა ნებისმიერი სფეროს იდენტიფიცირებას, რომელშიც შესაძლოა გამოსაკვლევი პირი საჭიროებდეს მხარდაჭერას. აღნიშნული ვრცელი ჩამონათვალი ექსპერტიზას შეფასების ისეთი მეთოდოლოგიის გამოყენების საჭიროების წინაშე აყენებს, რომელიც შესაძლებელს გახდის, განსაზღვროს მხარდაჭერის საჭიროება ყველა სფეროში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლო ბიუროს შესაფასებლად განუსაზღვრავს ისეთ საკითხებს, როგორცაა, მაგალითად:

- ▶ პირის ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევის ხარისხი;
- ▶ პირის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისა და მოქმედების ხარისხი;
- ▶ პირის გარემოში ადაპტაციის ხარისხი.

დისკუსიის საგანია ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევის ხარისხის განსაზღვრის რელევანტურობა მხარდაჭერის საჭიროების შეფასებასთან მიმართებით – შესაძლებელია თუ არა მხარდაჭერის საჭიროების, ფორმისა და ფარგლების იდენტიფიცირება ზემოაღნიშნული დარღვევების ხარისხის განსაზღვრის გარეშე ან რამდენად არის აღნიშნული საკითხი ამბულატორიული სასამართლო ფსიქოსოციალური შეფასების ამოცანა. ქმედუნარიანობის კლინიკური მოდელის მიხედვით, დიაგნოზის ცოდნა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც გვაძლევს ინფორმაციას მდგომარეობის გამომწვევი მიზეზების, მისი დინამიკის, გაუმჯობესება-გაუარესებისა და მკურნალობის შესაძლებლობების შესახებ. შესაბამისად, მხარდაჭერის საჭიროების, სულ მცირე, მისი ხანგრძლივობის განსაზღვრად მნიშვნელოვანია დიაგნოზისა და დარღვევის ხარისხის გათვალისწინება, თუმცა კითხვის ნიშნის ქვეშ არის, თუ რამდენად უნდა შედიოდეს ეს საკითხი ამბულატორიული სასამართლო ფსიქოსოციალური ექსპერტიზის ამოცანაში, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მხარდაჭერის საჭიროების შეფასებამდე, ძირითადად, დიაგნოზი ყველას დასმული აქვს, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით კი, ბიუროს უფლება აქვს, გამოითხოვოს ყველა მანამდე არსებული სამედიცინო დოკუმენტაცია. გარდა ამისა, საყურადღებოა მოთხოვნა ხარისხზე, რაც შეზღუდული შესაძლებლობის სამედიცინო მოდელის ხედვას უფრო ასახავს და მიზნად ისახავს ადამიანის რომელიმე კატეგორიისადმი მიკუთვნებას (დარღვევის/ადაპტაციის დაბალი, საშუალო, მაღალი ხარისხი); ცხადია, კონკრეტული დარღვევის ხარისხის ცოდნა იძლევა მხარდაჭერის ინტენსივობის მეტ-ნაკლებად ზუსტად განსაზღვრის შესაძლებლობას (მაგ. გამოხატული ხარისხის დარღვევის შემთხვევაში მოსალოდნელია, ვივარაუდოთ ინტენსიური დახმარების მხარდაჭერის საჭიროება), თუმცა ეს ინფორმაცია ნაკლებ ნარმოდგენას გვაძლევს მხარდაჭერის კონკრეტული ფორმების შესახებ.

საგულისხმოა, რომ სასამართლოს მოთხოვნა ხარისხის შეფასებაზე 2018 წლით დათარიღებულ ზოგიერთ დასკვნაში უკვე აღარ გვხვდება; გარდა ამისა, დაკონკრეტებულია მხარდაჭერასთან დაკავშირებული შეკითხვები. კერძოდ, დაზუსტებულია მხარდაჭერის ფარგლების, როლისა და ფუნქციების შეფასების საკითხები, მოთხოვნილია იმ სფეროების დაკონკრეტება (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელშიც პირს თავისი უფლებების დამოუკიდებლად რეალიზება შეუძლია, თუმცა ექსპერტიზისათვის დასმული ამოცანა კვლავ რამდენიმე სფეროს მოიცავს და არ არის მითითებული, თუ რომელი უფლების რეალიზაციასთან კავშირში უნდა შეფასდეს გამოსაკვლევი პირი. ფსიქოსოციალური ექსპერტიზისადმი დასმული კითხვები, რომლებიც შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ამოცანებს, ექსპერტიზის წინაშე აყენებს დარღვევის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისა და მოქმედების, მისი გარემოში ადაპტაციის ხარისხის შეფასების ამოცანებს, რომელიც, ორიენტირებულია რა ძირითადად დეფიციტების აღწერაზე, არ იძლევა საკმარის ინფორმაციას კონკრეტული პირის მხარდაჭერის საჭიროებების შესახებ.

გარდა ამისა, როდესაც სასამართლო/მოსამართლე არ აკონკრეტებს მხარდაჭერის საჭიროების სფეროს, ეს გარკვეულწილად, გამოიწვევს მხარდაჭერის საჭიროების თითქმის ყველა სფეროში განსაზღვრას, რაც, ერთი მხრივ, მეთოდოლოგიური და პროცედურული თვალსაზრისით, პრაქტიკულად, შეუძლებელია და, მეორე მხრივ, სახიფათო პრაქტიკას წარმოადგენს, რადგან ამგვარ დასკვნებში ვერ მოხდება პირის ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირება და მხარდაჭერის კონკრეტული სფეროს, ფორმისა თუ ინტენსივობის განსაზღვრა.

შეფასების დრო, ადგილი და პირის ჩართულობის ხარისხი

მულტიდისციპლინური გუნდი დასკვნას იღებს სასამართლოს მიმართვიდან 1 თვის ვადაში, გარდა ბიუროს მიერ დამატებით მოთხოვნილი მასალების მიღების დროისა.²⁶⁵ დასკვნის შემუშავებისას შესაბამისი რეგულაციები ითვალისწინებს პროცესში იმ პირის სავალდებულო დასწრება-მონაწილეობას, რომელსაც ექსპერტიზა უტარდება.²⁶⁶ ამ რეგულაციის გარდა, არ არსებობს პირის პროცესში ეფექტიანი ჩართვის, პროცესის შესახებ მისი ინფორმირებისა და მასთან მისაღები ფორმით კომუნიკაციის სტანდარტები. კომუნიკაციის პრობლემებს განსაკუთრებით უსვამენ ხაზს სოციალური მუშაკები და მიუთითებენ შეფასებას დაქვემდებარებულ პირებთან ეფექტიანი კომუნიკაციის შესახებ სპეციფიკური ცოდნის მიღებისა და შესაბამისი გადამზადების აუცილებლობაზე.²⁶⁷ განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს კომუნიკაცია და მისი ალტერნატიული გზების გამონახვა იმ პირებთან, რომელთაც მეტყველების პრობლემა აქვთ. ასეთ შემთხვევაში, სოციალური მუშაკები ცდილობენ ამ პირის ჩართვას შეფასების პროცესში, რაც ხშირად ვერ ხერხდება და ძირითადად ინფორმაცია ოჯახის წევრებისა და სავარაუდო მხარდამჭერი პირებისგან მიიღება.²⁶⁸

რაც შეეხება შეფასების ადგილს, არსებული რეგულაციებით, მულტიდისციპლინური გუნდის სხდომაზე პირის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად მხოლოდ ჯანმრთელობის მდგომარეობა მიიჩნევა. ამ შემთხვევაში, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, გუნდი გასვლით სხდომას მართავს პირის ადგილსამყოფლის შესაბამისად – სამედიცინო ან სხვა დაწესებულებაში, ან პირის საცხოვრებელ ადგილზე.²⁶⁹ ნორ-

265 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-16/6 „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების წესისა და სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“, დანართი #1, მ. 2.

266 იქვე, მ. 6(1).

267 სოციალურ მუშაკებთან განხორციელებული კვლევა.

268 იქვე.

269 საქართველოს კანონი „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“, მე-11 მუხლი; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-16/6 „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების წესისა და სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“, დანართი #1, მ. 6(2).

მატიული რეალობა უშვებს შესაძლებლობასაც, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაფასებელი პირის მონაწილეობა უზრუნველყოფილი იყოს კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებებით. ამის შესახებ დგება შესაბამისი ოქმი.²⁷⁰ აღსანიშნავია, რომ ეს გამონაკლისი მხოლოდ ზოგადი სახით არის მითითებული შეფასების პროცედურების მარეგულირებელ წესებში და ცხადად არ განსაზღვრავს ამგვარ შემთხვევებს. მაგალითად, რეგულაციები ბიუროში გამოცხადების გამონაკლისად არ მითითებს პირის სოციალურ-ეკონომიკურ მონაცვლადობას და არ უსვამს ხაზს პირის არაფორმალურ გარემოში შეფასების მნიშვნელობას.

შეფასების განხორციელების სტანდარტები

შეფასების განხორციელების ნაწილში არსებითია მისი ზოგადი სტანდარტის მიმოხილვა. „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების წესისა და სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“ მინისტრის ბრძანება განერს შესაფასებელი სფეროების ჩამონათვალს, თემებს, ზოგიერთ შემთხვევაში, შეფასების პროცედურებსა და ინსტრუმენტებს თითოეულ სპეციალისტთან დაკავშირებით.

ფსიქიატრიული შეფასების ზოგადი სტანდარტი განსაზღვრავს ექსპერტიზის მეთოდიკას და შესაფასებელი სფეროების/თემების ვრცელ ჩამონათვალს. აღნიშნული სტანდარტის მიხედვით, ფსიქიატრიული გამოკვლევა წარმოებს ფსიქიატრიული კლინიკური გასაუბრების მეთოდით, რაც გამოსაკვლევ პირთან გასაუბრებისა და კომუნიკაციის პროცესში მის ქცევაზე დაკვირვებას გულისხმობს. ფსიქიატრიული გამოკვლევა პირობითად ორი ნაწილისაგან შედგება და მოიცავს პირის ავადმყოფობის ისტორიისა და მოცემულ მომენტში მისი ფსიქიკური მდგომარეობის შეფასებას. გამოსაკვლევ სფეროების ვრცელი ჩამონათვალია: ძირითადი ჩივილები, დაავადების ისტორია (ანამნეზი), ცხოვრების ანამნეზი, ფსიქიკური მდგომარეობა მოცემულ მომენტში, შემეცნებითი და ემოციური პროცესების თავისებურებანი და სხვა. შეფასების აღნიშნული სტანდარტი, თავისი მეთოდოლოგიისა და შინაარსის მიხედვით, იმეორებს დიაგნოსტიკების მიზნით ჩატარებულ შეფასებას.

ფსიქიატრიული გამოკვლევა მოცულობით ყველაზე დიდია და შეიცავს მონაცემებს როგორც მანამდე არსებული სამედიცინო დოკუმენტაციის, ასევე ექსპერტიზის ფარგლებში განხორციელებული შეფასების შედეგების შესახებ. ამ მონაცემთა გარკვეული ნაწილი საერთოდ არარელევანტურია მხარდაჭერის საჭიროების იდენტიფიცირების მიმართულებით. შეფასების სტანდარტის შესაბამისად, მუშავდება გამოსაკვლევ პირის შესახებ სხვადასხვა ტიპის მონაცემები; მათ შორისაა,

270 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-16/6 „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების წესისა და სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“, დანართი #1, მ. 6(3).

ინფორმაცია ადრეული განვითარების, მემკვიდრული ფაქტორების, ოჯახის წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობის, ასევე, შემეცნებითი და აკადემიური უნარების, ფაქტობრივი ცოდნის, ფუნქციური უნარ-ჩვევებისა და სხვა სფეროების შესახებ. წარმოდგენილი ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი, ძირითადად, ორიენტირებულია გამოსაკვლევი პირის დეფიციტების/სიმპტომების აღწერაზე, რომელთა საფუძველზეც ფორმულირდება დიაგნოზი და დარღვევის ხარისხი. შეფასების შედეგები ნაკლებად შეიცავს ინფორმაციას პირის ძლიერი მხარეების, რესურსებისა და განვითარების პოტენციური შესაძლებლობების შესახებ. ამასთან ერთად, შეფასების თემების ჩამონათვალში ვხვდებით ისეთ საკითხებს, რომლებიც პირის მხარდაჭერის საჭიროების იდენტიფიცირების მიზნით არარელევანტურია და მეტიც, მისი ფორმულირება სტიგმის შემცველად შეიძლება მიიჩნეოდეს (მაგალითად, ხმა – სუსტი, ხრინწიანი; პირის გარეგნული იერ-სახე – ზედმეტად გამომწვევი, უდიერი ჩაცმის სტილი; იდეათა შინაარსი – ღარიბი, შაბლონური ასოციაციები და სხვა).

პირის ფსიქოლოგიური შეფასების ზოგად სტანდარტში, ტესტებისა და დავალებების ჩამონათვალში ვხვდებით კონკრეტული ფსიქიკური ფუნქციის/უნარის შესაფასებელ გავრცელებულ ტესტებს/დავალებებს. მაგალითად, ყურადღების საკვლევი ტესტები: „ბურდონის ტესტი“, „შულტეს ცხრილი“ (მარტივი დავალებები, რომლებიც აფასებს ვიზუალურ ყურადღებას), მეხსიერება: „10 სიტყვა“ (ვერბალური დასწავლის შესაფასებელი დავალება) და სხვა. ჩამონათვალში მოცემული დავალებები მწირია და არ იძლევა რომელიმე სფეროს სრული შეფასების შესაძლებლობას. მაგალითად, ყურადღების შესაფასებელი ორივე დავალება ვიზუალური ყურადღების შესაფასებელი ინსტრუმენტია, მეხსიერების შესაფასებელი დავალება კი სმენითი აღქმის მოცულობასა და ვერბალური მასალის დასწავლის უნარის შესაფასებლად გამოიყენება. ვიზუალური მეხსიერებისა და მეხსიერების სხვა ფორმების შესაფასებელი დავალებები ჩამონათვალში არ არის. ამასთანავე, ჩამონათვალში არ არის მითითებული ისეთი რელევანტური უნარების შესაფასებელი დავალებები, როგორებიცაა, პრობლემის გააზრება და გადაჭრა.

ამასთან, სტანდარტში მოცემულია ზოგიერთი ისეთი ტესტი, რომლის ექსპერტიზის მიზნებთან შესაბამისობა კითხვის ნიშნის ქვეშაა, მაგალითად, „თემატური აპერცეპციის ტესტი“ (პროექციული ტესტი, რომელიც აფასებს შენიღბულ/გაუცნობიერებელ მოტივებსა და ადამიანის მიერ სოციალური გარემოს აღქმის თავისებურებებს), „ლუმერის ფერთი ტესტი“ (პიროვნების შესაფასებელი ტესტი), „პიროვნების მრავალპროფილიანი სტანდარტიზებული კვლევის კითხვა“ (პიროვნების შესაფასებელი ტესტი). ჩამონათვალს შორისაა, ასევე, ცალკეული დავალებები ან შესაფასებელი პროცესები, შეფასების პროცედურისა და გამოსაყენებელი მასალის დაკონკრეტების გარეშე.²⁷¹

271 მაგალითად, საგანთა კლასიფიკაციის მეთოდი: კლასიფიკაციის დავალებების შესრულება შესაძლოა, შეფასდეს ვერბალური (მაგ. სიტყვების) ან ვიზუალური (მაგ. ბარათების) მასალის მიწოდების საფუძველზე; გარდა ამისა, შესაძლებელია მოხდეს თვალსაჩინო – არათვალსაჩინო ნიშნებით დაჯგუფება და ა.შ.

ოკუპაციური თერაპევტის მიერ პირის შეფასების სტანდარტში მითითებულია კონკრეტული სფეროების შეფასების მეთოდები – 1. პირთან და მისი ნდობით აღჭურვილ მოქალაქესთან გასაუბრება; 2. პირის საქმიანობასა და გარემოზე დაკვირვება; 3. დამატებითი ინფორმაციის დამუშავება საგანმანათლებლო, დასაქმების სამკურნალო და სხვა დანესებულებებიდან თუ წყაროებიდან. ამავე სტანდარტში მითითებულია ოკუპაციური თერაპევტის მიერ გამოსაკვლევი საკითხების ჩამონათვალი – 1. მოქმედებები და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა (მაგ. სწავლა და ცოდნის გამოყენება, ინტერპერსონალური ურთიერთობები, საზოგადოებრივი, სოციალური და სამოქალაქო ცხოვრება); 2. გარემო ფაქტორები (მხარდაჭერა და ურთიერთობები, არსებული სერვისები, განწყობა/დამოკიდებულებები); 3. დამატებითი ფაქტორები (მოქმედების და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის შეზღუდვისა და გარემოსთან ურთიერთქმედების ხარისხი, პირის სოციალური ადაპტაციის ხარისხი, არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების ან/და გაუარესების შესაძლებლობა). ოკუპაციური თერაპევტის მიერ შეფასებული საკითხების უმეტესობა მნიშვნელოვანია მხარდაჭერის საჭიროების განსაზღვრის ნაწილში, თუმცა მათი გარკვეული ნაწილის დუბლირება ხდება სოციალური მუშაკის შეფასების სტანდარტებთან (მაგ. კომუნიკაცია, თვითმოვლა, ურთიერთობები).

სოციალური მუშაკის მიერ პირის შეფასების ზოგად სტანდარტში ჩამოთვლილია შეფასებას დაქვემდებარებული საკითხები, როგორებიცაა, მაგალითად: პიროვნული ცნობიერება, ემოციური მდგომარეობა, ოჯახის წევრებთან ურთიერთობა, სოციალური აქტივობა/ქცევა, აღქმის უნარი/ორიენტაცია და სხვა. აღნიშნულ სტანდარტთან ერთად, ხაზგასასმელია „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების წესისა და სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“ ბრძანებაში 2019 წელს შესული ცვლილებები, რის შედეგადაც ახალი რედაქტირებით დამტკიცდა სოციალური მუშაკის მიერ შესავსები შეფასების ფორმა (დანართი N 3) და ასევე ამ ფორმის შევსების ინსტრუქცია (დანართი N 4). ეს უკანასკნელი სოციალურ მუშაკებს უწევს შეფასების ფორმის შევსებისა და საქმისწარმოების სტანდარტებს და მოიცავს ისეთ ნაწილებს, როგორიცაა, შესავალი, დემოგრაფიული ნაწილი, ინდივიდუალური შეფასებით/აღწერილობითი ნაწილი და დასკვნა. ინსტრუქცია სოციალური მუშაკებისგან ასევე მოითხოვს პირის უნარების შეფასებას მისი გამოვლენის ხარისხის შესაბამისად, შემდეგი სტანდარტების მიხედვით – არასოდეს (პირი საერთოდ ვერ ავლენს ამა თუ იმ უნარს), ზოგჯერ (გარკვეულ სიტუაციაში პირს შეუძლია, გამოავლინოს ესა თუ ის უნარი), ხშირად (პირი უმეტესად ავლენს შესაბამის უნარს), ყოველთვის (პირს შესწევს უნარი, იმოქმედოს დამოუკიდებლად). მიუხედავად ამგვარი ჩანაწერების პოტენციისა, მხარდაჭერის ინტენსივობის განსაზღვრის მიმართულებით, ერთგვრადი, მოკლე შეფასების ფარგლებსა და დანვრილებითი სახელმძღვანელო პრინციპების არარსებობის პირობებში რთულია, ზუსტად განისაზღვროს პირის მიერ გარკვეული უნარის გამოვლენის ხარისხი და გამოვლინდეს მისი ძლიერი მხარეები.²⁷²

272 სოციალურ მუშაკებთან განხორციელებული კვლევა; ჭლარკავა, ნ., ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმა საქართველოში – გამომწვევები სოციალური მუშაობის პერსპექტივიდან, 2018.

სოციალური მუშაკების დასკვნის ფორმა ორ ნაწილად არის წარმოდგენილი დოკუმენტში – ნაწილი IV – უარყოფითი დასკვნა და ნაწილი V – დადებითი დასკვნა. ორივე მათგანი თითოეულ იმ სფეროს ეფუძნება, რომელიც დეტალურად არის განხილული შეფასების ფორმაში. უშუალოდ დასკვნა შედგება ორი ნაწილისგან: ნუმერაციული (ჩამოთვლილია სფეროები, რომელშიც, სოციალური მუშაკის შეფასების საფუძველზე, პირი საჭიროებს ან არ საჭიროებს მხარდაჭერას) და დასაბუთება (სადაც ხდება სოციალური მუშაკის რეკომენდაციებისა და გადანაცვლების დასაბუთების ასახვა).

მიუხედავად სოციალური მუშაკებისთვის შეფასების ფორმისა და შესაბამისი ინსტრუქციების არსებობისა, მნიშვნელოვანი გამოწვევები არსებობს მისი გამოყენებისა და შევსებისას. სოციალურ მუშაკს ბიუროს მომართვის საფუძველზე და სასამართლოს განჩინებით ეგზავნება სფეროების ჩამონათვალი, რომელშიც შესაძლოა, პირს მხარდამჭერის დანიშვნა ესაჭიროებოდეს. სოციალური მუშაკების განცხადებით, გამონაკვეთები ამ ეტაპზე იწყება, როდესაც, რიგ შემთხვევაში, ბიუროდან შესული განცხადება არ მოიცავს ინფორმაციას, თუ რისი შეფასება სურს სასამართლოს.²⁷³ სოციალური მუშაკები თავად ცდილობენ ინფორმაციის მიღებას, მიმართავენ პოტენციურ მხარდამჭერს სასამართლოში შეტანილი განცხადების შინაარსის შესახებ ან მიმართავენ ბიუროს, დაზუსტებული ინფორმაციის თხოვნით.

დასკვნა, რომელსაც სოციალური მუშაკი ადგენს, ეფუძნება იმ სფეროების შეფასებასა და კითხვებს, რაც შეფასების ფორმებშია მოცემული. როგორც დასკვნის, ისე შეფასების ფორმების შევსების მიმართულებით არსებობს მთელი რიგი გამონაკვეთები. სოციალური მუშაკების განცხადებით, ქმედუნარიანობის რეფორმის შემდეგ საერთოდ არ გადამზადებულან ქმედუნარიანობის საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, შეფასებისა და დასკვნის შედგენის ნაწილში. შესაბამისად, ამ მიმართულებით მათ ცოდნის მიღება და გაღრმავება ესაჭიროებათ.²⁷⁴ ამ გამონაკვეთს კონკრეტულ სფეროებში საქმედების დიფერენციაციის, მათზე მუშაობის სპეციალიზაციისა და პროფესიული სუპერვიზიის არარსებობა კიდევ უფრო ამწვავებს, რაც, ერთი მხრივ, ეფექტიანი შეფასების, ხოლო, მეორე მხრივ, ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის²⁷⁵ მიმართულებით მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორია.

ამასთან, სოციალური მუშაკების აზრით, ერთ-ერთ ძირითად გამონაკვეთს წარმოადგენს შეფასების პროცესისა და, შესაბამისად, შეფასების ფორმის ფორმალურობა. აღნიშნულის გამომწვევ მიზეზებს, მათ შორის, წარმოადგენს ამ ნაწილში ცოდნის

273 სოციალურ მუშაკებთან განხილული კვლევა.

274 იქვე.

275 იმის თავიდან აცილება, რომ პირი იყოს შეფასების, ხოლო შემდგომ მხარდაჭერის ან მონიტორინგის პროცესში ჩართული.

ნაკლებობა, სოციალური მუშაკების გადატვირთულობა და დროის დეფიციტი (მათ შორის, დაწესებული ვადების ნაწილში); სოციალური მუშაკები ასევე მიიჩნევენ, რომ ძირითადად საცხოვრებელ პირობებსა და მხარდამჭერ პირთან ურთიერთობას აფასებენ, ხოლო მხარდასაჭერი პირის ფუნქციურ შეფასებას ვერ ახერხებენ და უჭირთ პირის რეაბილიტაციისა და ფუნქციონირების შესახებ მსჯელობა.²⁷⁶

შეფასების შედეგად შემუშავებული დასკვნა

მულტიდისციპლინური გუნდი ექსპერტიზის საფუძველზე გასცემს დადებით ან უარყოფით დასკვნას. დადებითი დასკვნა ადასტურებს პირის ისეთი ფსიქიკური, გონებრივი ან ინტელექტუალური დარღვევების არსებობას, რომელიც ხელს უშლის მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას საზოგადოებაში, ხოლო უარყოფითი დასკვნა უარყოფს ზემოაღნიშნული მოცემულობის არსებობას. დასკვნა უნდა იყოს დასაბუთებული და მოიცავდეს იმ ქმედებების აღწერას, რომლებიც წარმოებდა ჭკუფის მუშაობის პროცესში. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ არ შეიძლება დადებითი დასკვნის გამოტანა მხოლოდ პირის დიაგნოზის საფუძველზე. ამასთან, დადებით დასკვნაშივე უნდა იყოს მითითებული გადანაცვლებების გადასინჯვის რეკომენდებული ვადა (მაქსიმუმ 5 წელი). ამ მიმართულებით საყურადღებოა სოციალური მუშაკების გარკვეული ნაწილის პოზიცია, რომლებიც აღნიშნავენ, რომ თავად არ მონაწილეობენ ვადის განსაზღვრაში და მხოლოდ ეთანხმებიან მულტიდისციპლინური გუნდის დანარჩენი ექსპერტების გადანაცვლებას, რაც, მათ შორის, არღვევს გუნდური მუშაობის პრინციპს.²⁷⁷ სოციალური მუშაკებისათვის განკუთვნილ შეფასების ფორმაში არ არის ვადასთან დაკავშირებული ჩანაწერისთვის სივრცე, რაც ამყარებს მათ ზემოაღნიშნულ განცხადებას.

მულტიდისციპლინური გუნდის წევრების გადანაცვლებმა თითოეულ სფეროსთან მიმართებით მიიღება ხმათა უმრავლესობით.²⁷⁸ განსხვავებული აზრის მქონე გუნდის წევრმა თავისი მოსაზრება დასკვნას თან უნდა დაურთოს.²⁷⁹ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კენჭისყრისას გუნდის წევრებს არ აქვთ თავის შეკავების უფლებამოსილება (მაგ. კომპეტენციის ნაკლებობის მიზეზით), რაც, ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა ბოჭავდეს ექსპერტს გადანაცვლებების მიღების ვალდებულებითა და სასამართლოს კითხვებზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემით. ყოველივე ზემოაღნიშნულ-

276 სოციალურ მუშაკებთან განხილული კვლევა.

277 იქვე.

278 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-16/ნ „ფსიქო-სოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების წესისა და სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“, დანართი #1, მ. 8(3).

279 საქართველოს კანონი „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“, მ. 13(6)-(9).

მა შესაძლოა, კითხვის ნიშნები წარმოშვას დასკვნის სიზუსტესთან დაკავშირებით.²⁸⁰ ამასთან, პრობლემურია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც კენჭისყრისას ხმათა რაოდენობა თანაბრად იყოფა – ამ დროს დასკვნას სასამართლო აფასებს. სასამართლოზე, რომელიც სპეციალური ცოდნის არქონის საფუძვლით ნიშნავს ექსპერტიზას, ამგვარი ვალდებულების დაკისრება, შესაძლოა, მისთვის არათანაზომიერ ტვირთს წარმოადგენდეს.²⁸¹ ამ მიმართულებით არსებული საკანონმდებლო რეგულაციების დახვეწის პარალელურად, ამგვარი გამოწვევების აღმოსაფხვრელად, შესაძლებელია, განიხილებოდეს დამატებითი სპეციალისტის მონვევის პრაქტიკის გამოყენება.

დასკვნებში მოცემული ინფორმაცია, განსაკუთრებით, ქმედუნარიანობისა და მხარდაჭერის არსის გათვალისწინებით, მწირი და ფორმალურია. ხშირ შემთხვევაში, დასკვნებში პირი წარმოდგენილია არა როგორც აქტიური სუბიექტი, რომლის ნების, არჩევანისა და მხარდაჭერის საჭიროებების იდენტიფიცირებაზე უნდა იყოს შეფასების პროცესი დაფუძნებული, არამედ დაკვირვების პასიურ ობიექტად.

დასკვნები, როგორც წესი, მოიცავს ინფორმაციას იმ პროცესების შესახებ, რომლებიც ადასტურებს დარღვევას, თუმცა არ იძლევა საკმარის ინფორმაციას პირის წინაშე არსებული სირთულეებისა და საჭიროებების შესახებ. მაგალითად, ფსიქოლოგის მიერ შემეცნებითი პროცესების აღწერა შემოიფარგლება თითოეული სფეროს ჩამონათვალითა და მოკლე განმარტებებით (მაგ. აღქმა – საგნობრივი, ყურადღება – გაფანტული, განლევადი და ა.შ.). მსგავსი ფორმით წარმოდგენილი ინფორმაცია მიანიშნებს გარკვეული დარღვევის არსებობაზე, თუმცა არ განმარტავს პირის კონკრეტულ საჭიროებებს (მაგ. რა ტიპის ინფორმაციის აღქმაა გართულებული და ა.შ.).

დასკვნაში ნაკლებად ვითარდება კონკრეტულ სფეროებთან მიმართებით პირის საჭიროებებზე ანალიტიკური მსჯელობა და მხარდაჭერის ინტენსივობისა და შესაძლო ფორმების გამოკვეთა. ძირითადად, გამოკვლევის აღწერა ორიენტირებულია დეფიციტების აღწერაზე, თუმცა არ ხდება მისი დაკავშირება პირის მიერ კონკრეტული ამოცანის შესრულებასთან/მხარდაჭერის საჭიროებასთან. მაგალითად, ერთ-ერთ დასკვნაში პირი აღწერილია, როგორც „*მიუწვდომელი კომუნიკაციისათვის. არ რეაგირებს, არც ვერბალურ, არც არავერბალურ მინიშნებაზე*“. ამავე დასკვნაში მოცემულია, რომ პირი „*დაჟინებით უყურებს კანფეტს*“. აღნიშნული ჩანაწერი ცხადყოფს, რომ კომუნიკაციის უნარ-ჩვევა ძირითადად მეტყველებაში სირთულეების იდენტიფიცირების საფუძველზეა შეფასებული, „დაჟინებით ცქერა“ კი არ არის ინტერპრეტირებული, როგორც კომუნიკაციის ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც ინდივიდი გამოხატავს თავის სურვილს.

280 დამატებით, იხ. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება – კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, 2016, გვ. 40-41.

281 იქვე.

ამასთან, დასკვნებში წარმოდგენილი გამოკვლევის შედეგები, ხშირ შემთხვევაში, ბუნდოვანია, არ იძლევა საკმარის ინფორმაციას კონკრეტული შესაფასებელი უნარის/ფუნქციისა და მისი განმაპირობებელი ფაქტორების შესახებ და ტოვებს სივრცეს განსხვავებული ინტერპრეტაციისათვის. ამის ტიპურ მაგალითს წარმოადგენს პირის დროში, ადგილსა და გარემოში ორიენტაციის შეფასება. ამ შემთხვევაში შეფასება, სავარაუდოდ, ეფუძნება შეკითხვაზე ვერბალური პასუხის შესაბამისობას – თუ პასუხი სწორია, პირის ადგილში ორიენტაცია ფასდება დადებითად, ხოლო არასწორი ან არასრული პასუხის შემთხვევაში, პირის უნარი შეფასებულია, როგორც დეფიციტური. მაგ. როგორც ერთ-ერთ დასკვნაშია აღწერილი, გამოსაკვლევი პირი „არ არის ორიენტირებული დროში. შეკითხვაზე, თუ რომელია მიმდინარე წელი, ჩუმად მოგვიგებს „ახლა არის შემოდგომა“; ვერ აზუსტებს მიმდინარე თვეს და რიცხვს“ (შენიშვნა: დასკვნაში მითითებული შეფასების თარიღის მიხედვით შემოდგომაა). ეს და სხვა მსგავსი ჩანაწერები სავარაუდოს ხდის შესაფასებელი პირის მიმართ ბლანკეტურ დამოკიდებულებას.

კიდევ უფრო ბუნდოვანია დასკვნებში ისეთი საკითხების შეფასება, როგორცაა, მაგალითად, პირის მხრიდან თავისი მდგომარეობისადმი/რეალობისადმი კრიტიკა,²⁸² პრობლემური ქცევის, სიმპტომის აღწერა²⁸³ და სხვა. გამონკვევას წარმოადგენს განალიზებული ინფორმაციის წინააღმდეგობრიობაც – შესწავლილ დასკვნებში ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციაა გადმოცემული როგორც ერთი, ისე სხვადასხვა სპეციალისტის მიერ წარმოდგენილ ჩანაწერებში. მაგალითად, პირის შეფასების ანგარიშში სხვადასხვა სპეციალისტის მიერ აღწერილია: „იცის კუპიურების ცნობა“, „ასახელებს. რომელია 20-თეთრიანი, შესაძლოა შემთხვევით“ და „ვერ ასხვავებს ფულის კუპიურებს“. წინააღმდეგობრივი და ამავდროულად ბუნდოვანია ერთ-ერთი სპეციალისტის მიერ სხვადასხვა აბზაცში გაკეთებული ორი ჩანაწერი – „შეუძლია დააჯგუფოს საგნები ფიზიკური მახასიათებლების მიხედვით“ და „არ ესმის ფერის, ფორმისა და ზომის მნიშვნელობა“.

გარდა იმისა, რომ გამოკვლევის შედეგებში აღწერილი ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი ბუნდოვანია და საჭიროებს დამატებით ცნობებს, მაგალითად, მეთოდის, კონტექსტის შესახებ, თითქმის ვერ ვხვდებით ახსნას იმასთან დაკავში-

282 ძირითადად, დასკვნის ბოლო ნაწილში, თითქმის ყველა შესწავლილ შემთხვევაში, ვხვდებით მსგავს ჩანაწერს: „კრიტიკა საკუთარი მდგომარეობის მიმართ და არსებული რეალობის მიმართ მკვეთრად დაქვეითებული“. საგულისხმოა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, სხვა რომელიმე ფუნქციის ან უნარის აღწერისას იმავე პირის შესახებ, შესაძლებელია საწინააღმდეგო ინფორმაციის „ამოკითხვა“. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ პირი საზღვრავს, თუ რისი გაკეთება შეუძლია დამოუკიდებლად და რა შემთხვევებში საჭიროებს მხარდაჭერას, აფასებს არსებულ საჭიროებას, თუმცა, ფორმალურად, დასკვნაში მითითებულია დებულება თვითკრიტიკის მკვეთრი დაქვეითების შესახებ.

283 ამ დროს არ ხდება შესაბამისი ინსტრუმენტის, მეთოდის ან პროცედურის დაკონკრეტება და კონტექსტის აღწერა. მაგალითად, დასკვნებში ვხვდებით მოკლე, ორ-სამსიტყვიან ჩანაწერებს სხვადასხვა უნარის შესახებ „ლექსიკური მარაგი – მწირი“, „ინტერესები – ზედმინეწვით შეზღუდული“, „არ ესმის ექსპერტიზის მიზანი“ და სხვა. ზოგიერთ შემთხვევაში აღწერა გაცილებით ვრცელია, თუმცა არასაკმარისი, რადგან არ არის კონტექსტთან ბმაში.

რებით, თუ რა კავშირშია პირის ქცევა ნების გამოხატვისა და გადაწყვეტილების მიღების უნართან, რომლის საფუძველზეც გაიცემა მხარდაჭერის შესახებ რეკომენდაცია და მიიღება გადაწყვეტილება. ამასთან, დასკვნებში წარმოდგენილი ცალკეული ინფორმაცია ხშირად არარელევანტურია ექსპერტიზის მიზნებსა და მხარდაჭერის საჭიროებებთან მიმართებით. მაგალითისთვის, ასეთია პირის ფიზიკური მდგომარეობის, დედის ორსულობის, ოჯახის წევრების ან ნათესავების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემები, პირის ჩაცმულობის, გადაადგილებისა და წონასწორობის შენარჩუნების თავისებურებები და სხვა. ხშირ შემთხვევაში, აღწერილი ინფორმაცია არარელევანტურია არა მხოლოდ მხარდაჭერის შესახებ გადაწყვეტილების მიღების, არამედ დიაგნოზისა და ფუნქციონირების შესაფასებლადაც.²⁸⁴

შესწავლილი დასკვნების კიდევ ერთ ხარვეზს წარმოადგენს შედეგების აღწერისას გამოყენებული ენა. განსაკუთრებით ფსიქიატრიული და ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგების აღწერისას, ხშირად გამოყენებულია პროფესიული ტერმინები. შეფასების დანიშნულებიდან და ამოცანიდან გამომდინარე, დოკუმენტის ძირითად აუდიტორიას წარმოადგენენ არასამედიცინო განათლების მქონე პირები, რაც მათ ხელს შეუშლის ტექსტის გაგებასა და სრულფასოვნად გააზრებაში. მეორე მხრივ, უდიდეს ხარვეზს წარმოადგენს პირის მიმართ არაეთიკური, დამაკნინებელი, შეფასებითი ფრაზები. მაგალითად, ემოციური ან სააზროვნო პროცესების აღწერისას ხშირად ვხვდებით ისეთ განმარტებებს, როგორცაა, „უმნიფარი, ინფანტილური, ტლანქი, პრიმიტიული, ბანალური, ზედაპირული“.

დასკვნების შინაარსის ანალიზიდან გამომდინარე, ნათლად იკვეთება მისი ფორმალური ხასიათი, შესაფასებელი პირის მხარდაჭერის საჭიროებების სიღრმისეული ანალიზის არარსებობა, მათ შორის, არც შესაბამის სფეროებთან მიმართებით, პირის ძლიერ მხარეებზე ფოკუსირების ნაკლებობა კონკრეტული უფლებების ჭრილში. საბოლოო ჯამში, აღნიშნული ხარვეზები განაპირობებს გამოწვევებს არა მხოლოდ პირის მხარდაჭერის საჭიროების იდენტიფიცირების, არამედ ამგვარი მხარდაჭერის ფორმისა და ინტენსივობის განსაზღვრისას (დასკვნაში არ გვხვდება ჩანაწერები მხარდაჭერის ფორმისა და ინტენსივობის შესახებ), რაც, თავისთავად, მკვეთრად უარყოფითად აისახება მხარდაჭერის სისტემის ფუნქციონირებაზე.

284 მაგ. „გამოსაკვლევ პირს განუვითარებელი აქვს ქვედა კიდურები, ტანმორჩილია. კანი – სუფთა, ხორბლისფერი. კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილი-სუსტად გამოხატული“.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან იკვეთება, რომ პირისათვის მხარდაჭერის დანიშვნის პროცესი ხასიათდება მთელი რიგი გამოწვევებით, რომელიც ვერ უზრუნველყოფს კონვენციის მე-12 და მე-13 მუხლების მოთხოვნების პრაქტიკაში ეფექტიან იმპლემენტაციას. მიუხედავად კანონმდებლობაში არსებული ზოგადი ჩანაწერისა, რომ პირისათვის მხარდაჭერის დანიშვნის პროცესში სავალდებულოა თავად ამ პირის ჩართვა, შესაბამისი სახელმძღვანელო მითითებებისა და ინსტრუქციების გარეშე, საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის ეს მოთხოვნა, ფორმალურ ხასიათს ატარებს და შშმ პირების გადანაცვლების მიღების პროცესში ეფექტიან ჩართვას არ ითვალისწინებს. ამის მიზეზი ასევე არის ის, რომ მიუხედავად საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნისა, რომ სასამართლო სისტემაში დასაქმებულ ადამიანებმა უნდა იცოდნენ გადანაცვლების მხარდაჭერის მოდელისა და შშმ პირებთან კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმის შესახებ, პრაქტიკაში არ სრულდება. ამას ემატება ისიც, რომ კანონმდებლობა ხშირად ბუნდოვანია და შესაბამისი განმარტების არარსებობის პირობებში სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა.

მეორე მხრივ, საერთაშორისო სტანდარტებისა და ქვეყნების გამოცდილების ანალიზი ცხადყოფს პირის ფსიქოსოციალური საჭიროების იდენტიფიცირების მნიშვნელობას მხარდაჭერის პროცესის ეფექტიანად წარსამართად. მხარდაჭერის სისტემის დანერგვის ნაწილში ქვეყნების მწირი გამოცდილების გათვალისწინებით, პრობლემურია ამ მიმართულებით ერთგვაროვანი პრაქტიკის დანახვა, თუმცა შესაძლებელია, გამოიკვეთოს ის ძირითადი საკითხები, რისი გათვალისწინებაც არსებითია ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული შეფასების განხორციელებისათვის. კერძოდ, პირის საჭიროების ეფექტიანი იდენტიფიცირებისათვის მნიშვნელოვანია შეფასების მიზნის სწორად განსაზღვრა, პროცესში პირის ცენტრალურობის უზრუნველყოფა, ადამიანის უფლებების სტანდარტებით ხელმძღვანელობა, ნათელი საკანონმდებლო რეგულაციების დანახვა და ეფექტიანი პოლიტიკის დოკუმენტების/სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება პროცესში ჩართული აქტორებისათვის, მთელი რიგი პრაქტიკული ასპექტების (მაგალითად, პირთან კომუნიკაციისა და მისი ინფორმირების საკითხები, შეფასების ინსტრუმენტები და დასკვნის შემუშავების ნაწილები და სხვა) გათვალისწინება და სხვა.

საქართველოს კონტექსტში მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს კანონმდებლობით შეფასების პროცესის მულტიდისციპლინური მიდგომების დამკვიდრება და შეფასების ერთ-ერთ მიზნად – პირის საჭიროებების²⁸⁵ იდენტიფიცირების ხაზგას-

285 თუმცა, როგორც პრაქტიკა გვაჩვენებს, ძირითადად, ხდება არა გადანაცვლების მიღებაში მხარდაჭერის, არამედ ზრუნვის საჭიროების იდენტიფიცირება, რაც აცდენაში მოდის კონვენციის მე-12 მუხლით გათვალისწინებული საკითხების შინაარსთან.

მა, თუმცა, მეორე მხრივ, არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები, რაც საფრთხეს უქმნის პროცესის ეფექტიანად და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული პარადიგმის მიხედვით წარმართვას. მათ შორისაა: პირის მიმართ იძულებითი ექსპერტიზის პრაქტიკა; პროცესში ჩართული აქტორებისათვის ტრენინგების/ინფორმირებულობის ღონისძიებებისა და სახელმძღვანელო პრინციპების არარსებობა/ნაკლებობა; ხარვეზები მულტიდისციპლინური გუნდის წევრებს შორის კოორდინაციაში; შეფასების შედეგად შემუშავებული დასკვნების ფორმალური ან/და ზედაპირული ხასიათი და სხვა. აღნიშნული საკითხების პრობლემურობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ მიიღოს ზომები მაქსიმალურად მოკლე ვადაში მათ აღმოსაფხვრელად.

რეკომენდაციები

არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი სახის რეკომენდაციები:

სასამართლოს მიერ პირის მხარდაჭერის მიმღებად განსაზღვრის ეტაპზე

- ▶ პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის გადანყვეტილებების დასაბუთებულობის გაზრდის მიზნით, შემუშავდეს მოსამართლეთა გადამზადების პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს მოსამართლეების ცოდნის გაზრდას კონვენციის პრინციპების, მე-12 მუხლისა და გადანყვეტილების მხარდაჭერის მოდელის შესახებ;
- ▶ მოსამართლეებისთვისა და ადვოკატებისათვის შემუშავდეს სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც მათ შესაძლებლობას მისცემს, პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის პროცესში უფრო ეფექტიანად შეძლონ შშმ პირებთან კომუნიკაციის დამყარება მათი სურვილებისა და ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირების უზრუნველყოფის მიზნით;
- ▶ პირის მხარდაჭერად ცნობის გადანყვეტილება სრულად ორიენტირებული იყოს შშმ პირის გადანყვეტილების მიღების ნაწილში ინდივიდუალური საჭიროებებისა და მისი სურვილების იდენტიფიცირებაზე. ამის უზრუნველსაყოფად, მოსამართლეების, ექსპერტიზის ბიუროს თანამშრომლების, სოციალური მუშაკებისა და ადვოკატებისათვის შემუშავდეს შესაბამისი ინსტრუქცია და სახელმძღვანელო მითითებები;
- ▶ შემუშავდეს ინსტრუქცია, რომელიც მოსამართლეებს შესაძლებლობას მისცემს, პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ განცხადების ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში გაგზავნამდე, ჩამოაყალი-

ბონ გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელსა და შეზღუდული შესაძლებლობის შეფასების სოციალურ მოდელზე დაფუძნებული შეკითხვები;

- ▶ სასამართლო გადაწყვეტილებები ეფუძნებოდეს მხოლოდ მხარდაჭერის რეფორმის არსს, რომელიც მხოლოდ პირის ნების ჩამოყალიბებაში მხარდაჭერას გულისხმობს და არ მოიცავს შშმ პირების რომელიმე უფლების შეზღუდვას და/ან ცდება ნების ჩამოყალიბებისა და გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერას;
- ▶ სასამართლო პროცესზე მხარდამჭერად კონკრეტული პირის დანიშვნამდე, მოსამართლემ დეტალურად გამოიკვლიოს მხარდაჭერის მიმღებ პირსა და მხარდამჭერს შორის არსებული ურთიერთობა, მათ შორის ინტერესთა კონფლიქტის არარსებობა და საჭიროების შემთხვევაში, მხარდაჭერის სფეროებიდან გამომდინარე, მხარდამჭერის ცოდნა და შესაძლებლობა, ეფექტიანი მხარდაჭერა გაუწიოს პირს მოცემულ სფეროში;
- ▶ პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობასთან დაკავშირებული განცხადების ფორმა ითვალისწინებდეს სფეროების კონკრეტულ ჩამონათვალს, რომელიც განცხადების შეტანის ეტაპზე პირს დაეხმარებოდა უფრო კონკრეტული და პირის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ სფეროებში მოითხოვოს მხარდამჭერის დანიშვნა; ასევე, ასეთი განცხადების ფორმა უნდა არსებობდეს მარტივად წასაკითხი ფორმატით მხარდაჭერის სავარაუდო მიმღებისათვის;
- ▶ მხარდაჭერის სავარაუდო მიმღები პირის საპროცესო ინტერესებისა და გადაწყვეტილების მის ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნების მიზნით, აუცილებელია, მოხდეს განცხადების მომზადების კონკრეტული ინსტრუქციის შემუშავება. ასევე, მნიშვნელოვანია, განცხადების მომზადების ინსტრუქციები არსებობდეს მარტივად წასაკითხი ფორმატით მხარდაჭერის სავარაუდო მიმღებისათვის;
- ▶ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელდეს ცვლილებები, რომელიც პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის პროცესს მოიცავს კონვენციის მე-12 და მე-13 მუხლების შესაბამისობაში. კერძოდ:
 - მკაფიოდ განისაზღვროს პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საქმის წარმოების სასარჩელო წარმოებად გარდაქმნის/დაწყების შესაძლებლობა;
 - კანონმდებლობით განისაზღვროს მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის უფლება, უარი თქვას მხარდაჭერის მიღებაზე, რაც პროცესის სასარჩელო წარმოებაში გადაზრდის და/ან განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველი იქნება.

პირის მხარდაჭერის საჭიროების დადგენის ეტაპზე

- ▶ გადაიხედოს პირის იძულებითი ექსპერტიზის პროცედურის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩო და ჰარმონიზაციაში მოვიდეს კონვენციის მე-12 მუხლის შინაარსთან, რაც, მათ შორის, უზრუნველყოფს იძულებითი ექსპერტიზის პრაქტიკის აკრძალვას, პირის ავტონომიურობისა და ხელშეუხებლობის გარანტირებასა და მის მიმართ სხვა ტიპის იძულებითი ღონისძიებების პრევენციას;
- ▶ კანონმდებლობამ გაითვალისწინოს მულტიდისციპლინური გუნდის წევრების უფლება, უარი თქვან საექსპერტო დასკვნის გაცემაზე;
- ▶ კანონმდებლობამ ნათლად დაარეგულიროს პირის ფსიქოსოციალური საჭიროების იდენტიფიცირების მიზნით ალტერნატიული მულტიდისციპლინური ექსპერტიზის შესაძლებლობა და ცხადად მიეთითოს მისი მიმართება ბიუროს დასკვნასთან;
- ▶ შემუშავდეს სპეციალური სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებს ამომწურავად მიმოიხილავს და ამ პროცესში ჩართული პროფესიონალებისათვის გაითვალისწინებს შეფასების ცხად თეორიულ და პრაქტიკულ სტანდარტებს, მათ შორის, შესაფასებელ პირებთან კომუნიკაციის დამყარებისა და მათი ინფორმირების თავისებურებებს, მულტიდისციპლინურ გუნდს შორის კოორდინირებული მუშაობის საკითხებს, დასკვნის შემუშავების პროცესში გასათვალისწინებელი გარემოებების ჩამონათვალსა და სხვა;
- ▶ სახელმწიფომ გააძლიეროს შეფასებაში ჩართული უწყებები და მათი ეფექტიანი საქმიანობისთვის გამოყოფს საკმარისი ადამიანური და ფინანსური რესურსები;
- ▶ უზრუნველყოფილ იქნეს გამართული უწყებრივი კომუნიკაცია ბიუროსა და მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოს შორის;
- ▶ უზრუნველყოფილ იქნეს შეფასების პროცესში ჩართული ყველა აქტორის მუდმივ რეჟიმში ინფორმირება და მათთვის სისტემატური ტრენინგები. მნიშვნელოვანია, რომ ინფორმირების ამგვარი ღონისძიებები ისეთ საკითხებს მიემართებოდეს, როგორცაა, მაგალითად, ქმედუნარიანობისა და მხარდაჭერის მოდელები, შეფასების მნიშვნელობა და მისი განხორციელების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, უწყებათაშორისი კოორდინაცია, შესაფასებელ პირთან კომუნიკაციის ტექნიკა, პირის საჭიროებების ეფექტიანი იდენტიფიცირება და სხვა;

- ▶ შეფასების პროცესის სრულყოფისათვის მოხდეს საკმარისი რაოდენობით სპეციალიზებული სოციალური მუშაკების გამოყოფა, მათი აღჭურვა რელევანტური ინსტრუმენტებით და გამართული სუპერვიზია;
- ▶ კანონმდებლობისა და პრაქტიკის დონეზე უზრუნველყოფილ იქნეს შეფასების პროცესში პირის საჭიროებებზე მორგებული გარემო და გონივრული მისადაგება;
- ▶ გადაიხედოს შეფასების ინსტრუმენტები და ფორმები ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების ფონზე და შემუშავდეს შეფასების იმგვარი ინსტრუმენტები, რომელიც, უპირობო სწორებას პირის მხარდაჭერის საჭიროების იდენტიფიცირების მიზანზე (კონკრეტულ სფეროებთან მიმართებით, ასევე, მხარდაჭერის ფორმებისა და ინტენსივობის მითითებით) მოახდენს, საჭიროებებთან ერთად ფოკუსირდება პირის ძლიერ მხარეებზე, გაითვალისწინებს მულტიდისციპლინურ გუნდს შორის მჭიდრო თანამშრომლობას, სტანდარტების დანვრილებით აღწერას და გამორიცხავს მათ დუბლირებას გუნდის წევრებს შორის;
- ▶ შეფასების სტანდარტებმა/შეფასების ფორმებმა გამორიცხოს პირის მიმართ არარელევანტური და სტიგმის შემცველი ფორმულირებების გამოყენების შესაძლებლობა.

ნაწილი III.

გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის პროცესი

შესავალი

გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის საფეხური მხარდაჭერის მთლიანი სისტემის მთავარი ნაწილია. სწორედ ამ პროცესმა უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო თუ ეროვნულ დონეზე დანესებული სტანდარტებისა და რეგულაციების პრაქტიკაში აღსრულება და მხარდაჭერის მიმღები პირის ავტონომიის, დამოუკიდებლობისა და საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის ხარისხის ზრდა.

ცხადია, ადამიანისთვის შეუძლებელია აბსოლუტური ავტონომიურობისა და დამოუკიდებლობის მიღწევა – მნიშვნელოვანია ცხოვრებაზე გეგავლენის მომხდენი ბევრი ფაქტორის, მათ შორის, გარემომცოფების აღიარება და მათი როლის გააზრება.²⁸⁶ გადაწყვეტილებების, განსაკუთრებით, პერსონალური გადაწყვეტილებების მიღების დროს, თითოეულ ადამიანს სჭირდება გარკვეული ტიპის მხარდაჭერა მეგობრებისა თუ ოჯახის წევრებისაგან, თუმცა, საბოლოოდ, ინფორმაციისა თუ შესაძლო შედეგების გააზრების შემდეგ, იგი დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას.²⁸⁷

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერა ნებისმიერ ადამიანს ესაჭიროება, საზოგადოებაში არსებული ბარიერების გათვალისწინებით, შედარებით ინტენსიური მხარდაჭერის აუცილებლობა ცალკეულ პირებთან (მათ შორის, ფსიქო-სოციალური და ინტელექტუალური ნიშნით შშმ პირებთან) მიმართებით კიდევ უფრო ცხადად ჩანს. ამ საჭიროების ფორმალურად აღიარების პარალელურად, არსებითია, რომ ამგვარი მხარდაჭერა არ იყოს პატერნალისტური და არ ჰქონდეს მხარდაჭერის მიმღები პირების უფლებების, ავტონომიურობისა და დამოუკიდებლობის შემზღუდავი ხასიათი.

სახელმწიფოთა მწირი გამოცდილებიდან გამომდინარე, რთულია, ერთმნიშვნელოვნად დადგინდეს, თუ როგორია ეფექტიანი მხარდაჭერა, თუმცა საერთაშორისო სტანდარტებისა და ქვეყნების კონტექსტის ანალიზიდან ჩანს ის ძირითადი მახასიათებლები (მათ შორის, სამართლებრივ, ინსტიტუციურ თუ პრაქტიკულ დონეზე), რომელთა გათვალისწინებაც არსებითია ამ სისტემის დანერგვის დროს.

286 Finna V.D., Cera R., Palmisano G. (Eds.), *The United Nations Convention on the Rights of Persons with Disabilities, A Commentary*, 2017, გვ. 270.

287 იქვე; *The Working Group on Legal Capacity and Supported Decision-making, A Statutory Framework for the Right to Legal Capacity and Supported Decision-making*, 2014, გვ. 4.

მოცემულ თავში განხილულია გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის პროცესი და ამ საფეხურისთვის არსებითი საკითხები. თემატიკიდან გამომდინარე, ეს თავი სამ ძირითად ნაწილად იყოფა. პირველი – მიმოიხილავს გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის არსს და მისი განხორციელების წინაპირობებს, მეორე – ანალიზებს მხარდაჭერის პროცესთან დაკავშირებულ საკანონმდებლო, ინსტიტუციურ და პრაქტიკის ჩარჩოს, საერთაშორისო სტანდარტებსა და ქვეყნების გამოცდილებას, ხოლო მესამე ნაწილი მიმოიხილავს ამ მიმართულებით საქართველოში არსებულ კონტექსტს.

1. გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის სისტემის ზოგადი მახასიათებლები

გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერა წარმოადგენს მეურვეობის უპირობო ალტერნატივას. ამ შემთხვევაში, ადამიანის ქმედუნარიანობა სრულად ნარჩუნდება და მას აქვს შესაძლებლობა, ცხოვრების ერთ ან რამდენიმე სფეროში მიიღოს მხარდაჭერა.²⁸⁸

ნათელია, რომ გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერა ზოგადი ცნებაა და მთელ რიგ ფორმალურ და არაფორმალურ მიდგომებსა და მექანიზმებს მოიცავს. მხარდაჭერის საჭიროების მქონე პირებისა და ჯგუფების არაერთგვაროვნებიდან გამომდინარე, რთულია მხარდაჭერის მხოლოდ ერთი კონკრეტული ფორმის შერჩევა და მასზე ფოკუსირება. მეტიც, ერთი და იგივე მოდელი/მიდგომა სხვადასხვა საჭიროების მქონე პირებისათვის შესაძლოა არაეფექტიანი და მეტიც – დისკრიმინაციულიც კი იყოს.²⁸⁹ ამ სირთულის გათვალისწინებით, სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე საპილოტე პროექტები გარკვეულ ჯგუფებთან მიმართებით მხარდაჭერის ეფექტიანობის იდენტიფიცირებასა და შესაძლო რეკომენდაციების ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად.²⁹⁰

მიუხედავად მხარდაჭერის მოდელის შინაარსისა და ფორმების არაერთგვაროვნებისა, ამ მიმართულებით სახელმწიფოს ვალდებულება ცხადია – მან უნდა უზრუნველყოს მხარდაჭერის იმგვარი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც მხარდაჭერის მიმღებ პირთა სურვილებსა და ნებაზე იქნება დაფუძნებული.²⁹¹ მოცემული თავის

288 Resource Centre for People with Mental Disability – “Zelda”, Handbook: First Steps in Implementation of Supported Decision Making in Latvia, 2016, გვ. 7.

289 Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/37/56, 2017, პარ. 55.

290 Australian Law Reform Commission, Equality, Capacity and Disability in Commonwealth Laws, Final Report, 2014, გვ. 529.

291 Committee on the Rights of persons with Disabilities, Concluding observations on the initial report of the Philippines, CRPD/C/PHL/CO/1, 2018, პარ. 25.

მიზანი სწორედ ეფექტიანი მხარდაჭერის განხორციელების ამ და სხვა წინაპირობებისა და მხარდაჭერის ზოგადი მექანიზმის მიმოხილვაა.

1.1. მხარდაჭერის განხორციელების წინაპირობები

შუამ პირთა მხარდაჭერისა თუ გაძლიერების სხვა სერვისებისგან განსხვავებით, სამართლებრივი ქმედუნარიანობის განსახორციელებლად აუცილებელი მხარდაჭერით უზრუნველყოფა სახელმწიფოს მყისიერი ვალდებულების ნაწილია.²⁹² ამასთან, ცხადია, კონვენციით დაწესებული სტანდარტები სახელმწიფოებს არ უსახავს კონკრეტულ გზებს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს მხარდაჭერა, თუმცა, მათი ანალიზიდან იკვეთება ის ძირითადი წინაპირობები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ამ სისტემის ფუნქციონირებისას.

- ▶ **მხარდაჭერის დაფუძნება ადამიანის უფლებების პარადიგმაზე** – ამგვარი მიდგომა კონვენციის ძირითადი პრინციპების უდავო პრიორიტეტიზაციას გულისხმობს. კერძოდ, მხარდაჭერის უზრუნველყოფისას გათვალისწინებული უნდა იყოს ისეთი პრინციპები და ღირებულებები, როგორცაა, მაგალითად, ადამიანის ღირსების, ინდივიდუალური ავტონომიისა და დამოუკიდებლობის პატივისცემა; არადისკრიმინაციულობისა და თანასწორობის პრინციპების უპირობო დაცვა,²⁹³ მხარდაჭერისას გენდერული და კულტურული კონტექსტის გათვალისწინება²⁹⁴ და სხვ.
- ▶ **მხარდაჭერის ნებაყოფლობითი ხასიათი და მხარდაჭერის მიმღები პირის როლის ცენტრალურობა** – ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, რასაც მხარდაჭერის განხორციელება უნდა ეფუძნებოდეს, მისი ნებაყოფლობითი ხასიათი, მხარდაჭერის მიმღები პირის ავტონომიურობა და მისი ნებისა და არჩევანის პრიორიტეტიზაციაა. ამ მიზნით, მხარდაჭერის დანიშვნის, მიწოდებისა და შეწყვეტის საკითხები პირის ნებაზე უნდა იყოს დამოკიდებული და თავიდან უნდა იქნას აცილებული მასზე არასათანადო ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობები. ამ პრინციპის დანერგვისას, არსებითია, ერთი მხრივ, მხარდამჭერებმა გაითავისონ მათი ფასილიტაციური/ხელშემწყობი როლი, რაც გამორიცხავს მხარდასაჭერი პირების მიმართ პატერნალისტურ დამოკიდებულებას²⁹⁵ და, მეორე მხრივ, სისტემამ გაიაზროს, რომ მხარდასაჭერ პირებს აქვთ უფლება, დაუშვან შეცდომები, გასწიონ

292 Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/34/58, 2016, პარ. 40.

293 Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/37/56, 2017, პარ. 28.

294 Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/37/56, 2017, პარ. 28 – 29; Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/34/58, 2016, პარ. 48-56.

295 Finna V.D., Cera R., Palmisano G. (Eds.), The United Nations Convention on the Rights of Persons with Disabilities, A Commentary, 2017, გვ. 271.

რისკი, შეიცვალონ შეხედულებები და მიიღონ იმგვარი გადაწყვეტილებები, რასაც, შესაძლოა, მესამე პირები არ ეთანხმებოდნენ.²⁹⁶

- ▶ **მხარდაჭერის მისაწვდომობა და ხელმისაწვდომობა** – ოჯახის წევრების, მეგობრებისა თუ ახლობლების მიერ მხარდაჭერის განხორციელება უპირობოდ მნიშვნელოვანია, თუმცა, მხარდაჭერის სისტემის მხოლოდ ამ წყაროზე დაყრდნობა ეფექტიანად ვერ გადაწყვეტს ამ მიმართულებით არსებულ გამოწვევებს, განსაკუთრებით, გრძელვადიან პერსპექტივაში.²⁹⁷ აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მხარდაჭერის სხვადასხვა სერვისი და მექანიზმი იყოს მისაწვდომი ყველა შშმ პირისთვის, მიუხედავად მათი საცხოვრებელი ადგილისა და გეოგრაფიული მდებარეობისა. დამატებით, მნიშვნელოვანია, რომ ამგვარი მექანიზმები იყოს ფინანსურად (შშმ პირებისათვის უფასო ან მინიმალური ხარჯით) და ინფორმაციულად ხელმისაწვდომი.²⁹⁸
- ▶ **საჭიროების შესაბამისი მხარდაჭერა** – მხარდაჭერის მიმღებ პირთა დამოუკიდებლობის, ავტონომიურობისა და სრული სამართლებრივი ქმედუნარიანობის უფლება, ხშირ შემთხვევაში, უკავშირდება ე.წ. ადაპტაციური მხარდაჭერის განხორციელებას – სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს იმგვარი მისადაგება, რომელიც ხელს შეუწყობს პირის ნების რეალიზაციას.²⁹⁹ ამისათვის, მხარდაჭერის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში არსებითია ისეთი კონცეფციების გამოყენება, როგორცაა, გონივრული მისადაგება, რომელიც ამ შემთხვევაში გულისხმობს მხარდაჭერის მიმღები პირებისათვის გადაწყვეტილების მიღების დროს ინფორმაციის მისაწვდომ ფორმატში მიწოდებას (მათ შორის, არავერბალური კომუნიკაციის, მარტივად წასაკითხი ფორმატების გამოყენებით), მხარდაჭერის მიმღები პირებისათვის დამოუკიდებლობის ხარისხის გარანტირებას, გადაწყვეტილების მიღების დროს მხარდაჭერის მიმღებისათვის საჭირო დროის მიცემას და სხვ.³⁰⁰ ამ პრინციპის შესასრულებლად, საერთაშორისო გამოცდილებით შესაძლებელია პირისთვის რამდენიმე ადამიანისგან/სხვადასხვა გამოცდილების მექანე მხარდამჭერთა ჯგუფისგან მხარდაჭერის მიღება (განსაკუთრებით მაღალი ინტენსივობის მხარდაჭერის საჭიროების დროს), რათა მისი საჭიროებები მაქსიმალურად იყოს დაკმაყოფილებული.³⁰¹

296 Disability Services Division of Victorian Government, Supporting Decision-making, A Quick Reference Guide for Disability Support Workers, 2012, გვ. 10-12.

297 Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/34/58, 2016, პარ. 49.

298 იქვე, პარ. 48-56; Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/37/56, 2017, პარ. 29.

299 Bizchut, Supported Decision-Making Service for Persons with Disabilities, გვ. 12.

300 IDEA Project, Reference Document of Project, გვ. 29.

301 Inclusion International, Position Paper – Key Elements of a System for Supported Decision-making, 2008.

- ▶ **მხარდაჭერის მიმღები პირის თემში ცხოვრება** – მხარდაჭერის ეფექტიანად განსახორციელებლად, პირი აქტიურად უნდა მონაწილეობდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში და უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, თავის ცხოვრებაზე განახორციელოს კონტროლი.³⁰² ინსტიტუციური გარემო არ იძლევა ამის შესაძლებლობას – ნებისმიერი ტიპის გადაწყვეტილებას ადამიანთან დაკავშირებით (მათ შორის, ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები) იღებს კონკრეტული ინსტიტუცია, რაც გამორიცხავს ამგვარი სერვისით მოსარგებლე პირთა დამოუკიდებლობისა და მათ მიერ საკუთარ ცხოვრებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას.³⁰³ შესაბამისად, სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები დეინსტიტუციონალიზაციისა და შშმ პირებისათვის თემზე დაფუძნებული მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიმართულებით.³⁰⁴
- ▶ **შშმ პირების ჩართულობა** – კიდევ ერთი ძირითადი პრინციპი, რასაც მხარდაჭერის მოდელი უნდა ეფუძნებოდეს, შესაბამისი საკანონმდებლო თუ ინსტიტუციური რეფორმის შემუშავების პროცესში შშმ თემის აქტიური და ეფექტიანი ჩართულობის უზრუნველყოფაა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი მონაწილეობა მხარდაჭერის სერვისის/მექანიზმების შემუშავების, იმპლემენტაციის, ზედამხედველობისა და შეფასების პროცესში.³⁰⁵

გემოაღნიშნულ პრინციპებთან და მიდგომებთან ერთად, მხარდაჭერის დაგეგმვისა და მიწოდების დროს არსებითია, მხედველობაში იყოს მიღებული პერსონალური ფაქტორებიც, რაც მხარდაჭერის ეფექტიანობაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს.³⁰⁶ მათ შორისაა, მხარდაჭერის მიმღები პირის ასაკი,³⁰⁷ მისი საცხოვრისი ტიპი,³⁰⁸ დამოუკიდებლობის ხარისხი,³⁰⁹ სოციალურ-ეკონომიკური მონაცვლადობა, ოჯახური გარემო და სხვა.

302 The Bulgarian Center for Not-for-Profit Law (BCNL), Guidebook for Rights Enforcement, 2014, გვ. 9.

303 იქვე.

304 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment N 1, Article 12: Equal Recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 46.

305 Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/37/56, 2017, პარ. 74 – 75; Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment N 1, Article 12: Equal Recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 50.

306 იხ. Bizchut, Supported Decision-Making Service for Persons with Disabilities, გვ. 26.

307 მაგალითად, ახალგაზრდებს, მათ ასაკიდან და ცხოვრებაზე შეზღუდული კონტროლიდან გამომდინარე, შესაძლოა, ჰქონდეთ გამოწვევები, სრულად ისარგებლონ მხარდაჭერის სისტემის ბენეფიტებით.

308 რაც უფრო ლიმიტირებულია პირის გაძლიერების სერვისები, მით უფრო იზრდება გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის როლი.

309 მხარდაჭერის შეთავაზება სხვადასხვა საჭიროების მქონე პირებისთვის ხდება, თუმცა, ცხადია, რომ პროცესი განსხვავდება იმ პირებთან მიმართებით, რომელთაც აქვთ იდენტიფიცირებული ნება და სურვილი და გამოწვევა აქვთ მის კომუნიკაციასა თუ აღსრულებაში და იმ პირებთან მიმართებით, რომელთაც აქვთ მხარდაჭერის მიღების ნაკლები გამოცდილება და აქვთ გამოწვევები, მაგალითად, ნების იდენტიფიცირებაში.

1.2 მხარდაჭერის ზოგადი მექანიზმი

მხარდაჭერის განხორციელების პრინციპებისა და მიდგომების ანალიზის პარალელურად, მნიშვნელოვანია მხარდაჭერის ზოგადი მექანიზმისა და ჩარჩოს მიმოხილვა, რაც გულისხმობს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა, მხარდაჭერის ფორმები, მხარდაჭერაში ჩართული სუბიექტების სტატუსი, ის სფეროები, რომელთან მიმართებითაც რელევანტურია მხარდაჭერის განხორციელება და სხვ.

1.2.1. მხარდაჭერის ფორმები

მხარდაჭერის ფორმებზე საუბრისას, საერთაშორისო სტანდარტები ხაზს უსვამს მის მრავალფეროვნებასა და არაერთგვაროვნებას. კერძოდ, როგორც კომიტეტი, ისე სპეციალური მომხსენებელი, მიუთითებს, რომ ამგვარმა მხარდაჭერამ, შესაძლოა, მიიღოს როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური სახე – მაგალითად, ფორმალური მხარდაჭერი, მხარდაჭერის შეთანხმებები,³¹⁰ თანასწორთა მხარდაჭერა,³¹¹ მხარდაჭერის წრეები,³¹² ღია დიალოგის პრაქტიკა,³¹³ დამოუკიდებელი ადვოკატირება, წინასწარი დირექტივები და სხვა.³¹⁴

მიუხედავად მისი მრავალფეროვანი ბუნებისა, მხარდაჭერის ფორმალური მექანიზმი უფრო მეტად ითვალისწინებს მხარდასაჭერი პირის დაცვას არასათანადო ზეგავლენისგან, იმდენად, რამდენადაც ფორმალური სისტემის დროს არსებობს დოკუმენტი/დოკუმენტები, რომელშიც განერილია მხარდაჭერისა და მხარდაჭერის მიმღები პირის უფლებამოსილებები, მხარდაჭერის ფარგლები, მხარდაჭერის პასუხისმგებლობის საკითხები, დაცვის მექანიზმები და სხვ. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოში არსებული სისტემა იყოს საკმარისად მოქნილი და გაითვალისწინოს ორივე ტიპის მხარდაჭერის არსებობა.³¹⁵

310 ძირითად შემთხვევებში გულისხმობს, მხარდაჭერასა და მხარდაჭერის მიმღებს შორის ხელშეკრულების გაფორმებას, მხარდაჭერითი ურთიერთობების შექმნისა და ჩამოყალიბების მიმართულებით, ასევე, ცალკეულ შემთხვევებში, ეს შეიძლება იყოს წარმომადგენლობითი ხელშეკრულებაც.

311 რაც ნიშნავს მსგავსი საჭიროების/ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე პირების ურთიერთმხარდაჭერას.

312 ძირითად შემთხვევებში, გულისხმობს მხარდაჭერის საჭიროების მქონე პირის გარშემო პირთა ჯგუფის (ოჯახის წევრები, ნაცნობები, ნათესავები, სერვისპროვაიდერები და სხვა) არსებობასა და მხარდაჭერას.

313 ღია დიალოგის პრაქტიკა ჩამოყალიბდა ფინეთში და გულისხმობს სერვის პროვაიდერის მიერ ფასილიტირებულ რეგულარულ შეხვედრებს მხარდასაჭერი პირისა და მისი ქსელის მონაწილეობით, სადაც, გამჭვირვალობის პრინციპზე დაყრდნობით, მოხდება გადაწყვეტილების მიღება პირის მკურნალობასთან დაკავშირებით. პროცესი ფოკუსირდება შშმ პირის ნებასა და არჩევანზე და უნარჩუნებს მას სრულ სამართლებრივ ქმედუნარიანობას.

314 Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/37/56, 2017, პარ. 27; Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment N 1, Article 12: Equal Recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 17; Mental Health Europe, Autonomy, Choices and the Importance of Supported Decision-making for Persons with Psychosocial Disabilities: MHE Position Paper on Article 12 UN CRPD on Legal Capacity, 2017.

315 Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/37/56, 2017, პარ. 58.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რაც მხარდაჭერის მიწოდებასთან დაკავშირებით ჩნდება, არის კრიზისული შემთხვევები. კერძოდ, არსებობს სიტუაციები, როდესაც ყველა შესაძლებელი ზომის მიღების მიუხედავად, ვერ მოხერხდა პირის ნებისა და არჩევანის იდენტიფიცირება. კომიტეტი მიუთითებს, რომ ამგვარ შემთხვევაზე პასუხი არ უნდა იყოს პირის სამართლებრივ ქმედუნარიანობაზე უარის თქმა. ამის მაგივრად, უნდა მოხდეს პირის ნებისა და არჩევანის საუკეთესო ინტერპრეტაციის ტესტის, როგორც უკანასკნელი ზომის გამოყენება.³¹⁶ ამ ტესტის გამოყენებისას, პირის ნებისა და არჩევანის იდენტიფიცირებისათვის არსებითია, მხედველობაში იყოს მიღებული პირის მიერ ადრე დაფიქსირებული არჩევანი, ღირებულებები, დამოკიდებულებები, ქმედებები, ვერბალური თუ არავერბალური კომუნიკაცია და სხვა.³¹⁷

1.2.2. მხარდაჭერაში ჩართული სუბიექტები და მათი სტატუსი

მხარდაჭერის სისტემაში მრავალი საჯარო და კერძო აქტორია ჩართული. თითოეულ მათგანს მნიშვნელოვანი როლი აკისრია ამ ინსტიტუტის გამართულ ფუნქციონირებაში, თუმცა, მხარდაჭერის ურთიერთობის მხარეების – მხარდამჭერისა და მხარდაჭერის მიმღების უფლებებისა და ვალდებულებების ნათელი იდენტიფიცირება არსებითია ნებისმიერი ქვეყნის კანონმდებლობისა და პრაქტიკის კონვენციასთან შესაბამისობაში მოსაყვანად. ცხადია, სხვადასხვა კონტექსტში ეს საკითხები სხვადასხვაგვარად რეგულირდება, თუმცა, მნიშვნელოვანია იმ ძირითადი საკითხების მიმოხილვა, რომელზეც საერთაშორისო სტანდარტები და სახელმწიფოების პრაქტიკა მეტ-ნაკლებად არის შეთანხმებული.

მხარდაჭერის მიმღებ პირს მხარდაჭერის სისტემაში მთავარი როლი აკისრია.³¹⁸ მხოლოდ მას აქვს უფლება, საკუთარ ცხოვრებასთან დაკავშირებით მიიღოს გადაწყვეტი-

316 Mandate of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, OL BRA 13/2019, 2019, გვ. 2.

317 იქვე; Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/37/56, 2017, პარ. 31; მაგალითად, ამ შემთხვევას ითვალისწინებს პერუს კანონმდებლობა. იმ დროს, როდესაც მხარდამჭერის დანიშვნა აუცილებელია, მოსამართლე იღებს ასეთ გადაწყვეტილებას, თუმცა, მხედველობაში იღებს მხარდამჭერსა და მხარდასაჭერ პირს შორის ნინარე ურთიერთობებს, განსაზღვრავს მხარდაჭერის ფარგლებსა და ეფექტებს და ცდილობს, რომ განახორციელოს ამ პირის ნებისა და სურვილების საუკეთესო ინტერპრეტაცია, *ob. Martinez – Pujalte A., Legal Capacity and Supported Decision-making: Lessons from Some Recent Legal Reforms*, 2019, გვ. 16; ამ ნაწილში ასევე მნიშვნელოვანია ბულგარეთის კანონპროექტი, რომელიც რისკის შემთხვევაში (პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონებისათვის სერიოზული და მყისიერი რისკი) მხარდაჭერის განსხვავებულ რეგულირებას ახდენს და გულისხმობს ნდობით აღჭურვილი პირებისაგან (მხარდაჭერის საჭიროების მქონე პირი, ოჯახის წევრები/ნათესავები/მეგობრები, მხარდაჭერაში ჩართული აქტორები) ე.წ. საბჭოს/მხარდამჭერთა ქსელის შექმნას. ამგვარი საბჭოს ფუნქცია იქნება, რომ უზრუნველყოს პირის ნებისა და არჩევანის საუკეთესო ინტერპრეტაცია. ამგვარი ზომის შემთხვევაში დაცვის საშუალებად დანახულია სასამართლო – საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სწორედ მას წარედგინება; *ob. Mental Health Europe, Autonomy, Choices and the Importance of Supported Decision-making for Persons with Psychosocial Disabilities: MHE Position Paper on Article 12 UN CRPD on Legal Capacity*, 2017, გვ. 9-10.

318 The Bulgarian Center for Not-for-Profit Law (BCNL), Guidebook for Rights Enforcement, 2014, გვ. 13.

ლებები, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, თავისი სურვილის შესაბამისად, უნდა ჰქონდეს მხარდაჭერაზე წვდომა.³¹⁹ მხარდაჭერის პროცესში მხარდასაჭერი პირის როლის ცენტრალურობა გულისხმობს მის უფლებამოსილებას, გამოარჩიოს ის ადამიანები, რომელიც მისი ნდობით სარგებლობენ, იზიარებენ მის ღირებულებებს და პატივს სცემენ მის ნებას და აირჩიოს ერთი ან რამდენიმე მხარდამჭერი (მათ შორის, მხარდამჭერთა ქსელი³²⁰),³²¹ მხარდაჭერის პროცესის შუამ პირების ნებაზე დაფუძნება ასევე გულისხმობს მის უფლებას, არ დაეთანხმოს გარშემომყოფების აზრს, ისწავლოს დაშვებული შეცდომებიდან და გასწიოს რისკი.³²² მათ ასევე აქვთ უფლებამოსილება, მოითხოვონ არსებული მხარდაჭერითი ურთიერთობის ან/და მხარდამჭერის ცვლილება, ასევე, ნებისმიერ დროს უარი თქვან მხარდაჭერის მიღებაზე.³²³

მეორე მხრივ, მხარდამჭერი ის პირია, რომელიც, როგორც წესი, მხარდასაჭერ პირს ეხმარება შემდეგ მიმართულებებში: 1) მოიპოვოს და გაიაზროს ინფორმაცია; 2) შეაფასოს შესაძლო ალტერნატივები და გადანყვეტილების შესაძლო შედეგები; 3) გამოხატოს თავისი გადანყვეტილება; 4) აღასრულოს ეს გადანყვეტილება.³²⁴ მიუხედავად მისი მნიშვნელოვანი ფუნქციებისა, მხარდამჭერმა არ უნდა ჩაანაცვლოს მხარდაჭერის მიმღები პირის გადანყვეტილება³²⁵ და პროცესში მისი მონაწილეობის არსებობის ან არარსებობის ფაქტი არ უნდა გახდეს შუამ პირის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი. მაგალითისთვის, სპეციალური მომხსენებელი შემფოთებას გამოთქვამს მხარდაჭერის იმგვარ სისტემაზე, როდესაც მხარდასაჭერი პირის მიერ ცალკეულ სფეროებში მიღებული გადანყვეტილების ვალიდურობა მხარდამჭერის მონაწილეობაზე დამოკიდებული.³²⁶

319 WHO, Realizing Supported Decision Making and Advance Planning, 2017, გვ. 60; Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/37/56, 2017, პარ. 27; Office of the Public Advocate of South Australia, Developing a Model of Practice for Supported Decision-making, 2011, გვ. 21.

320 მხარდამჭერი ქსელის წევრები შესაძლოა იყვნენ პირის ოჯახის წევრები, მეგობრები, სერვისპროვაიდერები, მოხალისეები, ნაცნობები; იხ. Resource Centre for People with Mental Disability – “Zelda”, Handbook: First Steps in Implementation of Supported Decision Making in Latvia, 2016, გვ. 48 – 50; Bulgarian Center for Not-for-Profit Law, Supported Decision-making or how People with Intellectual Disabilities and Mental Health Problems Can Live Independent Lives, გვ. 8.

321 რამდენიმე მხარდამჭერის მისაწვდომობის საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირებისათვის, რომელთაც ინტენსიური მხარდაჭერა ესაჭიროებათ; იხ. Inclusion International, Position Paper – Key Elements of a System for Supported Decision-making, 2008, გვ. 6; WHO, Realizing Supported Decision Making and Advance Planning, 2017, გვ. 60.

322 WHO, Realizing Supported Decision Making and Advance Planning, 2017, გვ. 60.

323 Committee on the Rights of persons with Disabilities, Concluding observations on the initial report of the Philippines, CRPD/C/PHL/CO/1, 2018, პარ. 25; Mandate of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, OL BRA 13/2019, 2019, გვ. 5; Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment N 1, Article 12: Equal Recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 29; Office of the Public Advocate of South Australia, Developing a Model of Practice for Supported Decision-making, 2011, გვ. 21; The Working Group on Legal Capacity and Supported Decision-making, A Statutory Framework for the Right to Legal Capacity and Supported Decision-making, 2014, გვ. 11.

324 Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/37/56, 2017, პარ. 41.

325 მხარდამჭერის ამგვარი ფუნქციები საზგასმულია რამდენიმე ქვეყნის კანონმდებლობაში. მათ შორისაა, ირლანდიის შემთხვევა, იხ. Assisted Decision-Making (Capacity) Act 2015, Ireland.

326 Mandate of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, OL BRA 13/2019, 2019, გვ. 4.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დაუშვებელია, მხარდამჭერს დაეკისროს ფუნქციები მხარდაჭერის მიმღები პირის პოზიციის საწინააღმდეგოდ.³²⁷ ამასთან, თავისი ფუნქციების განხორციელებისას, მან უნდა უზრუნველყოს მხარდასაჭერი პირის ღირსებისა და ავტონომიის, მისი მიზნების, ღირებულებებისა და არჩევანის პატივისცემა; აგრეთვე, გააზრებული უნდა ჰქონდეს პირის მიერ გადაწყვეტილების მიღებისა და კომუნიკაციის ფორმები.³²⁸ მნიშვნელოვანია, მხარდამჭერმა შეძლოს, დაამყაროს ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა მხარდასაჭერ პირთან და შეეძლოს პირის ნებისა და სურვილების ეფექტიანი იდენტიფიკაცია.³²⁹ იგი არა მხოლოდ უნდა დაეხმაროს გადაწყვეტილების მიღებაში მხარდასაჭერ პირს, არამედ ხელი შეუწყოს მისი დამოუკიდებელი უნარების (განსაკუთრებით, გადაწყვეტილების მიღების უნარების) განვითარებას.³³⁰

ცხადია, თავისი ვალდებულებების შესასრულებლად და პირისთვის ეფექტიანი მხარდაჭერის გასანვად, პირველ რიგში, მხარდამჭერს უნდა ჰქონდეს მხარდაჭერის განვეის სურვილი და საკმარისი დროითი რესურსები.³³¹ ასევე, მნიშვნელოვანია, მისი მსოფლმხედველობა და ღირებულებები შეესაბამებოდეს მხარდაჭერის სისტემის ფუნქციონირების ძირითად პრინციპებს და მინიმუმამდე დაჰყავდეს მხარდასაჭერი პირისათვის პატერნალისტური დამოკიდებულებების საფრთხე. არსებითია კომუნიკაციისა და მოსმენის უნარების ქონა, რომელიც დაეხმარება მხარდამჭერს, მხარდასაჭერ პირთან დაამყაროს ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა.³³² საბოლოოდ, მხარდამჭერის ფუნქციების შესრულება შესაძლებელია, ერთი მხრივ, მხარდაჭერის განვეის ეფექტიანი უნარების არსებობის, ხოლო, მეორე მხრივ, რელევანტური ტრენინგებისა და სუპერვიზიის, ასევე, გაძლიერების სერვისებზე ხელმისაწვდომობის პირობებში.³³³

მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მხარდამჭერის საქმიანობის ანაზღაურება. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით არ არსებობს შეჭერებული პოზიციები, ცალკეული ქვეყნები და ორგანიზაციები მიუთითებენ მხარდამჭერთა საქმიანობის ანაზღაურების აუცილებლობაზე.³³⁴ ამასთან, ფინანსური გაძლიერება პროფესი-

327 Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/37/56, 2017, პარ. 27.

328 The Working Group on Legal Capacity and Supported Decision-making, A Statutory Framework for the Right to Legal Capacity and Supported Decision-making, 2014, გვ. 21-22.

329 Bulgarian Center for Not-for-Profit Law, Supported Decision-making or how People with Intellectual Disabilities and Mental Health Problems Can Live Independent Lives, გვ. 4; The Bulgarian Center for Not-for-Profit Law (BCNL), Guidebook for Rights Enforcement, 2014, გვ. 13.

330 Australian Law Reform Commission, Equality, Capacity and Disability in Commonwealth Laws, Final Report, 2014, გვ. 105.

331 The Working Group on Legal Capacity and Supported Decision-making, A Statutory Framework for the Right to Legal Capacity and Supported Decision-making, 2014, გვ. 21-22.

332 Bizchut, Supported Decision-Making Service for Persons with Disabilities, გვ. 14 – 15.

333 WHO, Realizing Supported Decision Making and Advance Planning, 2017, გვ. 61.

334 Australian Law Reform Commission, Equality, Capacity and Disability in Commonwealth Laws, Final Report, 2014, გვ. 100; Bizchut, Supported Decision-Making Service for Persons with Disabilities.

ონალ მხარდამჭერებს მისცემს შესაძლებლობას, რამდენიმე პირს გაუწიოს მხარდაჭერა და მიიღოს კიდევ უფრო დიდი პრაქტიკული გამოცდილება.³³⁵

მხარდაჭერის მიმღებისა და მხარდამჭერების როლის ანალიზთან ერთად, არსებითია მათ შორის ურთიერთობის ფორმების განხილვაც. სხვადასხვა სქემა ფოკუსირებას ახდენს მხოლოდ არაფორმალურ მხარდამჭერებზე (მაგ. ოჯახის წევრები, მეგობრები, ახლობლები), რომლებთანაც უკვე არსებობს ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა. მეორე მხრივ, ცალკეული მექანიზმები ითვალისწინებს ისეთი ტიპის მხარდამჭერების არსებობას, რომელთაც მხარდაჭერის მიმღებ პირებთან წინარე ურთიერთობა არ აკავშირებთ, არიან გარე პირები ან/და პროფესიონალები, რომელთა ამ ფუნქციების განხორციელებისთვის წინასწარ გადაამზადეს. ცალკეულ შემთხვევაში არსებობს ე.წ. შერეული მიდგომა, სადაც მხარდაჭერა ხორციელდება ორივე ტიპის აქტორის მონაწილეობით.³³⁶

მაშინ, როცა მხარდამჭერად განსაზღვრულია პირი, რომელთანაც შშმ პირს აკავშირებს გარკვეული სახის წინარე ურთიერთობა, შესაძლოა, მოხდეს მხარდასაჭერი პირის ნებისა და სურვილების უკეთ იდენტიფიცირება, თუმცა, მხოლოდ ამ სისტემაზე ფოკუსირება პრობლემურია.³³⁷ აქ, ერთი მხრივ, საფრთხეა ოჯახის წევრების მიერ პირზე შესაძლო არასათანადო ზეგავლენის უფრო მაღალი რისკები, პროფესიონალ მხარდამჭერთან შედარებით. მეორე მხრივ, თვითონ შშმ პირს, შესაძლოა, არ სურდეს, რომ ოჯახის წევრებმა უზრუნველყონ მისი მხარდაჭერა და მნიშვნელოვანია, მას ჰქონდეს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა.³³⁸ შესაბამისად, პროფესიონალი მხარდამჭერის სერვისის შექმნა მნიშვნელოვანი იქნება მათი დამოუკიდებლობის მიღწევისა და ქმედუნარიანობის კონცეფციით სარგებლობისთვის.³³⁹

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ერთიანი მიდგომა იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ შეიძლება იყოს მხარდამჭერი, ცალკეული ქვეყნების გამოცდილება იცნობს ამ ფუნქციების დაკისრების გამომრიცხავ გარემოებებს. მაგალითად, კანადის კანონმდებლობა იცნობს ისეთ გამომრიცხავ გარემოებას, როგორცაა, ზრუნვითი სერვისის მიწოდება მხარდაჭერის მიმღები პირისთვის.³⁴⁰ ირლანდიის კანონმდებლობა და ბულგარეთის კანონპროექტი კიდევ უფრო შორს მიდის და სხვადასხვა

335 The Bulgarian Center for Not-for-Profit Law (BCNL), Guidebook for Rights Enforcement, 2014, გვ. 56

336 Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/37/56, 2017, პარ. 56.

337 იქვე, პარ. 57.

338 Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/37/56, 2017, პარ. 57; Resource Centre for People with Mental Disability – “Zelda”, Handbook: First Steps in Implementation of Supported Decision Making in Latvia, 2016, გვ. 46 – 47.

339 მხარდაჭერის სერვისთან დაკავშირებით იხ. კვლევა, ნაწილი III, თავი 2.2.1.

340 The Vulnerable Persons Living with a Mental Disability Act, C.C.S.M. c. V90, Part 2.

ტიპის სერვისსპროვაიდერთან ერთად ჩამოთვლის მხარდაჭერად კვალიფიცირების ისეთ გამომრიცხავ გარემოებებს, როგორცაა, მაგალითად, მხარდამჭერის მიერ მხარდასაჭერი პირის ან მისი ქონების მიმართ დანაშაულის ჩადენის ან/და შემაკავებელი ორდერის გამოცემის ფაქტი, მის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, რომელიც მოიცავს თაღლითობის ელემენტებს და სხვ.³⁴¹

1.2.3. მხარდასაჭერი სფეროების მიმოხილვა

კონვენცია მიუთითებს შშმ პირების მიერ სამართლებრივი ქმედუნარიანობის განხორციელების უფლებაზე ცხოვრების ყველა სფეროსთან მიმართებით.³⁴² შესაბამისად, იმ არეალების რაოდენობა, რომელთა მიმართებითაც პირს მხარდაჭერა სჭირდება, საკმაოდ მრავალფეროვანი შეიძლება იყოს. კერძოდ, მხარდასაჭერ სფეროებს შორის შესაძლოა მოიაზრებოდეს ისეთი მიმართულებები, როგორცაა,³⁴³

- ▶ **პირადი ცხოვრება** – პირის ოჯახური და სოციალური ურთიერთობები, განათლება და დასაქმება, საცხოვრისის არჩევა, სერვისების მიღება, დასვენება, პირადი დავები და სხვა;
- ▶ **სამართლებრივი საკითხები** – გარიგების დადება, ხელშეკრულებაზე ხელმოწერა, ანდერძის შედგენა და სხვა;
- ▶ **ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები** – მკურნალობა, მედიკამენტების მიღება, ჰოსპიტალიზაცია, ჯანმრთელობის დაზღვევის მიღება, ჯანსაღი კვება და სხვა;
- ▶ **ფინანსური საკითხები** – საბანკო ანგარიშისა თუ კრედიტების მართვა, გადასახადების გადახდა, ფინანსური ბენეფიტების მართვა, მემკვიდრეობა და სხვა.

მიუხედავად მხარდაჭერის ამგვარი ფართო სქემისა და სფეროების ჩამონათვალისა, მნიშვნელოვანი გამოწვევები არსებობს თითოეული მათგანის რეალიზაციასთან დაკავშირებით, რაც სხვადასხვა ბარიერით არის გამოწვეული. მაგალითისთვის, შეუძლებელია, ზემოაღნიშნულ სფეროებში გადაწყვეტილების მიღება მაშინ, როდესაც

341 Assisted Decision-Making (Capacity) Act 2015, Ireland; Republic of Bulgaria, Draft Natural Persons and Support Measures Act, მ. 14.

342 კონვენცია, მ. 12 (2).

343 სხვადასხვა ქვეყნის მაგალითი სხვადასხვა ტიპის სფეროებს გამოყოფს, მაგალითად, იხ. Bizchut, Supported Decision-Making Service for Persons with Disabilities, გვ. 17; Disability Services Division of Victorian Government, Supporting Decision-making, A Quick Reference Guide for Disability Support Workers, 2012, გვ. 2 – 3.

საც პირი არის ინსტიტუციონალიზებული და მოკლებულია საკუთარ ცხოვრებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.³⁴⁴

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო, რასთან მიმართებითაც ხშირად ხდება მხარდაჭერის საჭიროების უგულვებელყოფა და ქმედუნარიანობის შეზღუდვა, ფინანსური საკითხებია, რაც მათ შორის, მოიცავს პირის წვდომას საკუთრებაზე, მემკვიდრეობასა თუ სხვადასხვა ტიპის ფინანსურ სერვისებზე. ამ მიმართულებით, კომიტეტი ნათლად მიუთითებს სახელმწიფოს ვალდებულებაზე, უზრუნველყოს ყველა შშმ პირის მისაწვდომობა ამგვარ სერვისებზე.³⁴⁵

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში არასათანადო მხარდაჭერა მნიშვნელოვან გეგვლენას ახდენს პირის დამოუკიდებლობაზე, ავტონომიასა და ქმედუნარიანობის კონცეფციით სარგებლობაზე. საერთაშორისო სტანდარტების სანინაალმდეგოდ, რომელიც მიუთითებს პირისათვის ჯანდაცვის სერვისების განწვეის აუცილებლობაზე მხოლოდ მათი თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე,³⁴⁶ ჯანდაცვის სისტემები ხშირად პირის ნების სანინაალმდეგოდ, მესამე მხარეების თანხმობის საფუძველზე ახდენენ ინტერვენციებს, მათ შორის, ადამიანების ინსტიტუციონალიზაციას. არსებული მოცემულობიდან გამომდინარე, კონვენციის სტანდარტი მკაცრი და ერთმნიშვნელოვანია – სახელმწიფოები ვალდებული არიან, გააუქმონ ის სამართლებრივი რეგულაციები, რომელიც, მათ შორის, ითვალისწინებს პირების არანებაყოფლობით ფსიქიატრიულ დახმარებასა თუ გრძელვადიანი მოვლის სერვისში განთავსებას.³⁴⁷

1.2.4. მხარდაჭერის ინტენსივობა და ეტაპები

მხარდაჭერის სისტემამ შესაბამის სფეროებთან ერთად ისეთი საკითხებიც უნდა მიიღოს მხედველობაში, როგორცაა, მხარდაჭერის ინტენსივობა და ეტაპები. როგორც წინა თავებში აღინიშნა, მხარდაჭერის ინტენსივობის დადგენა, ხშირ შემთხვევაში, პირის შეფასების პროცესში ხდება.³⁴⁸ ზოგადი კლასიფიცირებით,³⁴⁹

344 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment N 1, Article 12: Equal Recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 46.

345 Committee on the Rights of persons with Disabilities, Concluding observations on the initial report of Uruguay, CRPD/C/URY/CO/1, 2016, პარ. 28.

346 Report of the Special Rapporteur on the Rights of Persons with Disabilities, A/73/161, 2018, პარ. 15; Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment N 1, Article 12: Equal Recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 41.

347 Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/74/186, 2019, პარ. 31; Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment N 1, Article 12: Equal Recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 42.

348 იხ. კვლევა, ნაწილი II, თავი 2.2.3.

349 მაგალითად, იხ. Bizchut, Supported Decision-Making Service for Persons with Disabilities, Australian Law Reform Commission, Equality, Capacity and Disability in Commonwealth Laws, Final Report, 2014, გვ. 93 – 94.

ამგვარი ინტენსივობა შეიძლება იყოს დაბალი,³⁵⁰ საშუალო³⁵¹ ან მაღალი³⁵², თუმცა, როგორც წესი, მხარდაჭერის განხორციელების დროს მისი ცვლილება არაერთხელ ხდება.³⁵³

მხარდაჭერის ინტენსივობასთან ერთად, მნიშვნელოვანია მხედველობაში იყოს მიღებული მხარდაჭერის განხორციელების ეტაპები. ამ საკითხებთან მიმართებით პირის საჭიროება წინასწარ შეიძლება იყოს იდენტიფიცირებული შეფასების პროცესის მიერ, თუმცა ამ შემთხვევაშიც, შესაძლოა, არსებული მოცემულობა ბევრჯერ შეიცვალოს. სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება ამ მიმართულებით განსხვავებულ მოდელებს ადგენს, თუმცა საინტერესოა ისრაელისა³⁵⁴ და ლატვიის³⁵⁵ მიდგომები, რომელთა მიხედვითაც მხარდაჭერის პროცესი შემდეგი ძირითადი ეტაპებისგან შედგება:

- ▶ **სურვილების იდენტიფიცირება** – როგორც ზემოთ აღინიშნა, მხარდაჭერის პროცესი უნდა ეფუძნებოდეს მხარდაჭერის მიმღები პირის ნებასა და სურვილებს, შესაბამისად, პირველ რიგში, არსებითია მათი იდენტიფიცირება. ამ ეტაპზე მხარდამწერსა და მხარდასაჭერ პირს შორის მყარდება ინტენსიური კომუნიკაცია, რაც ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის აუცილებელი წინაპირობაა. ცალკეულ შემთხვევაში, პირის მიერ გამოთქმული სურვილები მხარდამწერის მიერ შესაძლოა არარეალისტურადაც კი მიიჩნეოდეს, თუმცა, მნიშვნელოვანია ამ ეტაპზე მისი როლის გააზრება – განსჯის ნაცვლად, იგი უნდა დაეხმაროს მხარდასაჭერ პირს, გაიაზროს საკუთარი სურვილები და მიიღოს ინფორმაცია მათი შესრულების პროცესში შესაძლო გამოწვევებისა და მათი დაძლევის გზების შესახებ.
- ▶ **ინფორმაციის შეგროვება** – მას შემდეგ, რაც პირის ნება და სურვილები იქნება იდენტიფიცირებული, მნიშვნელოვანია შესაძლო არჩევანის შესახებ (მათ შორის, მათ დადებით და უარყოფით მხარეებთან დაკავშირებით), სრულყოფილი ინფორმაციის მოძიება.
- ▶ **სხვადასხვა არჩევანის გააზრება** – თითქმის ყველა შემთხვევაში, კონკრეტულ მიზანთან დაკავშირებით რამდენიმე სხვადასხვა არჩევანის იდენტიფიცირებაა

350 მაგალითად, მაშინ, როდესაც პირს არ სჭირდება მხარდაჭერა ან მცირე მხარდაჭერა ინფორმაციის მიღების ნაწილში, ან მხოლოდ სჭირდება მხარდაჭერა მიღებული გადაწყვეტილების კომუნიკაციაში.

351 მაგალითად, როდესაც ადამიანს სჭირდება მხარდაჭერა ინფორმაციის მოძიებასა და გააზრებაში (მისთვის გასაგები ფორმით) ან/და ამ გადაწყვეტილების სავარაუდო შედეგების შესახებ ინფორმაციის მიღებაში.

352 როდესაც პირს ესაჭიროება მხარდაჭერა მხარდაჭერის ყველა ეტაპთან მიმართებით.

353 Bizchut, Supported Decision-Making Service for Persons with Disabilities, გვ. 23.

354 იქვე, გვ. 19 – 22.

355 Resource Centre for People with Mental Disability – “Zelda”, Handbook: First Steps in Implementation of Supported Decision Making in Latvia, 2016, გვ. 42 – 43.

შესაძლებელი. გადანყვეტილების მიღების ეს ეტაპი არის ყველაზე სენსიტიური და გულისხმობს მხარდასაჭერი პირების მიერ სხვადასხვა არჩევანის გააზრებას, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების ანალიზს, ისევე, როგორც გადანყვეტილებისგან თავის შეკავების სავარაუდო შედეგების დანახვას. ამ ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მხარდამჭერის მიერ ნეიტრალურობისა და ეთიკური სტანდარტების დაცვა მხარდაჭერის მიმღებზე არასათანადო ზეგავლენის თავიდან აცილების მიზნით.

- ▶ **გადანყვეტილების მიღება** – ეს ეტაპი მთავარია მხარდაჭერის პროცესში. მხარდამჭერის ფუნქცია ამ შემთხვევაში პირის დახმარებაა, მიიღოს გადანყვეტილება, მოახდინოს მისი კონცეპტუალიზება და მისი შესრულების პროცესის დაგეგმვა.
- ▶ **გადანყვეტილების შესრულება** – მხარდაჭერის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი მიღებული გადანყვეტილების შესრულებაა. ამ ნაწილში მხარდამჭერებს სხვადასხვა როლი შეიძლება დაეკისროთ. მათ შორისაა, გადანყვეტილების შესრულების გზების ძიება და ამ პროცესში მხარდაჭერა, პირის შესაბამის სერვისებში გადამისამართება და სხვა.
- ▶ **განხორციელებული ქმედების შეფასება** – ამ დროს ხდება წინარე ეტაპების, მათ შორის, მიღებული გადანყვეტილებისა და განხორციელებული ქმედებების შეფასება (მათ შორის, შესამე პირებთან მიმართებით). ეს ეტაპი მხარდასაჭერ პირს ეხმარება, პირველ რიგში, უკეთესად დარწმუნდეს საკუთარ გადანყვეტილებაში, ან მოახდინოს იმის იდენტიფიცირება, თუ რის შეცვლასაც ისურვებდა მომავალში.

ცხადია, მხარდაჭერის ყველა ეტაპის გამოყენების საჭიროება ნებისმიერ სიტუაციასთან და გადანყვეტილებასთან მიმართებით შესაძლოა, არც არსებობდეს. თუმცა, მეორე მხრივ, კონკრეტული გარემოებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მოხდეს მხარდაჭერის წინა ეტაპებზე არაერთხელ დაბრუნებაც.

1.2.5. მხარდაჭერის მიმღებთა დაცვის მექანიზმები

მხარდაჭერის სისტემაში ერთ-ერთი მთავარი როლი მხარდაჭერის მიმღები პირის მიერ უფლებების განხორციელების პროცესში შესაბამისი დაცვის საშუალებებს ეკისრება.³⁵⁶ ამ მექანიზმს პირდაპირ ითვალისწინებს კონვენციის მე-12 (4) მუხლი, რომელიც ხელშემკვრელი სახელმწიფოებისგან ითხოვს შესაბამისი და ეფექტიანი დაცვის გარანტიების არსებობას უფლების ბოროტად გამოყენების

356 Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/37/56, 2017, პარ. 30.

აღკვეთის მიზნით. სწორედ ამგვარმა მექანიზმებმა უნდა განსაზღვროს, რომ ქმედუნარიანობის უზრუნველყოფის ზომები ორიენტირებული იყოს პირის უფლებებზე, არჩევანსა და სურვილზე, თავისუფალი იყოს ინტერესთა კონფლიქტისა და არასათანადო ზეგავლენისგან, მორგებული იყოს ინდივიდის პირად საჭიროებებს, გამოიყენებოდეს მინიმალური დროით, რეგულარულად მონმდებოდეს კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს მიერ და იყოს პროპორციული.³⁵⁷ კონვენციაზე შორს მიდის კომიტეტი, რომელიც განმარტავს არასათანადო ზეგავლენის კონცეფციას. იგი მიუთითებს, რომ ამგვარ შემთხვევებს მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მხარდამჭერსა და მხარდაჭერის მიმღებ პირს შორის ურთიერთობაში შეინიშნება შიშის, აგრესიის, მუქარის, მოტყუებისა თუ მანიპულაციის ნიშნები.³⁵⁸

დაცვის კონკრეტული ზომების განხილვამდე მნიშვნელოვანია ამგვარი მექანიზმების როლის გააზრება – ისინი მიზნად ისახავს მხარდაჭერის მიწოდების პროცესში პირის დაცვას და არა მის მიერ რისკის აღებისა და შეცდომების დაშვების პრევენციას.³⁵⁹ საერთაშორისო სტანდარტებისა და ქვეყნების გამოცდილების შესაბამისად, დაცვის მექანიზმებად, შესაძლოა, გამოიყენებოდეს შემდეგი ზომები:

- ▶ შშმ პირებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, აირჩიონ ორი ან მეტი მხარდამჭერი ან/და მიიღონ სხვა ტიპის მხარდაჭერაზე წვდომა, რაც არასათანადო ზეგავლენის რისკებს მნიშვნელოვნად ამცირებს.³⁶⁰ მათვე უნდა მიენიჭოთ უფლება, აქტიურად იყვნენ ჩართულნი პროცესში და ნებისმიერ დროს უარი თქვან მხარდაჭერაზე.³⁶¹
- ▶ მხარდაჭერის პროცესზე უნდა დანესდეს ხარისხის სტანდარტები და მხარდამჭერი პირებისათვის ნათლად უნდა გაიწეროს შესაბამისი ვალდებულებები და პასუხისმგებლობები (როგორც სამართლებრივი, ასევე, ეთიკური³⁶²), ასევე, მხარდაჭერაში ჩართული ყველა აქტორისთვის ჩატარდეს გადამზადება/ტრენინგები.³⁶³
- ▶ მხარდაჭერის პროცესზე უნდა დანესდეს დროითი ლიმიტი და დადგინდეს მისი

357 იქვე; The Bulgarian Center for Not-for-Profit Law (BCNL), Guidebook for Rights Enforcement, 2014, გვ. 15-16.

358 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment N 1, Article 12: Equal Recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 22.

359 Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/37/56, 2017, პარ. 30.

360 იქვე, პარ. 30, 62.

361 Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/37/56, 2017, პარ. 62; Australian Law Reform Commission, Equality, Capacity and Disability in Commonwealth Laws, Final Report, 2014, გვ. 110; The Bulgarian Center for Not-for-Profit Law (BCNL), Guidebook for Rights Enforcement, 2014, გვ. 15-16.

362 Bach M., Kerzner L., A New Paradigm for Protecting Autonomy and the Right to Legal Capacity, 2010, გვ. 117.

363 Australian Supported Decision-making Network, Calling for Development of a National Supported Decision-making Framework, 2016, გვ. 6; Australian Law Reform Commission, Equality, Capacity and Disability in Commonwealth Laws, Final Report, 2014, გვ. 110.

გადახედვის წესი, ასევე, უნდა განისაზღვროს ამგვარ შემთხვევებზე მონიტორინგის/ზედამხედველობის ჩარჩო.³⁶⁴

- ▶ უნდა არსებობდეს შესაბამისი პასუხისმგებლობის მექანიზმები (სასამართლოსთან ერთად, ადმინისტრაციული ორგანოები), რომლის წინაშეც პირი (მათ შორის, მესამე პირი/მხარე) მხარდამჭერის ქმედებას გაასაჩივრებს, თუ იარსებებს იმის ეჭვი, რომ მხარდამჭერი არ მოქმედებს მხარდასაჭერი პირის სურვილისა და არჩევანის შესაბამისად.³⁶⁵ ასევე, მნიშვნელოვანია, არსებობდეს მექანიზმი, რომლითაც რელევანტური მხარეები მიიღებენ ინფორმაციას პირის მხარდაჭერის მიმდებარე ცნობასთან დაკავშირებით.³⁶⁶ ამ ნაწილში, ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრებათ მხარდაჭერის მიმღები პირების უფლებების დაცვის მიმართულებით, მათ შორის, განცხადებების განხილვისა და მოკვლევის წარმართვის სფეროში, ასევე, ამ პირებისათვის სამართლებრივი დაცვის საშუალებებთან მისაწვდომობის ხელშეწყობის კუთხით.³⁶⁷
- ▶ კანონმდებლობამ და პრაქტიკამ უნდა გაითვალისწინოს ინტერესთა კონფლიქტის აცილების საშუალებები. მათ შორის, ამ მიზნით, მნიშვნელოვანია, კანონმდებლობამ დაარეგულიროს, თუ ვინ შეიძლება იყოს მხარდამჭერი და ვისთვის არ უნდა მოხდეს ამგვარი ფუნქციების დაკისრება.³⁶⁸
- ▶ კანონმდებლობამ და პრაქტიკამ უნდა გაითვალისწინოს მხარდაჭერის პროცესში მხარდაჭერის მიმღები პირისათვის ან მესამე მხარისათვის რისკის შექმნისა ან/და ზიანის მიყენების შემთხვევები და ცხადად განეროს ამ დროს მხარდამჭერის პასუხისმგებლობები. ამ ნაწილში მნიშვნელოვანია მხედველობაში იყოს მიღებული ისეთი საკითხები, როგორიცაა, მხარდამჭერის მიერ სისხლის სამართლის სავარაუდო დანაშაულის შეტყობინების ვალდებულება (რომელიც ზოგადად არსებობს ქვეყნის შიდა სამართლებრივ სისტემაში და ყველა პირს მიემართება), ასევე, მხარდაჭერის სისტემაში შიდა შეტყობინების მექანიზმის არსებობა, რომლის მეშვეობითაც მოხდება რისკებთან დაკავშირებული დილემების განხილვა და ამით თავიდან იქნება აცილებული რთულ სიტუაციებში მხარდამჭერის მართლ დარჩენა.³⁶⁹

364 Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/37/56, 2017, პარ. 62; Bulgarian Center for Not-for-Profit Law (BCNL), New “Formula” for Capacity to Act – Opportunity for Everyone to Exercise their Rights, 2014, გვ. 24.

365 Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/37/56, 2017, პარ. 30; Inclusion International, Position Paper – Key Elements of a System for Supported Decision-making, 2008, გვ. 8.

366 Council of Europe, A Study on the Equal Recognition before the Law, 2017, გვ. 71.

367 Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/37/56, 2017, პარ. 72.

368 Bulgarian Center for Not-for-Profit Law (BCNL), New “Formula” for Capacity to Act – Opportunity for Everyone to Exercise their Rights, 2014, გვ. 24.

369 Bizchut, Supported Decision-Making Service for Persons with Disabilities.

ზემოაღნიშნული მექანიზმების ბუნება და არსი ცხადად მიუთითებს მხარდაჭერის სისტემის სირთულესა და კომპლექსურობაზე. თუმცა, მათი ზედმინევენით დანერგვა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა არსებითია ნებისმიერ ქვეყანაში ქმედუნარიანობის კონცეფციის იმპლემენტაციის პროცესში.

2. გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის პროცესი – რელევანტური სამართლებრივი, ინსტიტუციური და პრაქტიკული საკითხები

მხარდაჭერის პროცესისათვის რელევანტური საკითხების, მათ შორის, პრინციპების, მხარდაჭერის ფორმების, მასში ჩართული აქტორების როლის, მხარდაჭერის ეტაპების თავისებურებების იდენტიფიცირების პარალელურად, მნიშვნელოვანია იმ სამართლებრივი, ინსტიტუციური თუ პრაქტიკული საკითხების მიმოხილვა, რაც უზრუნველყოფს ამ სისტემის გამართულად და ეფექტიანად ფუნქციონირებას.

2.1. მხარდაჭერის პროცესის სამართლებრივი რეგულირების საკითხები

გაეროს სპეციალური მომხსენებელი ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფოთა ვალდებულებაზე, მიიღონ რეგულატორული ჩარჩო, რომელის მიზნად დაისახავს ეფექტიანი და ხარისხიანი მხარდაჭერის უზრუნველყოფას შშმ პირებისათვის.³⁷⁰ თემატიკის გათვალისწინებით, ამ მიმართულებით რელევანტურია როგორც არსებული საერთაშორისო სტანდარტების (მათ შორის, კონვენციისა და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ფარგლებში შემუშავებული ინდიკატორების), ასევე ქვეყნების გამოცდილების მიმოხილვა.

კვლევის შედეგად გამოვლინდა მხარდაჭერის პროცესის თითქმის ყველა ასპექტის კანონმდებლობით რეგულირების აუცილებლობა. კერძოდ, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ქვეყნების შიდა სამართლებრივმა ჩარჩომ უნდა გაითვალისწინოს ისეთი საკითხები, როგორცაა, შშმ პირების მიერ, მათი ნებისა და არჩევანის³⁷¹ (და არა მისი საუკეთესო ინტერესების³⁷²) შესაბამისად, მხარდაჭერის მიღების უფლების სტანდარტები და სახელმწიფოს თანმხვედრი ვალდებულება, უზრუნველყოს გონივრული მისადაგება, მისაწვდომი, ხელმისაწვდომი და ადეკვატუ-

370 Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/34/58, 2016, პარ. 60.

371 მაგალითად, ამგვარ ჩანაწერს ითვალისწინებს ბულგარეთში შემუშავებული კანონპროექტი; Republic of Bulgaria, Draft Natural Persons and Support Measures Act, მ. 6.

372 Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/37/56, 2017, პარ. 47.

რი მხარდაჭერა,³⁷³ ალიაროს მხარდაჭერის სხვადასხვა ფორმა (მათ შორის, წინასწარი დაგეგმვის მექანიზმი³⁷⁴) და მათი იმპლემენტაციის მნიშვნელობა.³⁷⁵

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობამ ნათლად მიიღოს მხედველობაში შშმ პირების უფლებამოსილება, დაიწყონ, შეცვალონ ან დაასრულონ სამართლებრივი ურთიერთობები, მათ შორის, მხარდაჭერა.³⁷⁶ სამართლებრივი რეგულირება ასევე უნდა ეხებოდეს ისეთ საკითხებს, როგორცაა, მაგალითად, პირის უფლება, აირჩიოს მხარდამჭერთა რაოდენობა და იყოს დაცული უფლების დარღვევისგან ან/და არასათანადო ზეგავლენისგან.³⁷⁷ მხარდაჭერის მიმღები პირის უფლებამოსილებების საპირწონედ, კანონმდებლობამ ასევე უნდა დაარეგულიროს მხარდამჭერის ვალდებულებები და ფუნქციები, მათ შორის, ამგვარი მოვალეობების დაკისრების წინაპირობები,³⁷⁸ ისევე, როგორც მხარდაჭერის ურთიერთობის შეწყვეტის შესაძლებლობა სხვადასხვა საფუძველის გათვალისწინებით (მაგ. მხარეების უარის შემთხვევა, შეუთავსებლობის შემთხვევები, სასამართლოს/ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაწესებული ვადის გასვლა და სხვ.).³⁷⁹

2.2. მხარდაჭერის განხორციელება – ინსტიტუციური ჩარჩოს ფუნქციონირება

საკანონმდებლო რეგულირების პარალელურად, უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს რელევანტური ინსტიტუციური ჩარჩოს ფუნქციონირება, რომელიც რამდენიმე სისტემური ელემენტისგან შედგება და არსებითად განაპირობებს მხარ-

373 იქვე, პარ. 63; Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/34/58, 2016, პარ. 57; EU and OHCHR project Bridging the Gap I, Human Rights indicators for the Convention on the Rights of Persons with Disabilities in support of a disability inclusive 2030 Agenda for Sustainable Development, Art. 12.

374 EU and OHCHR project Bridging the Gap I, Human Rights indicators for the Convention on the Rights of Persons with Disabilities in support of a disability inclusive 2030 Agenda for Sustainable Development, Art. 12.; საერთაშორისო სტანდარტებთან ერთად ამგვარ რეგულირებას სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივი ჩარჩოც ითვალისწინებს. ასეთია, მაგალითად, ესპანეთის (ანდალუზია) შემთხვევა, პირს ეძლევა შესაძლებლობა, წინასწარ დაადგინოს მისი ნება და არჩევანი, რომელიც შევა მის სამედიცინო ისტორიაში და ხელმისაწვდომი იქნება სამედიცინო მუშაკებისთვის, კრიზისულ სიტუაციებში გამოსაყენებლად; იხ. Mental Health Europe, Autonomy, Choices and the Importance of Supported Decision-making for Persons with Psychosocial Disabilities: MHE Position Paper on Article 12 UN CRPD on Legal Capacity, 2017, გვ. 10.

375 Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/37/56, 2017, პარ. 54, 63; EU and OHCHR project Bridging the Gap I, Human Rights indicators for the Convention on the Rights of Persons with Disabilities in support of a disability inclusive 2030 Agenda for Sustainable Development, Art. 12.

376 EU and OHCHR project Bridging the Gap I, Human Rights indicators for the Convention on the Rights of Persons with Disabilities in support of a disability inclusive 2030 Agenda for Sustainable Development, Art. 12.

377 Mandate of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, OL BRA 13/2019, 2019, გვ. 5; Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/37/56, 2017, პარ. 47; EU and OHCHR project Bridging the Gap I, Human Rights indicators for the Convention on the Rights of Persons with Disabilities in support of a disability inclusive 2030 Agenda for Sustainable Development, Art. 12.

378 The Working Group on Legal Capacity and Supported Decision-making, A Statutory Framework for the Right to Legal Capacity and Supported Decision-making, 2014, გვ. 11; Republic of Bulgaria, Draft Natural Persons and Support Measures Act, მ. 6.

379 Republic of Bulgaria, Draft Natural Persons and Support Measures Act.

დაჭერის სისტემის ეფექტიანობას. კერძოდ, ინსტიტუციურ ჩარჩოზე საუბრისას, არსებითაა გამოიყოს, ერთი მხრივ, შესაბამისი უწყებებისთვის საკმარისი ფუნქციების დაკისრებისა და გაძლიერების და, მეორე მხრივ, მხარდაჭერის სერვისის შექმნის, მისთვის ადგილის განსაზღვრისა და დაუბრკოლებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფი ღონისძიებების გატარების საკითხები.

2.2.1. მხარდაჭერა, როგორც სერვისი

როგორც ზემოთ აღინიშნა, საერთაშორისო სტანდარტები ხაზს უსვამს მხარდაჭერის მრავალფეროვანი სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობას, რაც, როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური მექანიზმების დანერგვაში შეიძლება გამოიხატოს.³⁸⁰ ცხადია, პირმა მხარდაჭერა შესაძლოა მიიღოს როგორც ოჯახის წევრისგან ან/და ახლობლისგან, ისე პროფესიონალი მხარდამჭერისგან და ამგვარი უფლება უნდა იყოს აღიარებული სახელმწიფოს მიერ.³⁸¹ არსებითაა, რომ პირისათვის უზრუნველყოფილი მხარდაჭერა მის არჩევანს ეფუძნებოდეს და შერჩევის დროს არსებობდეს ალტერნატივები. მაგალითისთვის, მრავალ ქვეყანაში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც მხარდასაჭერი პირები მხარდაჭერას ოჯახის წევრებისგან მხოლოდ იმიტომ იღებენ, რომ სხვა ტიპის სერვისი, რომელშიც პროფესიონალი აქტორები იქნებოდნენ ჩართულები, არ არსებობს.³⁸² ამ პრაქტიკის პარალელურად, მთელი რიგი კვლევები მიუთითებს იმაზე, რომ შშმ პირების ნაწილისთვის მნიშვნელოვანია, მხარდაჭერა მიიღოს პროფესიონალისგან, მათი ნაკლებად პატერნალისტური დამოკიდებულების გამო.³⁸³ საჭიროების გათვალისწინებით, მხარდაჭერის სერვისის ფუნქციონირების გამოცდილება არსებობს სხვადასხვა ქვეყანაში. მათ შორისაა, შვედეთის პერსონალური ომბუდსმენი, რომელიც მხარს უჭერს ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირებს და ფინანსდება სახელმწიფოს მიერ,³⁸⁴ ესპანეთის (კატალონია) შემთხვევა, სადაც პირს აქვს შესაძლებლობა, გააკეთოს არჩევანი ოჯახის წევრებსა და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ ორგანიზაციებს შორის,³⁸⁵ ასევე, ბულგარეთში შემუშავებული კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს ყველა პირის უფლებას, მიიღოს შესაბამისი მხარდაჭერა მუნიციპალურ დონეზე რეგისტრირებული ორგანიზაციისგან.³⁸⁶

380 Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/37/56, 2017, პარ. 27.

381 Bizchut, Supported Decision-Making Service for Persons with Disabilities, გვ. 11.

382 FRA, Legal Capacity of Persons with Intellectual Disabilities and Persons with Mental Health Problems, 2013, გვ. 53.

383 იქვე; Resource Centre for People with Mental Disability – “Zelda”, Handbook: First Steps in Implementation of Supported Decision Making in Latvia, 2016, გვ. 32.

384 Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/37/56, 2017, პარ. 46; Finna V.D., Cera R., Palmisano G. (Eds.), The United Nations Convention on the Rights of Persons with Disabilities, A Commentary, 2017, გვ. 271.

385 European Network of National Human Rights Institutions, Mental Health Europe, Implementing Supported Decision-making: Developments Across Europe and the Role of National Human Rights Institutions, 2020, გვ. 16.

386 Mental Health Europe, Autonomy, Choices and the Importance of Supported Decision-making for Persons with Psychosocial Disabilities: MHE Position Paper on Article 12 UN CRPD on Legal Capacity, 2017, გვ. 9.

სერვისის დანერგვისას, მნიშვნელოვანია მისი ხარისხის გარანტირება. არაერთი წყარო ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ მხარდაჭერის სისტემამ უნდა უზრუნველყოს მხარდამჭერის სათანადო გაძლიერება, რათა მან შეძლოს დაკისრებული ფუნქციების შესრულება.³⁸⁷ მათ შორის, შესაძლებელია მოიაზრებოდეს მხარდამჭერისათვის განგრძობადი კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა.³⁸⁸

ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტი ასევე გულისხმობს პირზე ორიენტირებული მიდგომების განხორციელებას, სპეციალური სახელმძღვანელოების შექმნას და ხარისხის კრიტერიუმების დანესებას მხარდაჭერის სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებით.³⁸⁹ არსებითა, სახელმწიფომ უზრუნველყოს ტრენინგების ჩატარება პროცესში ჩართული ყველა აქტორისათვის, ეროვნულ, რეგიონულ და ლოკალურ დონეზე, მ.შ. საჯარო მოხელეებისთვის, სოციალური მუშაკებისთვის, ნოტარიუსებისთვის, სხვადასხვა სერვისის (ჯანდაცვის, სოციალური დაცვის) პროვაიდერებისთვის.³⁹⁰ ტრენინგებთან ერთად, არსებითა, რომ სახელმწიფოს პოლიტიკამ მოიცვას სპეციალური სახელმძღვანელოების/სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება სისტემაში ჩართული ყველა აქტორისათვის და შესაბამისი ინფორმაციის მისაწვდომი ფორმატით (მათ შორის, მარტივად წასაკითხი ფორმატით) მიწოდება.³⁹¹

ტრენინგებთან ერთად, მხარდაჭერის სისტემის ფუნქციონირებისათვის არსებითა საკმარისი ფინანსური სახსრებისა და ადამიანური რესურსის მობილიზება, საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება, ასევე, შშმ თემის ჩართულობით კვლევებისა და სტატისტიკის წარმოება, ინფორმაციის დამუშავება, რათა

387 The Working Group on Legal Capacity and Supported Decision-making, A Statutory Framework for the Right to Legal Capacity and Supported Decision-making, 2014, გვ. 23; The Vulnerable Persons Living with a Mental Disability Act, C.C.S.M. c. V90, Part 2.

388 Bizchut, Supported Decision-Making Service for Persons with Disabilities, გვ. 29.

389 Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/34/58, 2016, პარ. 54; Committee on the Rights of persons with Disabilities, Concluding observations on the initial report of Luxembourg, CRPD/C/LUX/CO/1, 2017, პარ. 25; EU and OHCHR project Bridging the Gap I, Human Rights indicators for the Convention on the Rights of Persons with Disabilities in support of a disability inclusive 2030 Agenda for Sustainable Development, Art. 12.

390 Committee on the Rights of persons with Disabilities, Concluding observations on the initial report of Mongolia, CRPD/C/MNG/CO/1, 2015, პარ. 21; Committee on the Rights of persons with Disabilities, Concluding observations on the initial report of Luxembourg, CRPD/C/LUX/CO/1, 2017, პარ. 25; EU and OHCHR project Bridging the Gap I, Human Rights indicators for the Convention on the Rights of Persons with Disabilities in support of a disability inclusive 2030 Agenda for Sustainable Development, Art. 12; Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/37/56, 2017, პარ. 76.

391 Assisted Decision-Making (Capacity) Act 2015, Ireland; Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment N 1, Article 12: Equal Recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 37; Committee on the Rights of persons with Disabilities, Concluding observations on the initial report of Malta, CRPD/C/MLT/CO/1, 2018, პარ. 4; Disability Services Division of Victorian Government, Supporting Decision-making, A Quick Reference Guide for Disability Support Workers, 2012; Inclusion International, Position Paper – Key Elements of a System for Supported Decision-making, 2008, გვ. 6.

გამოიკვეთოს სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებები და დაიგეგმოს ეფექტიანი სერვისები.³⁹²

რაც შეეხება მხარდაჭერის პროცესის უზრუნველყოფ ინსტიტუციურ მოწყობას, ძირითადად, მხოლოდ საპილოტე პროექტების განხორციელებაზე ორიენტირების გათვალისწინებით, ქვეყნების გამოცდილება მწირია. ამ მიმართულებით საინტერესო მაგალითს წარმოადგენს ფინეთის შემთხვევა, რომლის კონვენციის ეროვნულმა სამოქმედო გეგმამ გაითვალისწინა ორი უწყების – იუსტიციის სამინისტროსა და სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის სამინისტროს ვალდებულება, შშმ თემთან ერთად მოიძიოს მხარდაჭერასთან დაკავშირებული ინფორმაცია კარგი პრაქტიკის შესახებ და გრძელვადიან პერსპექტივაში განავითაროს მხარდაჭერის სისტემა.³⁹³ ინსტიტუციურ ნაწილში ასევე საინტერესოა ირლანდიის გამოცდილება, რომლის კანონმდებლობაც ითვალისწინებს ახალი უწყებისა და სერვისის ჩამოყალიბებას.³⁹⁴ ესაა გადაწყვეტილების მხარდაჭერის სერვისის ფსიქიკური ჯანმრთელობის კომისიის ფარგლებში, რომლის დანიშნულებაცაა, მოახდინოს მხარდამჭერების სუპერვიზია, სპეციალური რეესტრის წარმოება, მხარდაჭერის საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინება, საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება და სხვ.³⁹⁵

მეორე მხრივ, მხარდაჭერის მიწოდების ნაწილში არსებითია დეცენტრალიზაციის საკითხების გათვალისწინება. ამ მიმართულებით პროცესის არაეფექტიანად განხორციელების რისკები მაღალია, რადგან, ხშირ შემთხვევაში, ცენტრალური ხელისუფლების მიერ ადგილობრივი ხელისუფლებისათვის უფლებამოსილების გადაცემას თან არ ახლავს მუნიციპალიტეტების ჯეროვანი მხარდაჭერა, რაც იწვევს სერვისების მიწოდებისათვის არასაკმარისი ფინანსური რესურსების გამოყოფას, სერვისების ფრაგმენტაციასა და მუნიციპალიტეტებს შორის განსხვავებებს. ამ გამოწვევების დასაზღვევად, სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა ზომა, მათ შორის, ეფექტიანი კოორდინაციისა და ფინანსური რესურსების ალოკაციის მიმართულებით.

392 Committee on the Rights of persons with Disabilities, Concluding observations on the initial report of Belgium, CRPD/C/BEL/CO/1, 2014, პარ. 24; Committee on the Rights of persons with Disabilities, Concluding observations on the initial report of the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland, CRPD/C/GBR/CO/1, 2017, პარ. 31; Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/37/56, 2017, პარ. 69-70; Human Rights: A Reality for All, Council of Europe Disability Strategy, 2017-2023, გვ. 25-26; Inclusion International, Position Paper – Key Elements of a System for Supported Decision-making, 2008, გვ. 7.

393 The National Action Plan on the UN Convention on the Rights of Persons with Disabilities 2018–2019.

394 Assisted Decision-Making (Capacity) Act 2015, Ireland.

395 შენიშვნა: სხვადასხვა ანგარიშის მიხედვით, ცალკეული ფინანსური გამოწვევებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით ეს სისტემა ვერ ამუშავდა.

2.2.2. მხარდაჭერის ადგილი სერვისების სისტემაში

მხარდაჭერის სერვისზე საუბრისას, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს შშმ პირთა გაძლიერების სისტემაში მის ადგილზე. ამ საკითხზე მსჯელობს სპეციალური მომხსენებელი, რომელიც ხაზს უსვამს შშმ პირთა მხარდაჭერითი პროგრამების ერთიანი სისტემის ფუნქციონირების აუცილებლობას, რომელიც თავის თავში მოიცავს სხვადასხვა ტიპის მხარდაჭერით ზომებს, ასევე, რელევანტურ უწყებებს შორის თანამშრომლობასა და კოორდინაციას.³⁹⁶ ეს სისტემა უნდა ეფუძნებოდეს ადამიანის უფლებების პარადიგმას და მხედველობაში უნდა მიიღოს ყველაზე მარგინალიზებული და მონყვლადი პირების (მათ შორის, დიდი ინტენსივობის მხარდაჭერის საჭიროების მქონე პირები, ხანდაზმულები და სხვ.) მხარდაჭერის საჭიროება.³⁹⁷ ამასთან, ცხადია, ამ სისტემაში დასაქმებული პირები უნდა იყვნენ ქმედუნარიანობის საკითხებზე გადამზადებული და შესაბამისი უნარების მქონე პროფესიონალები.³⁹⁸

ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გადანყვეტილების მიღებაში მხარდაჭერით არ სრულდება პირის მიერ სამართლებრივი ქმედუნარიანობის კონცეფციით სარგებლობის უფლება. აუცილებელია, თემში არსებობდეს მთელი რიგი სერვისები იმისათვის, რომ მოხდეს პირის მიერ მიღებული გადანყვეტილების აღსრულება, რადგან გადანყვეტილების მიღების მხარდაჭერის მექანიზმი, თავისი არსით, ვერ ანაცვლებს პირის მხარდაჭერითი სერვისების პაკეტს.³⁹⁹ აქედან გამომდინარე, სისტემამ თავისთავად უნდა მოიცვას პირის შესაძლებლობა, წვდომა ჰქონდეს სხვადასხვა სერვისზე, მათ შორის, სოციალური დაცვის, საცხოვრისის, ჯანდაცვის, სამართლებრივ, ფინანსურ და სხვა პროგრამებზე.⁴⁰⁰ ამ ნაწილში ასევე ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ოჯახის წევრი მხარდაჭერების გაძლიერება.⁴⁰¹ მათ შორის, შესაძლებელია მოიაზრობდეს ფინანსური მხარდაჭერა, ფსიქოსოციალური დახმარების სერვისები და ე.წ. შესვენების სერვისი (ე.წ. Respite service), რაც შესაძლებლობას მისცემს ოჯახის წევრ მხარდაჭერ პირს, რომელიც ამასთანავე მზრუნველობას ახორციელებს, თავისი ფუნქციების შესრულების პროცესში მცირეხნიანი პაუზა აიღოს.⁴⁰²

396 Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/34/58, 2016, პარ. 58; Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/37/56, 2017, პარ. 66.

397 Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/37/56, 2017, პარ. 66.

398 Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/34/58, 2016, პარ. 50.

399 Bizchut, Supported Decision-Making Service for Persons with Disabilities.

400 Australian Supported Decision-making Network, Calling for Development of a National Supported Decision-making Framework, 2016, გვ. 5; TASH Connections, Supported Decision-making, vol. 42(3), 2017; The Bulgarian Center for Not-for-Profit Law (BCNL), Guidebook for Rights Enforcement, 2014, გვ. 10; Resource Centre for People with Mental Disability – “Zelda”, Handbook: First Steps in Implementation of Supported Decision Making in Latvia, 2016, გვ. 33 – 36; World Health Organization, World Report on Disability, 2011.

401 World Health Organization, World Report on Disability, 2011.

402 იქვე.

2.3. მხარდაჭერის განხორციელების პრაქტიკული ასპექტები

მიუხედავად იმისა, რომ მხარდაჭერის სისტემისათვის მნიშვნელოვანია მთელი რიგი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები, იგი მაინც ზოგად კონცეფციად რჩება, რომელსაც მხარდაჭერის სხვადასხვა პრაქტიკამ უნდა მისცეს შინაარსი. სწორედ ამიტომ ხდება სხვადასხვა ქვეყნის კონტექსტში არაერთი საპილოტე პროექტის განხორციელება.⁴⁰³ ცხადია, მხარდაჭერის განხორციელების პროცესის კომპლექსურობიდან გამომდინარე, შეუძლებელია მისთვის რელევანტური ყველა პრაქტიკული ასპექტის გამოყოფა, თუმცა, არსებითია ისეთი საკითხების ანალიზი, როგორცაა, მხარდამჭერსა და მხარდაჭერის მიმღებ პირს შორის კომუნიკაციის თავისებურებები, ინფორმირების კომპონენტის შესრულება ამ პირებთან მიმართებით და სხვ.

წინამდებარე ქვეთავი ასევე მიზნად ისახავს, განიხილოს მხარდამჭერებისა და მხარდაჭერის მიმღებ პირთა ურთიერთობა საფინანსო დაწესებულებებთან. იქედან გამომდინარე, რომ მხარდაჭერის განხორციელების პროცესში ყველაზე უფრო ხშირად დღის წესრიგში დგას მხარდაჭერის მიმღები პირის მიერ საკუთარი შემოსავლისა თუ საკუთრების განკარგვის საკითხი და ყველაზე უფრო ხშირად სწორედ ამ სფეროში ენიშნებათ მათ მხარდამჭერები⁴⁰⁴, დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება ამ საკითხს დაეთმობა.

2.3.1. მხარდაჭერის პროცესში ეფექტიანი კომუნიკაციის წინაპირობები

ეფექტიანი მხარდაჭერის წარმართვის მიზნით, მნიშვნელოვანია, მხარდამჭერსა და მხარდაჭერის მიმღებ პირს შორის არსებობდეს ნდობაზე დაფუძნებული კომუნიკაცია.⁴⁰⁵ ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარების პროცესი არსებითია როგორც მხარდაჭერის პროცესის საწყის ეტაპზე,⁴⁰⁶ ასევე, მის შემდგომაც.

მხარდაჭერის საწყის ეტაპზე, მხარდამჭერმა უნდა გამოკვეთოს მხარდაჭერის მიმღებისათვის მნიშვნელოვანი საკითხები, მაგალითად, შშმ პირისთვის მნიშვნელოვანი ადამიანები და მათთან ურთიერთობები, საქმიანობები, რისი განხორციელებაც

403 Committee on the Rights of persons with Disabilities, Concluding observations on the initial report of Latvia, CRPD/C/LVA/CO/1, 2017, პარ. 5.

404 საქართველოს სახალხო დამცველი, ქმედუნარიანობა – საკანონმდებლო რეფორმა იმპლემენტაციის გარეშე, 2016.

405 Resource Centre for People with Mental Disability – “Zelda”, Handbook: First Steps in Implementation of Supported Decision Making in Latvia, 2016, გვ. 47.

406 ეს ეტაპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მხარდამჭერებისათვის, რომელთაც მხარდასაჭერ პირთან არ აკავშირებთ ურთიერთობის წინარე გამოცდილება.

სურთ, ადგილები, სადაც წასვლა მოსწონთ, მათი ყოველდღიური რუტინა და სხვ.⁴⁰⁷ ცალკეულ შემთხვევებში, მხარდაჭერის განხორციელებისას შესაძლოა იყოს კომუნიკაციის სირთულე, რომელიც ხელს უშლის მხარდამჭერს, კარგად გაიგოს მხარდაჭერის მიმღები პირის სურვილები და არჩევანი. შესაბამისად, საწყის ეტაპზევე აუცილებელია ადამიანის კომუნიკაციის თავისებურებების სიღრმისეული გაცნობა, რომელიც თავის თავში მოიცავს როგორც ვერბალური, ისე არავერბალური კომუნიკაციის საკითხებს.⁴⁰⁸ კომუნიკაციის საწყის ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარე აქტორების, პროფესიონალი ფასილიტატორების არსებობაც, რომლებიც, სხვა მიმართულებებთან ერთად, მუშაობენ მხარდაჭერის დაგეგმვაზე, ასევე, მხარდამჭერი ქსელის შექმნასა და განვითარებაზე.⁴⁰⁹

საწყისი ეტაპის შემდგომ, მხარდაჭერის ეფექტიანი განხორციელებისთვის არსებითია რამდენიმე მნიშვნელოვანი პრაქტიკული ასპექტის გათვალისწინება. პირველ რიგში, ესაა ეფექტიანი კომუნიკაცია – გადანყვეტილების მიღებაში მხარდაჭერისას არსებითია იმის იდენტიფიცირება, თუ რამდენად აქვს პირს ყველა ინფორმაცია იმისთვის, რომ მიიღოს გადანყვეტილება. ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, მხარდამჭერმა მხარდასაჭერ პირს უნდა მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია.⁴¹⁰ მნიშვნელოვანია, რომ მიწოდებული ინფორმაცია ეხებოდეს მისაღებ გადანყვეტილებას და მოხდეს გადანყვეტილების მიღებასთან/მისგან თავის შეკავებასთან დაკავშირებული რისკების, შესაძლო შედეგების (მათ შორის, სხვა ადამიანებზე ზეგავლენის ნაწილში), შესაბამისი ფაქტებისა და შესაძლო ალტერნატივების დაბალანსებული მიწოდება.⁴¹¹ ინფორმაციის მიწოდებისა თუ სხვა ტიპის კომუნიკაციის განხორციელების დროს შესაძლებელია, მხარდამჭერმა უზრუნველყოს მესამე პირების, მათ შორის სპეციალისტებისა თუ ოჯახის წევრების ჩართვა.⁴¹²

ინფორმაციის რაობასთან ერთად, მნიშვნელოვანია, მხარდამჭერმა მოახდინოს მხარდაჭერის მიმღებისთვის ყველაზე მისაღები და გასაგები ფორმით კომუნიკაცია და ამ მიზნით, საჭიროებისამებრ უზრუნველყოს კომუნიკაციის შესაბამისი ექსპერტის ჩართვა, ტექნოლოგიის ან/და ვიზუალური მასალის გამოყენება.⁴¹³ არსებითია, რომ მხარდამჭერმა კომუნიკაციისას გამოიყენოს მარტივი წინადადებები, შეარ-

407 IHC Advocacy, Supporting Decision-making: A Guide for Supporters of People with an Intellectual Disability, გვ. 6.

408 იქვე, გვ. 7.

409 The Bulgarian Center for Not-for-Profit Law (BCNL), Guidebook for Rights Enforcement, 2014, გვ. 26; The Bulgarian Center for Not-for-Profit Law (BCNL), Guidebook for Rights Enforcement, 2014, გვ. 13, 20, 26 – 27.

410 New South Wales Government, Attorney General's Department, Capacity Toolkit, 2009, გვ. 149.

411 იქვე, გვ. 149 – 150.

412 იქვე, გვ. 149; The Working Group on Legal Capacity and Supported Decision-making, A Statutory Framework for the Right to Legal Capacity and Supported Decision-making, 2014, გვ. 11.

413 New South Wales Government, Attorney General's Department, Capacity Toolkit, 2009, გვ. 150 – 151; IHC Advocacy, Supporting Decision-making: A Guide for Supporters of People with an Intellectual Disability, გვ. 7; Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment N 1, Article 12: Equal Recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 17.

ჩიოს მხარდაჭერის მიმღებისთვის მისაღები საუბრის ტონი და სისწრაფე, ასევე, დაუსვას ღია ტიპის კითხვები იმის შესახებ, თუ რამდენად გაიაზრა პირმა მიწოდებული ინფორმაცია.⁴¹⁴

მხარდაჭერის პროცესში ეფექტიანი კომუნიკაციის უზრუნველყოფისთვის, არსებითია, მხარდამჭერმა შეარჩიოს კომუნიკაციის ადგილი, სადაც პირი მშვიდად იგრძნობს თავს და მხარეებს შორის დისკუსიას მარტივად არ შეეშლება ხელი. ასევე მნიშვნელოვანია დროის იმ მონაკვეთის იდენტიფიცირება, როდესაც პირთან კომუნიკაცია შესაძლებელია ყველაზე ნაყოფიერი იყოს.⁴¹⁵

2.3.2. პროცესში გასათვალისწინებელი ეთიკური სტანდარტები

თავისი ვალდებულებების შესრულებისას, მნიშვნელოვანია, რომ მხარდამჭერმა პატივი სცეს მხარდაჭერის მიმღები პირების როლის ცენტრალურობასა და ავტონომიურობას. ამ მიზნის მისაღწევად, არსებითია, რომ მხარდამჭერისა და მხარდაჭერის მიმღები პირის ურთიერთობა არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ ეთიკური სტანდარტების მიხედვით ხორციელდებოდეს.⁴¹⁶ სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის, ისრაელისა და ჩეხეთის გამოცდილებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მხარდაჭერის განხორციელების მთელი რიგი ეთიკური სტანდარტების იდენტიფიცირება:⁴¹⁷

- ▶ მხარდამჭერმა ფუნქციები კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს, დაიცვას არსებული სამართლებრივი რეგულაციები, საერთაშორისო სტანდარტები და სასამართლოს გადაწყვეტილებები. მისთვის უპირობოდ პრიორიტეტული უნდა იყოს მხარდასაჭერი პირის ნება და არჩევანი;
- ▶ მხარდამჭერმა უნდა გაიაზროს, რომ მხოლოდ მხარდაჭერის მიმღები პირი არის უფლებამოსილი, საკუთარ ცხოვრებასთან დაკავშირებით მიიღოს გადაწყვეტილებები და აიღოს პასუხისმგებლობა;
- ▶ მხარდამჭერი პირს უნდა დაეხმაროს არსებული ბარიერების დაძლევაში და მისი როლი არ უნდა მოიცავდეს ზრუნვის ან გადაწყვეტილების მიღების ჩანაცვლების ელემენტებს;

414 New South Wales Government, Attorney General's Department, Capacity Toolkit, 2009, გვ. 151.

415 იქვე, გვ. 151- 152; IHC Advocacy, Supporting Decision-making: A Guide for Supporters of People with an Intellectual Disability, გვ. 9.

416 Bach M., Kerzner L., A New Paradigm for Protecting Autonomy and the Right to Legal Capacity, 2010, გვ. 117.

417 იქვე; Bizchut, Supported Decision-Making Service for Persons with Disabilities, გვ. 27; Quip, Inclusion Czech Republic, Ethical and Methodological Principles of Support in Decision-Making and exercising legal capacity, 2017.

- ▶ მხარდამჭერმა მხარდასაჭერ პირს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მხოლოდ მისთვის მისაწვდომ ფორმატში;
- ▶ მხარდამჭერი არ უნდა დაეხმაროს პირს კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, ამასთან, მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, პირის იმ ქმედებებთან მიმართებით, რომელიც აბსოლუტურად ეწინააღმდეგება მის მსოფლმხედველობას, უარი თქვას მხარდაჭერაზე;
- ▶ მხარდამჭერმა უნდა დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალობა;
- ▶ მხარდამჭერმა არ უნდა განახორციელოს მხარდასაჭერ პირზე არასათანადო ზეგავლენა. მან უნდა გამოიცილოს ინტერესთა კონფლიქტის დროს მოქმედება, ასევე, თავი უნდა შეიკავოს შშმ პირისგან ან მისი ოჯახის წევრებისგან რაიმე ტიპის ბენეფიტის მიღებაზე.

2.3.3. მხარდასაჭერი პირისა და მხარდამჭერის სათანადო ინფორმირებულობის უზრუნველყოფა

წლების გამოცდილება, როცა შშმ პირები არ იღებდნენ საკუთარი ცხოვრების შესახებ გადაწყვეტილებებს და არ შეეძლოთ დამოკიდებელი ცხოვრება, აისახა არა მარტო მათზე, არამედ მათ ოჯახებსა და საზოგადოებაზე. ქმედუნარიანობის რეფორმა და გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერა ცვლის სწორედ ამ მიდგომას, თუმცა, გამჭდარი სტერეოტიპების შესაცვლელად ადრეული ასაკიდან შესაბამისი განათლება და ოჯახების და მხარდამჭერი პირების გადამზადება საჭირო.

ნებისმიერი ტიპის მხარდაჭერის უზრუნველყოფის შემთხვევაში, სისტემამ უნდა გაითვალისწინოს მხარდასაჭერი პირების გაძლიერების საკითხები ტრენინგების ჩატარებითა და ასისტირებით.⁴¹⁸ იქიდან გამომდინარე, რომ მხარდაჭერის მიწოდება შშმ პირის ნებასა და არჩევანზე უნდა იყოს ფოკუსირებული, მნიშვნელოვანია, მოხდეს მათი გადამზადება და მათთვის მხარდაჭერის საჭიროებისა და ინტენსივობის იდენტიფიცირების სწავლება.⁴¹⁹

მეორე მხრივ, კარგი პრაქტიკა გულისხმობს მხარდამჭერების სავალდებულო, პირველად სრულყოფილ სწავლებას და შემდგომ მუდმივ გადამზადებას, ისევე როგორც ინდივიდუალურ ქოუჩინგს და პრობლემების გადაწყვეტის სესიების

418 Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/34/58, 2016, პარ. 54.

419 Committee on the Rights of persons with Disabilities, Concluding observations on the initial report of Norway, CRPD/C/NOR/CO/1, 2019, პარ. 19; Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment N 1, Article 12: Equal Recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 24.

განხორციელებას.⁴²⁰ მნიშვნელოვანია, რომ თემატიკა მოიცავდეს ზოგად ტრენინგს მხარდაჭერის არსზე, პერსონაზე ფოკუსირებულ მიდგომებზე, მხარდაჭერის სტრატეგიებზე, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ პარადიგმაზე, სხვადასხვა რელევანტური მხარდაჭერითი სერვისის შინაარსზე.⁴²¹ ასევე, არსებითია, გადაზიდვებამ მოიცვას პროცესის მნიშვნელოვანი პრაქტიკული ასპექტები, მათ შორის, გამოსაყენებელი კომუნიკაციის სტანდარტები და კონკრეტული გამოწვევების დაძლევის გზები.⁴²² პერსონალური თუ ჯგუფური ტრენინგებით გახდება შესაძლებელი, ერთი მხრივ, განვითარდეს მხარდამჭერთა უნარები და, მეორე მხრივ, უკეთ მოხდეს მათი როლისა და პასუხისმგებლობის გააზრება. ამასთან, ამგვარი გადაზიდვების დროს ადგილი აქვს მხარდამჭერებს შორის კომუნიკაციას და პრაქტიკული ინფორმაციის გაცვლას, რაც შემდგომში მხარდაჭერის პროცესის დახვეწას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.⁴²³

საბოლოოდ, მხარდაჭერის პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო, ინსტიტუციური თუ პრაქტიკული ასპექტების ანალიზიდან იკვეთება ამ სფეროს კომპლექსურობა და სირთულე. აქედან გამომდინარე, მოკლე დროში გამართული სისტემის ჩამოყალიბება შესაძლოა მნიშვნელოვან გამოწვევებთან იყოს დაკავშირებული. თუმცა, არსებითია, რომ ქვეყნებმა გაიაზრონ საკუთარი ვალდებულებები და უზრუნველყონ შესაბამისი მექანიზმების შექმნა და განვითარება.

2.3.4. მხარდაჭერის მიმღებისა და მხარდამჭერის კომუნიკაციის სტანდარტები ფინანსურ ინსტიტუტებთან

ქმედუნარიანობა, რომელიც ავტონომიის, დამოუკიდებლობის, ღირსებისა და თავისუფლების იდეებთან კავშირში არსებობს, საშუალებას აძლევს თითოეულ ინდივიდს, გააფორმოს ხელშეკრულებები, მიმართოს სამედიცინო პროცედურებს, ისარგებლოს შრომისა და ქორწინების უფლებით, და ა.შ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქმედუნარიანობის საკითხი საფინანსო დაწესებულებებთან ურთიერთობისას. შეიძლება ითქვას, რომ კონვენციის მე-12 მუხლის გააზრებისა და პრაქტიკული რეალიზაციის პროცესში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას, სწორედ საფინანსო სფერო წარმოადგენს. იქედან გამომდინარე, რომ მემკვიდრეობისა და ფინანსების განკარგვის საკითხი მეურვეობის ინსტიტუტის ერთ-ერთ მთავარი სირ-

420 Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/37/56, 2017, პარ. 59; იხ. ასევე, Bizchut, Supported Decision-Making Service for Persons with Disabilities; Inclusion International, Position Paper – Key Elements of a System for Supported Decision-making, 2008, გვ. 7.

421 Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/37/56, 2017, პარ. 59.

422 Inclusion International, Position Paper – Key Elements of a System for Supported Decision-making, 2008, გვ. 7; Bizchut, Supported Decision-Making Service for Persons with Disabilities, გვ. 29, 56.

423 Bizchut, Supported Decision-Making Service for Persons with Disabilities, გვ. 56.

თუღა, რადგან ის პირდაპირ დაკავშირებულია ადამიანის მიერ გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღებასა და ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში ჩართვასთან, მე-12 მუხლში ეს საკითხი განსაკუთრებით არის ხაზგასმული. კონვენცია სახელმწიფოს უშუალო ვალდებულებად მიიჩნევს ისეთი ეფექტიანი მექანიზმების შექმნას, რომელიც ყველა შშმ პირს შესაძლებლობას მისცემს ისარგებლოს საკუთრებით, მემკვიდრეობის მიღებით, საკუთარი ფინანსებით, საბანკო პროდუქტებით.⁴²⁴

უფლებათა განხორციელების დროს, კონვენცია გამორიცხავს ყოველგვარ დისკრიმინაციას ფინანსურ სფეროში. კომიტეტის მიერ კი დამატებით ის გარემოებაცაა ხაზგასმული, რომ ისევე, როგორც სქესი არ შეიძლება გახდეს დისკრიმინაციის საფუძველი ქონებრივ და ფინანსურ საქმეთა განხორციელებისას, ასევე მიუღებელია დისკრიმინაცია შებენიანი შესაძლებლობის ნიშნით.⁴²⁵

წლების განმავლობაში ფინანსური სფეროს მართვის პრაქტიკაში გამოვლენილმა სირთულეებმა წარმოშვა აუცილებლობა, რომ დაიწყოს მსჯელობა, თუ როგორ უნდა წარიმართოს მხარდაჭერის მიმღებსა და საფინანსო დაწესებულებას შორის ურთიერთობა იმგვარად, რომ დაცული იყოს ქმედუნარიანობის რეფორმით დამკვიდრებული მხარდაჭერის ინსტიტუტის პრინციპები, ასევე, თუ როგორ სამართლებრივ და პრაქტიკულ ჩარჩოში უნდა წარიმართოს მხარდაჭერთა და საბანკო-საფინანსო დაწესებულებათა ურთიერთობა, რომ მხარდაჭერის მიმღებ პირებს არ შეექმნათ დაბრკოლებები საკუთარ საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხების განკარგვისას.

ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია იმ მიდგომათა განხილვა, რომლებსაც აქტიურად იყენებენ სხვადასხვა ქვეყანაში ქმედუნარიანობისა და გადაწყვეტილებათა დამოუკიდებლად მიღების პრინციპების ეფექტიანად განხორციელების ინტერესიდან გამომდინარე. ქმედუნარიანობის უფლების სრულყოფილად განხორციელებისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულ პირებს, იქნებიან ეს მხარდაჭერები, სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტი თუ საბანკო დაწესებულება, უპირველეს ყოვლისა, მოეთხოვებათ, რომ სრულად ჰქონდეთ გაცნობიერებული მხარდაჭერის ინსტიტუტისა და ქმედუნარიანობის, როგორც სამართლებრივი და უფლებრივი მაქსიმალური უპირველესი და ამოსავალი პრინციპები⁴²⁶.

შებენიანი შესაძლებლობის მქონე უამრავი ადამიანისთვის გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობა ახალი გამოწვევაა. გამომდინარე იქიდან, რომ ცხოვრების უმეტესი დროის განმავლობაში მას იმ ადამიანის გვერდით

424 კონვენცია, მუხლი 12 (5).

425 Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 1 – Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 23.

426 Shabani N., Alesieva P., Dimitrova M., Challenging the law and policy framework for people with intellectual disabilities and mental health problems to exercise their rights, Bulgarian Center for Not-for-profit law, 2014.

უნევედა ცხოვრობდა, რომელიც მის მაგივრად იღებდა გადაწყვეტილებებს, განსაკუთრებით კი, ფინანსების განკარგავსთან დაკავშირებით, იგი მოკლებულია ავტონომიურად მოქმედების გამოცდილებას.⁴²⁷ მსგავს პირობებში, როდესაც ინდივიდს საერთოდ არ ეძლევა ან ეზღუდება შესაძლებლობა, თავად მიიღოს გადაწყვეტილებები, მას არ აქვს შანსი, ისწავლოს საკუთარ შეცდომებზე და ჰქონდეს გამოცდილება, რაც სამომავლოდ მხოლოდ დაეხმარებოდა ქმედუნარიანობის უფლების საუკეთესოდ განხორციელებაში.

ადამიანები საჭიროებენ განსხვავებული სახის მხარდაჭერას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სწორედ ამგვარი მხარდაჭერა ქმნის პირობებს საიმისოდ, რომ გადაწყვეტილების მიღების თეორიული შესაძლებლობა, რომელსაც ქმედუნარიანობის პარადიგმა აღიარებს, პრაქტიკულად განხორციელდეს. სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, ყველა ადამიანს შესთავაზოს იმგვარი მხარდაჭერითი ღონისძიებები, როგორცაა: კომუნიკაციური და ინტერპრეტაციული მხარდაჭერა, წარმომადგენლობითი მხარდაჭერა, ადმინისტრაციული მხარდაჭერა, დამოუკიდებელი ადვოკატირება, სოციალური ურთიერთობების წარმართვის მხარდაჭერა. მხარდაჭერის თითოეული ეს სერვისი სხვადასხვა ქვეყანაში გამოიყენება იმისათვის, რათა ადამიანებს მაქსიმალურად ნაკლებად შეექმნათ ნებისმიერი სახის დაბრკოლება გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების პროცესში⁴²⁸.

მხარდაჭერის მიმღების ნების გამოვლენის განსხვავებული ფორმები

ნების გამოვლენა შესაძლებელია განხორციელდეს არა მხოლოდ პირდაპირი ნების გამოხატვით, აგრეთვე, კონკლუდენტური მოქმედებით, დუმილით, ან ჟესტების ენით. სამოქალაქო კანონმდებლობა და სამართლებრივი პრაქტიკა უშვებს განსხვავებულ ვარიაციებს იმგვარი ნების გამოსავლენად, რომელიც სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლისა ან შეწყვეტისკენ იქნება მიმართული.

მხარდაჭერის მიმღების ნება ამა თუ იმ სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის შესაძლებელია სრულიად ინდივიდუალური, მისთვის უნიკალური ენის გამოყენებით მოხდეს. ამგვარ შემთხვევებში, მხარდაჭერის ინსტიტუტი და ქმედუნარიანობის კონვენციით დამკვიდრებული ახალი პარადიგმა განსაზღვრავს ვალდებულებას საკომუნიკაციო მხარდაჭერისთვის.

427 Family & Community Services, Ageing, Disability & Home Care, Supported Decision Making, A Handbook for Supporters, გვ. 17.

428 Quinn G., O'Mahony C., Disability Law and Policy, An Analysis of the UN Convention, 2017.

საინტერესოა კანადის მხარდაჭერის ინსტიტუტის ფარგლებში განვითარებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, შშმ პირს აქვს უფლება, აირჩიოს ის ადამიანი, რომელიც მოიძიებს და განუმარტავს აუცილებელ ინფორმაციას.⁴²⁹ და მართლაც, თუკი მხარდაჭერის მიმღებ პირს კომუნიკაციის ინდივიდუალური, უნიკალური ფორმის გამო უჩნდება პრობლემა მესამე მხარეებთან ურთიერთობისას, ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, საჭირო გახდეს ალტერნატიული საკომუნიკაციო სისტემების გამოყენება, რათა პირმა შეძლოს საკუთარი სათქმელის მიტანა მესამე მხარეებამდე. ამგვარი „ალტერნატიული საკომუნიკაციო სისტემა“ შესაძლებელია გულისხმობდეს ჟესტების ენას, სხვადასხვა ელექტრონული ან არაელექტრონული მოწყობილობების გამოყენებას. არის შემთხვევები, როდესაც პიროვნებას საკუთარი სურვილის გამოხატვაში ეხმარება ადამიანი, რომელიც იცნობს მას, იცის მისი სურვილები, მისი ცხოვრების ისტორია. ამგვარ „წარმომადგენელს“ აქვს ცოდნა „წარმოდგენილი პირის“ ღირებულებებზე იმდენად, რამდენადაც აქვს მასთან ურთიერთობის შესაბამისი გამოცდილება, სარგებლობს „წარმოდგენილი პირის“ ნდობით და, რაც მთავარია, მისთვის უცხო არ გახლავთ ის უნიკალური საკომუნიკაციო ენა, რასაც პირი მიმართავს ადამიანებთან ურთიერთობისას.⁴³⁰

ამრიგად, ამოსავალი პრინციპი ნებისმიერ შემთხვევაში არის ის, რომ თუკი არსებობს შესაძლებლობა, მხარდაჭერის მიმღებმა გამოხატოს სამართლებრივი შედეგის დადგომისკენ მიმართული შინაგანი ნება, მაშინ სახელმწიფოს, მხარდამჭერი პირისა და მესამე მხარეთა ვალდებულებაა, იზრუნონ იმგვარი სერვისების შექმნაზე, რომელთა გამოყენებითაც მხარდაჭერის მიმღები შეძლებდა საკუთარი სათქმელის გამოხატვასა და საზოგადოებამდე მიტანას.

საფინანსო დანსებულებებთან ურთიერთობის სტანდარტები

მხარდაჭერის ინსტიტუტის ზემოხსენებული ზოგადი ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით, სხვადასხვა ქვეყანაში ჩამოყალიბდა შშმ პირებისათვის ქმედუნარიანობის უფლების განხორციელების განსხვავებული მოდელები და ალტერნატივები, და მათ შორის, საბანკო-საფინანსო სფეროშიც.

ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება და ამ სფეროში მხარდაჭერა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს მხარდაჭერის განხორციელების პროცესში, რაც, უპირველესად, იქედან გამომდინარეობს, რომ ფინანსური დამოუკიდებლობა და მისი განკარგვის შესაძლებლობა სწორედ პირის ავტონომიურობასა და სხვა უფლებებით ეფუძვლება სარგებლობასთან არის დაკავშირებული. ასეთი მნიშვნელობის პარალელურად, კიდევ უფრო ხშირად ამ სფეროზე იმიტომ კეთდება აქცენტი, რომ ის

429 Supported Decision Making Pilot: Pilot Program Evaluation Year 2 Report. HSRI. გვ. 11.

430 Bach M., Kerzner L., A New Paradigm for Protecting Autonomy And the Right to Legal Capacity, 2010, გვ. 77.

მოითხოვს უამრავი უნარის ქონას, სპეციალურ ცოდნას და ამასთან, ყველაზე უფრო ხშირად ჩარევა, უფლებების დარღვევა და ჩანაცვლებითი მხარდაჭერის გამოყენება სწორედ ამ სფეროში ხდება. ფინანსურ სფეროში მხარდაჭერის განხორციელებისას მრავალი ფაქტორი უნდა იყოს გათვალისწინებული: პირის წარსული ცხოვრება და ისტორია, წარსულში მისი დამოკიდებულება ფინანსების განკარგვასთან დაკავშირებით, რა მუშაობს და რა არ მუშაობს კონკრეტულ პირთან მიმართებით, როცა ის იღებს ფინანსურ გადაწყვეტილებებს და ა.შ. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მხარდამცემების ურთიერთობა მხარდაჭერის მიმღებ პირებთან ფინანსურ სფეროში ეფუძნებოდეს დაშვებას, რომ ადამიანების უნარების გაუმჯობესება შესაძლებელია, თუ მოხდება შესაბამისი, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მხარდაჭერის მიწოდება⁴³¹.

ბულგარეთი, რომელიც გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელს ეფექტიანად ნერგავს თავის პრაქტიკაში შესაბამისი საპილოტე პროგრამების განხორციელების გზით, აუცილებლად მიიჩნევს საფინანსო სფეროში პირის ავტონომიურობის შესანარჩუნებლად და საკუთარი ფინანსების მაქსიმალურად დამოუკიდებლად განკარგვისათვის შესაბამისი პროფესიონალების გადამზადებას საბანკო სექტორიდან, მათ შორის ნოტარიუსებისა და იურისტების ცოდნის გაზრდას ამ მიმართულებით, რომ მათი გადაწყვეტილებები და კომუნიკაცია შშმ პირებთან ეფუძნებოდეს კონვენციის მე-12 მუხლის მოთხოვნებს⁴³².

გარდა ზემოაღნიშნული მოთხოვნისა, რომელიც საბანკო და საფინანსო სფეროს მიემართება, ბულგარეთის საპილოტე პროგრამა ითვალისწინებს საფინანსო სფეროში პირის მხარდაჭერის განხორციელებას შესაბამისი ცოდნის მქონე სპეციალისტის მიერ, რომელიც მხარდაჭერის მიმღებ პირს გაუწევს კონსულტაციას საკუთარი ფინანსების მართვისა და განკარგვის საკითხებთან დაკავშირებით. ამასთან, მთავარი მოთხოვნაა, რომ ასეთი სპეციალისტი ფლობდეს დეტალურ ინფორმაციას გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელის არსზე და ითვალისწინებდეს პირის ინდივიდუალურ საჭიროებებს⁴³³.

ასევე, საინტერესოდ უდგებიან ამ საკითხს ისრაელში. მეურვის ინსტიტუტის ალტერნატიული მიდგომების განვითარების აუცილებლობა ისრაელში უკავშირდება არა მხოლოდ კონვენციით დამკვიდრებულ სტანდარტებს, არამედ თავად ბანკის იმგვარ სამართლებრივ და პროფესიონალურ ვალდებულებებს, როგორიცაა:

431 Good and promising practice guide, Inclusive training about article 12, 2017.

432 Shabani N., Alesieva P., Dimitrova M., Challenging the law and policy framework for people with intellectual disabilities and mental health problems to exercise their rights, Bulgarian Center for Not-for-profit law, 2014.

433 Bulgarian Center for Not-for-Profit Law, Guidebook to rights enforcement, 2014.

1. საფინანსო დაწესებულების ვალდებულება, პატივი სცეს მომხმარებელთა თავისუფლებას: საბანკო სერვისის მომხმარებელს აქვს უფლებამოსილება, საკუთრი ნება-სურვილის შესაბამისად განახორციელოს ნებისმიერი ტიპის ფინანსური ოპერაცია. ბანკს არ აქვს უფლება, სათანადო სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მომხმარებლის კუთვნილი თანხის მენეჯმენტზე დააწესოს ესა თუ ის შეზღუდვა.⁴³⁴

2. სერვისის ხელმისაწვდომობის ვალდებულება – მსგავსი ვალდებულება არსებობს იმდენად, რამდენადაც მხოლოდ მისი შესრულების შემთხვევაშია შესაძლებელი დისკრიმინაციის თავიდან აცილება. ბანკის მოვალეობაა სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შშმ პირთათვის. კონვენცია აწესებს სტანდარტს შშმ პირთათვის სერვისების მისაწვდომობის შესახებ. მიუხედავად ამისა, მსგავსი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფ კონკრეტულ მექანიზმთა და კონვენციით დამკვიდრებული სტანდარტის აღმასრულებელ ღონისძიებათა სახეები სხვადასხვა ქვეყანაში ერთმანეთისგან განსხვავებულია და დამოუკიდებლად რეგულირდება ამა თუ იმ ქვეყნის შიდა კანონმდებლობით.⁴³⁵

3. გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის პროცესი — საქართველოს კონტექსტის ანალიზი

მხარდაჭერის პროცესთან დაკავშირებით რელევანტური საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვის პარალელურად, მნიშვნელოვანია საქართველოს კონტექსტის ანალიზი. ქმედუნარიანობის რეფორმის შედეგად, მთელ რიგ საკანონმდებლო აქტებში შესულმა ცვლილებებმა უზრუნველყო სამართლებრივი ჩარჩოს დაახლოება კონვენციის პრინციპებთან და მოთხოვნებთან, თუმცა ამ მიმართულებით, ისევე, როგორ ინსტიტუციური თუ პრაქტიკული ასპექტების გათვალისწინებით, არსებობს მნიშვნელოვანი სირთულეები, რომელთა აღმოფხვრაც არსებითია მხარდაჭერის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებისათვის.

თემატიკიდან გამომდინარე, მოცემული თავი შეეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა, მხარდაჭერის პროცესის ეროვნულ დონეზე რეგულირება, ასევე, ინსტიტუციური ჩარჩოს ფუნქციონირება და მთელი რიგი პრაქტიკული გამოწვევები.

434 Bizchut, Alternatives to Guardianship in Financial Affairs, გვ. 27.

435 იქვე.

3.1. მხარდაჭერის პროცესი – რელევანტური სამართლებრივი ჩარჩო

მხარდაჭერის პროცესის რეგულირების ნაწილში, პირველ რიგში, აღსანიშნავია საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რომელიც განერს მხარდაჭერასთან დაკავშირებულ ცნებებსა და ამ სისტემის შინაარსობრივ ფარგლებს. კოდექსი პირდაპირ აღნიშნავს, რომ მხარდაჭერის მიმღები ყველა პირი ქმედუნარიანია. დოკუმენტი განმარტავს მხარდაჭერის მიმღებ პირთა (იგივე, ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირთა) წრეს და მასში მოიაზრებს ადამიანებს, ვისაც აქვთ მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა, ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში.⁴³⁶ მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ეს დაბრკოლებები სათანადო რჩევისა და დახმარების გარეშე მნიშვნელოვნად უნდა ართულებდეს პირის მიერ ნების თავისუფლად გამოხატვას და ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთებას სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროში.⁴³⁷

სამოქალაქო კოდექსით ასევე რეგულირებულია მხარდამჭერის როლთან დაკავშირებული საკითხები. არსებული საკანონმდებლო ჩარჩო მხარდამჭერად დანიშვნის დროს უპირატესობას ანიჭებს მხარდასაჭერი პირის ოჯახის წევრებს. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს მიერ ვერ მოხერხდება მხარდამჭერის დანიშვნა ოჯახის წევრების, ნათესავების, ახლობლების ან სპეციალისტების წრიდან, მხარდამჭერად ინიშნება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილი პირი, იმ შემთხვევაში კი, როდესაც მხარდასაჭერი პირი სპეციალიზებულ დაწესებულებაშია განთავსებული – ამ დაწესებულების წარმომადგენელი. კანონმდებლობა ითვალისწინებს იმ შემთხვევებს, რომლის დროსაც დაუშვებელია პირის მხარდამჭერად დანიშვნა – როდესაც პირი არასრულწლოვანია ან სასამართლომ მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ მას მშობლის უფლება ჩამოერთვა ან შეეზღუდა მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შესრულებისთვის თავის არიდების გამო ან გათავისუფლებულია მეურვის, მზრუნველის ან მხარდამჭერის მოვალეობისგან მისი არაჯეროვნად შესრულების გამო. აღსანიშნავია, რომ მხარდაჭერის მიმღებ პირებთან მიმართებით კანონმდებლობა ბლანკეტურია – იგი ართმევს მათ უფლებას, დაინიშნონ სხვა პირის მხარდამჭერად იმ სფეროებში, რომელშიც თვითონ ისინი მხარდაჭერის მიმღებები არ არიან.⁴³⁸

ამასთან, ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო ჩამოთვლის იმ სფეროებს, რომელთა მიმართებითაც შესაძლებელია, დაინიშნოს მხარდაჭერა. კერძოდ, მხარდაჭერა

436 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მ. 12(4).

437 იქვე, მ. 12(4).

438 იქვე, მ. 1283.

შესაძლოა დაინიშნოს შრომითი საქმიანობის, წვრილმანი გარიგების დადების, სამენარმეო საქმიანობის, უძრავი ქონების მართვის/განკარგვის, საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის, მკურნალობაზე თანხმობის გამოხატვის, პირისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით და სასამართლოს მიერ განსაზღვრული სხვა უფლებებისა და მოვალეობების შესასრულებლად. ამ სფეროებთან მიმართებით, მხარდამჭერი ვალდებულია, დაადგინოს მხარდასაჭერი პირის სურვილები/არჩევანი და დაეხმაროს მას შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში, რაც გამოიხატება მხარდასაჭერი პირისთვის გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ინფორმაციის გასაგები საკომუნიკაციო ფორმით მიწოდებაში. ამასთან, კანონმდებლობა ბლანკეტურად ითვალისწინებს მხარდამჭერის ვალდებულებას, თვალყური ადევნოს მხარდაჭერის მიმღები პირის მუდმივ სამედიცინო მომსახურებას,⁴³⁹ ასევე, მხარდაჭერის მიმღების სახელით შეასრულოს საგადასახადო ვალდებულებები.⁴⁴⁰

კანონმდებლობით ასევე რეგულირდება მხარდაჭერის შეწყვეტის ორი საფუძველი – თუ მხარდაჭერის მიმღები პირი გარდაიცვალა ან მიზეზი, რომლის გამოც მხარდაჭერა დაწესდა, აღარ არსებობს.⁴⁴¹ ქმედუნარიანობისა და მხარდაჭერის კონცეფციების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, არსებულმა კანონმდებლობამ ცხადად გაითვალისწინოს მხარდაჭერის მიმღები პირისა და მხარდამჭერის უფლებამოსილება, უარი თქვას მხარდაჭერით ურთიერთობაზე.

მიუხედავად მხარდაჭერის სისტემის ფუნქციონირების ნაწილში არსებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო რეგულაციებისა, აუცილებელია აღინიშნოს ის სამართლებრივი ხარვეზები, რომელიც უფლებების რეალიზაციის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარების ნაცვლად, მხარდაჭერის მიმღებ პირებს უზღუდავს თავიანთი უფლებებითა და ქმედუნარიანობის კონცეფციით დაუბრკოლებელი სარგებლობის შესაძლებლობას. კერძოდ, გამონკვევას წარმოადგენს რეგულაციები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- ▶ **გარიგების დადება** – სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ მხარდაჭერის მიმღები პირი გარიგებას დებს სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მხარდაჭერის მიღების გარეშე, გარიგების ნამდვილობა დგება ეჭვქვეშ. მისი ვალიდურობა დამოუკიდებელია იმაზე, მოიწონებს თუ არა შემდგომ მხარდამჭერი მას (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარდასაჭერი პირი ამ გარიგებით სარგებელს იღებს).⁴⁴² ამასთან, კოდექსი ამგვარ შემთხვევებს უთანაბრებს არასრულწლოვნის მიერ გარიგების დადებას, რაც ერთმნიშვნელოვნად

439 იქვე, მ. 1289.

440 საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მ. 58.

441 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მ. 13041.

442 იქვე, მ. 58¹.

ენინაალმდევება კონვენციის სტანდარტებს. ამ სფეროში სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს კიდევ ერთ, კონვენციასთან შეუსაბამო დებულებას. კერძოდ, არსებული რეგულაციებით, მხარდაჭერის მიმღები პირის მიერ წერილობით დადებული გარიგების ნამდვილობის წინაპირობა მხარდაჭერის ხელმოწერაა, რითაც მხარდაჭერი ადასტურებს მხარდაჭერის განევის ფაქტს.⁴⁴³ ამ მიმართულებით არსებული რეგულაციის შეუსრულებლობა და ფორმის დაუცველობა ხელშეკრულების ბათილობის საფუძველია, რაც, პირველი შემთხვევის მსგავსად, ენინაალმდევება ქმედუნარიანობის კონცეფციის შინაარსს.

▶ **შრომის უფლების განხორციელება** – არსებული რეგულაციები ემყარება კომიტეტის მიერ უარყოფილ – ე.წ. სტატუსზე დაფუძნებულ მიდგომას, რომელიც მხარდაჭერის მიმღებ პირებს ბლანკეტურად უზღუდავს საჯარო სამსახურში დასაქმების შესაძლებლობას და წარმოადგენს საჯარო მოხელეებისა და ცალკეული პოლიტიკური თანამდებობის პირების უფლებამოსილების შეწყვეტის უპირობო საფუძველს. მაგალითისთვის, ამგვარ ჩანაწერებს ითვალისწინებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მიხედვითაც, მხარდაჭერის მიმღები პირი მოხელედ არ მიიღება, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. ამავე კანონით მხარდაჭერის მიმღებად პირის ცნობის ფაქტი სამსახურიდან გათავისუფლების სავალდებულო საფუძველად არის მიჩნეული. მსგავსი ჩანაწერები გვხვდება ისეთ ორგანოებთან და თანამდებობებთან მიმართებით, როგორცაა, მაგალითად, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციული თანამდებობა, პოლიტიკური თანამდებობები, მუნიციპალიტეტებისა და სასამართლო სისტემაში არსებული თანამდებობი, სახალხო დამცველისა თუ ბიზნეს-ობმუდსმენის თანამდებობები.⁴⁴⁴ აღსანიშნავია, რომ ამ საკანონმდებლო რეგულაციებში რეფერირება ხდება სასამართლო გადაწყვეტილებაზე, როგორც ამ შემთხვევაში შრომითი უფლებების განხორციელების დამშვებ მექანიზმზე, მაშინ, როდესაც მხარდაჭერის საჭიროების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს სასამართლომ არ შეიძლება დაუშვას ან შეზღუდოს პირის გარკვეული უფლების განხორციელების შესაძლებლობა.

▶ **არჩევნებში მონაწილეობის უფლების განხორციელება** – ისევე, როგორც შრომის უფლებასთან დაკავშირებით, ამ ნაწილშიც მხარდაჭერის მიმღებ პირთა უფლე-

443 იქვე, მ. 69.

444 „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი; ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი; პატიმრობის კოდექსი, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, „საერთო სასამართლოების შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი; „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონი; „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, „უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს კანონი; „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი; „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი.

ბები ბლანკეტურად იზღუდება. როგორც საქართველოს კონსტიტუცია, ისე საარჩევნო კოდექსი და „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონი ზღუდავს სტაციონარულ ფსიქიატრიულ დანესებულებაში მოთავსებულ, მკურნალობას დაქვემდებარებულ მხარდაჭერის მიმღებ პირებს, მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა.

- ▶ **ჯანმრთელობის უფლების განხორციელება** – ამ სფეროში კანონმდებლობა რამდენიმე მიმართულებით არის პრობლემური. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს მხარდამჭერის ბლანკეტურ ვალდებულებას, მიუხედავად მხარდაჭერის საჭიროებისა, თვალყური ადევნოს მხარდასაჭერი პირის სამედიცინო მომსახურების მიღებას. მეორე მხრივ, განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მიუხედავად ქმედუნარიანობის რეფორმის განხორციელებისა, არსებულმა კანონმდებლობამ ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირებისათვის კვლავ ძალაში დატოვა არანებაცოფლობითი სტაციონირებისა და სამედიცინო ჩარევის შესაძლებლობა, რაც კონვენციის დებულებების უხეშ დარღვევას წარმოადგენს. დამატებით, მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ჩანაწერი, რომელიც სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის წარმართვისთვის მხარდაჭერის მიმღებ პირებთან მიმართებით არ აწესებს ინფორმირებული თანხმობის სტანდარტს, არამედ მიუთითებს უფრო დაბალ სტანდარტზე (თუ პირი არ გამოხატავს წინააღმდეგობას და მან მიიღო შესაბამისი მხარდაჭერა),⁴⁴⁵ რაც ერთმნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება კონვენციას.
- ▶ **პირადი და ოჯახური ცხოვრების განხორციელება** – ამ უფლებასთან მიმართებითაც მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩო ბლანკეტური რეგულირების ნაწილებს მოიცავს. მაგალითისთვის, მხარდასაჭერი პირის მიერ ქორწინების უფლების განხორციელება სპეციალურ მონესრიგებას ექვემდებარება – არსებული კანონმდებლობა კრძალავს ქორწინებას იმ პირებს შორის, რომელთაგან ერთ-ერთი მხარდაჭერის მიმღები პირია და მეუღლეებს შორის არ მომხდარა საქორწინო ხელშეკრულების დადება.⁴⁴⁶ არსებული რეგულირება, ერთი მხრივ, ეწინააღმდეგება კონვენციას და, მეორე მხრივ, ხელოვნურ ბარიერს ქმნის პირის მიერ უფლების განხორციელების პროცესში.⁴⁴⁷ ქორწინების საკითხთან ერთად, კანონმდებლობა ბლანკეტურ რეგულირებას აწესებს მამობის დადგენის რეგისტრაციასთან, ასევე, მინდობით აღმზრდელის ფუნქციის შესრულებასთან დაკავშირებით.⁴⁴⁸

445 „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მ. 110.

446 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მ. 1120.

447 დანვრითებით, იხ. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, 2016, გვ. 29 – 31.

448 საყურადღებოა, რომ იგივე კანონი არ ახდენს აკრძალვას მხარდაჭერის მიმღების მიერ არასრულწლოვნის შვილებთან დაკავშირებით; იხ. „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი, მ. 36.

► **მოქალაქეობის საკითხები და გადაადგილების თავისუფლება** – გამოწვევას და კონვენციასთან შეუსაბამო რეგულირებას წარმოადგენს „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ საქართველოს კანონის ჩანაწერი, რომელიც მხარდაჭერის მიმღების საქართველოდან გასვლის, ასევე, ემიგრაციის ნებართვის გაცემის სავალდებულო წინაპირობად მხარდამჭერის წერილობითი თანხმობის არსებობას მიიჩნევს (თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი).⁴⁴⁹ მსგავს ბლანკეტურ მიდგომას მოიცავს კანონი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მონმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“, რომელიც მხარდაჭერის მიმღებ პირზე პასპორტის გაცემის წინაპირობად მხარდამჭერის მიერ გამოხატულ თანხმობას მიიჩნევს, ხოლო ამ თანხმობის უკან გახმობის შემთხვევაში გაცემული პასპორტის გაუქმებას ითვალისწინებს.⁴⁵⁰ ბლანკეტურ მიდგომას აწესებს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, რომელიც მიუთითებს, რომ მხარდაჭერის მიმღების მოქალაქეობის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მხარდამჭერის თანხმობით (გარდა საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისა), თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.⁴⁵¹

► **სოციალური დაცვის უფლებით სარგებლობა** – სოციალური პაკეტის მიღების უფლებასთან დაკავშირებით პრობლემური ჩანაწერები გვხვდება მთავრობის შესაბამის დადგენილებაში. კერძოდ, დადგენილება მხარდასაჭერ პირთან ერთად, პირდაპირ განსაზღვრავს მხარდამჭერის მიერ შშმ პირის სოციალური პაკეტის მიღების უფლებას (სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე).⁴⁵²

კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით არსებულ რეგულირებასთან ერთად, სამოქალაქო კოდექსი იცნობს იმ შემთხვევებსაც, როდესაც მხარდასაჭერი პირის ნების გამოვლენა ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ობიექტურად შეუძლებელია და მის ნაცვლად გადაწყვეტილების მიღების აკრძალვა მნიშვნელოვან ზიანს მიყენებს მხარდაჭერის მიმღებს.⁴⁵³ ამ შემთხვევაში კანონმდებლობა ითვალისწინებს სასამართლოს მიერ მხარდამჭერისთვის უფლების მიცემას, მხარდაჭერის მიმღების სახელით და მისი ინტერესებიდან გამომდინარე დადოს აუცილებელი გარიგებები. ამ რეგულაციასთან შინაარსიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ „ინტერე-

449 „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ საქართველოს კანონი, მ. 8, 20, 24.

450 საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მონმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“, მ. 202, 205.

451 „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონი, მ. 6.

452 „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის N 279 დადგენილება, მ. 10.

453 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მ. 1293.

სების დაცვის“ კონცეფცია ჩანაცვლდეს კონვენციისა და კომიტეტის მიერ ამგვარ შემთხვევებზე გამოყენებული პრინციპით/ტესტით – „ნებისა და არჩევანის საუკეთესო ინტერპრეტაცია“ და ნათლად აღინიშნოს, რომ აღნიშნული სტანდარტი რელევანტურია უკიდურესად გამონაკლის ვითარებაში და არა მაშინ, როდესაც კომუნიკაციის სხვადასხვა ხერხის გამოყენებლობის გამო ვერ ხერხდება მხარდასაჭერი პირის ნებისა და არჩევანის იდენტიფიცირება.

3.2. მხარდაჭერის განხორციელება – რეფორმის ინსტიტუციური და პრაქტიკული ასპექტები

3.2.1. მხარდაჭერის სისტემის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული გამოწვევები

მხარდაჭერის ეფექტიანი განხორციელებისათვის არსებითია, ერთი მხრივ, გამართული და ძლიერი ინსტიტუტების არსებობა, ხოლო, მეორე მხრივ, მხარდაჭერის სერვისის ფუნქციონირება. სამწუხაროდ, ქმედუნარიანობის რეფორმამ ძირითადად საკანონმდებლო ცვლილებები გაითვალისწინა და მხედველობაში არ მიიღო მხარდაჭერის სისტემის შექმნისა და განვითარების აუცილებლობა. ამ მიმართულებით ეფექტიანი რეჟიმის არარსებობა გადაულახავ წინაღობას წარმოადგენს ქმედუნარიანობის რეფორმის იმპლემენტაციის პროცესში.

არსებული კანონმდებლობა ითვალისწინებს როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების როლს მხარდაჭერის სისტემაში. ამ ნაწილში აღსანიშნავია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, რომლის წარმომადგენელიც, ერთი მხრივ, შესაძლოა დაინიშნოს პირის მხარდამჭერად, ხოლო მეორე მხრივ, აკისრია ვალდებულება დაიცვას და გააძლიეროს მხარდაჭერის მიმღებები და დაეხმაროს მხარდამჭერებს თავიანთი მოვალეობების შესრულებაში.⁴⁵⁴ ამასთან, „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონი მხარდაჭერის მიმღებ პირებს სოციალური საფრთხის წინაშე მყოფ პირთა ერთ-ერთ ჯგუფს მიაკუთვნებს და მუნიციპალიტეტებს აკისრებს ვალდებულებას, საკუთარ სამოქმედო ტერიტორიაზე განახორციელოს ამგვარი პირების აქტიური იდენტიფიცირება, მათი საჭიროებების განსაზღვრა და შეფასება, პრობლემის იდენტიფიცირება და შესაბამისი დარგობრივი დაწესებულებისათვის ინფორმაციის მიწოდება.⁴⁵⁵ დეცენტრალიზაციის პროცესის ფარგლებში, ადგილობრივ დონეზე სოციალური სამსახურების როლი არსებითი იქნება იმ შპმ ბავშვების ოჯახებთან მუშაობისა და ქმედუნარიანობის შესახებ ინფორმირების ნაწილში, რომელთა მიმართაც, სრულწლოვანების მიღწევის შემდგომ, შესაძლებელია დადგეს მხარდაჭერის საჭიროება.

454 იქვე, მ. 1278, 1280.

455 „სოციალურ მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მ. 56 (1).

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის ფართო ფუნქციების დაკისრება, ისევე, როგორც მხარდაჭერის სერვისის არარსებობა და სისტემაში ჩართული აქტორების არასათანადო გაძლიერება ეფექტიანი ინსტიტუციური ჩარჩოს ჩამოყალიბების მიმართულებით სახელმწიფოს უმოქმედობის ინდიკატორია. მხარდაჭერის სერვისის არარსებობის პარალელურად, როგორც სოციალური მუშაკის, ისე ოჯახის წევრის მიერ მხარდამჭერად განსაზღვრის შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგება. სოციალური მუშაკების უკიდურესი გადატვირთულობიდან, მათი არასათადო გადამზადებიდან და ინსტრუმენტების ნაკლებობიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ მხარდაჭერის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი მოცულობის სამუშაოსთან შეიძლება იყოს დაკავშირებული, მათ მიერ მხარდამჭერის როლის მინიმალურ დონეზე შესრულებაც კი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. დროის უქონლობის გამო, ხშირ შემთხვევაში, სოციალური მუშაკი მხოლოდ სოციალური პაკეტის მიღებაში ეხმარება შშმ პირს, თუმცა, მისი განკარგვის სფეროში მხარდაჭერას ვეღარ ახორციელებს. თავად სოციალური მუშაკებიც თვლიან, რომ ამ მოცემულობით, მათთვის შეუძლებელია მხარდამჭერის როლის შესრულება.⁴⁵⁶

ცხადია, მხარდაჭერის ეფექტიანად განსახორციელებლად არსებითია სათანადო ცოდნით, ინსტრუმენტებითა და უნარებით აღჭურვილი მხარდამჭერების არსებობა, თუმცა, არსებული მხარდამჭერებისთვის, ისევე, როგორც მხარდაჭერის მიმღებთათვის, არ ჩატარებულა შესაბამისი გადამზადება და ტრენინგები. მათ არ გააჩნიათ დეტალური ინფორმაცია ქმედუნარიანობის კონცეფციის, მეურვეობისა და მხარდაჭერის სისტემების განსხვავების, მათი და სოციალური მუშაკის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესახებ. მხარდამჭერებისთვის ასევე არ შექმნილა სახელმძღვანელოები მხარდაჭერის პროცესის განხორციელების თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შესახებ. მხარდამჭერი პირები მათ ძირითად საქმიანობად მხარდასაჭერი პირის პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილებას მიიჩნევენ და არა პირის გადანწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერას. ასევე იკვეთება, რომ მხარდამჭერი პირები არ არიან ინფორმირებულები სოციალური მუშაკის ფუნქცია-მოვალეობებთან დაკავშირებით (სერვისებთან დაკავშირება, მონიტორინგის მიზანი).⁴⁵⁷ უშუალოდ სოციალური მუშაკების განცხადებით, ისინი მხარდაჭერის მიმღებებსა და მხარდამჭერებს ინფორმაციას მხოლოდ არსებული სერვისების შესახებ აწვდიან, რომელიც ძალიან მწირი და უმნიშვნელოა.⁴⁵⁸

მოცემული პირობებში, სოციალურ მუშაკებს მოქმედი მხარდამჭერების გაძლიერება პრაქტიკულად წარმოუდგენლად მიაჩნიათ.⁴⁵⁹ ამისი მთავარი მიზეზი მათი გადატ-

456 სოციალურ მუშაკებთან განხორციელებული კვლევა.
457 ჭლარკავა ნ., ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმა საქართველოში – გამოწვევები სოციალური მუშაობის პერსპექტივიდან.
458 სოციალურ მუშაკებთან განხორციელებული კვლევა.
459 იქვე.

ვირთულობა და შესაბამისი ინსტრუმენტების ნაკლებობაა – ისინი ფორმალურად მხოლოდ ორ გეგმიურ ვიზიტს ახორციელებენ მონიტორინგის მიზნით და დროითი რესურსის არარსებობის გამო, მხარდამჭერების გაძლიერებაზე მუშაობას ვერ ახერხებენ.⁴⁶⁰ ამასთან, გამოწვევას წარმოადგენს პროცესში თვითონ სოციალური მუშაკების მხარდაჭერა და გაძლიერება. მათი გადამზადების არარსებობას თან ერთვის სუპერვიზიისა და შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპების სიმწირე, რაც, მათ შორის, გამოწვევას წარმოადგენს მხარდასაჭერ პირთან მუშაობისა და მათთან კომუნიკაციის ნაწილში.⁴⁶¹

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, გამოწვევას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მხარდაჭერის გარეთ არსებული სისტემა არ არის საკმარისი და მხარდაჭერის მიმღები პირის დამოუკიდებლობის გაზრდაზე ორიენტირებული. მაგალითისთვის, სოციალური პაკეტის მოცულობა არ არის საკმარისი პირის საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის, მაშინ, როდესაც ის და მისი ოჯახი სერიოზული მონყვლადობის წინაშე დგანან და მათთვის პირველადი საჭიროების ნივთებით, საკვებით თუ მედიკამენტებით უზრუნველყოფა სერიოზული გამოწვევაა.⁴⁶² მეორე მხრივ, მხარდამჭერებისთვის პრობლემურია ვალდებულებების მუდმივ რეჟიმში შესრულება — სერვისების არარსებობის ფონზე ისინი ფაქტობრივად მუდმივად იმყოფებიან მხარდაჭერის მიმღებებთან და არ არსებობს მათი დროებითი ჩანაცვლებისა და გაძლიერებისათვის მხარდამჭერი რესურსები. დამატებით, სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს ისეთი შემთხვევები, როდესაც შესაბამისი მხარდამჭერი პირის არარსებობის ან მისი გარდაცვალების გამო, სერვისების (მათ შორის, დღის ცენტრები, სხვადასხვა ტიპის მხარდაჭერა, დასაქმება) არარსებობის მიზეზით, მხარდაჭერის მიმღები პირის თემში ცხოვრება კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.⁴⁶³

ზემოაღნიშნული პრობლემების აღმოსაფხვრელად, არსებითია, სახელმწიფომ იზრუნოს მხარდაჭერის სერვისის შექმნაზე, რომელიც ჩანაცვლებს სოციალური მუშაკების როლს ამ მიმართულებით და მხარდაჭერის მიმღებ პირებს მისცემს შესაძლებლობას, მხარდაჭერის მიღებისას არჩევანი გააკეთონ ოჯახის წევრებსა და პროფესიონალ მხარდამჭერებს შორის. აღსანიშნავია, რომ „მეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონმა გაითვალისწინა პერსონალური ასისტენტის სერვისის დანერგვის ვალდებულება მუნიციპალურ დონეზე, რომლის ანალოგიურადაც შესაძლებელია, მხარდაჭერის სერვისის პილოტირება და განვითარება მუნიციპალიტეტების მიერ. თუმცა, ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ, პერსონალური ასისტენტისგან განსხვავებით, მოცემული კანონი

460 იქვე.

461 იქვე.

462 იქვე.

463 იქვე.

საერთოდ არ ახსენებს ქმედუნარიანობის რეფორმასა და მხარდაჭერას გადაწყვეტილებების მიღების დროს, რაც კანონში ცვლილებების განხორციელების საჭიროებას ქმნის.

ამასთან, ეფექტიანი მხარდაჭერის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში მოხდეს სპეციალიზებული სოციალური მუშაკების გამოყოფა და მათი სათანადო ცოდნით, რესურსებითა და ინსტრუმენტებით მომარაგება, რათა მათ თითოეულ საქმესთან დაკავშირებით სიღრმისეული მუშაობა შეძლონ. ამასთან, არსებითა, განვითარდეს სოციალური დაცვის, მათ შორის, მხარდამჭერების გაძლიერების სერვისები, რომელიც მათ მისცემს შესაძლებლობას, ეფექტიანად შეასრულონ მათზე დაკისრებული ფუნქციები.⁴⁶⁴ მხარდაჭერის სისტემის ჩამოყალიბების პროცესში, ასევე არსებითა, გათვალისწინებული იყოს მხარდამჭერისთვის გარკვეული სახის მონეტარული ან/და არამონეტარული ბენეფიტების შემოღება, რომელიც აანაზღაურებს მათ შრომას და მათ მიძიმე ტვირთს შეუმსუბუქებს.⁴⁶⁵

3.2.2. მხარდაჭერის მიმღებისა და მხარდამჭერის კომუნიკაცია ფინანსურ ინსტიტუტებთან

ზოგადი კონტექსტი

საქართველოში, ფინანსურ საქმეთა მართვის პროცესში კონვენციით გარანტირებული უფლება ავტონომიურობასა და დამოუკიდებელ ცხოვრებაზე, საკმაოდ დიდი სირთულეების წინაშე დგას და ქართული რეალობის გათვალისწინებით, ზოგიერთ შემთხვევაში, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება პირის დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობა. ადამიანებს, რომელთა ქმედუნარიანობაც, ერთი მხრივ, აღიარებულია კონვენციითა და ქვეყნის შიდა კანონმდებლობით, ყოველდღიურ ცხოვრებაში ექმნებათ დაბრკოლებები საკუთარი ფინანსების, მათ შორის, სოციალური გასაცემელის მიღება-განკარგვისას. მაგალითად, ფინანსურ სფეროში ქმედუნარიანობის უფლების განხორციელებისას ფაქტობრივი დაბრკოლებები წარმოიშობა, როდესაც: ა) სასამართლო გადაწყვეტილებით მხარდამჭერს ენიჭება სრული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება; ბ) სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ არის ზუსტად განსაზღვრული მხარდაჭერის განხორციელების ფარგლები; გ) საბანკო დაწესებულებას უჭირს სასამართლოს მიერ განსაზღვრული მხარდაჭერის ფარგლების სწორად ინტერპრეტირება და ა.შ.⁴⁶⁶

464 იქვე; ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, 2016, გვ. 51.

465 იქვე, გვ. 52.

466 კვლევის პროცესში განხორციელებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც საკუთარი ფინანსების მართვასა და განკარგვასთან არის დაკავშირებული, საბანკო სექტორში არსებული არასაკმარისი ინფორმაციაა მხარდაჭერის მოდელის შესახებ. მაშინ როცა, საერთაშორისო პრაქტიკა და სტანდარტები მხარდაჭერის მიმღები პირების მიერ საკუთარი ფინანსების მართვის ერთ-ერთ წინაპირობად სწორედ საფინანსო სექტორში დასაქმებული ადამიანების ინფორმირებულობასა და მათ მხრიდან შესაბამისი კომუნიკაციის გამოყენებას მიიჩნევს. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის ბრძანების (151/04) მე-10 მუხლის (მომხმარებლებთან ურთიერთობის ეთიკის კოდექსი) 1-ლი პუნქტით განსაზღვრულია ფინანსური ორგანიზაციის ვალდებულება: „მომხმარებლებთან ურთიერთობისას დაიცვას ზნეობისა და საქმიანი ურთიერთობების საუკეთესო პრაქტიკით მიღებული ნორმები და იმოქმედოს კეთილსინდისიერების, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე, რათა ხელი შეუწყოს ფინანსური სექტორის მიმართ მომხმარებლებში სანდო პარტნიორის რეპუტაციის გამყარებას“. ამავე ბრძანების მე-3 მუხლის (ფინანსური ორგანიზაციის ვალდებულება მომხმარებლებისათვის საფინანსო პროდუქტზე ინფორმაციის მიწოდებისას) პირველ პუნქტში აღნიშნულია შემდეგი: „ფინანსურმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს მომხმარებლებისათვის საფინანსო პროდუქტის პირობების შესახებ უტყუარი, გასაგები და გადანყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი, წინასწარ ცნობილი და მის ხელთ არსებული სრული ინფორმაციის დროულად მიწოდება. მათ შორის, პროდუქტის ნებისმიერი არხით შეთავაზებისას ხელშეკრულების გაფორმებამდე, რომელიც მომხმარებელს არ უბიძგებს ისეთი გადანყვეტილების მიღებისაკენ, რომელსაც იგი არ მიიღებდა უტყუარი და სრული ინფორმაციის ფლობის პირობებში“.⁴⁶⁷

კეთილსინდისიერების, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებით მოქმედება, ისევე როგორც მომხმარებლებისათვის ფინანსური პროდუქტის პირობების შესახებ „უტყუარი, გასაგები და გადანყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი“ ინფორმაციის მიწოდება, ფინანსური ორგანიზაციის პირდაპირი ვალდებულებაა. რაც ყოველგვარი დისკრიმინაციული ხასიათის უფლებრივი სეგრეგაციისა და მოქალაქეთა ხელოვნური „კატეგორიზაციის“ გარეშე უნდა განხორციელდეს. ეს რეგულირება, შესაძლოა არასრულად, მაგრამ ეხმიანება საბანკო დაწესებულების მოქმედების იმ პრინციპულ და სამართლებრივ ჩარჩოებს, რომლებიც არსებობს ისრაელში. ამ რეგულირების მიხედვით, საფინანსო ორგანიზაციებს ეკისრებათ სერვისის ხელმისაწვდომობისა თუ მომხმარებელთა ინტერესებზე ზრუნვის ვალდებულება. ისრაელში საბანკო დაწესებულების ვალდებულება, მომხმარებელთა ავტონომიურობის უზრუნველყოფაზე, მათი ინტერესების დაცვასა და სერვისის ხელმისაწვდომობაზე ემნის აუცილებლობას, საფინანსო დაწესებულებებთან ურთიერთობისას მეურვის

467 ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების განწესისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის ბრძანება #151/04.

ინსტიტუტის ალტერნატიული მოდელების გამოსაყენებლად; საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით კი, ფინანსური ორგანიზაციებისათვის განსაზღვრული ვალდებულება კეთილსინდისიერებასა თუ საფინანსო პროდუქტის შესახებ აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებაზე, შეიძლება ითქვას, მხოლოდ დამატებით საფუძველად და არგუმენტად გვევლინება. ყველა შესაბამის შემთხვევაში, საბანკო დანესებულება განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მიუდგეს ინტელექტუალური ნიშნით შეზღუდული შესაძლებლობისა თუ ფსიქო-სოციალური საჭიროებების მქონე ადამიანთა უფლებას – დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები ფინანსური ქმედუნარიანობის განხორციელებისას. საჭიროებისას კი, ჰქონდეთ აუცილებელი მხარდაჭერაც, თუნდაც მათთვის გადაწყვეტილების მიღებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით.

სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად ცნობილ პირს ენიშნება მხარდამჭერი, რომელსაც გარკვეულ შემთხვევებში თავად სასამართლო აძლევს შესაძლებლობას, იმოქმედოს მხარდაჭერის მიმღები პირის სახელით საბანკო ოპერაციების განხორციელებისას. სამწუხაროდ, მსგავსი შემთხვევები საკმაოდ ხშირია პრაქტიკაში. ასეთ დროს მხარდამჭერის ნება სრულიად ანაცვლებს „მხარდაჭერის მიმღების“ ნებას, რაც თავისთავად, მხარდაჭერის მიმღები პირის ქმედუნარიანობის უფლებას ფინანსურ სფეროში მაღალი ხარისხით ზღუდავს; მხარდამჭერი კი, მსგავს სიტუაციაში, ფაქტობრივად, გვევლინება „მეურვის“ სინონიმად. მხარდაჭერა, რომელიც გულისხმობს აუცილებელი ინფორმაციის შესაბამისი ფორმითა და საშუალებებით მიწოდების ვალდებულებას, ზოგჯერ გაიგივებულია მხარდამჭერის იმგვარ „წარმომადგენლობასთან“, როდესაც მხარდაჭერის მიმღების სურვილს და ნებას ყურადღება არ ექცევა, რადგანაც მხარდამჭერი იმთავითვე სარგებლობს ექსკლუზიური უფლებამოსილებით ფინანსურ საქმეთა მართვის სფეროში. ამგვარ სრულ წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ქართული კანონმდებლობა სრულწლოვან პირებთან მიმართებით, პრაქტიკულად, მხოლოდ მეურვეობის ინსტიტუტის ფარგლებში ითვალისწინებდა. მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის ნებას მთლიანად ანაცვლებდა მეურვის ნება. შესაბამისად, ამგვარი პრაქტიკა რეფორმას მნიშვნელობას უკარგავს და შეიძლება შეფასდეს, როგორც მეურვეობის ინსტიტუტის არაკონსტიტუციური გამოყენება.

მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სასამართლოს ენიჭება უფლებამოსილება სრული წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვოს მხარდამჭერი⁴⁶⁸ – „გამონაკლის შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მხარდამჭერის მიერ მხარდაჭერის მიმღების ნების გამოვლენა ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში შეუძლებელია და მის ნაცვლად გადაწყვეტილების მიღების აკრძალვა მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებდა“.

468 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მ. 1293 (4).

ნებს მხარდაჭერის მიმღებს, სასამართლო მხარდამჭერს უფლებას აძლევს, მხარდაჭერის მიმღების სახელით, მისი ინტერესებიდან გამომდინარე, დადოს აუცილებელი გარიგებები“. გადაწყვეტილების მიღების უფლების დელეგირების ხსენებული წესი, მართლაც, არის ერთადერთი და გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც სასამართლოს შეუძლია მხარდამჭერისთვის გადაწყვეტილების მიღებისა და გარიგებაში დამოუკიდებლად შესვლის უფლების მინიჭება. თუმცა, პრობლემას წარმოადგენს ის, რომ მსგავს „საგამონაკლისო წესს“ იყენებენ იმ შემთხვევებშიც, როდესაც მხარდაჭერის მიმღებს თავად შეუძლია ნების გამოვლენა სათანადო მხარდაჭერის, ინფორმაციის შესაბამისი ფორმითა და საშუალებებით მიწოდების შემთხვევაში⁴⁶⁹.

მხარდაჭერის რეფორმა და ქმედუნარიანობის ახალი სტანდარტი გადაწყვეტილების მიმღებ პირად განსაზღვრავს მხარდაჭერის მიმღებს. შესაბამისად, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მხარდაჭერის მიმღები პირის მხრიდან ნების გამოვლენა შესაძლებელია მხარდაჭერის მოვალეობის სათანადოდ განხორციელებისას, სრული წარმომადგენლობის მინიჭება მხარდამჭერისთვის ვერ იქნება კონვენციის პრინციპებთან და მხარდაჭერის ინსტიტუტის არსთან შესაბამისობაში. შესაბამისად, აუცილებელია პრაქტიკის ცვლილება.

საბანკო დაწესებულების მიერ საპენსიო თანხის გაცემის დაყოვნება რამდენიმე მხარდამჭერის არსებობისას

პრაქტიკაში პრობლემურია მხარდაჭერის მიმღებთა/მხარდამჭერთა ურთიერთობა სს „ლიბერთი ბანკთან“ სოციალური გასაცემელის სახით არსებული საპენსიო თანხების მიღება/გამოტანისას⁴⁷⁰. არის შემთხვევები, როდესაც მხარდაჭერის მიმღები პირები ვერ ახერხებენ მათთვის კანონით გათვალისწინებული საპენსიო თანხების სს „ლიბერთი ბანკისგან“ მიღებას, რაც ხდება შემდეგ მიზეზების გამო:

სს „ლიბერთი ბანკი“, უმეტესწილად, აბრკოლებს სოციალური გასაცემელის სახით გათვალისწინებული საპენსიო თანხის გაცემას მხარდაჭერის მიმღებ პირებზე, თუკი სასამართლოს განჩინებით მხარდაჭერის მიმღებ პირებს ენიშნებათ არა ერთი, არამედ რამდენიმე მხარდამჭერი. ამ პრობლემის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს კონკრეტული გადაწყვეტილებები, როდესაც პირს ორი მხარდამჭერი ჰყავდა დანიშნული და მათ არ მიეცათ წვდომა სოციალურ გასაცემელზე.⁴⁷¹ სს „ლიბერთი ბანკის“ განმარტებით, რამდენიმე მხარდამჭერის არსებობისას, მისთვის პრობლე-

469 კვლევის პროცესში განხორციელებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი.

470 იქვე.

471 2018 წლის 29 იანვრის განჩინება დროებითი მხარდამჭერის დანიშვნის, მისი სამოქმედო სფეროების და უფლებამოსილების ფარგლების დადგენის შესახებ, საქმე #2/199-17.

მურია იმის განსაზღვრა, თუ რომელი მხარდამჭერის სახელზე უნდა მოხდეს პლასტიკური ბარათის გახსნა (რომელ ბარათზეც, შესაბამისად, მოხდება სახელმწიფო საპენსიო თანხების დარიცხვა) და მხარდაჭერის მიმღებ პირს ორი ალტერნატივა შესთავაზა: ა) სასამართლოს გადაწყვეტილებით მხარდამჭერის უფლება-მოვალეობებით აღჭურვილ ერთ-ერთ პირს უარი უნდა განეცხადებინა მხარდამჭერის სამართლებრივ სტატუსზე, რათა საბანკო დანესებულებას არ შეეშინოდა პრობლემა იმ მხარდამჭერის იდენტიფიცირებისას, ვის სახელზეც გაიხსნებოდა პლასტიკური ბარათი; ბ) ან, მიღებული უნდა ყოფილიყო განსხვავებული სასამართლო გადაწყვეტილება, რომლითაც მხარდაჭერის მიმღებ პირებს დაენიშნებოდათ მხოლოდ ერთი მხარდამჭერი, რადგანაც ბანკისთვის „უფრო კომფორტულია“ ერთ მხარდამჭერთან ურთიერთობა.

სს „ლიბერთი ბანკის“ პოზიცია, მხარდამჭერისგან მხარდამჭერის სამართლებრივ სტატუსზე უარის თქმის მოთხოვნასთან დაკავშირებით, არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მხარდამჭერის სისტემასა და რეგულაციასთან შესაბამისობაში მყოფი. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1280-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს აქვს სრული თავისუფლება, მიიღოს გადაწყვეტილება მხარდამჭერად რამდენიმე პირის დანიშვნის შესახებ. უფრო მეტიც, როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკა აჩვენებს, მხარდაჭერის განხორციელება უფრო სრულფასოვნად, მხარდაჭერის მიმღების ყველა შესაძლო სურვილისა და არჩევანის გათვალისწინებით, შესაძლებელია მოხდეს სწორედ მაშინ, როდესაც მხარდამჭერის უფლებამოსილების დაკისრება ხდება რამდენიმე პირისათვის (მათი ინდივიდუალური მახასიათებლებისა და ერთმანეთისგან განსხვავებული კომპეტენციის გათვალისწინებით)⁴⁷².

მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც მოცემულ შემთხვევაში გამოვლინდა, არის საბანკო სექტორის არასწორი წარმოდგენა ქმედუნარიანობის რეფორმაზე. 2015 წლიდან საქართველოში დამკვიდრებული მიდგომით, მხარდაჭერის მიმღები პირი არის უშუალოდ ყველა უფლების მატარებელი, მათ შორის ის არის სრულად საკუთარი სოციალური გასაცემელისა და თუ სხვა საკუთრებაში არსებული ქონების მფლობელი და განმკარგავი. შესაბამისად, პლასტიკური ბარათი საბანკო პროდუქტებით სარგებლობის მიზნით სწორედ მის სახელზე უნდა იხსნებოდეს და არა, მხარდაჭერის მიმღები პირის სახელზე. აღნიშნული წესი უნდა გავრცელდეს მაშინაც კი, როდესაც გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული საგამონაკლისო წესი, როდესაც პირის ნებას წარმოადგენს მხარდაჭერის მიმღები პირი.

472 იხ. კვლევა, ნაწილი III, თავი 1.2.5.

მხარდაჭერის ინსტიტუტი, რომელიც აღიარებს ყველა შშმ პირის სამართლებრივ ქმედუნარიანობას, სხვებთან თანასწორად და კანონის შესაბამისად, გადანყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირად განსაზღვრავს უშუალოდ მხარდაჭერის მიმღებ პირს. მხარდამჭერს კი ევალება მხოლოდ იმ აუცილებელი დახმარების განწვევა, რაც მხარდაჭერის მიმღებს შესაძლებელია დასჭირდეს ავტონომიურად მოქმედებისას. მხარდაჭერის ინსტიტუტის ეს ამოსავალი პრინციპი, ბუნებრივია, ვრცელდება მხარდაჭერის მიმღებთა ქმედუნარიანობის უფლებაზე ფინანსურ სფეროშიც, მათ შორის, სოციალური პაკეტით გათვალისწინებული თანხის მიღებაზეც. ამდენად, ქმედუნარიანობის უფლების საბანკო სფეროში განსახორციელებლად და დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, ბანკებმა, განსაკუთრებით, სს „ლიბერთი ბანკმა“, პლასტიკური ბარათები უნდა გახსნას მხარდაჭერის მიმღებ პირზე და არა – მხარდამჭერების სახელზე.

მხარდაჭერის მიმღები პირების, მხარდამჭერების და საბანკო დაწესებულებების ურთიერთობისას წარმოშობილ დაბრკოლებებზე მსჯელობისას უკვე აღინიშნა, რომ მხარდაჭერის მიმღების საბანკო ანგარიშის პლასტიკური ბარათის გახსნა უნდა ხდებოდეს თავად მხარდაჭერის მიმღების სახელზე. მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმაც, რომ საბანკო-საფინანსო სფეროში ოპერირებისას, სერვისის მიმწოდებლები მხარდაჭერის მიმღებ პირს მეურვეობის ქვეშ მყოფ პირს უთანაბრებენ, რაც ბარიერებს ქმნის. ქმედუნარიანობის იმ საყოველთაო პარადიგმის სრულყოფილად გააზრების გარეშე, რომლის თანახმადაც, მხარდაჭერის მიმღები პირები, სხვების მსგავსად და კანონის თანახმად, სარგებლობენ ქმედუნარიანობის უფლებისა და დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობით, კვლავაც პრობლემური შეიძლება იყოს მხარდაჭერის გამართული და თანამედროვე სტანდარტებთან ადაპტირებული სერვისების ჩამოყალიბება. აქ პოტენციურად მნიშვნელოვანი როლი ექნება ეროვნულ ბანკს, რომელსაც შეუძლია, შეიმუშაოს სახელმძღვანელო პრინციპები ან/და საუკეთესო პრაქტიკის კოდექსები საბანკო სფეროში მხარდაჭერის საკითხებზე, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ერთგვაროვანი და კონვენციასთან შესაბამისი პრაქტიკების ჩამოყალიბებას ამ მიმართულებით.

დასკვნა

მხარდაჭერის უზრუნველყოფის პროცესი ქმედუნარიანობის სისტემის მთავარი საფეხურია და არსებითად უზრუნველყოფს ფსიქოსოციალური და ინტელექტუალური ნიშნით შშმ პირების უფლებრივი მდგომარეობის ცვლილებას. ცხადია, ეს პროცესი კომპლექსურობითა და სირთულით ხასიათდება, ხოლო სახელმწიფოთა მხრივ გამოცდილება მნიშვნელოვან ბარიერებს ქმნის ამ მიმართულებით ერთიანი სტანდარტების იდენტიფიცირებისათვის, თუმცა, არსებული წყაროების ანალიზიდან ჩანს

ის ძირითადი პრინციპები და მიდგომები, რაც სახელმწიფოებმა ქმედუნარიანობის რეფორმის განხორციელების პროცესში უნდა გაითვალისწინონ. მათ შორის, არსებობითა, მხარდაჭერის მიწოდების საფეხურის დეტალური რეგულირება, ეფექტიანი ინსტიტუციური ჩარჩოს ჩამოყალიბება, მხარდაჭერითი სერვისების შექმნა და პროცესში ჩართული აქტორების სათანადო გაძლიერება.

მეორე მხრივ, საქართველოში არსებული სისტემის ანალიზი აჩვენებს, რომ ქმედუნარიანობის პროცესი ძირითადად მხოლოდ საკანონმდებლო რეგულაციებს შეეხო და მთავრობას არ უზრუნია ეფექტიანი ინსტიტუციური სისტემის ჩამოყალიბებაზე, რაც მათ შორის, გამოიხატა მხარდაჭერის სერვისის არარსებობაში, ცალკეულ შემთხვევებში მხარდაჭერის ფუნქციის სოციალურ მუშაკებისთვის გადაბარებაში, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს არასათანადო გაძლიერებაში და სხვ. არსებული გამოწვევები ქმედუნარიანობის რეფორმის ეფექტიანი იმპლემენტაციისათვის გადაულახავ წინაღობას წარმოადგენს. არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ კიდევ ერთხელ გაიაზროს საკუთარი ვალდებულებების კომპლექსურობა, შექმნას კონკრეტული ხედვა მხარდაჭერის სისტემის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით და დაიწყოს ამ ხედვის იმპლემენტაცია.

რეკომენდაციები

არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- ▶ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში განისაზღვროს ქმედუნარიანობისა და მხარდაჭერის მიღების უფლებრივი სტანდარტები და შემხვედრი სახელმწიფო ვალდებულებები;
- ▶ აღმოიფხვრას კანონმდებლობაში ყველა ტიპის ჩანაწერი, რომელიც მხარდაჭერის მიმღებ პირთა უფლებებს (მათ შორის, შრომის, არჩევნებში მონაწილეობის, პირადი და ოჯახური ცხოვრების, მოქალაქეობისა და გადაადგილების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ნაწილში) ბლანკეტურად ზღუდავს;
- ▶ გაუქმდეს საკანონმდებლო რეგულირება, რომელიც მხარდამჭერის მიმღები პირის მიერ გარიგების ბათილობას მხარდამჭერის ხელმოწერის არარსებობას, ასევე, გარიგების ნამდვილობას მხარდამჭერის მოწონებას უკავშირებს;
- ▶ გაუქმდეს მხარდამჭერის კანონმდებლობით გათვალისწინებული ბლანკეტური ვალდებულებები მხარდასაჭერი პირის სამედიცინო მომსახურების მეთვალყუ-

- რეობის, ასევე, მისი საგადასახადო ვალდებულებების შესრულების მიმართულებით;
- ▶ კანონმდებლობით ცხადად განისაზღვროს მხარდასაჭერი პირისა და მხარდამჭერის უარი მხარდაჭერაზე, როგორც ამ ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი;
 - ▶ იმ შემთხვევაში, თუ ობიექტურად შეუძლებელია ადამიანის ნებისა და არჩევანის იდენტიფიცირება, კანონმდებლობამ დანერგოს პირის „არჩევანისა და ნების საუკეთესო ინტერპრეტაციის“ ტესტი;
 - ▶ მოხდეს პროფესიონალი მხარდაჭერის მოდელის შექმნა და პილოტირება და მის შედეგებზე დაყრდნობით შეიქმნას და დაინერგოს მხარდამჭერის სერვისი. ამ სერვისის განვითარების პროცესში მთავრობამ უნდა გამოიყოს საკმარისი ადამიანური და ფინანსური რესურსები;
 - ▶ შეიქმნას მხარდამჭერი პირების გაძლიერების მექანიზმები, რომელიც მოიცავს მათ მხარდამჭერ სერვისებს (მათ შორის, ფუნქციებთან დაკავშირებით ინფორმაციისა და რჩევის მიღების, ფუნქციების შესრულებისგან დროებით გათავისუფლების), ასევე, შესრულებული სამუშაოსთვის მონეტარულ ან/და არამონეტარულ ბენეფიტებს;
 - ▶ გადამზადდნენ მხარდაჭერის მიმღებები და მხარდამჭერები; მუდმივად ჩაუტარდეთ ტრენინგები ქმედუნარიანობისა და მხარდაჭერის კონცეფციასა და მომიჯნავე საკითხებზე. მხარდაჭერის მიმღები პირებისათვის ინფორმაციის მიწოდება მოხდეს მათთვის მისაღები კომუნიკაციის ფორმით (მათ შორის, მარტივად წასაკითხი ფორმატებით), ასევე, ორივე მხარისთვის შემუშავდეს სპეციალური სახელმძღვანელოები, რომელშიც მხარდაჭერის მთელი რიგი თეორიული და პრაქტიკული ასპექტები იქნება განხილული;
 - ▶ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო გაძლიერდეს ფინანსური და ადამიანური რესურსებითა და ინსტრუმენტებით, რათა მან შეძლოს მხარდაჭერის სისტემის ეფექტიანი ადმინისტრირება, ასევე, უწყებაში გამოიყოს საკითხზე მომუშავე, სპეციალიზებული სოციალური მუშაკები, რომლებიც მხარდაჭერის საქმეებზე იქნებიან ფოკუსირებულნი;
 - ▶ სოციალური მუშაკებისთვის შეიქმნას სპეციალური სახელმძღვანელოები მხარდაჭერის პროცესის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შესახებ (მათ შორის, მხარდაჭერის მიმღებ პირთან მუშაობისა და მასთან კომუნიკაციის ასპექტები, მხარდაჭერის უნარების გაძლიერების ტექნიკები და სხვა), ასევე, უზრუნველყოფილი იყოს მათთვის ტრენინგების/გადამზადების მუდმივ რეჟიმში ჩატარება;

- ▶ დეცენტრალიზაციის პროცესში, ადგილობრივ დონეზე მოხდეს სოციალური სამსახურების ფინანსური, ადამიანური და ექსპერტული გაძლიერება, რათა მათ შეძლონ იმ შშმ ბავშვების ოჯახებთან ეფექტიანი მუშაობა და ქმედუნარიანობის/მხარდაჭერის კონცეფციის შესახებ ინფორმირება, რომელთაც, შემდგომში, შესაძლოა, დასჭირდეთ მხარდაჭერა;
- ▶ ჩამოყალიბდეს და განვითარდეს შშმ პირების გაძლიერებისა და მათი დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი სერვისები (მათ შორის, საცხოვრისის, დასაქმების პროგრამები), იმისთვის, რომ პირის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი იყოს პრაქტიკაში აღსრულებული;
- ▶ ეროვნულმა ბანკმა საბანკო სექტორის თანამშრომლებისათვის შექმნას სპეციალური სახელმძღვანელო, რომელიც მიმოიხილავს გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელის კონცეფციას, მის პრაქტიკულ ასპექტებსა და მხარდაჭერის მიმღებ პირებთან კომუნიკაციის სხვადასხვა, მათ შორის ალტერნატიული ფორმების გამოყენების შესაძლებლობას;
- ▶ მხარდამჭერებისთვის შეიქმნას სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომლითაც მიიღებენ პრაქტიკულ რჩევებს და კონკრეტული შემთხვევების განხილვით შეძლებენ ეფექტიანი მხარდაჭერის განხორციელებას საფინანსო სფეროში;
- ▶ შშმ პირთა მიერ ქმედუნარიანობის ფაქტობრივად აღდგენის მიზნით მოხდეს ფსიქიატრიული დაწესებულებებისა და შშმ პირთა პანსიონატების დეინსტიტუციონალიზაცია.

ნაწილი IV.

მხარდაჭერის პროცესის მონიტორინგი

შესავალი

სამართლებრივი ქმედუნარიანობა შინაარსობრივად რთული და კომპლექსური კონცეფციაა. იგი არსებითად უკავშირდება ყველა უფლებასა და თავისუფლებას და მათი დაუბრკოლებელი და სხვების თანასწორად განხორციელების არსებით საფუძველს ქმნის. ქმედუნარიანობის ინსტიტუტის დანერგვის პროცესში სახელმწიფოთა ერთ-ერთი უმთავრესი ვალდებულება გადანყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის სისტემის ჩამოყალიბება და მისი ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფაა.⁴⁷³

სამართლებრივი ქმედუნარიანობის უფლებრივი სტანდარტის დაწესებისას კონვენცია ჩანაწერი ძალიან ზოგადია და მხარდაჭერის სისტემის ეროვნულ დონეზე აღსრულების დეტალურ მითითებებს არ შეიცავს. თუმცა, მისი შინაარსიდან გამომდინარე, სხვადასხვა შესაბამისი წყარო ცალსახად მიუთითებს ამ მიმართულებით სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს ვალდებულებაზე, შექმნას მხარდაჭერის სერვისი და უზრუნველყოს მასზე დაუბრკოლებელი და სრული წვდომა ამგვარი საჭიროების მქონე ყველა პირისათვის.⁴⁷⁴ სწორედ აღნიშნული ვალდებულების შესასრულებლად – იმისათვის, რათა მხარდაჭერის სერვისმა გაითვალისწინოს ყველა ის პრინციპი, რასაც კონვენცია აწესებს, და თავიდან აიცილოს მხარდაჭერის მიმღებ პირთა მიმართ უფლების ბოროტად გამოყენება – არსებითია ზედამხედველობის ეფექტიანი მექანიზმის შექმნა.⁴⁷⁵ ცხადია, რომ ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა სამართლებრივად და ინსტიტუციურად გამართული მონიტორინგის მექანიზმის შემუშავებაა.

წინამდებარე თავი მიმოიხილავს იმ საკითხებს, რომლებიც არსებითია მხარდაჭერის პროცესის მონიტორინგის სისტემის ეფექტიანი მუშაობისთვის და ოთხ ძირითად ნაწილად იყოფა. პირველი ნაწილი ეხება მხარდაჭერის სისტემის მონიტორინგის არსსა და ფარგლებს, მეორე ნაწილი მიმოიხილავს ქვეყნების კარგ პრაქტიკას მონიტორინგის სისტემის მუშაობასთან დაკავშირებით, მესამე ნაწილი აანალიზებს ამ მხრივ საქართველოში არსებულ მდგომარეობას, ხოლო მეოთხე ნაწილი აჭამებს და აყალიბებს რეკომენდაციებს სახელმწიფო უწყებების მიმართ.

473 იხ. Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 1 – Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, პარ. 16.

474 იხ. კვლევა, ნაწილი III.

475 გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენცია, 2006, მ. 12 (4).

1. მხარდაჭერის გაწევის მონიტორინგის არსი და ფარგლები

მხარდაჭერის სისტემის მონიტორინგის მექანიზმის შესწავლისას, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია მონიტორინგის მნიშვნელობისა და იმ პრინციპების გაანალიზება, რომლებსაც ეს პროცესი უნდა ეყრდნობოდეს. მონიტორინგის სისტემის შექმნისას სახელმწიფოები ვალდებული არიან, ეროვნულ საკანონმდებლო და პოლიტიკის ჩარჩოებში ჩააშენონ ანგარიშვალდებულების ნათელი მექანიზმები და ინდიკატორები.⁴⁷⁶

ანგარიშვალდებულების კონცეფციის განხილვისას, არსებითია, ყურადღება გამახვილდეს, ერთი მხრივ, სახელმწიფოს პასუხისმგებლობაზე, უზრუნველყოს შშმ პირების დაუბრკოლებელი წვდომა მხარდაჭერის სისტემაზე, და, მეორე მხრივ, მხარდამჭერის პასუხისმგებლობაზე, ჯეროვანი მხარდაჭერა გაუწიოს მხარდაჭერის საჭიროების მქონე პირს. პირველ შემთხვევაში, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, მონიტორინგისა და ანგარიშვალდებულების მნიშვნელოვან მექანიზმად მიიჩნევა კონვენციის 33-ე მუხლის შესაბამისად შექმნილი მონიტორინგის, აღსრულებისა და კოორდინაციის ორგანოები. ასეთ შემთხვევებში, არსებით ფუნქციას იძენს სასამართლოსა და დაცვის სხვა საშუალებებზე შშმ პირების წვდომის უზრუნველყოფაც.⁴⁷⁷

მეორე შემთხვევაში, შშმ პირთა მიერ სამართლებრივი ქმედუნარიანობით სარგებლობის პროცესში არასათანადო ჩარევებისა და უფლებების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ უზრუნველყოს ნებისმიერი პროგრამის/სერვისის დამოუკიდებელი მონიტორინგი, რომელიც მხარდაჭერას უწევს შშმ პირებს.⁴⁷⁸

კვლევის თემატიკის გათვალისწინებით, წინამდებარე ნაწილში ყურადღებას სწორედ მეორე შემთხვევაზე გავამახვილებთ და გავაანალიზებთ შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებს, ერთის მხრივ, მონიტორინგის პროცესის წარმართვის საჭიროებისა და მნიშვნელობის, და, მეორე მხრივ, მისი ჩატარების პრინციპებისა და იდეური ფარგლების გამოსაკვეთად.

476 Report of the Special Rapporteur on the Rights of Persons with Disabilities, A/HRC/34/58, 2016, პარ. 73.

477 იქვე, პარ. 73 – 74.

478 იქვე.

1.1. მონიტორინგის ჩატარების აუცილებლობა

შშმ პირებისთვის სამართლებრივი ქმედუნარიანობის უფლების ნორმატიულად გათვალისწინება ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის დასაწინააღმდეგებლად მნიშვნელოვანი, თუმცა, არასაკმარისი, ნაბიჯია. არსებითია მისი პრაქტიკაში ეფექტიანი დანერგვა და განხორციელება. წარსულში შშმ პირთა მიმართ სტრუქტურული დისკრიმინაციისა და ამჟამად საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპული ხედვების გათვალისწინებით, სახელმწიფომ ზედამხედველობა უნდა გაუწიოს შშმ პირთა ქმედუნარიანობისა და გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის შესაბამისი მოდელის რეალიზებას. ეს კი, ეროვნულ დონეზე მონიტორინგის ეფექტიანი სისტემის გარეშე, წარმოუდგენელია.

ქმედუნარიანობის კონცეფციით სარგებლობა, რაც არაერთი ქვეყნისთვის არის პრობლემური საკითხი, სხვადასხვა ბარიერით, მათ შორის, მონიტორინგის სუსტი/გაუმართავი სისტემით, შეიძლება იყოს განპირობებული.⁴⁷⁹ ნათელია, რომ მიუხედავად იმისა, რომ მხარდაჭერის მიღების პროცესში შშმ პირთა როლი ცენტრალურია და მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიიღონ გადაწყვეტილება სერვისში ჩართულობის, მისი ინტენსივობისა თუ მიმდინარეობის შესახებ, ამით სახელმწიფოს ვალდებულება მხარდაჭერის სისტემის მუშაობის მიმართულებით, არ სუსტდება. პირიქით, მისი როლი ამ სისტემის კოორდინირებასა და მონიტორინგში არსებითია.⁴⁸⁰

მხარდაჭერის პროცესის მონიტორინგს რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზანი აქვს. ამ სფეროში არსებული საერთაშორისო სტანდარტები⁴⁸¹ და სხვადასხვა ორგანიზაციის (მათ შორის, სათემო ორგანიზაციის) მიერ შემუშავებული დოკუმენტები ორ ძირითად მიმართულებას გამოყოფენ: მხარდაჭერის სერვისის ხარისხის კონტროლი და მხარდაჭერის პროცესში ინტერესთა კონფლიქტის, ძალადობისა თუ უფლების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება.⁴⁸²

სერვისის მიწოდებისას სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი მისი ხარისხის უზრუნველყოფა უნდა იყოს.⁴⁸³ ცხადია, ამის მისაღწევად საჭიროა მრავალფეროვანი ღონისძიებების – მათ შორის, ადამიანსა და მის უფლებებზე ორიენტირებული მიდგომების შემოღება, სერვისების მიწოდების სახელმძღვანელო პრინციპების

479 National Association of Community legal Centers, Disability Discrimination legal Center, Article 12 of the CRPD – The right to equal recognition before the law, გვ. 7.

480 Report of the Special Rapporteur on the Rights of Persons with Disabilities, A/HRC/34/58, 2016, პარ. 56.

481 მაგ., კომიტეტის ზოგადი კომენტარები და დასკვნითი რეკომენდაციები, სპეციალური მომხსენებლის ანგარიშები.

482 მაგ., იხ. Report of the Special Rapporteur on the Rights of Persons with Disabilities, A/HRC/34/58, 2016, პარ. 54; Australian Law Reform Commission, Equality, Capacity and Disability in the Commonwealth Laws, Final Report, 2014.

483 Report of the Special Rapporteur on the Rights of Persons with Disabilities, A/HRC/34/58, 2016, პარ. 54.

განწერა⁴⁸⁴ და მონიტორინგის მექანიზმების ამოქმედება, რომელიც შეაფასებს მხარდაჭერის სერვისის ადეკვატურობასა და ეფექტიანობას.⁴⁸⁵

ამასთან, ნათელია, რომ მხარდაჭერის სისტემის ერთ-ერთი მთავარი ფუძემდებლური პრინციპი მხარდამჭერის მიერ მხარდაჭერის მიმღები პირის უფლებების, სურვილისა და ნების პატივისცემაა. მხარდაჭერის მარეგულირებელი კანონმდებლობისა თუ პოლიტიკის მიერ შშმ პირის ნების უპირობო ცენტრალურობამ და პრიორიტეტიზაციამაც კი, ხშირად, შეიძლება ვერ დააზღვიოს ინტერესთა კონფლიქტი და მხარდამჭერების მიერ უფლების ბოროტად გამოყენება. ამგვარი შემთხვევები განსაკუთრებით ხშირია მაშინ, როდესაც შშმ პირი იმგვარ გადანყვეტილებას იღებს ან ახორციელებს, რაც, მხარდამჭერის შეფასებით, გადანყვეტილების მიმღები პირის „საუკეთესო ინტერესებს“ ეწინააღმდეგება.⁴⁸⁶ ყოველივე აქედან გამომდინარე, არსებითია, რომ მხარდაჭერის სისტემის მუშაობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევების დაზღვევა⁴⁸⁷ და უფლების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება მოინიშნოს. მეტიც, სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს პროცესზე ზედამხედველობის ეფექტიანი მექანიზმები, ასევე, დამცავი ღონისძიებები უნდა გაიწეროს მხარდაჭერის მოდელში და აისახოს მხარდამჭერის კანონის მიერ ანგარიშვალდებულებაშიც.⁴⁸⁸

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ იმ მნიშვნელოვანი სოციალური და სამართლებრივი ბარიერების გათვალისწინებით, რომლებსაც შშმ პირები სამართლებრივი ქმედუნარიანობით სარგებლობისას აწყდებიან, მხარდაჭერის მოდელის პრაქტიკაში მუშაობისთვის მონიტორინგის სისტემას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ეფექტიანი ზედამხედველობა განაპირობებს, ერთი მხრივ, როგორც ზოგადად მხარდაჭერის სისტემის განვითარებას, ისე, მხარდაჭერის კონკრეტულ შემთხვევებში მიმდინარე პროცესების დახვეწასა (მათ შორის, მხარდამჭერთან აქტიური მუშაობის შედეგად) და მათი ხარისხის უზრუნველყოფას, ხოლო, მეორე მხრივ, ინტერესთა კონფლიქტის, მხარდამჭერთა ან სხვა პირთა მიერ უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევების პრევენციასა თუ აღკვეთას.

484 შენიშვნა: გადანყვეტილების მიღებაში მხარდაჭერამ, შესაძლოა, სერვისის სახეც მიიღოს და ამ მიმართულებით საერთაშორისო დონეზე არსებობს ცალკეული მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, თუმცა, ამ ეტაპზე საქართველოს ამგვარი პრაქტიკა არ აქვს, რაც დამატებით ბარიერს ქმნის ამ მიმართულებით სტანდარტების განწერისა და მათი შესრულების მონიტორინგის ნაწილში.

485 Report of the Special Rapporteur on the Rights of Persons with Disabilities, A/HRC/34/58, 2016, პარ. 54.

486 Inclusion Europe, Key Elements of a System for Supported Decision-Making (Position Paper), 2008.

487 Minkowitz T., Recommendations for adoption of the CRPD on article 12, Center for the Human Rights of Users and Survivors of Psychiatry, Rec. 4.

488 იქვე, Rec. 5.

1.2. მონიტორინგის ჩატარების პრინციპები

მონიტორინგის მიმდინარეობისა თუ რეგულირების ცალკეული ასპექტების მიმოხილვამდე, მნიშვნელოვანია ამ პროცესის წარმართვის იდეური ფარგლების გამოკვეთა. ამ შემთხვევაშიც, უპირველეს როლს კონვენცია და სამართლებრივი ქმედუნარიანობის თემატიკაზე არსებული ის საერთაშორისო სტანდარტები ასრულებს, რომლებიც იზიარებს კონვენციის ხედვებსა და მის მიერ დანესებულ პრინციპებს. ცხადია, რომ მონიტორინგის პროცესი სრულად უნდა ითვალისწინებდეს იმ იდეებს, რასაც გადანაცვებილების მიღებაში მხარდაჭერის სისტემა ეფუძნება,⁴⁸⁹ თუმცა, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ამ სფეროსთვის მნიშვნელოვანი მიმართულებების ცალკე გამოყოფაც:

- ▶ **მხარდაჭერის მიმღები პირის როლის ცენტრალურობა** – განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მხარდაჭერის ნებისმიერ საფეხურზე მთლიანად გამოირიცხოს მსოფლიოში ფართოდ დამკვიდრებული სამედიცინო მოდელი და პროცესი დაეფუძნოს შესაძლებლობის შეზღუდვის სოციალურ და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ პარადიგმას. ამისათვის, ქმედუნარიანობისა და მხარდაჭერის სისტემების დეტალურ ფუნქციონირებასთან ერთად, მონიტორინგს უნდა ჰქონდეთ ხედვა, თუ რას ნიშნავს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა შშმ პირების მიმართ და რა არის მისი დამკვიდრებისთვის ხელისშემშლელი ფაქტორები.

პრინციპის შინაარსიდან გამომდინარე, მონიტორინგის პროცესში გასათვალისწინებელია ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტებიც, როგორცაა მხარდაჭერის პროცესში მხარდაჭერის მიმღები პირის როლის ცენტრალურობა და მისი ნებისა და სურვილების პრიორიტეტიზაცია, ასევე, მხარდაჭერის სისტემაში საუკეთესო ინტერესების კონცეფციის გამოყენების დაუშვებლობა.⁴⁹⁰ სწორედ ამ ღირებულებების გასატარებლად, მონიტორინგის პროცესი ფოკუსირებული უნდა იყოს შშმ პირის ავტონომიაზე, ნებასა და არჩევანზე; იმის შემონახვაზე, თუ რამდენად არის მხარდაჭერა მისაწვდომი და ადეკვატური; შესაბამის პირებთან კომუნიკაციის ფარგლებში იმის გამოვლენაზე, თუ რა ტიპის მოდიფიკაციებია საჭირო არსებულ ურთიერთობაში და სხვ.⁴⁹¹

- ▶ **კეთილსინდისიერება და დამოუკიდებლობა** – მიუხედავად, იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყნის კონტექსტში სერვისის პროვაიდერების ბუნება ერთმანეთისგან

489 იხ. კვლევა, ნაწილი I.

490 Gooding P., Navigating the ‘Flashing Amber Lights’ of the Right of Legal Capacity in the United Nations Convention on the Rights of Persons with Disabilities: Responding to Major Concerns, “Human Rights Law Review”, 2015, vol. 15(1).

491 EU and OHCHR project Bridging the Gap I, Human Rights indicators for the Convention on the Rights of Persons with Disabilities in support of a disability inclusive 2030 Agenda for Sustainable Development, Art. 12.

განსხვავდება (სერვისების მიმწოდებლები არიან როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო აქტორები), სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს მხარდაჭერის მექანიზმების ან/და სერვისის მიწოდების ხარისხი. ამის მისაღწევად, საერთაშორისო სტანდარტები ყურადღებას ამახვილებენ ყოვლისმომცველი საკანონმდებლო და მონიტორინგის ჩარჩოს არსებობაზე, რომელიც კეთილსინდისიერების ვალდებულებას დაეფუძნება.⁴⁹² ამ ვალდებულების გამოხატულებაა მონიტორინგის ფუნქცია, სრულყოფილად და სიღრმისეულად შეისწავლოს კონკრეტული საქმე, ასევე, დაიცვას პერსონალური მონაცემები, რაც მისი უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში გახდა ცნობილი.⁴⁹³

კეთილსინდისიერების პრინციპთან უშუალოდ არის დაკავშირებული მონიტორინგის მექანიზმისა და მონიტორების დამოუკიდებლობა. ეს პრინციპი უპირობოდ უნდა სრულდებოდეს შშმ პირების მხარდამჭერი ნებისმიერი პროგრამის (მიუხედავად იმისა, სახელმწიფოს მიერ არის მიწოდებული თუ კერძო აქტორის მიერ) ზედამხედველობის პროცესში.⁴⁹⁴ მხოლოდ მონიტორინგის მექანიზმის დამოუკიდებლობითა და მხარეებთან დისტანცირებით მიიღწევა პროცესის ერთ-ერთი მთავარი მიზანი – მხარდაჭერის მიმღები პირის ექსპლუატაციისა და მასზე ძალადობის, ასევე, ინტერესთა კონფლიქტისა თუ უფლების ბოროტად გამოყენების ეფექტიანი პრევენცია.⁴⁹⁵ ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანი პოზიცია აქვს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას (WHO), რომლის მიხედვითაც, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, მონიტორი არ შეიძლება იყოს სერვისში დასაქმებული პირი, პირიქით, იგი უნდა იყოს სრულიად დამოუკიდებელი და სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მისი დანიშვნა.⁴⁹⁶

► **რეგულარული ხასიათი და კვალიფიციური ზედამხედველობა** – ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რაზეც სხვადასხვა ორგანიზაციის რეკომენდაციებსა თუ მოსაზრებებშია მითითებული, მონიტორინგის რეგულარულად ჩატარების ვალდებულებაა.⁴⁹⁷ მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის სისტემაზე განუვლ ზედამხედველობას არ ჰქონდეს სპორადული და არასისტემატური ხასიათი. ცხადია, რეგულარულობის ტესტი თითოეული საქმიდან გამომდინარე შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს, თუმცა სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკიდან გამოიკვეთა, რომ ამგვარი ფორმალური მონიტორინგი, სულ მცირე, წელიწადში

492 Report of the Special Rapporteur on the Rights of Persons with Disabilities, A/HRC/34/58, 2016, პარ. 60.

493 მაგ. იხ. Representation Agreement Act [RSBC 1996] Chapter 2015, Sec. 22.

494 Report of the Special Rapporteur on the Rights of Persons with Disabilities, A/HRC/34/58, 2016, პარ. 91.

495 The Office of Public Advocate, Supported Decision-making (Background and Discussion Paper), 2009, გვ. 25.

496 Funk M., Drew N., Realizing Supported Decision Making and Advance Planning, 2017, გვ. 56 – 57.

497 Special Rapporteur on the Rights of Persons with Disabilities, Communication No. OL BRA 13/2019 on Bill PL 11091/2018 which amends the Statute of Persons with Disabilities, as well as provisions in the Civil Code and Code of Civil Procedures, 2019, გვ. 5; Inclusion International, Position Paper – Key Elements of a System for Supported Decision-making, 2008, გვ. 6.

ერთხელ მაინც უნდა ტარდებოდეს.⁴⁹⁸ სუპერვიზიის რეგულარულად ჩატარებასთან ერთად, არსებითი მისი კვალიფიციურობის საკითხიც. ამ მიზნის მისაღწევად, პროცესზე პასუხისმგებელი პირი მუდმივ რეჟიმში უნდა გადამზადდეს.⁴⁹⁹

სხვა მნიშვნელოვან სტანდარტებთან ერთად, ზემოაღნიშნული პრინციპების კანონმდებლობასა და პრაქტიკაში დანერგვა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მხარდაჭერის სისტემაზე ეფექტიანი ზედამხედველობის მექანიზმის დანერგვასა და ფუნქციონირებას. სწორედ ამგვარი მიდგომის პირობებში შეიძლება, მინიმუმამდე დავიდეს ბევრი ქვეყნისთვის არსებითი გამოწვევა – აღსრულების გარეშე დარჩენილი სამართლებრივი ქმედუნარიანობის რეფორმა.

2. მხარდაჭერის სისტემის მონიტორინგი – სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტები

მსოფლიოს მასშტაბით მხარდაჭერის ინსტიტუტი ჯერ კიდევ არაა ფართოდ დანერგილი, შესაბამისად, ამ სისტემაზე მონიტორინგის ერთგვაროვანი საკანონმდებლო თუ ინსტიტუციური გარანტიების გამოვლენა მნიშვნელოვან გამოწვევებთან არის დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, ცალკეული ქვეყნების პრაქტიკიდან, ასევე, თემატური საპილოტე პროექტებიდან, იკვეთება ის ძირითადი საკითხები, რომლებიც, მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, მონიტორინგის პროცესის რეგულირების და, მეორე მხრივ, მისი განხორციელების პრაქტიკულ ასპექტებთან დაკავშირებით.

სხვადასხვა ქვეყანაში განხორციელებული რეფორმებისა თუ პროექტების შეფასების შედეგად, ნათლად იკვეთება მხარდაჭერის პროცესზე ზედამხედველობის მნიშვნელობა და აუცილებლობა. ამასთან, ზედამხედველობამ შეიძლება მრავალგვარი სახე მიიღოს, მათ შორისაა, ფორმალური მონიტორინგი, ე.წ. ქოუჩინგი/მენტორობა, სხვადასხვა სახის შეფასება და სხვ.⁵⁰⁰ მონიტორინგის პროცესი, ცალკეულ შემთხვევებში, ასევე გულისხმობს კონფლიქტის მოგვარების გარკვეული მექანიზმების გამოყენებას.⁵⁰¹

ზემოაღნიშნული თავის მიზანია, მსოფლიოში არსებული მწირი გამოცდილების გათვალისწინებით, მიმოიხილოს მხარდაჭერის სისტემაზე მონიტორინგის სამართლებრივი, ინსტიტუციური თუ პრაქტიკული ასპექტები და გააანალიზოს ის ძირითადი ფუნქციები, რომელთა შესრულებასაც უნდა ითვალისწინებდეს მონიტორინგის საქმიანობა.

498 Inclusion Europe, Safeguards in Measures Relating to the Exercise of Legal Capacity, 2018, გვ. 14.

499 Funk M., Drew N., Realizing Supported Decision Making and Advance Planning, 2017, გვ. 56; Human Rights: A Reality for All, Council of Europe Disability Strategy 2017-2023, პარ. 64.

500 Resource Centre for People with Mental Disability "Zelda", Handbook: First Steps in Implementation of Supported Decision Making in Latvia, 2016, გვ. 40.

501 იქვე.

2.1. ზედამხედველობის განხორციელების სამართლებრივი ასპექტები

მონიტორინგის პროცესის, ასევე, მონიტორის ფუნქციებისა და ვალდებულებების საკანონმდებლო დონეზე განერის აუცილებლობა, პირველ რიგში, შშმ პირების მიერ გადაწყვეტილების მიღების უფლების დაცვითა და მხარდაჭერის პრინციპებთან მხარდაჭერის ქმედებების მისადაგების უზრუნველყოფით არის ნაკარნახევი.⁵⁰² აქედან გამომდინარე, მის მნიშვნელობაზე არაერთი ორგანიზაცია მიუთითებს.⁵⁰³

შესაბამისი კანონმდებლობის⁵⁰⁴ შესწავლა ცხადყოფს, რომ სამართლებრივი მოწესრიგების მთავარი საკითხებია მონიტორის უფლებამოსილებები და ვალდებულებები, მონიტორის შეცვლისა და უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხები.⁵⁰⁵ ამ სფეროში რეგულაციების დანერგვის კუთხით მნიშვნელოვანია ქმედუნარიანობისა და მხარდაჭერის სისტემის ფუნქციონირებაზე კანადაში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები, მათ შორის, მონიტორების შერჩევის/დანიშვნის პროცედურებთან დაკავშირებით. სამუშაო ჯგუფის შემოთავაზებით, კანონმდებლობამ უნდა დაარეგულიროს ისეთი საკითხები, როგორცაა: 1) მონიტორის დამოუკიდებლობა – იგი არ უნდა იყოს მხარდაჭერი, ან ინტერესთა სხვაგვარ კონფლიქტში მყოფი პირი, მას უნდა შეეძლოს დამოუკიდებლად მოქმედება; 2) მონიტორის შესაძლებლობა, შეასრულოს კანონის მიერ მისთვის დაკისრებული ფუნქციები და ვალდებულებები; 3) მონიტორინგის წარმართვისთვის მნიშვნელოვანი სპეციალური გადამზადების შესაძლებლობა (მაგ., სერთიფიცირების მეშვეობით).⁵⁰⁶ ამასთან, სამუშაო ჯგუფმა, საკანონმდებლო შემოთავაზებაში განსაზღვრა ისეთი მიმართულებებიც, როგორცაა მონიტორების კეთილსინდისიერების ვალდებულება, მხარდაჭერის ინსტიტუტისა და მის შედეგად ჩამოყალიბებული ურთიერთობების, ასევე, მხარდაჭერის მიმღები პირის ფასეულობების, სურვილების, შეხედულებებისა და ტრადიციების პატივისცემა და სხვ.⁵⁰⁷

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მონიტორინგის პროცესის მარეგულირებელმა ჩარჩომ განსაზღვროს მონიტორის უფლებამოსილება, ნებისმიერ გონივრულ

502 Bach M., Kerzner L., A New Paradigm for Protecting Autonomy and the Right to Legal Capacity, 2010, გვ. 118.

503 Inclusion Europe, Safeguards in Measures Relating to the Exercise of Legal Capacity, 2018, გვ. 15.

504 გლობალური მასშტაბით მხარდაჭერის ინსტიტუტის დანერგვის სიმნივიდან გამომდინარე, მხარდაჭერის მონიტორინგის ჩარჩოს განსაზღვრისას ცალკეული ექსპერტები მიუთითებენ, რომ შესაძლებელია ჩანაცვლებითი გადაწყვეტილების მიღების პროცესის მონიტორინგის მარეგულირებელი სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის ნაწილის გამოყენება; Bach M., Kerzner L., A New Paradigm for Protecting Autonomy and the Right to Legal Capacity, 2010, გვ. 118; Pathare S., Shields L., Supported Decision-making for Persons with Mental Illness: A Review, "Public Health Reviews", Vol. 43 (2), 2012, გვ. 10.

505 მაგ., ბრიტანეთის კოლუმბიის კანონი „წარმომადგენლობითი შეთანხმების შესახებ“, ირლანდიის კანონი „გადანყვეტილების მიღებაში დახმარების შესახებ“, ასევე, ქმედუნარიანობასა და მხარდაჭერის საკითხებზე კანადის სამუშაო ჯგუფის საკანონმდებლო შემოთავაზება; Bach M., Kerzner L., A New Paradigm for Protecting Autonomy and the Right to Legal Capacity, 2010, გვ. 118.

506 The Working Group on Legal Capacity and Supported Decision Making, A Statutory Framework for the Right to Legal Capacity and Supported Decision Making For Application in Provincial/Territorial Jurisdictions in Canada, 2014.

507 იქვე.

დროს მონიახულოს შშმ პირი და გაესაუბროს მას. არსებითია, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებდეს მონიტორისთვის ამ ფუნქციის შესრულებაში ხელშეშლის აკრძალვასაც.⁵⁰⁸

აღსანიშნავია, რომ სამართლებრივი რეგულირება ცალკეული გადაცდომების/დარღვევების შემთხვევაში, მონიტორების ფუნქციებსა და უფლებამოსილებებსაც ეხება. მაგალითისთვის, თუ მონიტორს აქვს ეჭვი, რომ შშმ პირის წარმომადგენელი არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, მის ფუნქციაში უნდა შედიოდეს ამის შესახებ მხარდაჭერის პროცესში მონაწილე პირების დასაბუთებული შეტყობინება.⁵⁰⁹ პროცედურა ასევე უნდა ითვალისწინებდეს მონიტორის უფლებამოსილებას, მოითხოვოს მხარდაჭერისგან დამატებითი ინფორმაციის/ანგარიშის წარმოდგენა. ამ შემთხვევაშიც კი, როდესაც მონიტორი კვლავ ეჭვს შეიტანს, რომ პირის საქმიანობა არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, მას აქვს ვალდებულება, ამის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს შესაბამის ორგანოს (მაგ., მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს).⁵¹⁰

2.2. ზედამხედველობის გამწევი ინსტიტუციური ჩარჩო

მხარდაჭერის სისტემის დანერგვის გამოწვევებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ მონიტორინგის ჩამტარებელი ინსტიტუციური ჩარჩო, ერთი მხრივ, დაეფუძნოს სამართლებრივი ქმედუნარიანობის პრინციპებს, და, მეორე მხრივ, არსებითად პასუხობდეს იმ გამოწვევებს, რაც არსებობდა და დღემდე არსებობს მეურვეობის ინსტიტუტთან დაკავშირებით. მათ შორისაა, მონიტორინგის პროცესის ბლანკეტურობა და ინდივიდუალური საჭიროებების გაუთვალისწინებლობა და რესურსების ნაკლებობა, რაც გამორიცხავს საქმეებზე ეფექტიან ზედამხედველობას (მათ შორის, შეუძლებელს ხდის მეურვის მიერ წარდგენილი ანგარიშების დამუშავებას, არ უზრუნველყოფს შშმ პირების მდგომარეობის შემოწმებას და სხვ.).⁵¹¹

ინსტიტუციური მექანიზმების ჩამოყალიბების ნაწილში მნიშვნელოვანია აღინიშნოს სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება. მათ შორისაა ირლანდია – 2015 წელს მიღებული სპეციალური კანონის მიხედვით, ფსიქიკური ჯანმრთელობის კომისია პასუხისმგებელია გადაწყვეტილების მხარდაჭერისა და ჩანაცვლებითი გადაწყვეტილე-

508 მაგ. იბ. Representation Agreement Act [RSBC 1996].

509 The Working Group on Legal Capacity and Supported Decision Making, A Statutory Framework for the Right to Legal Capacity and Supported Decision Making For Application in Provincial/Territorial Jurisdictions in Canada, 2014.

510 Representation Agreement Act [RSBC 1996] Chapter 2015, Sec. 20; The Working Group on Legal Capacity and Supported Decision Making, A Statutory Framework for the Right to Legal Capacity and Supported Decision Making For Application in Provincial/Territorial Jurisdictions in Canada, 2014.

511 Diller R., Legal Capacity for All: Including Older Persons in the Shift from Adult Guardianship to Supported Decision-Making, "Fordham Urban Law Journal", Vol. 43, 2016.

ბის მიღების სხვადასხვა ფორმის მონიტორინგზე. ამ მიზნით იგი ნიშნავს ზოგად ან სპეციალურ ვიზიტორებს, რომლებიც უშუალოდ ადგილზე ეცნობიან მხარდაჭერის მიმდინარეობას და მოხსენებას უგზავნიან კომისიის დირექტორს.⁵¹²

სხვა ქვეყნების კონტექსტში, მეურვეობისა თუ მხარდაჭერის სისტემის მონიტორინგის პროცესში, არსებითია ცენტრალური ხელისუფლების, მათ შორის, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების, როლი და ფუნქციები. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს მონიტორინგის ფუნქცია აკისრიათ ისეთ ქვეყნებში, როგორცაა, მაგალითად, დიდი ბრიტანეთი, დანია, ესტონეთი, შვედეთი.⁵¹³ ამ სისტემებში სოციალური მუშაკები უწევენ ზედამხედველობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესს და აგროვებენ არსებული გამოწვევების შესახებ ინფორმაციას.⁵¹⁴ ამასთან, ყველა შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ ნორმატიულად იყოს განერილი ის სტანდარტები, რასაც მონიტორები უნდა ითვალისწინებდნენ მხარდაჭერის მოდელის აღსრულების ზედამხედველობისას.

სხვადასხვა ქვეყანაში დეცენტრალიზაციის არსებული ან/და მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, მხარდაჭერის სისტემის მონიტორინგის ნაწილში განსაკუთრებით აქტიურად შემოდის ადგილობრივი ხელისუფლების როლი. მაგალითად, ბულგარეთში შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერია ან მის მიერ განსაზღვრული პირი წარმოადგენს მონიტორინგის ორგანოს,⁵¹⁵ ნორვეგიაში გამოყოფილია საჯარო მოსამსახურე, რომელიც შესაბამისი პირისათვის მხარდაჭერის განევას ზედამხედველობს,⁵¹⁶ ხოლო ლიეტუვას სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს მეურვეობისა და მზრუნველობის მუნიციპალური ორგანოების მხრიდან მონიტორინგის ჩატარების უფლებამოსილებას.⁵¹⁷ მიუხედავად ბენეფიტებისა, მრავალ შემთხვევაში, დეცენტრალიზაცია შშმ პირთათვის მხარდამჭერი სერვისების უზრუნველყოფის ნაწილში ბარიერებსა და გამოწვევებს ქმნის.⁵¹⁸ ცალკეული პრობლემების, მათ შორის, ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ფინანსური თუ ადამიანური რესურსების არასაკმარისი უზრუნველყოფის გამო, მხარდამჭერი სერვისები ფრაგმენტული ხდება, ნათლად იკვეთება რეგიონებს შორის განსხვავება და მთელი ქვეყნის მასშტაბით საჭიროების მქონე პირების არათანაბარი მოცვა.⁵¹⁹ სუსტი დეცენტრალიზაცია, საბოლოო ჯამში, უარყოფით გავლენას ახდენს შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხზე.

512 Assisted Decision-Making (Capacity) Act, Sec. 95.

513 FRA, Legal capacity of persons with intellectual disabilities and persons with mental health problems, 2013, გვ. 34.

514 The Bulgarian Center for Not-for-Profit Law (BCNL), Supported Decision-Making: Guidebook to Rights Enforcement, 2014, გვ. 66.

515 Bulgaria, Family Code, Art. 154, 170.

516 Norway 2016: Decision making and legal capacity in dementia <https://www.alzheimer-europe.org/Policy/Country-comparisons/2016-Decision-making-and-legal-capacity-in-dementia/Norway>.

517 Civil Code of the Republic of Lithuania, 2000, მ. 3.241, 3.278.

518 Report of the Special Rapporteur on the Rights of Persons with Disabilities, A/HRC/34/58, 2016, პარ. 59.

519 იქვე.

2.3. მონიტორინგის ჩატარების პრაქტიკული ასპექტები

როგორც ზემოთ აღინიშნა, მონიტორინგის პროცესმა უნდა უზასუხოს ქმედუნარიანობის კონცეფციის დანერგვის კომპლექსურ ვალდებულებას. ცხადია, მეურვეობის სისტემისგან განსხვავებით, რაც ქმედუნარო პირის მდგომარეობის მხოლოდ ფორმალურ და ზედაპირულ შემოწმებას ითვალისწინებს,⁵²⁰ მხარდაჭერის ზედამხედველობის პროცესი მრავალი მნიშვნელოვანი ასპექტისგან შედგება, რომელთა პრაქტიკაში აღუსრულებლობამ, საბოლოო ჯამში, შესაძლოა, მონიტორინგის სისტემის სისუსტე გამოიწვიოს. სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის, საპილოტე პროექტების, მიმოხილვის შედეგად, პრაქტიკაში მონიტორინგის განმახორციელებელთა ფუნქციები ორ ძირითად მიმართულებად შეიძლება დაიყოს.

მხარდაჭერის პროცესის ზედამხედველობა კონვენციის მიერ დაწესებული პრინციპების შესაბამისად

ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია, რომელიც მონიტორინგის პროცესზე პასუხისმგებელ პირებს ეკისრებათ, მხარდაჭერის მიმდინარეობაზე ზედამხედველობაა. მონიტორი აკვირდება იმას, თუ რამდენად წარმართება მხარდაჭერა კონვენციის მიერ დაწესებული პრინციპების შესაბამისად, მათ შორის, რამდენად იღებს გადაწყვეტილებას მხარდაჭერის მიმღები და არა მხარდამჭერი. ზედამხედველობის ფუნქცია არა მხოლოდ უზრუნველყოფს ამ პროცესში მნიშვნელოვანი დარღვევების თავიდან აცილებას, არამედ სხვა ტიპის პრაქტიკული სარგებლის მოტანაც შეუძლია, მათ შორისაა, მხარდამჭერის დახმარება თავისი როლის გააზრებასა და უკეთ მორგებაში.⁵²¹

მეორე მხრივ, მონიტორინგის ერთ-ერთი მიზანი მხარდაჭერის პროცესში არასათანადო ზეგავლენის, უფლების ბოროტად გამოყენების, ექსპლუატაციისა და ძალადობის პრევენციაა. მხარდაჭერის მიმღებთან რეგულარული კომუნიკაციისა და მხარდამჭერების მოქმედებების ზედამხედველობის პირობებში, საჭიროებისამებრ (თუკი მიაჩნია, რომ შუშ პირის ნება და სურვილები⁵²² უგულებელყოფილია) მონიტორს შეუძლია ჩარევა.⁵²³ არასათანადო ზეგავლენისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად, მონიტორის ფუნქცია კიდევ უფრო

520 Council of Europe, Commissioner for Human Rights, Who Gets to Decide? Right to Legal Capacity for Persons with Intellectual and Psychosocial Disabilities, 2012, გვ. 15.

521 Black and White Project, Ethical and Methodological Principles of Support in Decision-making and Exercising Legal Capacity, 2017, გვ. 5.

522 მისი შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ იხ. Inclusion Europe, Safeguards in measures relating to the exercise of legal capacity, 2018, გვ. 14.

523 იქვე, გვ. 13 – 14.

დიდ მნიშვნელობას იძენს ისეთი ტიპის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომლებიც შშმ პირის ექსპლუატაციისა თუ ღირსების სხვაგვარი შელახვის საფრთხეებს ერთიორად ზრდის – მაგ., გადაწყვეტილება ოპერაციის, აბორტის, სტერილიზაციის შესახებ.⁵²⁴ ამ შემთხვევაში, მონიტორის ფუნქციაა, შეისწავლოს, თუ რამდენად ცენტრალური იყო შშმ პირის ნება და რამდენად სწორად იყო მისი სურვილები ინტერპრეტირებული.⁵²⁵

ცხადია, ამ მიზნებს რომ მიაღწიოს, მონიტორი ინფორმირებული უნდა იყოს ზედამხედველობის ქვეშ არსებულ საქმეებში მიღებული გადაწყვეტილებებისა და ამ გადაწყვეტილებების მიღებისას განეული მხარდაჭერის შესახებ.⁵²⁶ მეორე მხრივ, უფლების ბოროტად გამოყენებისა თუ ძალადობის თავიდან ასაცილებლად, ამ საფრთხეების თავიდან აცილების სტრატეგიების გაცნობის მიზნით, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) მიუთითებს მონიტორებისთვის ტრენინგების ჩატარების აუცილებლობაზე.⁵²⁷ ამავე საკითხზე საუბრობს შშმ პირთა შესახებ ევროსაბჭოს 2017-2023 წლების სტრატეგია.⁵²⁸

მხარდაჭერის პროცესში ჩართული მხარეების გაძლიერება და წარმოქმნილი სირთულეების გადალახვა

მონიტორინგის ჩამტარებელ პირთა ერთ-ერთი უპირველესი დანიშნულება მხარდამჭერისა და მხარდაჭერის მიმღები პირების გაძლიერება, მხარდაჭერის პროცესში წამოჭრილი სირთულეების გადაჭრა და მხარეებს შორის ე.წ. მედიატორის როლის შესრულებაა.⁵²⁹ მათი როლი კიდევ უფრო იზრდება ისეთი შემთხვევების დროს, როდესაც მხარდაჭერის მიმღებ პირებთან ურთიერთობისას მნიშვნელოვანი გამოწვევები წარმოიქმნება.⁵³⁰

სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო გამოცდილების ანალიზისას გამოიკვეთა ლატვიური მოდელი, რომელიც, თავის მხრივ, ავსტრალიის გამოცდილებას ეფუძნება.⁵³¹

524 Bach M., Kerzner L., A New Paradigm for Protecting Autonomy and the Right to Legal Capacity, 2010, გვ. 129 – 130.

525 იქვე.

526 Office of the Public Advocate, South Australia, Developing a Model of Practice for Supported Decision Making, 2011, გვ. 22; Resource Centre for People with Mental Disability “Zelda”, Handbook: First Steps in Implementation of Supported Decision Making in Latvia, 2016, გვ. 62.

527 Funk M., Drew N., Realizing Supported Decision Making and Advance Planning, 2017, გვ. 56.

528 Human Rights: A Reality for All, Council of Europe Disability Strategy 2017-2023, პარ. 64.

529 Office of the Public Advocate, South Australia, Developing a Model of Practice for Supported Decision Making, 2011, გვ. 22; Bach M., Kerzner L., A New Paradigm for Protecting Autonomy and the Right to Legal Capacity, 2010, გვ. 118.

530 Inclusion Europe, Safeguards in measures relating to the exercise of legal capacity, 2018, გვ. 13.

531 Resource Centre for People with Mental Disability “Zelda”, Handbook: First Steps in Implementation of Supported Decision Making in Latvia, 2016, გვ. 61 – 62.

ამ მოდელში ე.წ. ფასილიტატორები უზრუნველყოფენ საქმეებზე ზედამხედველობასა და კონფლიქტების მართვას. მათი ფუნქცია არ გულისხმობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას ან რომელიმე მხარის პოზიციის გაძლიერებას ან შესუსტებას. მხარდაჭერის ურთიერთობაში მათი მონაწილეობის ხარისხი კონკრეტული შემთხვევის მიხედვით განისაზღვრება⁵³² და ბევრ მნიშვნელოვან მიმართულებასთან ერთად, შემდეგ ძირითად საკითხებს მოიცავს:

- ▶ გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერის მოდელის შინაარსის მუდმივი ახსნა, საჭიროების შემთხვევაში, ტრენინგების ჩატარება ან/და მხარდამჭერებისთვის მხარდაჭერის პროცესის მოდელირება (მაგალითად, მოსმენის აქტიური უნარების დემონსტრირება, პერსონაზე კონცენტრირებული ფიქრის ჩვენება);
- ▶ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მხარეების დახმარება და ამ ურთიერთობის მონაწილე პირების მოტივირება;
- ▶ მხარდამჭერების გაძლიერება, რათა თავიანთი ფუნქციები გამიჯნონ სხვა ტიპის ფუნქციებისგან (მაგ., ოჯახის წევრები) და იმის უზრუნველყოფა, რომ მხარდამჭერები თვითნებურად არ იღებდნენ გადაწყვეტილებებს ან არასათანადოდ არ ზემოქმედებდნენ მხარდაჭერის მიმღებებზე;
- ▶ მხარდამჭერის მიმღების კომუნიკაციის საჭიროებების მაქსიმალურად გათვალისწინება;
- ▶ ეთიკური დილემების გადაწყვეტაში მხარდამჭერების დახმარება. ეს შესაძლებელია მოიცავდეს მხარდაჭერის მიმღების მიერ სარისკო გადაწყვეტილებების მიღებისას მხარდამჭერის „ზრუნვის ვალდებულების დაბალანსებას“, ან ინტერესთა კონფლიქტის საკითხების გადაწყვეტას; აღსანიშნავია, რომ ასეთ დროს ფასილიტატორის ფუნქციაში, შესაძლოა, არა უშუალოდ კონფლიქტის მოგვარება, არამედ ამგვარი დანიშნულების მქონე სერვისში გადამისამართება შედიოდეს;
- ▶ მხარდამჭერის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, ურთიერთობის მონაწილე მხარეების ინფორმირება მათი უფლებებისა და არსებული პროცედურების შესახებ, ხოლო სერიოზული დარღვევების შემთხვევაში, შესაბამისი ორგანოებისადმი მიმართვა.

ცხადია, რომ წინამდებარე ქვეთავებში დასახელებული ფუნქციების შესასრულებლად, მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხების გათვალისწინებაა საჭირო. ამ მიმართულებით, ყველაზე აქტიურად კვლავ მხარდაჭერის ავსტრალიური და

532 იქვე.

ლატვიური მოდელები, ასევე, ქმედუნარიანობისა და მხარდაჭერის სისტემასთან დაკავშირებით კანადის სამუშაო ჯგუფის შემოთავაზებები⁵³³ იკვეთება. სწორედ მათი დამუშავება იძლევა შესაძლებლობას, გამოიკვეთოს ის მთავარი საკითხები, რომლებიც გავლენას ახდენს მონიტორინგის პროცესის ეფექტიანობაზე.

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია მონიტორების კვალიფიკაციაზე მითითება. მხარდამჭერებისგან განსხვავებით, რომელთა ფუნქციასაც, შესაძლოა, შშმ პირის ოჯახის წევრები ასრულებდნენ, მონიტორების მიმართ არსებობს მოლოდინი, რომ ქმედუნარიანობისა და შშმ პირთა უფლებების საკითხში ისინი უნდა იყვნენ პროფესიონალები – კარგად უნდა ესმოდეთ შშმ პირთა მიმართ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მოდელის, ასევე, ადამიანზე კონცენტრირებული მიდგომის არსი.

კვალიფიკაციასთან ერთად, ნათელია, რომ მონიტორებმა საკუთარი ფუნქცია უნდა შეასრულონ კანონმდებლობის სრული დაცვით და კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად, მხოლოდ და მხოლოდ მხარდაჭერის მიმღები პირის სასარგებლოდ. მნიშვნელოვანია, რომ ამ ფუნქციის შესრულებისას, მონიტორის ერთ-ერთი უპირველესი სახელმძღვანელო პრინციპი იყოს შშმ პირის სურვილები, არჩევანი და ღირებულებები.⁵³⁴

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც უნდა გამოკვეთოს მონიტორმა, მხარდაჭერის მიმღებ პირთან ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების შექმნა და განვითარებაა. ამასთან, არსებითია, რომ მონიტორმა ურთიერთობები დაამყაროს შშმ პირის ოჯახის წევრებთან ან/და მეგობრებთან, მისთვის მხარდაჭერის ძლიერი სათემო ქსელის ჩამოსაყალიბებლად.⁵³⁵ როგორც ურთიერთობების დამყარების საწყის სტადიაზე, ისე მონიტორინგის მიმდინარეობისას, უმნიშვნელოვანესია, რომ მონიტორის კომუნიკაცია მხარდამჭერსა და მხარდაჭერის მიმღებთან პერსონალური შეხვედრების ფორმატით წარიმართოს. შესაბამისი კვლევები მიუთითებს, რომ სწორედ კომუნიკაციის ამგვარი ფორმაა ყველაზე ეფექტიანი (მას ვერ ანაცვლებს წერილობითი სახელმძღვანელოები ან სხვა ტიპის წერილობითი კომუნიკაცია).⁵³⁶ ეს რეკომენდაცია, შეიძლება ითქვას, რომ კიდევ უფრო მყარდება მაშინ, როდესაც მხარდამჭერი არის ოჯახის წევრი ან მეგობარი, რაც როგორც წესი, ნიშნავს ურთიერთობის ხანგრძლივ ისტორიას და პატერნალისტური დამოკიდებულების გაჩენის მომეტებულ რისკებს მხარდამჭერის მხრიდან.⁵³⁷

533 The Working Group on Legal Capacity and Supported Decision Making, A Statutory Framework for the Right to Legal Capacity and Supported Decision Making For Application in Provincial/Territorial Jurisdictions in Canada, 2014.

534 იქვე.

535 იქვე.

536 Resource Centre for People with Mental Disability “Zelda”, Handbook: First Steps in Implementation of Supported Decision Making in Latvia, 2016, გვ. 61.

537 იქვე, გვ. 61-62.

საერთო ჯამში, სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკის ანალიზიდან ნათლად იკვეთება მხარდაჭერის სისტემის მონიტორინგის კომპლექსურობა და არაერთგვაროვნება. მნიშვნელოვანია, რომ ეს პროცესი ნათლად რეგულირდებოდეს კანონმდებლობით, ასევე, შეიქმნას ზედამხედველობის პრაქტიკაში ეფექტიანი განხორციელების მყარი გარანტიები. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფოს უმოქმედობა მთლიანი სისტემის ფუნქციონირების ჩავარდნის მიზეზიც კი შეიძლება გახდეს.

3. მხარდაჭერის სისტემის მონიტორინგი საქართველოს კონტექსტში

მხარდაჭერის სისტემის მონიტორინგის მიმართულებით არსებული საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვის შემდგომ, მნიშვნელოვანია საქართველოს კონტექსტის გაანალიზება. ეროვნული მასშტაბით, პრობლემას ქმნის როგორც მხარდაჭერის ზოგადი პოლიტიკის კოორდინაცია და აღსრულება,⁵³⁸ ისე კონკრეტული შემთხვევების მონიტორინგი, რაც აბრკოლებს ქმედუნარიანობის სისტემის მუშაობას. მიუხედავად ამ სფეროში არსებული პრობლემებისა, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონმა, რომელიც პარლამენტმა 2020 წლის ივლისში მიიღო, რეგულირების მიღმა დატოვა მხარდაჭერის სისტემის დანერგვისა თუ აღსრულების საკითხები.

კვლევის თემატიკიდან გამომდინარე, წინამდებარე თავში განვიხილავთ მონიტორინგის პროცესის მარეგულირებელ კანონმდებლობას, ასევე, არსებულ პოლიტიკასა და პრაქტიკას და ამ სფეროებში არსებულ გამოწვევებს, რაც მნიშვნელოვანწილად აფერხებს ქმედუნარიანობის რეფორმის გატარების პროცესს.

3.1. მხარდაჭერის მონიტორინგი — ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩოს მიმოხილვა

მხარდაჭერის საქმეებზე მონიტორინგის ჩატარების პროცედურები შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით რეგულირდება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს მხარდამჭერის საქმიანობის მონიტორინგის ზოგად დეტალებს,⁵³⁹ ხოლო სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დირექტორის ბრძანება უფრო დეტალურად არეგულირებს ამგვარი ზედამხედველობის განწევას.⁵⁴⁰

538 ქვეყანაში დღემდე არ ფუნქციონირებს კონვენციის აღსრულებისა და კოორდინაციის ორგანო, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, ქმედუნარიანობის რეფორმის დანერგვასა და შეფასებაში იქნებოდა ჩართული.

539 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მ. 1305¹ – 1305⁶.

540 სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 14 ივლისის №07 – 98/ო ბრძანება – „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების წესისა და სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 29 მაისის №01-16/6 ბრძანებით გათვალისწინებული საკითხების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე.

არსებული რეგულაციების თანახმად, მონიტორინგის ჩატარებაზე პასუხისმგებელი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.⁵⁴¹ ზედამხედველობის მიზანია მხარდაჭერისთვის განსაზღვრული მოვალეობების შესრულების კონტროლი, ასევე მხარდაჭერის მიმღები პირის უნარების განვითარების შეფასება და შემდგომი რეაგირება. კანონმდებლობის მიხედვით, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ასევე ეკისრება ვალდებულება, ერთი მხრივ, დაიცვას და გააძლიეროს მხარდაჭერის მიმღებები, და, მეორე მხრივ, დაეხმაროს მხარდაჭერებს თავიანთი მოვალეობების შესრულებაში.⁵⁴² საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციას სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო ითავსებს.⁵⁴³ 2019 წლის დეკემბერში განხორციელებულ ცვლილებებამდე ამ ფუნქციას სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო ითავსებდა.

არსებული კანონმდებლობის მიხედვით, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შესაბამისმა ტერიტორიულმა სამსახურმა (მხარდაჭერის მიმღები პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) სამი სხვადასხვა ტიპის ზედამხედველობა შეიძლება გასწიოს: გეგმური ზედამხედველობა; შერჩევითი ზედამხედველობა (ტარდება ადგილობრივი ორგანოს ინიციატივით); აუცილებლობიდან გამომდინარე ზედამხედველობა (როდესაც არსებობს ინფორმაცია ამგვარი ჩარევის აუცილებლობის შესახებ).⁵⁴⁴ გეგმური ზედამხედველობა, როგორც წესი, 6 თვეში ერთხელ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრული პერიოდულობით ტარდება. რაც შეეხება არაგეგმურ შემონშმებას, მას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო საკუთარი ინიციატივით, შემხვედრი საჭიროებიდან გამომდინარე მიმართავს.⁵⁴⁵ კანონმდებლობა მხარდაჭერს ასევე აკისრებს ვალდებულებას, თავისი საქმიანობის შესახებ, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს ყოველი 6 თვისა, შეავსოს ანგარიშის ფორმა.⁵⁴⁶

მონიტორინგისთვის შემუშავებულია შესაბამისი ფორმა, სადაც მხარდაჭერის პროცესი განსაზღვრული სფეროების მიხედვით ფასდება. მონიტორინგის შედეგად დგება დადებითი ან უარყოფითი დასკვნა. თუკი სოციალური მუშაკი შეაფასებს, რომ მხარდაჭერი არასათანადოდ ან საერთოდ არ/ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ

541 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მ. 1305¹.

542 იქვე, მ. 1278 (4).

543 საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“, მ. 51 (2).

544 სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 14 ივლისის №07 – 98/ო ბრძანება – „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების წესისა და სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 29 მაისის №01-16/6 ბრძანებით გათვალისწინებული საკითხების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე, მ. 4.

545 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მ. 13053.

546 იქვე, მ. 1289 (2).

მოვალეობას, მას აქვს რეაგირების ვალდებულება. ვალდებულებების შეუსრულებლობის/დარღვევის შემთხვევების სიმძიმიდან გამომდინარე, სამი სახის შედეგი შეიძლება დადგეს: 1) მხარდამჭერის ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა;⁵⁴⁷ 2) სოციალური მუშაკის მიერ მხარდამჭერისთვის დახმარების გაწევა, რათა მან უკეთ გააცნობიეროს და შეასრულოს თავისი მოვალეობები; 3) სოციალური მუშაკის მიერ სასამართლოსთვის მიმართვა, რათა მხარდამჭერი თავისუფლდეს დაკისრებული ვალდებულებებისგან.⁵⁴⁸

მხარდაჭერაზე მონიტორინგის შედეგები მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში უნდა აისახოს, სადაც თავმოყრილია ინფორმაცია მხარდაჭერის დაწესების, მხარდასაჭერი და მხარდამჭერი პირის, მხარდაჭერის პროცესისა და მონიტორინგის შესახებ.⁵⁴⁹

შესაბამისი კანონმდებლობის გაანალიზებამ რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევა გამოკვეთა:

- ▶ არსებული სამართლებრივი ჩარჩო მონიტორინგის დადგენილ წესებს ზოგიერთ შემთხვევაზე საერთოდ არ ავრცელებს.⁵⁵⁰ კერძოდ, მონიტორინგის რეჟიმი არ ვრცელდება იმ საქმეებზე, როცა მხარდამჭერ პირად თავად მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოა განსაზღვრული,⁵⁵¹ ან როცა მხარდაჭერის მიმღები პირი პენიტენციურ დაწესებულებაშია განთავსებული, საზღვარგარეთ ან ოკუპირებულ ტერიტორიებზე იმყოფება.⁵⁵² ცხადია, მხარდაჭერაზე მონიტორინგის შეუძლებლობის ობიექტური შემთხვევებისგან განსხვავებით, ცალკეულ შემთხვევებზე (მაგ., როცა მხარდამჭერად სოციალური მუშაკია განსაზღვრული) გედამხედველობის გაუნველობის შედეგად შეუძლებელი ხდება მხარდაჭერის პროცესის შეფასება თუ მხარდაჭერის მიმღებ პირთან დაკავშირებით მიღწეული პროგრესის გაზომვა. ამასთან, ამ დროს მისი უფლებების დარღვევის, მასზე არასათანადო ზეგავლენისა თუ მესამე პირების მხრიდან უფლების ბოროტად გამო-

547 იხ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მ. 172⁷, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მ. 111.

548 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მ. 1305⁵.

549 იქვე, მ. 1305⁴.

550 სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 14 ივლისის №07 – 98/ო ბრძანება – „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების წესისა და სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 29 მაისის №01-16/ნ ბრძანებით გათვალისწინებული საკითხების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე, მ. 1-2.

551 მხარდამჭერთა ბაზაში, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლების მხარდამჭერად რეგისტრაციის 96 შემთხვევაა აღწუსული; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს №01/5094 კორესპონდენცია, 13.05.2020.

552 სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 14 ივლისის №07 – 98/ო ბრძანება – „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების წესისა და სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 29 მაისის №01-16/ნ ბრძანებით გათვალისწინებული საკითხების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე, მ. 2.

ყენების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად იზრდება, რაც ამ მიმართულებით არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება;

- ▶ კანონმდებლობა ნაკლებად ითვალისწინებს იმ უპირველეს პრინციპს, რასაც არა მხოლოდ მონიტორინგის პროცესი, არამედ მთლიანად მხარდაჭერის სისტემა უნდა ეფუძნებოდეს – ესაა მხარდაჭერის მიმღები პირის როლის ცენტრალურობა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი მაგალითია უშუალოდ მონიტორინგის მიმდინარეობა – არსებული რეგულაციებით პირდაპირ გათვალისწინებული არ არის მონიტორის მიერ ადგილზე ვიზიტის, ასევე, მხარდაჭერის მიმღები პირისგან ინფორმაციის მიღების, მისი მოსაზრების მოსმენისა და პრიორიტეტიზაციის სავალდებულო წესები.⁵⁵³

ამასთან, მხედველობაშია მისაღები ჩანაწერი, რომელიც მონიტორინგის დასკვნაში მხარდაჭერის მიმღები პირის უპირატესი ინტერესების დაცვის საკითხის გათვალისწინებას ეხება. პრობლემურია თავად საკანონმდებლო ფორმულირება, რომელიც მიუთითებს, რომ ამ ინტერესებს უნდა „მიექცეს ყურადღება“.⁵⁵⁴ მაშინ, როდესაც შესაბამისი პირის ნება და არჩევანი უნდა იყოს ნებისმიერი ქმედების განხორციელების უპირობოდ პრიორიტეტული საკითხი, კანონმდებლობაში ამგვარი ფორმულირება მხარდაჭერის მიმღები პირის ცენტრალურობის იდეას ასუსტებს.

- ▶ მხარდაჭერის მიმღებისა და მხარდამჭერის გაძლიერება არ არის გამოკვეთილი, როგორც მონიტორინგის ერთ-ერთი მიზანი.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ მონიტორინგის პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა მეტნაკლებად დეტალურად აღწერს მის მიმდინარეობას, გამოკვეთს ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ უწყებასა და მის ხელთ არსებული რეაგირების მექანიზმებს. თუმცა, მეორე მხრივ, მხარდაჭერის ცალკეული საქმეების გამოტოვება მონიტორინგის პროცესიდან, ასევე, მხარდაჭერის მიმღები პირის ცენტრალურობის პრინციპის არასათანადო გათვალისწინება, შესაბამის სამართლებრივ რეგულაციებს აშორებს ქმედუნარიანობისა და მხარდაჭერის ინსტიტუტების კონვენციისეული გაგებისგან.

553 ამ შემთხვევისგან განსხვავებით, მხარდამჭერს ეკისრება პერიოდული ანგარიშის წარდგენის ვალდებულება მუდრეგობისა და მზრუნველობის ორგანოში.

554 სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 14 ივლისის №07 – 08/თ ბრძანება – „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების წესისა და სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 29 მაისის №01-16/ნ ბრძანებით გათვალისწინებული საკითხების აღმინისტრირებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე, მ. 7 (2).

3.2. მონიტორინგის სფეროში არსებული ინსტიტუციური და პრაქტიკული გამოწვევები

ეროვნულ დონეზე, გვხვდება მთელი რიგი ინსტიტუციური და პრაქტიკული ბარიერები, რომლებიც, საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მხარდაჭერის სისტემის არაეფექტიანობას. კვლევის პროცესში გამოწვევები რამდენიმე ძირითადი მიმართულებით გამოვლინდა.

მონიტორინგის ორგანოს ინსტიტუციური სისუსტე

მონიტორინგის პროცესის ეფექტიანობის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობა პასუხისმგებელი ორგანოს ინსტიტუციური სიძლიერეა, რაც, მათ შორის, ამ ინსტიტუტის ფინანსური და ადამიანური რესურსების საკმარისობაში, ასევე, მისი თანამშრომლების ცოდნითა თუ ინსტრუმენტებით სათანადოდ აღჭურვაში გამოიხატება.

ქმედუნარიანობის რეფორმის მიმდინარეობაზე დაკვირვებიდან ჩანს, რომ სახელმწიფოს სათანადო ძალისხმევა არ გაუწევია მხარდაჭერის სისტემის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ინსტიტუციური ჩარჩოს ჩამოსაყალიბებლად და გასაძლიერებლად, მათ შორის, არც მონიტორინგის სფეროში. მაგალითად, რეფორმის შემდგომ სოციალურ მუშაკებს არ ჩატარებიათ საჭირო ტრენინგები, რაც ახალი მოვალეობების სრულყოფილად შესრულების ობიექტურ საფუძველს შექმნიდა.⁵⁵⁵ ამ საკითხებთან დაკავშირებით თვითინფორმირების შეუძლებლობა კიდევ უფრო მწვავედება სოციალური მუშაკების გადატვირთულობისა და მონიტორინგის პროცესის ზედამხედველობის (მათ შორის, პროფესიული სუპერვიზიის) მექანიზმის არარსებობის ფონზე.

აქედან გამომდინარე, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც სოციალურ მუშაკად მუშაობისთვის სპეციფიკური განათლება არ არის საჭირო, საჭირო ხელისუფლებამ კიდევ უფრო მეტად უნდა დაგვემოს რეფორმის პროცესი და შესაბამისი სუპერვიზიით, ტრენინგებისა თუ გადამზადების სხვა ინსტრუმენტების საშუალებით, უზრუნველყოს სოციალური მუშაკების უფლებამოსილებებისა და კვალიფიკაციის თანხვედრა.⁵⁵⁶

კიდევ ერთი ინსტიტუციური გამოწვევა, რაც მონიტორინგის პროცესს ახლავს თან, მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანოს ადამიანური რესურსების სიმწირეა.

⁵⁵⁵ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკთა შრომითი პირობები და გამოწვევები, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2017, გვ. 13.

⁵⁵⁶ იქვე.

2020 წლის სექტემბრის მდგომარეობით, მხარდაჭერის პოლიტიკის განხორციელებას უზრუნველყოფს სსიპ – სახელმწიფო ბრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში დასაქმებული 246 სოციალური მუშაკი და 19 იურისტი.⁵⁵⁷ ქვეყანაში მხარდაჭერის მიმღები პირების რაოდენობისა (6116 პირი) და იმის გათვალისწინებით, რომ სოციალურ მუშაკებს მხარდაჭერის საქმეების გარდა უამრავი, ოცმე მეტი მიმართულებით უწევთ საქმიანობა, შეიძლება ითქვას, რომ სისტემა ადამიანური რესურსების მწვავე ნაკლებობას განიცდის.⁵⁵⁸ სოციალური მუშაკების განცხადებით, მათ საშუალოდ მხარდაჭერის 30-50 შემთხვევა აქვთ და ამგვარი გადატვირთულობისა და ტრანსპორტის არარსებობის ფონზე, ისინი, ხშირ შემთხვევაში, წელიწადში ორჯერაც კი ვერ ახერხებენ მხარდაჭერის მიმღების მონახულებას. იმ შემთხვევაში, თუ იცნობენ ოჯახს, იქ არსებულ მდგომარეობას და დარწმუნებულნი არიან, რომ მხარდაჭერის მიმღები პირის უფლება დაცულია, ტელეფონის მეშვეობით ახდენენ მონიტორინგს.⁵⁵⁹ ეს კი, მხარდაჭერის საქმეებზე სიღრმისეულ და ეფექტიან ზედამხედველობას გამორიცხავს.

ცალკე უნდა აღინიშნოს იმგვარ საქმეებზე ზედამხედველობა, როდესაც მხარდამჭერად თავად სოციალური მუშაკია დანიშნული. როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონმდებლობის მიხედვით, მონიტორინგის წესები ამგვარ საქმეებზე არ ვრცელდება, თუმცა, განსხვავებული მდგომარეობაა პრაქტიკაში. როდესაც ბაზაში სოციალური მუშაკი რეგისტრირდება როგორც მხარდამჭერი, მას მონიტორად მაინც ენიშნება კოლეგა სოციალური მუშაკი.⁵⁶⁰ ამგვარი შემთხვევა პრობლემურია ორი მიზეზის გათვალისწინებით – ერთი მხრივ, სოციალური მუშაკების განცხადებით, ამ ტიპის ზედამხედველობას ფორმალური სახე აქვს,⁵⁶¹ მეორე მხრივ კი, ამგვარი მოცემულობა ინტერესთა კონფლიქტს იწვევს. კერძოდ, მიუხედავად კანონმდებლობაში ჩანანერისა, ფაქტობრივად, ამ შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ასრულებს როგორც მხარდამჭერის, ისე მისი ზედამხედველი სუბიექტის ფუნქციას.⁵⁶² აქედან გამომდინარე, არსებული სისტემა ვერ უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული პრინციპების, მათ შორის, მონიტორინგის დამოუკიდებლობის, მოთხოვნების შესრულებას, რაც მხარდაჭერის პროცესში შშმ პირების უფლებების დაცვის ეფექტიანი გარანტი უნდა იყოს.

557 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს №01/10439 კორესპონდენცია, 1.09.2020.

558 იხ. სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკთა შრომითი პირობები და გამონვევები, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2017.

559 სოციალურ მუშაკებთან განხორციელებული კვლევა.

560 იქვე.

561 იქვე.

562 ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, 2016, გვ. 52.

ზედამხედველობის პროცესში გამოსაყენებელი ინსტრუმენტები

სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია მხარდაჭერაზე ზედამხედველობის განვეის ფორმა, ასევე, მხარდამჭერის მიერ რეგულარულად შესავსები ფორმა.⁵⁶³ ზედამხედველობის ფორმა მოიცავს დემოგრაფიულ მონაცემებს, იძლევა იმის გამოვლენის შესაძლებლობას, თუ ვინ არის ჩართული მონიტორინგში (მხარდასაჭერი პირი, მხარდამჭერი პირი თუ სხვა მესამე მხარე) და სად ხორციელდება ვიზიტი (ფორმა შესაძლებლობას იძლევა, მონიტორინგი ჩატარდეს საცხოვრებელ სახლში, ოფისში ან სატელეფონო კავშირის მეშვეობით).

მონიტორინგის მიმდინარეობისას სოციალური მუშაკი 6 ძირითად სფეროს (საბავზო საჭიროებები, საყოფაცხოვრებო პირობები, საოჯახო/სამეურნეო საქმიანობის წარმართვა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, უფლებების დაცვა და ქონებრივი მდგომარეობა) აფასებს შემდეგი ორი მიმართულებით: 1) რამდენად არის დაკმაყოფილებული მხარდაჭერის მიმღები პირის ფორმაში ჩამოთვლილი საჭიროებები; 2) რამდენად არის ჩართული მხარდამჭერი მხარდაჭერის მიმღები პირის საჭიროებების დაკმაყოფილებაში. თითოეული სფეროს შევსებისას სოციალური მუშაკი არა მხოლოდ დახურულ კითხვებს პასუხობს, არამედ ავსებს ნარატიულ ანგარიშსაც. მონიტორინგის ფორმის ბოლო ნაწილში მოცემულია სოციალური მუშაკის დასკვნის/რეკომენდაციის უჭრა, სადაც იგი მიუთითებს მხარდაჭერის გაგრძელების მიზანშეწონილობაზე და ნარატიულ ანგარიშში აღწერს, თუ რამდენად ასრულებს მხარდამჭერი თავის მოვალეობებს. მონიტორინგის ფორმა ოფიციალურ პროგრამაში (ე.წ. დეს-ის პროგრამა) აიტვირთება. მონიტორინგის შედეგები სოციალურ მუშაკებს ასევე შეჰყავთ ელექტრონულ ბაზაში.

ზედამხედველობის განვეის ფორმასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია მთელი რიგი გამოწვევები. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მხარდაჭერის, მეურვეობისა და მზრუნველობის შემთხვევების მონიტორინგი ერთი ინსტრუმენტით ხდება. ამ რეჟიმების ერთმანეთისგან მკვეთრი განსხვავების გათვალისწინებით, ამ სამიტვიპის შემთხვევის საერთო პრინციპებით მონიტორინგი პრაქტიკულად შეუძლებელია. ამასთან, ზედამხედველობის ფორმის პირველივე ნაწილი მონიტორისგან ითხოვს მხარდაჭერის მიმღების დიაგნოზის (და არა ინდივიდუალური საჭიროების) მითითებას, რაც შშმ პირების მიმართ არსებული სამედიცინო პარადიგმის ანარეკელია. სოციალური მუშაკები აღნიშნავენ, რომ მონიტორინგის ფორმა შაბლონურია

563 სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 14 ივლისის №07 – 98/ო ბრძანება – „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების წესისა და სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 29 მაისის №01-16/6 ბრძანებით გათვალისწინებული საკითხების აღმინისტრირებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე, დანართი №2 და დანართი №5.

და ინფორმაციის განახლების მაგივრად, მასში გადმოაქვთ მონიტორინგის წინა ფორმაში არსებული საკითხები.⁵⁶⁴ გადატვირთულობიდან გამომდინარე, ზედამხედველობის ფორმის შევსება მათთვის დამატებით სამუშაოსა და დატვირთვის წარმოადგენს, ისინი ვერ ასწრებენ ინსტრუმენტის შევსებას და აქვთ ვადაგადაცილებები.

პრობლემურად უნდა შეფასდეს მონიტორინგის ფორმაში არსებული შესაფასებელი სფეროების ჩამონათვალი. ეს დოკუმენტი ძირითადად საცხოვრებელი და ჰიგიენური პირობების შემოწმების, მხარდასაჭერი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მასთან ერთად მხარდამჭერის ცხოვრების ფაქტის გამოვლენის საშუალებას იძლევა. მონიტორინგის ფორმა ძირითადად მხოლოდ სიცოცხლის და ჯანმრთელობის უფლების დაცულობას ეხება და არ აფასებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა, მხარდაჭერის მიმღების სოციალური უნარების გაუმჯობესება სხვადასხვა სფეროში, ასევე, ურთიერთობა მხარდამჭერსა და მხარდასაჭერ პირს შორის.⁵⁶⁵

მონიტორინგის ფორმის ხარვეზიანობასთან ერთად, მნიშვნელოვანი პრობლემაა სასამართლოს გადანყვეტილებით განსაზღვრული მხარდაჭერის სფეროების სიზოგადე. კერძოდ, ამ გადანყვეტილებების სარეზოლუციო ნაწილი, ხშირ შემთხვევაში, ბუნდოვანია, არ უთითებს პირის გაძლიერების საჭიროებებსა და მხარდაჭერის თავისებურებებზე (მხარდაჭერის ფორმებზე, კონკრეტულ სფეროებსა თუ მხარდაჭერის ინტენსივობაზე), რაც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ართმევს შესაძლებლობას, ეფექტიანი ზედამხედველობა გაუწიოს მხარდაჭერის საქმეებს.⁵⁶⁶

უმნიშვნელოვანესია, რომ სოციალურ მუშაკებს მიეცეთ მხარდაჭერის საქმეებზე ეფექტიანი სუპერვიზიის განხორციელებისა და შემთხვევებზე სიღრმისეული მუშაობის რეალური შესაძლებლობა, რაც, მათ შორის, ცხადად უკავშირდება მუდმივ გადამზადებასთან წვდომას, მხარდაჭერის მიმღებ პირებთან მუშაობის ინსტრუმენტების არსებობასა და საკმარისი დროითი რესურსების ქონას. ნათელია, რომ ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია არსებულ მდგომარეობაში – ერთი მხრივ, იშვიათად და ფორმალურად, წელიწადში მხოლოდ ორჯერ, მონიტორინგით და, მეორე მხრივ, მონიტორინგის პროცესისა და შესაბამისი ფორმების დახვეწის გარეშე.

არსებული მოცემულობიდან გამომდინარე, მონიტორინგის პროცესი უნდა გასცდეს თავის ფორმალურ ხასიათს და მიიღოს საქმეებზე სისტემატური მუშაობისა და სუპერვიზიის განხორციელების სახე. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ მონიტორინ-

564 სოციალურ მუშაკებთან განხორციელებული კვლევა.

565 იქვე.

566 ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, 2016, გვ. 52.

გის ინსტრუმენტი მეურვეობისა და მზრუნველობის საქმეებზე ზედამხედველობის ინსტრუმენტს გამოეყოს და მისი რეგულირებიდან ამოვიდეს მხარდაჭერის საქმეებთან დაკავშირებული არაარსებითი საკითხები (რომლებიც ძირითადად პირზე მზრუნველობასა და მოვლას ეხება). ამის ნაცვლად, მხარდაჭერის მონიტორინგის პროცესი და ფორმები უნდა იძლეოდეს პროგრესის შეფასების შესაძლებლობას, მათ შორის, რა სირთულე/პრობლემა ჰქონდა/აქვს მხარდასაჭერ პირს, რა უნარები გაუმჯობესდა და კიდევ რა არის გასაუმჯობესებელი, როგორ უნდა მოხდეს მხარდაჭერის დახმარება მისი საქმიანობის გასაუმჯობესებლად და სხვ.⁵⁶⁷ ამასთან, მნიშვნელოვანია, მონიტორინგის ან მის შემდგომ პროცესში სხვა პროფესიის ექსპერტების ჩართვა იმ შემთხვევებში, როდესაც საკითხი სცდება სოციალური მუშაკის კომპეტენციას.⁵⁶⁸

ამასთან, მონიტორინგის ფორმის ამგვარი ცვლილება კი ვერ გამოიწვევს შედეგს სოციალური მუშაკების ხელთ მხარდაჭერის მიმღებებისა და მათი ოჯახების რეალური გაძლიერების მექანიზმების არარსებობის შემთხვევაში. მონიტორინგის პროცესში ბენეფიციარებს სოციალური მუშაკების მხარდაჭერის მოლოდინი აქვთ, მაშინ როდესაც, სახელმწიფოში არ არსებობს მათი გაძლიერების ეფექტიანი მექანიზმები. იქიდან გამომდინარე, რომ სისტემას არ აქვს მომსახურებები და სოციალური მუშაკი მინიმალურ დონეზეც კი ვერ აძლიერებს პროცესში ჩართულ პირებს, მხარდაჭერებს ხშირად უწევთ მხარდაჭერის მიმღებ პირებთან 24-საათიან რეჟიმში ყოფნა და მათ მხარდაჭერის ანგარიშის ფორმის შესავსებად სოციალური მომსახურების ცენტრში გამოცხადებაც კი უჭირთ.⁵⁶⁹ ამგვარი მდგომარეობა მონიტორინგს დაქვემდებარებული პირების ფრუსტრაციასა და უკმაყოფილებას იწვევს. სოციალური მუშაკები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მხარდაჭერისა და გაძლიერების რეალური მექანიზმების არსებობის შემთხვევაში, მათ გაცილებით გაუმარტივდებოდათ არსებულ საქმეებზე ზედამხედველობა.⁵⁷⁰

საბოლოო ჯამში, მხარდაჭერის პროცესის მონიტორინგის სისტემის შესწავლამ აჩვენა, რომ გამოწვევას წარმოადგენს არა მხოლოდ ამ სფეროში არსებული კანონმდებლობა, არამედ მთელი რიგი ინსტიტუციური და პრაქტიკული ბარიერებიც. მათ შორისაა, სოციალური მუშაკების გადატვირთულობა, მონიტორინგის ფორმების შეუსაბამობა მხარდაჭერის სისტემის მიზნებთან, სასამართლო გადაწყვეტილებების ბუნდოვანება და სხვ. გამოწვევების მრავალფეროვნების გამო, მონიტორინგის სისტემის გამართვა მხოლოდ სისტემური რეფორმის შედეგად არის შესაძლებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებული ზედამხედველობის მექანიზმი ფორმალურ

567 სოციალურ მუშაკებთან განხილული კვლევა.

568 ჭარკავა, ნ., ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმა საქართველოში – გამოწვევები სოციალური მუშაობის პერსპექტივიდან, 2018.

569 სოციალურ მუშაკებთან განხილული კვლევა.

570 იქვე.

ინსტრუმენტად დარჩება. ძირეული ცვლილებების გარეშე იგი ვერ უზრუნველყოფს ქმედუნარიანობის კონცეფციიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებას – მხარდაჭერაზე ეფექტიანი მონიტორინგის განხორციელებასა და მხარდაჭერის მიმღებების დაცვას არასათანადო ზეგავლენისა თუ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისგან, ასევე, მხარდაჭერის პროცესში ჩართული მხარეების ჯეროვან გაძლიერებას.

დასკვნა

სამართლებრივი ქმედუნარიანობის კონცეფცია სირთულითა და კომპლექსურობით გამოირჩევა. მის მიერ დასახული მრავალმხრივი მიზნების მისაღწევად, მეტად მნიშვნელოვანია ეროვნულ დონეზე გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის სისტემის შექმნა და დანერგვა. საერთაშორისო სტანდარტებისა თუ ქვეყნების პრაქტიკის ანალიზისას იკვეთება, რომ მხარდაჭერის მოდელი ერთმანეთისგან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საფეხურებისგან შედგება, რომელთაგან ერთ-ერთის არაეფექტიანობამ მთლიანი სისტემის ჩავარდნაც კი შეიძლება გამოიწვიოს. მხარდაჭერის სისტემის ერთ-ერთ ელემენტს სწორედ მონიტორინგის მექანიზმი წარმოადგენს.

იქიდან გამომდინარე, რომ მხარდაჭერის ინსტიტუტი გლობალური მასშტაბით ფართოდ არ არის დამკვიდრებული, გართულებულია ამ სფეროში შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტებისა თუ ქვეყნების პრაქტიკის მიმოხილვა. თუმცა, არსებული მწირი წყაროების ანალიზი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გამოიკვეთოს მონიტორინგის ჩატარების ძირითადი პრინციპები და მახასიათებლები. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ეს პროცესი შემდეგ ძირითად ღირებულებებს უნდა ეფუძნებოდეს: მხარდაჭერის მიმღები პირის ცენტრალურობა, მონიტორის კეთილსინდისიერება და დამოუკიდებლობა, მონიტორინგის რეგულარულობა და კვალიფიციურობა. ამასთან, ზედამხედველობის განევა არა მხოლოდ მხარდაჭერის უფლებამოსილებების მონიტორინგს უნდა ისახავდეს მიზნად, არამედ მხარდაჭერის მიმღები პირის უფლებებისა და მასზე არასათანადო ზეგავლენის თავიდან აცილებას, ასევე, მხარდაჭერის პროცესში ჩართული პირების გაძლიერებას.

საერთაშორისო სტანდარტებისა თუ ქვეყნების გამოცდილების პარალელურად, ყურადსაღებია საქართველოში არსებული მდგომარეობა. ეროვნულ დონეზე გამოწვევად რჩება როგორც მხარდაჭერის სფეროში არსებული პოლიტიკის ზოგადი კოორდინაცია, ისე კონკრეტულ საქმეებზე ეფექტიანი ზედამხედველობა. კვლევამ აჩვენა, რომ ამ სფეროში არსებობს როგორც პრაქტიკული, ისე ინსტიტუციური და საკანონმდებლო ბარიერები. ამ მიმართულებით მნიშვნელოვან გამოწვევებს შორისაა, მხარდაჭერის ცალკეულ საქმეებზე მონიტორინგის მექანიზ-

მის კანონმდებლობით გათვალისწინებლობა, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში ადამიანური რესურსების სიმწირე და ქმედუნარიანობის საკითხებზე ექსპერტიზის ნაკლებობა, მონიტორინგის ინსტრუმენტის ქმედუნარიანობის არსთან შეუსაბამობა და მხარდაჭერის მიმღებისა და მისი ოჯახის გაძლიერების ხელშესახები მექანიზმების არარსებობა. არსებული ბარიერების დაძლევის გარეშე ქმედუნარიანობის რეფორმის ეფექტიანი განხორციელება, პრაქტიკულად, მიუღწეველი მიზანია.

რეკომენდაციები

არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- ▶ საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული პრინციპები (მხარდაჭერის მიმღების როლის ცენტრალურობა, კეთილსინდისიერება და დამოუკიდებლობა, რეგულარულობა) აისახოს მხარდაჭერის საქმეებზე ზედამხედველობის მარეგულირებელ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში;
- ▶ კანონმდებლობამ გაითვალისწინოს მხარდაჭერის ყველა საქმეზე ეფექტიანი მონიტორინგის ჩატარების ვალდებულება;
- ▶ კანონმდებლობამ და პრაქტიკამ მონიტორინგის ერთ-ერთ მთავარ მიზნად გამოკვეთოს მხარდაჭერის მიმღები პირისა და მხარდამჭერის გაძლიერება. ამ მიმართულებით დაწვრილებით გაიწეროს ზედამხედველობის განმახორციელებელი პირის ფუნქციები;
- ▶ კანონმდებლობა და პრაქტიკა დაეფუძნოს მონიტორინგის ჩატარების დროს მხარდაჭერის მიმღები პირის ნებისა და სურვილების ცენტრალურობის პრინციპს. კანონმდებლობამ დაადგინოს მხარდაჭერის მიმღები პირისგან ინფორმაციის მიღების, მისი მოსაზრების მოსმენისა და პრიორიტეტიზაციის სავალდებულო წესები;
- ▶ მონიტორინგის პროცესში აღმოიფხვრას ინტერესთა კონფლიქტი – მინიმუმამდე დავიდეს მხარდაჭერის განვეისა და მასზე ზედამხედველობის უფლებამოსილების ერთი ორგანოს ხელში მოქცევის ფაქტობრივი შესაძლებლობაც კი. ამ მიზნით, კანონმდებლობამ და ინსტიტუციურმა ჩარჩომ შექმნას დამოუკიდებელი და ეფექტიანი მონიტორინგის განხორციელების მექანიზმი და გარანტიები;

- ▶ დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად, მონიტორინგის ჩატარებაზე პასუხისმგებელი ორგანო გაძლიერდეს ადამიანური (გაიზარდოს სოციალურ მუშაკთა რაოდენობა) და ფინანსური რესურსებით, რათა მას ჰქონდეს შესაძლებლობა, რეალურად და ეფექტიანად ჩაატაროს მონიტორინგი. მონიტორინგის დროს პასუხისმგებელ პირებს ჰქონდეთ გადაადგილების საშუალებებზე/ტრანსპორტზე დაუბრკოლებელი წვდომა;
- ▶ სახელმწიფომ შექმნას ქმედუნარიანობისა და მხარდაჭერის სისტემის საკითხებზე სპეციალიზებულ სოციალურ მუშაკთა ჯგუფი და შექმნას მათზე პროფესიული სუპერვიზიის განხორციელების მექანიზმის შექმნაზე;
- ▶ გაიზარდოს მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირთა ექსპერტიზა ქმედუნარიანობისა და მხარდაჭერის სფეროს მიმართულებით. სოციალური მუშაკებისთვის სისტემატურად ტარდებოდეს ტრენინგები, მათთვის, ერთი მხრივ, ქმედუნარიანობისა და მხარდაჭერის კონცეფციების თეორიული და პრაქტიკული ასპექტების, და, მეორე მხრივ, შშმ პირთა მიმართ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მოდელის არსის სიღრმისეულად გასაცნობად;
- ▶ შეიცვალოს მხარდაჭერაზე მონიტორინგის პროცედურა და ინსტრუმენტი. ამგვარ საქმეებზე ზედამხედველობის ფორმა და პროცედურა მეურვეობისა და მზრუნველობის შემთხვევებზე მონიტორინგის ინსტრუმენტს გამოეყოს, მისი რეგულირებიდან ამოვიდეს მხარდაჭერის საქმეებთან დაკავშირებული არაარსებითი საკითხები (რომლებიც ძირითადად პირზე ზრუნვასა და მის მოვლას ეხება) და უპირატესობა მიენიჭოს ადგილზე ხშირ ვიზიტებს და მხარდაჭერის მიმღებებთან აქტიურ კომუნიკაციას. პროცესი უნდა ფოკუსირდეს იმის გამოვლენაზე, თუ როგორ სრულდება მხარდაჭერის სისტემის ფუძემდებლური პრინციპები, რამდენად მიიღწევა პროგრესი, რამდენად გაიზარდა მხარდაჭერის მიმღები პირის დამოუკიდებლობის ხარისხი და გაუმჯობესდა თუ არა მისი უნარები და კიდევ რისი გაუმჯობესება სჭირდება როგორც მხარდამჭერს, ისე მხარდაჭერის მიმღებს;
- ▶ საქმეებზე ზედამხედველობის პროცესი წელიწადში ორჯერ მონიტორინგის ფორმალური განხორციელების მექანიზმიდან გარდაიქმნას ინტენსიურ მექანიზმად, რომელიც მოიცავს მხარდაჭერის მიმღებებთან და მხარდამჭერებთან მუდმივ მუშაობას, მათი საჭიროებების გამოკვეთასა და გაძლიერებას. ამ მიზნის მისაღწევად, საჭიროების შემთხვევაში, პროცესში სოციალურ მუშაკთან ერთად გათვალისწინებული უნდა იყოს სხვა ტიპის პროფესიონალების მონაწილეობაც;
- ▶ მონიტორინგის შემდგომ გამოკვეთილი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად განვითარდეს მხარდაჭერის მიმღები პირებისა და მათი მხარდამჭერების/ოჯახის წევრების გაძლიერების მექანიზმები/მომსახურებები.

